

СЕРГЕЙ ЖГЕНТИ

Фонетика
чанско-мегрельского
языка

ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО
ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА ИМЕНИ СТАЛИНА

1 9 Т Б И Л И С И 5 3

სერგი ქაენგი

კანურ-მეგრულის ფონეტიკა

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

19

თ ბ ი ლ ი ს ი

53

შინაარსი

	83-
შემოკლება	IX
წინასიტყვაობა	XI
შესავალი (წეს 1—10)	1—15
1. ჭანურ-მეგრულის გავრცელების არე ძველად და ამჟამად	7—9
2. ჭანურ-მეგრულის კილოკავური შედგენილობა	10—11
3. სხვა ენების გავლენის კვალი ჭანურ-მეგრულის ლექსიკურ შედგენილობაზე	12—15
A. ჭანურ-მეგრული ვოკალიზმი (წეს 11—50)	16—56
1. რენტგენოგრამები და პალატოგრამები	16—39
2. ხმოვანთმონაცვლეობა	40—46
3. დიფთონგები და დიფთონგიზაცია	47—52
4. ხმოვანთა პოზიციური სიგრძე	53—56
B. კონსონანტიზმი (წეს 51—115)	57—179
1. ყ და მისი რეფლექსები	57— 63
2. იოტი	64— 65
3. რ ფონემა	66— 75
4. ლ ფონემა	76— 77
5. თანხმოვანთმონაცვლეობა და ჭანურ-მეგრულის „შიშინა“ გაბგერება	78— 86
6. უკანაენისმიერ ხშულთა განვითარება შ (ს), ჩ, ჳ და ჯ (ძ)-ს შემდგომ	87— 90
7. ნ (მ) ბგერათა განვითარება ხშულმსკდომთა წინ	91—104
8. პალატალიზაცია	105—112
9. ასიმილაცია	113—128
ა) თანხმოვანთა ასიმილაცია	114—125
ბ) ხმოვანთა ასიმილაცია	126—127
გ) ბაგისმიერ თანხმოვანთა გავლენა ხმოვნებზე	128—129
10. დისიმილაცია	129—148
11. აფრიკატიზაცია და დეზაფრიკატიზაცია	149—157
ა) აფრიკატიზაციის შემთხვევები	149—156
ბ) დეზაფრიკატიზაციის შემთხვევები	156—157

12. მეტათეზისი	157—158
13. სუბსტიტუცია	159—162
ა) არტიკულაციურად მონათესავე ბგერათა სუბსტიტუცია	160—161
ბ) არტიკულაციურად განსხვავებულ ბგერათა სუბსტიტუცია	161—162
14. ბგერათა დაკარგვა	162—165
15. სიტყვის აბსოლუტური ბოლო	166—178
16. სრულხმოვნობა (§§ 115—117)	179—189

ც. აქცენტუაცია. (§§ 118—119)	190—196
--	---------

სამიეზღები:

ა) პირთა	197
ბ) საგნობრივი	198—206

ОГЛАВЛЕНИЕ

СОКРАЩЕНИЯ	IX
ПРЕДИСЛОВИЕ	XI
ВВЕДЕНИЕ (§§ 1—10)	1— 15
1. Пределы распространения чанско-мегрельского языка в древности и в настоящее время	7— 9
2. Подговоры чанско-мегрельского языка	10— 11
3. Влияние других языков на лексический состав чанско-мегрельского языка	12— 15
А. ЧАНСКО-МЕГРЕЛЬСКИЙ ВОКАЛИЗМ (§§ 11—50)	16— 56
1. Рентгенограммы и палатограммы	16— 39
2. Чередование гласных	40— 46
3. Дифтонги и дифтонгизация	47— 52
4. Позиционная долгота гласных	53— 56
В. КОНСОНАНТИЗМ (§§ 51—115)	57—179
1. ɟ q и его рефлексy	57— 63
2. ɥ и краткий	64— 65
3. Фонема ɕ g	66— 75
4. Фонема ɕ l	76— 77
5. Чередование согласных	78— 86
6. Развитие заднеязычных смычных после ʋ ($\parallel$ b) ʂ ($\parallel$ s) ʈ ɕ , ʑ ɕ и ʒ ($\parallel$ d) ʑ ($\parallel$ ɟ)	87— 90
7. Развитие звуков b ($\parallel$ ʋ) p ($\parallel$ m) перед смычными согласными	91— 104
8. Палатализация	105—112
9. Ассимиляция	113—128
а) согласных	114—125
б) гласных	126—127
г) влияние губно-губных согласных на гласные	128—129
10. Диссимилиация	129—148
11. Аффрикатизация и деаффрикатизация	149—157
12. Метатеза	157—158

13. Субституция	159—162
14. Исчезновение звуков	162—165
15. Абсолютный исход слова	166—178
16. Полногласие (§§ 115—117)	179—189

С. АКЦЕНТУАЦИЯ (§§ 118—119)	190—196
--	----------------

Указатели:

а) именной	197
б) предметный	198—206

შემოკლებანი

ა) დასახელებული ლიტერატურისა:

- ა. ცაგარელი, მეგრ. ეტიუდები—Ал. Цагарели, Мингрельские этюды, I, II, С.-Петербург, 1880 г.
- ბ. მარი, ჰან. გრამ.—Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, С.-Петербург, 1910 г.
- ი. ყიფშიძე, ღამატ. ცნ.—И. Кипшидзе, Дополнительные сведения о чанском языке, С.-Петербург, 1911 г.
- ი. ყიფშიძე, მეგრ. გრამ.—И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, С.-Петербург, 1914 г.
- არნ. ჩიქობავა, ჰან. გრამ. ანალიზი—არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბილისი, 1936 წ.
- შდრ. ლექს.—არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938 წ.
- არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძვ. აგებულება—არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942 წ.
- ჩვენის: სვან. ფონეტ.—სერგი ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949 წ.

ბ) დასახელებული ტექსტებისა:

- ჩიქ. I—არნ. ჩიქობავა, ჰანური ტექსტები, ზოფური კილოკავი, თბილისი, 1929 წ.
- ჩიქ. II—არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბილისი, 1936 წ.
- ყიფ. I—პროფ. იოსებ ყიფშიძე, ჰანური ტექსტები, თბილისი, 1934 წ.
- ყიფ. მეგრ. ტექს.—И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, С.-Петербург, 1914 г.
- ყიფ. მეგრ. ლექს.—И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, С.-Петербург, 1914 г.
- ხუბ.—ნ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბილისი, 1937 წ.
- დუმეზ.—Georges Dumézil, Contes Lazes, Paris, 1937.
- ჟღ.—სერგი ჟღენტი, ჰანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, თბილისი, 1938 წ.

გ) ენების, დიალექტებისა და კილოკავებას სახელწოდებათა:

- ათინ.—ათინური (კილოკავი)
- ბერძ.—ბერძნული
- ბზ.—ბალსხემოური (კილო სვანური ენისა)

- ბქვ.—ბალსქვემოური (კილო სვანური ენისა)
გურ.—გურული (კილო)
ეცრ.—ეცერული თქმა სვანურისა
ვიწ.-არქ.—ვიწურ-არქაბული (კილოკავი)
თურქ.—თურქული
ინგილ.—ინგილოური (კილო)
ლნტ.—ლენტეხური (კილო სვანური ენისა)
მთიულ.—მთიულური (კილო)
მოხ.—მოხეური (კილო)
რუს.—რუსული
სამურზ.-ზუგდ.—სამურზაყანულ-ზუგდიდური (კილოკავი)
ხენაკ.—ხენაკური (კილოკავი)
სვან.—სვანური
ფრანგ.—ფრანგული
ქართლ.—ქართლური
ქართ.—ქართული
ქან.-მეგრ.—ქანურ-მეგრული
ხევს.—ხევსურული (კილო)
ხოფ.—ხოფური (კილოკავი)
-

წინასიტყვაობა

ი. სტალინმა ფუძემდებელ შრომაში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ ფართო პერსპექტივები დაუსახა საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარებას. ი. სტალინმა თავის უფლებებში აღადგინა ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და დასვა საკითხი მისი სერიოზულ ნაკლოვანებათაგან განთავისუფლების შესახებ. ენათმეცნიერების მთავარ ამოცანად იქცა ენის განვითარების შინაგანი კანონების შესწავლა მონათესავე ენათა საფუძველზე. საბჭოთა ენათმეცნიერება საბოლოოდ განთავისუფლდა ნ. მარის ე. წ. „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ მცდარი, არამარქსისტული დებულებებისაგან.

ი. სტალინის შრომების გამოქვეყნების შემდგომ განსაკუთრებით ნაყოფიერად გაიშალა მუშაობა ცადკუდ ენათა ფონეტიკური სისტემის, გრამატიკული წყობისა და ლექსიკის შესწავლის მიმართულებით.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ქართველური ენათმეცნიერების მიღწევებიც.

წინამდებარე შრომა „ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა“ ივარაუდება ჭანურ-მეგრულის კურსის სახელმძღვანელოდ ფონეტიკურ ნაწილში. ეს კურსი მთელი რიგი წლების მანძილზე იკითხება უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული და კავკასიური ენების განყოფილებათა სტუდენტთათვის.

გარდა ამისა, ეს სახელმძღვანელო დახმარებას გაუწევს ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის კურსს.

ჩვენ შევეცადეთ სახელმძღვანელოში მოცემული ყოფილიყო ზოგადი ფონეტიკისა და ქართველური ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპის მიღწევები.

წიგნში ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე ახლებურად არის გაშუქებული ძირითადი საკითხები.

სახელმძღვანელოში აღძრულ საკითხებთან დაკავშირებით ავტორი კრიტიკულ შენიშვნებს სიამოვნებით მიიღებს.

შესავალი

§ 1. როგორც ცნობილია, ქართველური ტომები შედგება ქართველებისა, ჭან-მეგრელებისა და სვანებისაგან, რომელთა სამეურნეო და კულტურული ცხოვრება თავიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული. საშუალო საუკუნეებში ქართველ ტომთა ერთ სახელმწიფოში გაერთიანებამ კიდევ უფრო ხელი შეუწყო მათი საერთო ცხოვრების წინსვლასა და განმტკიცებას¹. ისტორიულად ქართველ ტომთათვის ერთადერთი სამწერლობო ენა ყოველთვის იყო ქართული სალიტერატურო ენა, რომლის განვითარების ფართო გზაზე ქანებს, მეგრელებსა და სვანებს თავისი საკუთარი იდიომებიც შეჰქონდათ.

ქანების ეკონომიური და სულიერი ცხოვრების განვითარება სულ სხვა გზით წარიმართა მას შემდგომ, რაც ქანების დიდი ნაწილი და მათი ტერიტორია თურქეთის საზღვრებში მოექცა.

ქართველი ხალხისა და ქართველური ტომების ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ხალხის ერად საბოლოოდ ჩამოყალიბება. „... საქართველო, როგორც ერი,—წერს ი. სტალინი,—მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, როცა ბატონყმობის გაუქმებამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი“².

¹ ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1946 წ., გვ. 9—10.

² ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი, თბზულებანი, 2, გვ. 318.

ი. სტალინი ამავე დროს კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის განმარტებასთან დაკავშირებით მიუთითებს მეგრელების, აფხაზების, აჭარლების, სვანებისა და სხვათა მაგალითზე: „რა ვუყოთ მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ? რა ერებს მივაკუთვნოთ ისინი? შესაძლებელია თუ არა მათი „მოწყობა“ ნაციონალურ კავშირებად? რა „კულტურული საქმიანობის“ გარშემო „მოვაწყოთ“ ისინი?“¹...

„რომელ ნაციონალურ კავშირს მივაკუთვნოთ აჭარლები, რომლებიც ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თურქული კულტურით ცხოვრობენ და ისლამის რჯულს აღიარებენ? ხომ არ „მოვაწყოთ“ ისინი ქართველებისაგან განცალკევებულად რელიგიური საქმეების ნიადაგზე და ქართველებთან ერთად სხვა კულტურული საქმეების ნიადაგზე? ახლა ქობულეთლები? ახლა ინგუშები? ახლა ინგილოები?“²

ბუნებრივია, ანალოგიური საკითხი ქანების მიმართაც ისმება. ნაციონალური საკითხის ასე არასწორად გადაჭრას ი. სტალინი „ფუჟი ფანტაზიის ნაყოფად“ მიიჩნევდა.

ქართველურ ტომთა ნამდვილი სამეურნეო და კულტურული აყვავება დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური წყობილების გამარჯვებით ქალაქსა და სოფელს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის დაპირისპირებულობისათვის ნიადაგი უკვე ლიკვიდირებულა³. ქართველი სოციალისტური ერი დღეს საბჭოთა კავშირის მრავალეროვნებიან ოჯახში აქტიურად მონაწილეობს დიად კომუნისტურ მშენებლობაში. მძიმე ინდუსტრიის განვითარების საფუძველზე საკოლმეურნეო წყობილებამ ჩვენი რესპუბლიკა მოწინავე რესპუბლიკად აქცია. კერძოდ, ციტრუსოვან ბაღნარად იქცა დასავლეთ საქართველოს რაიონები, ბედნიერი გახდა ხვანეთის მთიანი რაიონების მოსახლეობის ცხოვრება. მაგალითისა-

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი, გვ. 377.

² იქვე.

³ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952 წ., გვ. 28.

თვის ისიც საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ბათუმის რაიონში სოფ. სარფის ქანების კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავე მილიონერი კოლმეურნეობაა.

ქართველი სოციალისტური ერის მაღალი სამეურნეო და კულტურული დონე აყენებს საკითხს ერთიანი და საერთო ნაციონალური ქართული ენის კიდევ უფრო სრულყოფისა და განვითარების შესახებ.

დღეს ქართული ლიტერატურული ენის გავლენა მეგრულ-ქანურსა და სვანურზე გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. საერთო და ერთიანი ნაციონალური ქართული ლიტერატურული ენა ამჟამად ჩვენი მეურნეობის, კულტურისა და მთელი საზოგადოების განვითარებისა და ბრძოლის მძლავრ იარაღს წარმოადგენს.

§ 2. ი. სტალინმა თავის შრომაში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ მოგვცა ენათმეცნიერებაში მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითად განვითარების საფუძველზე ხალხთა და ენათა ისტორიის მთელი მსვლელობის, ენისა და კლასების ურთიერთობისა და ენის სპეციფიკური ნიშნების უბადლო განსაზღვრა.

სტალინური მოძღვრების მიხედვით ქართველი ტომების ისტორიის გათვალისწინებას შეუძლია მხოლოდ სრული წარმოდგენა მოგვცეს ამ ტომების ენათა განვითარების შინაგან კანონებზე. „ენა და მისი განვითარების კანონები შეგვიძლია გავიგოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შევისწავლით განუწყვეტელ კავშირში იმ საზოგადოების ისტორიასთან, იმ ხალხის ისტორიასთან, რომელსაც შესასწავლი ენა ეკუთვნის და რომელიც ამ ენის შემოქმედი და მატარებელია“¹.

§ 3. ი. სტალინის საენათმეცნიერო შრომების გამოქვეყნების შედეგად ენათმეცნიერთა წინაშე პირველხარისხოვან ამოცანად დაისვა მონათესავე ენების შესწავლა, ვინაიდან ენობრივი ნათესაობის ისტორიული საკითხების ორმად გაშუქებას დიდი სარგებ-

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 20.

ლობა მოაქვს ენის განვითარების შინაგანი კანონების შესწავლისათვის¹.

ა. ცაგარლის, ნ. მარის, ი. ყიფშიძის, ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, ა. ჩიქობავას, ვ. თოფურიასა და სხვათა ფუძემდებელმა შრომებმა ნათელყვეს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ქართულ, ჰანურ-მეგრულ და სვანურ ენათა შედარებითს შესწავლას აქვს ამ ენათა ისტორიული ურთიერთობის, ძირითადი ლექსიკური ფონდისა და გრამატიკული წყობის, საკითხების გასაშუქებლად.

ქართველურ ენათა ლექსიკის, ფონეტიკური სისტემებისა და გრამატიკული წყობის შედარებითი შესწავლა ცხადყოფს ამ ენათა განსაკუთრებით ახლო ნათესაობას. ამ ენათა ღრმა ისტორიული წარსულის კვლევა ერთიან წარმოშობასა და მათ შორის კიდევ უფრო მეტ სიახლოვეს ადასტურებს. „რაც უფრო ახლოს ვეცნობით ქართულის, მეგრულისა და ჰანურის ისტორიულ ურთიერთობას, მით უფრო მეტი სიახლოვე მელავნდება მათ შორის მორფოლოგიაში, სინტაქსში, ლექსიკაშიც და ფონეტიკაშიც“².

ჰანურ-მეგრულისა და სვანური ენების შესწავლის მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიის გასაშუქებლად პროფ. ა. ცაგარელმა ყველაზე უფრო ნათლად გამოთქვა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში. ის წერდა: „ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იდიომები ქართველი (ქართველური) ტომებისა: ჰანების, მეგრელებისა და სვანების, რომელთაც არა აქვთ მწერლობა. ამ ხალხებში ენა ცოცხლობს ჯერ კიდევ თავის ბუნებრივს ყოფაში — მუდმივი წვის მდგომარეობაში და სწორედ ამ ენებს უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, თუკი გვინდა სწორად წარმოვიდგინოთ ქართული ენის ზრდა და განვითარება“³.

ა. ცაგარელმა პირველმა დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ „ცნობილია თუ არა ძირითადი კანონები მისი (ქართული ენის. — ს. ე.) შინაგანი მექანიზმისა, მისი გრამატიკული წყობისა? ენათა რომელ ოჯახთან აქვს მას გენეტიკური კავშირი?..“ ა. ცა-

¹ ი. სტალინი; მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 31.

² არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938 წ., გვ. XI.

³ Ал. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, С.-Петербург, 1873 г., гл. II.

გარელი მაშინ აღნიშნავდა, რომ არსებული გრამატიკული ლიტერატურა ამ კითხვებზე არაღამაქმყოფილებელ პასუხს იძლევაო¹.

როგორც აღვნიშნეთ, ა. ცაგარელს კარგად ჰქონდა შეგნებული ჭანურ-მეგრულის საფუძვლიანი შესწავლის დიდი მნიშვნელობა ქართული ენის გრამატიკული წყობის ისტორიული და თანამედროვე ვითარების გასაშუქებლად.

§ 4. დღემდე ჭანურ-მეგრულის შესწავლის მიზნით მრავალრიცხოვანი მდიდარი ლიტერატურა შეიქმნა; შეგროვებულ იქნა საკმაოდ დიდი რაოდენობის ჭანურ-მეგრულის ტექსტები და დაიწერა ბევრი ფუძემდებელი გამოკვლევა.

ა. ცაგარელმა 1880 წ. გამოაქვეყნა „Мингрельские этюды“ (I — ტექსტები, II — ფონეტიკა); ნ. მარმა 1910 წელს გამოაქვეყნა „Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем“; ი. ყიფშიძემ 1911 წელს გამოაქვეყნა „Дополнительные сведения о чанском языке“, ხოლო 1914 წელს — „Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ ქართველოლოგიისათვის და, კერძოდ, ჭანურ-მეგრულის შესწავლისათვის მეტად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია არნ. ჩიქობავას შრომები: „ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ“ (1936 წ.), რომელშიც ჭანურის გრამატიკული წყობის ანალიზი მოცემულია მეგრულთან და ქართულთან მიმართებაში; „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ (1938 წ.), „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (1942 წ.). ამ შრომებში და სხვა ავტორთა სპეციალურ წერილებში ჭანურ-მეგრულის ლექსიკის, ფონეტიკისა და გრამატიკული წყობის მრავალი საკითხია გადაწყვეტილი.

აქვე დავასახელებთ შეკრებილსა და გამოცემულ ჭანურ-მეგრულის ტექსტებს. ა. ცაგარელმა მეგრული ტექსტები გამოსცა რუსული თარგმანითა და კომენტარიებით 1880 წ. შემდეგი სათაურით: „Мингрельские этюды, вып. I“ (გვ. XV+97).

¹ Ал. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, С.-Петербург., 1873 г., 83. II.

6. მარმა ნაშრომს „Грамматика чанского (лазского) языка“ დაურთო ათინური სასაუბრო ტექსტები (გვ. 81—100), ვიწური ტექსტები (გვ. 101—114), ხოფური ტექსტები (გვ. 115—123); ტექსტებს თან ახლავს რუსული თარგმანი და ლექსიკონი (გვ. 125—240). ი. ყიფშიძემ თავის ნაშრომს „Дополнительные сведения о чанском языке“ (1911 წ.) დაურთო ჩხალური თქმის ტექსტები (გვ. 9—23) და ლექსიკონი (გვ. 26—33). არნ. ჩიქობავამ 1929 წ. გამოსცა „ქანური ტექსტები: I ხოფური კილოკავი“ (გვ. X+166), მანვე დაურთო „ქანურის გრამატიკულ ანალიზს“: ვიწურ-არქაბული ტექსტები (გვ. 1—86), ათინური ტექსტები (გვ. 87—138), ხოფური ტექსტები (გვ. 139—150).

1938 წ. გამოვაქვეყნეთ ჩვენი „ქანური ტექსტები: არქაბული კილოკავი“ (გვ. XXVIII+219; აქედან ლექსიკონს. უკავია გვ. 175—219).

1939 წ. გამოქვეყნდა ი. ყიფშიძის „ქანური ტექსტები“ არნ. ჩიქობავას რედაქციით, წინასიტყვაობითა და შესავალი წერილით: „პროფ. ი. ყიფშიძე და ქანურის მეცნიერული შესწავლა“ (გვ. XI—XLXX). ხოფურ ტექსტებს უჭირავს 1—24 გვერდი; ვიწურ-არქაბულ ტექსტებს—25—70 გვერდი; ათინურ ტექსტებს—71—93 გვერდი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქანური (არქაბული) ტექსტები გამოაქვეყნა გ. დუმეზილმა პარიზში 1937 წ. სათაურით „Contes Lazes“ („ქანური ზღაპრები“, გვ. XIII+131). ტექსტებს თან ახლავს სიტყვა-სიტყვითი და ლიტერატურული ფრანგული თარგმანი კომენტარიებითურთ.

1937 წ. მ. ხუბუამ გამოაქვეყნა „მეგრული ტექსტები“ (გვ. XXIII+361).

მეგრულ-ქანურის წინდებულებს საყურადღებო გამოკვლევა უძღვნა ირ. ასათიანმა: „წინდებული ზანურში“ (სადისერტაციო შრომა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1952 წ., მანქანაზე გადაბეჭდილი 487 გვერდი).

1. ქანურ-მეგრულის გაერცელების არე ძველად და ამჟამად

§ 5. ისტორიული წყაროებისა და ენობრივი მონაცემების საფუძველზე მკვლევარების მიერ (ა. ცაგარელი, ი. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა და სხვ.) დადგენილია, რომ ქანურ-მეგრულის გაერცელების არე ისტორიულად გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე ამჟამად არის. ქანურისა და მეგრულის ძლიერი გავლენა ჩანს ქვემო იმერულისა და გურულის ტოპონიმიაში, სახელებსა და ზმნებში. ქანურ-მეგრულის ნაწილობრივი გავლენა ჩანს ლეჩხუმურსა და რაჭულ მეტყველებათა და სვანურზედაც¹.

ივ. ჯავახიშვილი იმერული და გურული ტოპონიმის ანალიზის საფუძველზე წერდა: „გურიის საგეოგრაფიო სახელების დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილას, სადაც ახლა გურულები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულ-იყო. ბევრი სოფლისა და მდინარის სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება, ან არა და მათ ცხადი მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ, მაგ., მთა ჯიხანჯირი (ჯიხა — ციხე), ჯუმათი, ქყონგვარი (ქყონი — მუხა), მდ. ოჩხამური (ოჩხამური, ჩხომი — თევზი) როგორც ო-კალმახე (А. Пагареля, Этюды, II, 71), ოქილაური (ოქილაური — სა-ქილაო), ქყვიში, ქყვიაშაური, ქანიეთი, მდ. გობაზოული, მდ. კინტრიში, ონქიკეთი, ონჯოხეთი, სოფ. ოცანა გურიაში და სხვ. ამგვარი სახელების დარქმევა მთებისა და მდინარეებისათვის მხოლოდ მეგრულ-ლაზების ტომებს შეეძლო. მაშასადამე, ძირითადი და თავდაპირველი მოსახლეობა გურიაში მეგრელებისა უნდა ყოფილიყო“².

ი. ყიფშიძემ იგივე აზრი გამოთქვა და ივ. ჯავახიშვილის მიერ მოტანილ მაგალითებს თავის მხრივ დაუმატა რამდენიმე ახალი მაგალითი: ორაგვე (გურიაში), სოფ. ოფშკვითი (იმერეთში), სოფ. ოკრიბა (იმერეთში), სოფ. ოქონა (იმერეთში), სოფ. მუხური (სამეგრელოში და იმერეთში), სოფ. ჯიმასტარო (იმერეთში), ხოჯალია (გურიაში) და სხვ.³

¹ ჩვენი: სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, გვ. 129—132.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წიგნი პირველი, 1913 წ., გვ. 56.

³ ი. ყიფშიძე, Грамм. мингр. яз., გვ. XV.

ამავე მოსაზრებას ადასტურებს არნ. ჩიქობავას მიერ მოცემული „წყალტუბოს“ ეტიმოლოგია: წყალ + ტუბო (მეგრ. ტიბუ, კან. ტუბო — თბილი)¹.

§ 6. გურულის ტოპონიმიკასა და ენობრივ მასალებზე ჩვენი დაკვირვებით დადასტურებულია რიგი ახალი მასალები: სურებში (დიდვანში) მდინარის სახელწოდებაა ოდიში (ოდიშის წყალი). ოდიში სამეგრელოს ერთი ნაწილის ისტორიული სახელწოდება იყო. აღმოსავლეთ გურიაში (საქამიასერზე) პატარა მდინარეს ჰქვია ჩხოროწყუ (ადგილობრივად წარმოთქვამენ: ჩხორონ-კუასაც), ოჩონჩხე პატარა მდინარის სახელია ბახეში, გორა-ბერეჟოულში ადგილის სახელწოდებაა².

სამხრეთ გურიაში, გუბაზოულის ხეობაში, ერთ-ერთი თეჰის სახელწოდებაა ქუაბლა. ეს სიტყვა შედგენილია: ქუა + ბლა. მეორე ნახევარი კანურად ნიშნავს „ყრას“ (ჩა-ყრა, და-ყრა, მო-ყრა, გა-ყრა): ქუაბლა — ქვაყრილი³.

აქვე სანიმუშოდ დავასახელებთ კანურ-მეგრული ფენის რამდენიმე სიტყვას გურულში:

ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვებიდან: კან.-მეგრ. ბაბა (შდრ. გურ. ბაბა), კან. 'ნანა, გურ. ნენა 'დედა'; კან.-მეგრ. ჯუმადი, გურ. ჯუმადია 'ბიძა'; მეგრ. ძლაბი, გურ. (აღმოს.) ძლაბი 'გოგო'; კან. კუტა, კუტულა 'ბიჭი', გურულშიც ეს სიტყვა იმავე მნიშვნელობით იხმარება და სხვ.

ადამიანთა სხეულის ნაწილთა სახელწოდებებიდან: კან.-მეგრ. ჩარბი 'ტუჩი', გურულშიც ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით იხმარება; კან. ფანწალა || ფაწალა ნიშნავს 'ტყირას', გურულშიც ფაწალა ამ მნიშვნელობით იხმარება; მეგრ. დუდი ნიშნავს 'თავს', გურულში დუდის უპირატესად ქათმის ბიბილოზე იტყვიან.

აგრეთვე კან. ნალია, მეგრ. ნანია ნიშნავს 'სასიმიდეს', გურულშიც ნალია ამ მნიშვნელობით იხმარება.

კან.-მეგრ. ჩამური ნიშნავს 'საცეხველს', გურულშიც ამ ფორმითა და ამ მნიშვნელობით იხმარება იგი.

¹ არნ. ჩიქობავა, კანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 5.

² ჩვენი: გურული კილო, 1936 წ., გვ. 21—22.

³ ჩვენი: ზანიზმები გურულ ზმნებში: ენიმკი-ს მოამბე, ტ. V—VI, გვ. 224.

მეგრ. როფე ნიშნავს 'ხის ღრმა კურკელს', გურულშიც როფი ამასვე ნიშნავს.

მეგრ. ოქვათო ნიშნავს 'იმ აღვილს, სადაც სახურავიდან ჩამონადენი წვიმის წვეთები ეცემა', გურულშიც ამასვე ნიშნავს.

ქან. ოზაპუ, მეგრ. ზეპუა 'ცემა', გურულში ზეპვა ნიშნავს 'ღარცემას, ცემას'.

ქან. ობანდალუ ნიშნავს 'ქანაობას': „ბანდალერი კოჩი“ 'მთვრალი კაცი', გურულშიც ბანდალი ნიშნავს ქანაობას სიმთვრალისაგან ან სისუსტისაგან.

მეგრ. ქიქე ნიშნავს 'პატარას, ცოტას', გურული მო-ქიქა-ეება ნიშნავს 'ეკონომიას, მოცოტავებას'.

მეგრ. ქანკყუა || კაქყუა 'მო-კყლეტა', გურულში გა-კარკყვა ნიშნავს 'გაკყლეტას' (მაგ., მძიმე ტვირთისაგან).

მეგრ. მო-განუა, გურ. მო-გენება, გამო-გენება ნიშნავს 'ხბო რომ ძუძუს პირს მოავლებს' (შდრ. მეგრ. გინი || გენი, ქან. გენი 'ხბო' და სხვ. მრავალი)¹.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სარფულში ვაჟის სახელად გავრცელებულია მამულა. მისი ქართული შესატყვისია მამალა, რომელიც გურიაში გავრცელებულ გვარისსახელში დასტურდება: მამალა + ძე, მაგრამ ამის პარალელურად გურიაში გავრცელებულია გვარი: მამულა-ი-შვილი.

ზემოთქმულის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ქანურ-მეგრულის გავრცელების არე ისტორიულად გაცილებით უფრო დიდი ყოფილა, ვიდრე ამჟამად არის.

მეგრული მეტყველება ახლა გავრცელებულია შავი ზღვიდან სვანეთის მთებამდე და ცხენისწყალ-რიონიდან მდ. ღალიძგამდე (აფხაზეთი). ამჟამად მეგრულს სამხრეთით ემეზობლება გურული კილო, სამხრეთ-აღმოსავლეთით — იმერული და ლეჩხუმური კილოები, ჩრდილო-აღმოსავლეთით — სვანური ენა და ჩრდილო-დასავლეთით — აფხაზური ენა².

¹ ჩვენი: გურული კილო, გვ. 22—28; ხანიზმები გურულ ზმნებში: ენიმკი-ს მო-ამბე, ტ. V—VI, 1940 წ., გვ. 232—233.

² ი. ყიფშიძე, Грамм. мингр. яз., გვ. XVI; Н. Марр, И. Бяшидзе, Грамматика мингрельского (яверского) языка (რეცენზია): ЗВОИРАО, т. XXIII, 1915, გვ. 204.

ქანური დღეს გავრცელებულია შავი ზღვის სანაპიროზე სოფ. სარფიდან ვიდრე ქემერამდე (რიზემდე). ძირითადი მოსახლეობა ქანებისა განლაგებულია ზღვიდან აღმართულ მთის კალთებზე.

2. ჭანურ-მეგრულის კილოკავური შედგენილობა

§ 7. ქანური და მეგრული ერთმანეთის მიმართ კილოებია და თავის მხრივ ისინი იყოფიან კილოკავებად. მეგრულის კილოკავებია: ზუგდიდურ-სამურზაყანული და სენაკური (ახლანდელი ცხაკაიას რაიონი). ზუგდიდურ-სამურზაყანულს აქვს ჯვარული თქმა, ხოლო სენაკურს — მარტვილურ-ბანძური თქმა¹.

ქანურის კილოკავური დიფერენციაცია უფრო საგრძნობია, ვიდრე მეგრულისა.

ქანურის კილოკავებია: ხოფური, ვიწურ-არქაბული და ათინური. ხოფურის თქმა სარფულ-ჩხალურია, ათინურისა კი — ბულეფურ-ართაშენული. ვიწურსა და არქაბულს შორის განსხვავება აგრეთვე თქმისებურია².

ნ. მარმა 1908 წ. გამოცემულ თავის „ძველი ქართული ენის ტაბულებში“³ ქანური და მეგრული ერთი ენის კილოებად მიიჩნია.

ქანებში მოგზაურობის შემდეგ ნ. მარმა შეიცვალა აზრი ქანურისა და მეგრულის შესახებ და ისინი ცალკ-ცალკე ენებად გამოაცხადა⁴.

1915 წელს ნ. მარმა კიდევ უფრო დააზუსტა თავისი შეხედულება მეგრულისა და ქანურის ისტორიული ურთიერთობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ლინგვისტური ნორმების მიხედვით ქანური და მეგრული ერთი ენაა. ისინი ერთი ენის ორ კილოს წარმოადგენენ, ოღონდ ერთმანეთისაგან ისტორიული და კულტურული დაშორების შედეგად განვითარდნენ დამოუკიდებელ ენებად⁵.

¹ ი. ყიფშიძე, *Грамм. мингр. яз.*, გვ. XVIII—XIX.

² Н. Марр, *Грамматика чанского языка.*, გვ. XIX; აგრეთვე არნ. ჩიქობავა, *ქან. გრამ. ანალიზი*, გვ. 9.

³ Н. Марр, *Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими*, С.-Петербург., 1908.

⁴ Н. Марр, *Грамматика чанск. языка*, გვ. XII.

⁵ Н. Марр, И. Кипшидзе, *Грамматика мингрельского (инверского) языка с хрестоматией и словарем: Записки Восточного Отделения ИРАО*, т. XXIII, 1915, გვ. 204.

არნ. ჩიქობავამ 1936 წ. გამოცემულ შრომაში „ქანურის გრამატიკული ანალიზი“ ქანური მეტყველების საკმაო რაოდენობის ახალ მასალებზე დაყრდნობით ზუსტად გაარკვია ქანურისა და მეგრულის ურთიერთობა. ის წერდა: „ფონეტიკური სისტემის, ძირითადი აღნაგობის, მორფოლოგიურისა და სინტაქსური სტრუქტურის მიხედვით ქანური და მეგრული ორი კილოა ერთი ენისა (ზანური ენისა), რომლის დიფერენციაციასაც ისინი წარმოადგენენ (და არა ორი ენა)“¹.

არნ. ჩიქობავამ, ქანური და მეგრული მიიჩნია რა ერთი ენის კილოებად, ამ ენას პირობით „ზანური“ უწოდა².

1936 — 1938 წწ. ბათუმისა და აფხაზეთის რაიონებში მცხოვრები ქანების მეტყველების შესწავლის საფუძველზე ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ნ. მარი უთუოდ ცდებოდა ამ საკითხში. 1938 წ. ჩვენ მიერ გამოქვეყნებული „ქანური ტექსტების“ შესავალში ვწერდით, რომ: „ქანურის ცალკე ენად გამოცხადება უთუოდ ქანური მეტყველების მასალების სიმცირიდან გამომდინარეობდა ისევე, როგორც ნ. მარის შემდეგი განცხადება: „ლაზებს არ შემოუნახავთ არც ხალხური თქმულებები, არც ხალხური პოემები და ზღაპრებიც კი“³.

ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ი. სტალინის საენათმეცნიერო შრომების გამოქვეყნებამდე ხშირად უგულებელყოფილი იყო ენასა და დიალექტს შორის განსხვავების არსებობა და უმართებულოდ იყო გაგებული ენისა და დიალექტების განვითარების კანონზომიერება.

ნ. მარის ე. წ. „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“ სრული დაბნეულობა არსებობდა ენისა და დიალექტების ურთიერთობის გაგების საკითხში. ეს ცნებები ზუსტად არ იყო გამიჯნული ერთმანეთისაგან. ამიტომ ქარგონი ანუ „კლასობრივი“ დიალექტი ენად იყო გამოცხადებული; ადგილობრივი დიალექტიც ზოგჯერ უმართებულოდ ენად იყო წოდებული. ეს გარემოება კი განსაკუთრებით უწყობდა ხელს „ისტორიული პერსპექტივის დაკარგვას და მარქსიზმის პოზიციებიდან გადახვევას“⁴.

¹ არნ. ჩიქობავა, ქან. გრამ. ანალიზი, გვ. 188.

² იქვე, გვ. 4.

³ ჩვენი: ქანური ტექსტები, გვ. XIII—XIV.

⁴ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 12.

ი. სტალინმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ „ლიტერატურაში ხშირად ეს დიდილექტები ღია ქარგონები არასწორად კვალიფიცირებულია როგორც ენები“¹. როგორც ჩანს, ენათმეცნიერთა დიდი უმრავლესობა თანაგრძნობით არ ეკიდებოდა ენასა და დიდილექტს შორის განსხვავების არსებობას.

3. სხვა ენების ბავლენის ქვალი ჭანუკ-მეგრულის ლექსიკა მეღმინილოებაზე

§ ბ. თურქი ასიმილაციების წყალობით ქანების ისტორია და მათი მეტყველების ბედი უკუღმა დატრიალდა. თითქმის ხუთი ასეული წლის მანძილზე თურქი დამპყრობლები ყოველმხრივ ცდილობდნენ დაესახიჩრებინათ ქანების ტომი, დაემახინჯებინათ და მოესპოთ ქანური მეტყველება. ქანურმა განიცადა თურქული ენის ძალით ასიმილაციის არაჩვეულებრივი ძლიერი გავლენა. ამ გზით ქანურმა შეითვისა თურქულის მრავალი სიტყვა. ამის შედეგად ქანურმა ბევრი თავისი საკუთარი ჩამომავლობის სიტყვა დაკარგა და მის ნაცვლად დღეს ხმარობს თურქულ სიტყვას. მრავალიდან ერთ მაგალითს დავასახელებთ. დღეს ქანურის კილოკავებში „მელიას“ აღსანიშნავად იხმარება თურქული: თილქი (ათინ. თილჩი). არნ. ჩიქობავამ მიუთითა იმაზე, რომ ქანურში „მელი“ თურქული თილქი || თილჩი 'ს ნაცვლად მხოლოდ ჩვენი ქანური ტექსტებით დასტურდება: მელი ქონაგნუ — მელა შეხვდა. „რამდენად მტკიცეა ახლადშეთვისებული თილქი || თილჩი 'ს პოზიცია, იქიდან ჩანს, რომ არც ხოფურში, არც ვიწურ-არქაბულსა და ათინურ ტექსტებში, 317 გვერდის მანძილზე, — არსად მელი არ ჩანს, ყველგან თილქ-ი || თილჩ-ი-ა და მაინც მელი შერჩენილა აქა-იქ“².

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ასეთი ფაქტებიც: მელი შემონახულია სოფლის სახელწოდებაშიც. ი. ყიფშიძეს თავის „ქანეთში მოგზაურობის“ დღიურებში ათინის ერთ-ერთი სოფლის სახელად მეთვრამეტე ნომრით მოხსენებული აქვს: მელიათ

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 11.

² არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 89.

(=ქართ. მელ-ეთ-ი), მელ ი ა თ მოხსენებულია იქვე მეორეჯერ 169 გვერდზე¹.

1947 წ. სარფელი ქანების მეტყველებაზე დაკვირვებისას ჩვენ მიერ, მელი დადასტურებულ იქნა ასეთ გამოთქმაში: „მელი' სთერი იწყერ“ — მელრასავით იცქირები, — ასე დაუძახა გაჯავრებულმა ბებიამ შვილიშვილს — გოგონას. ჩემს შეკითხვაზე, თუ რას ნიშნავს მელი, გამოიჩქვა, რომ მას არ ესმოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა დამიპასუხა: აშო ბზოპონთ, მითიქ შედთანისთეინა იწყეტას — ასე ვამბობთ, როცა ეშმაკურად იცქირება ვინმეო.

იმავე სარფულში საკუთარი წარმოშობის სიტყვა „ლორმოთი“ („ლმერთი“) დღეს ცალკე აღარ იხმარება. ჩვეულებრივ გავრცელებულია თურქულიდან ნასესხები თრანგი („ლმერთი“). გამოთქმაში, წყევლის დროს, ქალმა ასეთი ფრაზა იხმარა: „თრანგიქ გოხელას დო ღოღოთიქ მოგოხელას“ — ღმერთმა (თრანგიქ) გაგახაროს, ღმერთმა (ღოღოთიქ) არ გაგახაროს და სხვ. მისთ.

§ 9. როგორც ირკვევა, ქანურზე უფრო ადრე საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონია ბერძნულ ენას. ეს გავლენაც მხოლოდდამხოლოდ ქანურის მიერ ბერძნული სიტყვების შეთვისებაში გამოიხატება. მაგ., ქანურს „საქმის“ აღსანიშნავად მხოლოდ ბერძნული სიტყვა „დულაჲ“ აქვს: მუჰო რენ სქანი დულაჲ? — როგორ ხარ? („როგორ არის შენი საქმე?“ შდრ. მეგრ. მუჰო რე სქანი საქმე?) და სხვ.

ქანურის გრამატიკულმა წყობამ და ძირითადმა ლექსიკურმა ფონდმა გაუძლო და კოლოსალური წინააღმდეგობა გაუწია თურქთა ძალით ასიმილაციას. ქანურის გრამატიკული წყობის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ, მიუხედავად თურქულის ძლიერი გავლენისა, ქანურს თავისი განვითარების შინაგანი კანონები არ დაუკარგავს, არამედ ამ კანონების საფუძველზე ვითარდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა იგი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ქანურს არც თურქულიდან და არც სხვა რომელიმე ენისაგან არ შეუთვისებია ფლექსია, არც თავისი საკუთარი ფლექსია შეურყვნია. რა თქმა უნდა, ეს არ არის შემთხვევითი. საერთოდ ენების ისტორია გვიჩვენებს,

¹ ი. ყიფშიძე, ქანეთში მოგზაურობა: ენიმკი-ს მოამბე, ტ. I. 1937 წ., გვ. 157, 169.

რომ ერთი ენის მეორეზე გავლენის შემთხვევაში ფლექსია ყველაზე უფრო გამძლეა და არ ემორჩილება ამ გავლენას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქანურმა თურქულისა და ბერძნულისაგან, გარდა ლექსიკური მარაგისა, შეითვისა ორიოდ კავშირისა და სხვათა სიტყვის გადმომცემი ნაწილაკები. ასე, მაგალითად, ქანურმა თურქულიდან შეითვისა კავშირი -ქი (=ქართ. რომ) და ბერძნულიდან -ოტი (=ქართ. რომ), ეს უკანასკნელი უფრო იშვიათად იხმარება, მაგ.: მანძაგერექ უწუ-ქი... (ჩიქ. I, 32, 9) — მეზობელმა უთხრა, რომ...; ხოჯაქ თქუ-ქი (ჩიქ. I, 3, 32) — ხოჯამ თქვა, რომ...; სულთან სელიმიქ უწუ-ოტი... (ყიფ. I, 12, 4) — სულთან სელიმმა უთხრა, რომ...; ანდლა ეშო ნუნგაფს, ოტი კუმა უპირებუნ (მარი, ტექს., 121) — დღეს ისე ჰგავს, რომ წვიმას აპირებს. მიწუ-ოტი... (ჩიქ. I, 163, 5) — მითხრა, რომ... და სხვ.

ქანურს აგრეთვე თურქულიდან შეთვისებული აქვს სხვათა სიტყვის ნაწილაკი -დერი || -დეი (=ქართული -ო, ქან. -ა, -ჟა), მაგ.: გჰარი იფხოს-დეი, (ყიფ. I, 27, 30) — საკმელს კამსო; შკომას-დეი... (ყიფ. I, 76, 36) — კამოსო; ნანა შქიმი მუ-ლუნ-დეი (ყიფ. I, 71, 22) — დედა ჩემი მოდისო; მან-ჟა სი გყვილამინონ -დეი (ჩიქ. I, 6, 28) — მეო შენ მოგკლაო და სხვ.

ქანურის მიერ ბევრი უცხო სიტყვისა და გამოთქმის შეთვისებას არ შეეძლო ქანურის ფონეტიკურ მოდელზე თავისი დალი არ დაეყვა და ეს ასეც მოხდა. ქანურის კილოკავებში, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ღრმა ფონეტიკური ცვლილებებიცაა მომხდარი. განსაკუთრებით ეს ითქმის ქანურის ათინური კილოკავის შესახებ.

§ 10. ი. ყიფშიძე აღნიშნავდა, რომ მეგრულზე არამონათესავე ენების გავლენა მხოლოდდამხოლოდ ლექსიკაში ჩანსო. ი. ყიფშიძეს ისიც კი აქვს გამოანგარიშებული, თუ მის მიერ შედგენილ ლექსიკონში რამდენი უცხო სიტყვა გვხვდება: 50-მდე სპარსული სიტყვაა, 40-მდე არაბული, 30-მდე თურქული, 15-მდე ბერძნული და 35-მდე რუსული სიტყვა. ი. ყიფშიძე იმასაც აღნიშნავს, რომ ყველა ეს უცხო სიტყვა ქართულშიც გვხვდება. ასე რომ, ნასესხები სიტყვების მხრივაც მეგრული უფრო ახლოს დგას ქართულთან, ვიდრე თავის უახლოეს მოძმე ქანურთან¹. ყველაზე დიდი გავ-

¹ ი. ყიფშიძე, Грамм. мпигр. яз., გვ. XIX—XX.

ლენა მეგრულზე ისტორიულად ჰქონდა და დღესაც აქვს ქართულ ენას. დღეს კიდევ უფრო გაზრდილია მეგრულზე ქართული ენის გავლენა. ქალაქსა და სოფელს შორის დაპირისპირებულობის ლიკვიდაცია განსაკუთრებით ხელს უწყობს საერთო სახალხო ნაციონალური ენის გავლენას ტერიტორიულ დიალექტებზე; კერძოდ, ქართული საერთო სახალხო ნაციონალური ენის გავლენა მეგრულზე ამჟამად განსაკუთრებით ძლიერია.

როგორც ი. ყიფშიძე აღნიშნავს, ისტორიულად ქართული ენის გავლენა უფრო ძლიერი იყო მეგრულის აღმოსავლურ—სენაკურ კილოკავზე, ვიდრე დასავლურ—სამურზაყანულ-ზუგდიდურზე.

A. ჭანურ-მეგრული ვოკალიზმი

1. რანგპეროგრაფიები და ალაგოგრაფიები¹

§ 11. ჭანურ-მეგრულ ვოკალიზმს ვანეიტარების მხრივ საშუალო ადგილი უჭირავს ქართულსა და სვანურ ვოკალიზმს შორის. იგი ქართულ ვოკალიზმზე უფრო რთულია და სვანურზე უფრო მარტივი. ჭანურ-მეგრულს აქვს ჩვეულებრივი მარტივი ხმოვნები: ა, ე, ი, ო, უ. ქართულთან შედარებით ჭანურ-მეგრულს მეტი აქვს: იოტიანი ხმოვნები: ჯა, ჯე, ჯო, ჯუ; მაგარშემართვიანი ხმოვნები: 'ა, 'ე, 'ი, 'ო, 'უ; ფშვინვიერშემართვიანი ხმოვნები: ჰა, ჰე, ჰი, ჰო, ჰუ და ნეიტრალური ჯ ხმოვანი. ეს უკანასკნელი მხოლოდ მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში მოიპოვება.

როგორც ცნობილია სპეციალური გამოკვლევებიდან, იოტიანი და მაგარშემართვიანი ხმოვნები ჭანურსა და მეგრულში მეორეული წარმოშობისაა².

საყურადღებოა, რომ იოტიანი ხმოვნები მიღებულია აღმავალი დიფთონგიზაციისადმი ტენდენციით, მაგრამ ამ პროცესში, გარდა ხმოვნებისა, მონაწილეობენ სონორი თანხმოვნები რ (ჭანურში) და ლ (მეგრულში). არის დიფთონგიზაციის სხვა შემთხვევებიც, რომლებზედაც ქვემოთ იქნება საუბარი. სულ სხვა წარმოშობისაა ჭანურ-მეგრულში მაგარშემართვიანი ხმოვნები. ხმოვანთა მაგარი შენართვა ხშირ შემთხვევაში შედეგია ფარინგალური მკვეთრი ყ-ს ხმოვნებთან შეგუებისა და გადაგვარებისა.

აქვე წარმოდგენილია პალატოგრაფებისა და რენტგენოგრაფიის ბეთოდებით მიღებული ჭანურ-მეგრული ძირითადი, იოტიანი და მაგარშემართვიანი ხმოვნების პროფილები და მათი ინტერპრეტაცია. გზადაგზა გარკვეული იქნება ჭანურ-მეგრული ვოკალიზმის მიმართება ქართულ და სვანურ ვოკალიზმთან³.

¹ ჩვენი: მეგრულ-ჭანური ვოკალიზმი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IV, 1952, გვ. 339—353.


² ი. ყიფშიძე, Грамм. мннг. яз., გვ. 10; არნ. ჩიქობავა, ჭან. გრამ. ანალიზი, გვ. 24.

³ ჩვენი: ქართული ვოკალიზმი (ექსპერიმენტული გამოკვლევა): საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1947, ტ. 8, № 4 და სვანური ფონეტიკის ძირითადი საკითხები, 1949 წ.

§ 12. კანური და მეგრული ა-ს წარმოთქმისას სიტყვებში: კან. არ, მეგრ. ართი („ერთი“), კან.-მეგრ. მა („მე“), კან.-მეგრ. მაფა („მეფე“) და სხვ. ვერ მივიღეთ მაგარ სასასთან ენის გვერდითი კბილების შეხების კვალი ა-ს სიფართოვის გამო, ისე როგორც სხვა მის მოძმე ენათა ა-ს წარმოთქმის შემთხვევაშიც. ამიტომ ამ ხმოვნის პროფილის შესწავლა შესაძლებელი გახდა მხო-



ფიგ. 1.



ფიგ. 2.

ლოდ რენტგენოგრაფიის საშუალებით. კანური ა ხმოვნის რენტგენოგრაფული სურათი (ფიგ. 1) გვიჩვენებს, რომ ტიპოლოგიურად იგი საშუალო წარმოებისაა, ოღონდ კანური ა-ს წარმოთქმისას შეიმჩნევა ენის შუა ზურგის ოდნავი ამოზნექილობა, ისე როგორც ამას ადგილი აქვს სვანური ა-ს წარმოთქმისას¹.

მეგრული ა ხმოვნის რენტგენოგრაფული სურათი (ფიგ. 2) გვიჩვენებს, რომ ენის წვერი ქვედა საკრელ მედიალურ კბილებთან

¹ ჩენი: სვან. ფონეტ., გვ. 50, ფიგ. 72.

ძვეს. ენის ზურგი იმდენად თანაბარზომიერია, რომ არც ერთი მისი ნაწილი თითქოს წამოწეული არ არის. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მეგრული ა საშუალო ტიპის ხმოვანია. ქანურ და მეგრულ ა-ს შორის განსხვავება უფრო ინდივიდუალურ-დიალექტური ჩანს. სამაგიეროდ, ქანურ-მეგრული და სევანური ა ტიპოლოგიურად განსხვავდება ქართული ა-საგან, რომელიც წარმოებით უფრო წინ წამოწეული ხმოვანია და არა საშუალო¹. ქართული ა ხმოვნის ასეთ ტიპოლოგიას განსაზღვრავს ენის წინა და შუა ზურგის შესამჩნევად უფრო მეტი ამოზნექილობა, ვიდრე ეს ქანურ-მეგრული და სევანური ა-ს წარმოთქმისას გვაქვს. როგორც ეს აკად. ლ. ნჩერბას, პროფ. ვ. ბოგოროდისკისა და სხვათა ექსპერიმენტული გამოკვლევებიდან ცნობილია, საშუალო წარმოებისაა რუსული ა ხმოვანი. ამდენად პროფ. ა. ცაგარელი უთუოდ სწორად განსაზღვრავდა მეგრული ა-ს ტიპოლოგიას, როდესაც წერდა: „ა წარმოითქმის, როგორც, მაგ., რუსული ა“². სწორი არ არის მეგრული ა-ს ის ინტერპრეტაცია, რომელსაც პროფ. ი. ყიფშიძე იძლეოდა. ის მეგრულ ა-ს უკანა რიგის ხმოვნად მიიჩნევდა. ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემები არ ადასტურებენ ი. ყიფშიძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მეგრული ა თითქოს ო-სა და უ-ს რიგისა იყოს³.

§ 13. ქანურ-მეგრულში, წსგავსად სევანურისა, დასტურდება ელია და დახურული ანუ იოტიანი. ამ უკანასკნელის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. ღია ე ისმის ასეთ ფრაზებში: ქან. სი მგეი ეა ე. სი ჯოლოი ე (ჩიქ. I, 72, 15) — შენ მგელი არ ხარ, შენ ძალდი ხარ; სი მუფერი კოჩი ე? (ჩიქ. I, 19, 14) — შენ როგორი („რაფერი“) კაცი ხარ? ყველა ამ შემთხვევაში შესაძლებელია ღია ე-ს ნაცვლად სარფულში მოისმინოთ დახურული, ანუ იოტიანი ღე: სი მუკო წანერი ღე? (ჩიქ. I, 65, 35) — შენ რამდენი წლისა ხარ?

ღია ე წარმოითქმის მეგრულში: ე ბოშიქ მუმას უწუუ (ყიფ., მეგრ. ტექს., 47, 13) — ამ ბიჭმა მამას უთხრა; ჩე ზლუა დო უჩა ზლუაში შქას... (ყიფ., მეგრ. ტექს., 45, 27) — თეთრ ზღვასა და შავ


¹ ჩვენი: ქართული ვოკალიზმი, გვ. 254, ფიგ. 1.

² Ал. Цагарели, Мингрельские этюды, II, гл. 13.

³ И Кипшидзе, Грамм. мингр. яз., гл. 10.

ზღვას შუა... კე მოლარტე ნი... (ყიფ., მეგრ. ტექს., 10, 19) — ცოტა რომ გამოიარა... და სხვ.

მეგრული ე-ს პალატოგრამის მიხედვით (ფიგ. 3) ირკვევა, რომ ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარ სასასთან მოიცავს არეს მეორე წყვილი მცირე ძირითადი კბილებიდან მაგარი სასის ბოლომდის. დაახლოებით მსგავს სურათს იძლევა ქანური ე-ს პალა-



ფიგ. 3.

ტოგრამაც (ფიგ. 4), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ძირითადი და სიბრძნის კბილების არეში ენის გვერდითი კიდეებს შეხება



ფიგ. 4.

უფრო ფართოა მეგრული ე-ს წარმოთქმისას, ვიდრე ეს ქანური ე-ს წარმოთქმისას გვაქვს. ეს განსხვავებაც უფრო დიალექტური ჩანს. ამ მხრივ ქანური ე-ს პალატოგრამა სავსებით იმეორებს სვანური ღია ე-ს პალატოგრამას¹. შედარებით უფრო ფართოა ზონა მაგარ სასასთან ენის გვერდითი კიდეების შეხებისა ქართული ე-ს წარმოთქმისას, რაც აიხსნება ქართული ე-ს უფრო წინ წამოწევიტა და მეტი დახურულობით². ამ მხრივ ქართული ე-ს პროთილი თითქოს იმეორებს მეგრული ე-ს პროთილს.

¹ ჩენი: სვან. ფონეტ., გვ. 11, ფიგ. 2.

² ჩენი: ქართული ფოკალიზმი, გვ. 254, ფიგ. 2.

მეგრული და კანური ე-ს რენტგენოგრაფული მონაცემებიც (ფიგ. 5, 6) ადასტურებენ იმ შედეგებს, რომლებიც პალატოგრაფული გზით არის მიღებული.



ფიგ. 5.

მეგრულ-კანური და სვანური¹ ე-ს რენტგენოგრაფების შედარებით ირკვევა, რომ ენის კონფიგურაციის მსგავს სურათებთან



ფიგ. 6.

გვაქვს საკმე. ამათგან განსხვავდება ქართული ე-ს პროფილი². ქართული ე, მისი წარმოთქმისას ენის კორპუსის შესამჩნევად წინ წამოწევის გამო, ოდნავ დახურული ხმოვნის ელფერს ატარებს.


§ 14. o როგორც მაღალი წარმოების ვიწრო ხმოვანი თითქმის ერთნაირად წარმოითქმის კანურსა და მეგრულში, მაგ.: კან.-მეგრ. ირი კოჩი („ყოველი კაცი“), სი („შენ“), ჯინჯი („ძირი“);

¹ ჩვენი: სვან. ფონეტ., გვ. 54, ფიგ. 81.

² ჩვენი: ქართული ვოკალიზმი, გვ. 255, ფიგ. 3.

მეგრ. ი. ოსურს უწუთ (ყიფ., მეგრ. ტექს., 44, 15) — იმ ქალს უთხრა და სხვ.

ქანური და მეგრული ი ხმოვნის პალატოგრამები (ფიგ. 7, 8) თიანჭმის იმეორებენ ერთიმეორეს. ენის გვერდითი კიდეების შე-



ფიგ. 7.



ფიგ. 8.

ხება მაგარ სასასთან მოიცავს არეს პირველი წყვილი მცირე ძირითადი კბილებიდან ხელოვნური სასის ბოლომდის. ქანური და მეგრული ი-ს პალატოგრამები ძალიან უახლოვდება სვანური ი-ს პალატოგრამას¹. ქართული ი-ს პალატოგრამა² ამ მხრივ ოდნავ განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს. იმის გამო, რომ ქართული ი



ფიგ. 9.

უფრო წინ წამოწეული ხმოვანია, ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარ სასასთან მოიცავს ეშვების არესაც. გარდა ამისა, სასის წინა წინაწილში ენის შეხების სიფართოვე ქართული ი-ს წარმოთქმისას უფრო დიდია, ვიდრე ქანურ-მეგრული და სვანური ი-ს წარმოთქმისას.

¹ ჩვენი: სვან. ფონეტიკ., გვ. 13, ფიგ. 6.

² ჩვენი: ქართული ფოკალიზმი, გვ. 256, ფიგ. 4.

კანური და მეგრული σ -ს რენტგენოგრამების (ფიგ. 9, 10) მონაცემები ადასტურებენ პალატოგრამებით მიღებულ შედეგებს. ენის



ფიგ. 10.

კონფიგურაციის მიხედვით კანურ-მეგრული და სვანური σ ერთ-მანეთთან თვისობრივ სიახლოვეს გვიჩვენებს.

§ 15. კანური და მეგრული σ -ს წარმოთქმისას ენა შეხების კვალს ხელოვნურ სასაზე არ ტოვებს. ეს იმას ამტკიცებს, რომ კანურ-მეგრული σ იმდენად ღრმად უკანაენისმიერია, რომ ენის უკანა ზურგის არტიკულაცია ვერ აღწევს მაგარ სასამდე. ამ მხრივ კანურ-მეგრული σ თვისებრივად უახლოვდება სვანურ σ -ს და ამდენად შორდება ქართულ σ -ს.

როგორც ჩვენმა ექსპერიმენტებმა გვიჩვენეს, სვანური σ -ს წარმოთქმისას ენის შეხებას მაგარ სასასთან ადგილი არა აქვს¹. ვინაიდან ქართული σ არ არის იმდენად ღრმად უკანაენისმიერი, როგორადაც კანურ-მეგრული და სვანური σ , ამიტომ ქართული σ -ს წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდეები საკმაო სიფართოვის შეხების კვალს ტოვებს სიბრძნისა და ნაწილობრივ მეორე წყვილი ძირითადი კბილების არეში². ამის გამო ქართულ σ -ს ჩვენ ვუწოდეთ არაღრმად უკანაენისმიერი საშუალო წარმოების ხმოვანი. კანურ-მეგრული და სვანური σ ტიპოლოგიურად უფრო რუსული σ -სებურია, ვიდრე ქართულისებური. აღსანიშნავია, რომ აკად. ლ. შჩერბას მიერ რუსული σ -ს წარმოთქმისას ენა მაგარ სასასთან

¹ ჩვენი: სვან. ფონეტ., გვ. 13, ფიგ. 6.

² ჩვენი: ქართული ვოკალიზმი. 257. ფიგ. 6.

შეხების კვალს არ ტოვებს¹. პროფ. ვ. ბოგოროდიცკის წარმოთქმაში ზოგჯერ აღგილი აქვს ენის უკანა ნაწილის შეხებას სიბრძნის კბილების არეში და ზოგჯერ არა. ამ განსხვავებას ლ. შჩერბა და ვ. ბოგოროდიცკი ხსნიან „წარმოთქმის ინდივიდუალურ-დიალექტური თავისებურებით“².

კანური და მეგრული ო ხმოვნის უფრო ზუსტ პროფილებს იძლევიან ამ ხმოვნის რენტგენოგრაფები (ფიგ. 11, 12).



ფიგ. 11.

რენტგენოგრაფები ნათლად ადასტურებენ პალატოგრაფების მონაცემებს იმ მხრივ, რომ კანური და მეგრული ო-ს წარმოთქმი-



ფიგ. 12.

სას ენის უკანა ნაწილის არტიკულაცია ვერ აღწევს მაგარ სასანდის. ამასთან ერთად ნათლად ირკვევა კანურ და მეგრულ ო-ს

¹ .I. В. Щерба. Русские гласные в качественном и количественном отношении, С.-Пб., 1912, გვ. 66.

² Проф. В. Богородицкий. Фонетика русского языка в свете экспериментальных данных, Казань, 1930, стр. 79.

შორის ერთგვარი დიალექტური განსხვავებაც. მეგრული ო-ს წარმოთქმისას ენის მთელი ტანი უკან არ არის დიდად გადაწეული და არც მაღლაა აწეული ისე, როგორც ეს რუსული ი-ს წარმოთქმისას არის; ქანური ო-ს წარმოთქმისას კი ენის მთელი ტანი შედარებით უფრო მეტადაა უკან გადაწეული და უფრო მაღლაა აწეული. ამ მხრივ ქანური ო-ს პროფილი უფრო უახლოვდება სვანური ო-ს პროფილს¹, ვიდრე მეგრულისას, თუმცა სვანური ო-ს წარმოთქმისას ენის ტანი უფრო მეტადაა უკან გადაწეული, ვიდრე ქანური ო-ს წარმოთქმისას.

ქართული ო-ს წარმოთქმისას ენის ზურგი კიდევ უფრო მაღლაა აწეული², ვიდრე მეგრული ო-ს წარმოთქმისას. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ქართული ო მეგრულ ო-ზე უფრო მეტი დახურულია. რაც შეეხება ბაგეების აქტიურობას, იგი მეგრული და ქანური ო-ს წარმოთქმისას სუსტად აქტიურია; იგივე ახასიათებს ქართული ო-ს წარმოთქმისაც.

§ 16. ქანურ-მეგრულის უ არტიკულაციურად განსხვავდება ქართული უ-საგან, მაგ., ასეთია უ ქანურ-მეგრულ სიტყვებში: ქან. უწუ, მეგრ. უწუუ (აუთხრა³); ქან. ხუ ნდლა, ხუ სერის იხორონეს... (ჩიქ. 11, 99, 32) — ხუთ დღეს, ხუთ ღამეს იცეკვებს... მეგრ. უფუ || უფი (აოფლი³), უდუ (აუღელი³) და სხვ.

ქანურ-მეგრული უ-ს წარმოთქმისას, მსგავსად ო-ს წარმოთქმისა, მაგარ სასასთან შეხების კვალი ვერ მივიღეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ქანურ-მეგრული უ იწმენად ღრმად უკანაენისმიერია, რომ ენის უკანა ნაწილის არტიკულაცია ვერ აღწევს მაგარი სასის ბოლომდის. ამ მხრივ მეგრულ-ქანური უ-ს პროფილი განსხვავდება სვანური უ-ს პროფილისაგან³. სვანური უ-ს წარმოთქმისას სიბრძნის კბილებისა და ნაწილობრივ მეორე წყვილი ძირითადი კბილების არეში ხელოვნურ სასაზე ენის ოდნავი შეხების ზოლი მივიღეთ. შეიძლება ეს აიხსნებოდეს იმით, რომ სვანური უ ქანურ-მეგრულ უ-სთან შედარებით უფრო მეტი დახურულია. სვანური უ-ს პალატოგრამა ამ შემთხვევაში იმეორებს ე. ბოგოროდიცკის რუსული ყ ს პალატოგრამის პროფილს.

¹ ჩვენი: სვან. ფონეტ., გვ. 59, ფიგ. 93.

² ჩვენი: ქართული ვოკალიზმი, გვ. 257, ფიგ. 7.

³ ჩვენი: სვან. ფონეტ., გვ. 15, ფიგ. 10.

ლ. შჩერბას რუსული უ-ს ექსპერიმენტული მონაცემები განსხვავდება ვ. ბოგოროდიცკისა და ს. ერშოვის მონაცემებისაგან. კერძოდ, ლ. შჩერბას წარმოთქმაში უ-ს არტიკულაცია მაგარ სასთან შეხების კვალს არ ტოვებს, ამის გამო ლ. შჩერბა წერდა: „Мы считаем даже такое ненормальное „закрытое“ и за особо выразительное в изолированном виде: этим только я и могу объяснить себе появление следов касания языка на искусственном небе у Ершова и Богородицкого. Мое нормальное и не оставляет никаких следов, так как язык у меня безусловно не касается неба. Может быть, впрочем, здесь играют роль диалектические различия“¹.

ამ მხრივ ქართული უ-ს პროფილი² განსხვავდება ჰანურ-მეგრული და სვანური უ-ს პროფილებისაგან. ქართული უ-ს წარმოთქმისას ჩვენ ყოველთვის ვიღებდით მაგარ სასაზე ენის შეხების კვალს. კერძოდ, ენის გვერდითი კიდეები საკმაოდ ფართოდ მოიცავს სიბრძნისა და მეორე წყვილი ძირითადი კბილების არეს. ეს კი მიუთითებს ქართული უ-ს უფრო წინა არტიკულაციაზე და მის უფრო მეტ დახურულობაზე, ვიდრე ჰანურ-მეგრული უ არის. ამიტომ ჩვენ ქართულ უ-ს, ქართული ო-ს მსგავსად, საშუალო წარმოების ხმოვანი ვუწოდეთ.

ჰანურ-მეგრული ო-ს რენტგენოგრაფებს კიდეც უფრო მეტი გარკვეულობა შეაქვთ ამ ხმოვნის არტიკულაციის პროფილის წარმოსადგენად (ფიგ. 13, 14). რენტგენოგრაფები ადასტურებენ, რომ ჰანური და მეგრული უ-ს წარმოთქმისას ენის უკანა ნაწილის არტიკულაცია ვერ აღწევს მაგარი სასის ბოლომდის, მაგრამ არც იმდენად არის ენის ტანი უკან გადაწეული, როგორც რუსული ღრმად უკანაენისმიერი ყ-ს წარმოთქმისას არის. ერთგვარი დიალექტური განსხვავება შეიმჩნევა ჰანური და მეგრული უ-ს პროფილებს შორისაც. კერძოდ, ჰანური უ-ს წარმოთქმისას ენის მთელი ტანი უფრო უკან გადაწეული და ამალღებულია, ვიდრე მეგრული უ-ს წარმოთქმისას. ამ მხრივ ჰანური უ თვისობრივად აითქოს უფრო უახლოვდება სვანურ უ-ს³, ხოლო მეგრული უ-ს პროფილი კიდეც უფრო უახლოვდება ქართული უ-ს პროფილს.

¹ Л. В. Щерб, Русские гласные..., стр. 69.

² ჩვენი: ქართული ვოკალიზმი, გვ. 257, ფიგ. 7.


³ ჩვენი: სვან. ფონეტ., გვ. 62, ფიგ. 100.

ჰანური და სვანური უ უფრო დახურული ხმოვნის ელფერს ატარებენ.



ფიგ. 13.

§ 17. ჰანურ-მეგრულის კილოკავებიდან ნეიტრალური ჯ ხმოვანი მხოლოდ ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში დასტურდება. იგი ფართოდ იხმარება სვანურშიც¹.



ფიგ. 14.

ჯ ზუგდიდურ-სამურზაყანულში გვხვდება ერთ-, ორ- და მრტ-მარცვლიან სიტყვებში, მაგ.: გჯ ნინჯავს — 1. ჰგავს, 2. ტყის ქათამს; კჯ — კოდალას; ტჯ — ტუას (ძროხისა); კჯნ კკჯნ — გაიწის; კჯრ — დაბმულს; შჯ — ნამიანს; წჯ — წელს; კჯ — ნაწლავს; ნჯკჯ — ნიკაპს; ტჯბჯ — თბილს; რჯტჯ — გიეს, სულელს; თხჯთხჯ — თხელს; ლჯლჯ — თოთო (ძუძუს) ბავშვს; ჩკჯჩკჯ — ჩვილს; კჯნჯ — წნელს; დაკჯ მეკეათჯ კჯნჯ (ყიფ., მეგრ. ტექს., 57,2) — დამოკრა წნელი; კყჯნტჯ — კყინტი და სხვ. მისთ.

¹ ჩვენი: სვან. ფონეტიკ., გვ. 65, ფიგ. 105.

აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში χ მომდინარეობს θ და ψ (ზოგჯერ ω) ხმოვნებისაგან, იგი მეორეული წარმოშობისაა. ეს ნათლად დასტურდება ზუგდიდურ-სამურზაყანული კილოკავის ნონაცემების შედარებით მეგრულისა და ქანურის კილოკავებთან, მაგ.: გ გ რ გ ნ ი მომდინარეობს გ ი რ ი ნ ი 'საგან (შდრ. ქან. გ უ რ უ ნ ი); ქ გ რ ი ← ქ ი რ ი 'ქორი' (შდრ. ქან. ქ უ რ ი); ც გ რ ა ← ც ი რ ა 'ქალიშვილი'; ქ გ მ ო რ თ გ ← ქ ო მ ო რ თ უ 'შვიდა'; ქ გ ღ ო ხ ო დ ი (← ქ ო ღ ო ხ ო დ ი) — დაჯექი; ქ გ ღ გ ო გ ი (← ქ ო ღ ო გ ო გ ი) — დავაგე, დავასვე.

ზემოთ დასახელებული მაგალითებიდან: ტ გ ბ გ მომდინარეობს ტ ი ბ უ 'საგან; ნ გ კ გ ← ნ უ კ უ; ქ გ ნ გ ← ქ ი ნ უ; ჩ ქ გ ჩ ქ გ ← ჩ ქ ი ჩ ქ უ; თ გ თ ბ გ ← თ ბ ი თ ბ უ; ქ ყ გ ნ ტ გ ← ქ ყ ი ნ ტ ი; ნ გ გაშქორი-ნენია! (ყიფ., მეგრ. ტექს., 39, 22) — ნ უ შეგეშინდებო! ართი ხენწიფე რ დ გ (ყიფ., მეგრ. ტექს., 6, 11) — ერთი ხელწიფე იყო, მაგრამ იქვე: შვიშველი რ დ უ (ყიფ., 6, 17) — შიშველი იყო; ი დ გ, ი დ გ დ ო ქ ა წ ო ხ ვ ა დ გ ა თ ე კ ო ც გ (ყიფ., მეგრ. ტექს., 13, 12) — ი არა, ი არა და შეხვდა ამ კაცს; ი დ გ, ი დ გ დ ო თ ი სახენწიფოშა ქ ი მ ე რ თ გ (იქვე, 6, 18) — ი არა, ი არა და იმ სახელმწიფოში მივიდა და სხვ.

არის შემთხვევები, როდესაც χ მიჯრილ თანხმოვანთა შორის გაჩნდება როგორც „პარაზიტული“ ხმოვანი და მას დაკისრებული აქვს თანხმოვანთა გაყრა, მაგ.: ა ბ გ გ ა (ყიფ., ლექს., 191) — ა ბ გ ა; მ უ შ ი ს ა ქ გ მ ე (ყიფ., მეგრ. ტექს., 13, 15) — მისი საქმე; ჯ გ ჯ გ გ ტ ი ე ნ ც გ (ყიფ., მეგრ. ტექს., 16, 2) — კიანჭველებს და სხვ. ბ გ რ ე ლ ი (ყიფ., ლექს., 207) — ბევრი; კ გ რ დ ე შ ი დ უ ც (ხზბ., 97, 4) — კლდის თავზე და სხვ.

გარდა ამისა, მეგრულის სამურზაყანულ-ზუგდიდურ კილოკავში „პარაზიტული“ χ უჩნდება სიტყვებს წარმოთქმაში აბსოლუტურ ბოლოში, თუ სიტყვა თანხმოვნით თავდება, მაგ.: ი დ ე ს გ, ი დ ე ს გ, ო ნ ჯ უ ა ს გ ტ ყ ა ს გ გ ი შ ე ლ ე ს გ (ყიფ., მეგრ. ტექს., 13, 22) — ი არეს, ი არეს, საღამოს ტყე გაიარეს; უ წ უ უ ქ ო მ ო ნ ც გ ჩ ი ლ ქ გ (ყიფ., მეგრ. ტექს., 13, 4) — უთხრა ქმარს ცოლმა; ქან. დ ე ლ ი ქ გ ქ ი მ ო თ უ (ყიფ. I, 79, 28) — სულელმა აიღო (შდრ. ქან. ყ ი რ ი ი გ ზ ა ლ ე ს უ; ჩიქ. II, 119, 18) — ყველა წავიდა („წავიდნენ“) და სხვ.

χ რედუცირებული ხმოვანია, იგი მიღებულია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სრული θ , ψ ($\parallel \omega$)-ს წარმოთქმაში რაოდნობრივად

შემცირების გზით, მაგრამ მისი ნახევარხმოვნად მიჩნევა, როგორც ამას სპეციალურ ლიტერატურაში ვხვდებით, უმართებულოა.

არის შემთხვევები, როდესაც ჯ იძლევა უ-ს ზუგდიდურ-სამურზაყანულში, მაგ.: აბგა → აბ უ გა: ქედნანწყუ აბ უ გას (ხუბ., 19, 5) — ჩააწყო აბგაში; გილაპუნსუ (← გილაპუნსგ, იქვე, 319, 2) — დამყავს; ყებურცუ (← ყებურსგ, ყიფ. მეგრ. ტექს., 57, 22) — კერას და სხვ.

ჯ-ს შესახებ საკმაოდ ვრცელი მსჯელობა აქვს ა. ცაგარელს. მას მოცემული აქვს ჯ-ს ფიზიოლოგიური აღწერილობაც. ა. ცაგარელი ფიქრობს, რომ ჯ დაახლოებით ისე წარმოითქმის, როგორც სომხური *Ɑ*; იგი წარმოითქმის უფრო მოკლედ და სუსტად, ვიდრე რუსული *ж*; მისი წარმოითქმის დროს ხორხი დაგრძელდება იმის გამო. რომ კადიქსი ჩვეულებრივზე უფრო ქვევით იწევს. ავტორის აზრით, ისეთივე პროცესი წარმოიშობა, როგორიც ყ-სა და გ-ს წარმოითქმისას, ოღონდ გაცილებით უფრო შესუსტებული. ა. ცაგარლის აზრით, ჯ-ს არ შეიძლება თანხმოვანი ვუწოდოთ და არც სუფთა ხმოვანი, თუმცა თავისი თვისებებით ყველაზე უფრო ხმოვანს უახლოვდება¹.

მეგრული ჯ-ს წარმოითქმისას ენის ხელოვნურ სასაზე შეხების კვალი ვერ მივიღეთ. რენტგენის საშუალებით შეიქნა შესაძლებელი მისი შესწავლა. ჯ-ს წარმოითქმისას, როგორც რენტგენოგრაფული სურათიდან ირკვევა, ენის წვერი ოდნავ სცილდება ქვედა საკრელ ნეღიალურ კბილებს, მაგრამ არა იმდენად როგორც ო-სა და უ-ს წარმოითქმისას, ენის შუა ტანის ზურგი იწევს ზევით მაგარი სასის ბოლოსაკენ, მაგრამ ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარ სასამდე ვერ აღწევს. ენის აწეულობის მიხედვით ჯ ველარიზებულ ი-ს (შდრ. რუს. *и*) მოგვაგონებს, ან არტიკულაციურად წინ წამოწეულ უ-ს. ჯ დელაბიალიზებული უ ხმოვანია. ამიტომ საცხებით კანონზომიერია, როდესაც ჯ ზუგდიდურ-სამურზაყანულში მომდინარეობს ი, უ (|| ო)-საგან. რაც შეეხება ა. ცაგარლის დაკვირვებას, რომ ჯ-ს წარმოითქმისას კადიქსი ჩვეულებრივზე უფრო ქვევით იწევს, ეს გარედანაც ჩანს და სწორია, ოღონდ ეს ხორხის დაგრძელებას კი არ იწვევს, არამედ ხახის ღრუს გაფართოებასა და

¹ А. Цагарели, Мингрельские этюды, II, гл. 16.

ზარეზონანსო არის გადიდებას, რაც აუცილებელია გ-ს წარმოქმნი-
სათვის. ეს დეტალიც რენტგენოგრაფიაზე კარგად ჩანს (ფიგ. 15).



ფიგ. 15.

§ 18. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მეგრულ-ქანურს გარ-
და ძირითადი მარტივი ხმოვნებისა ახასიათებს იოტიანი ხმოვნები:
აა, აე, აო, აუ.

იოტიანი ხმოვნები ქანურსა და მეგრულში ფართოდ არის
გავრცელებული და ისინი სხვადასხვა გზითაა მიღებული. როგორც
ირკვევა, იოტიანი ხმოვნების წარმოშობისათვის ერთ-ერთი ძლიერი
ფაქტორია ვიწრო ღიაობის ხმოვნის ფართო ღიაობის ხმოვანთან
მეზობლობაში აღმავალი დიფთონგიზაციისადმი ტენდენცია. ასეთ
ტენდენციას ადგილი აქვს ერთნაირი ღიაობის ხმოვანთა შეხვედ-
რის შემთხვევაშიც¹.

ქანურისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია იოტიანი
ხმოვნები. ხშირია ის როგორც ნასესხებ სიტყვებში, ისე ქანურის
საკუთარ სიტყვებშიც, მაგ., შემდეგ ნასესხებ სიტყვებში წარმოი-
ქმის იოტიანი ხმოვნები: ბერძ. დულა („საქმე“), ბერძ.
შილა („ათასი“); თურქ. აავაშ („ნელა“); თურქ. აალი
(„ჭრბო“); თურქ. ააზი („ზაფხული“); ააშილი (ჩიქ. II, 105,
31) — იაშიკი (რუს.). კაზაალი (ჩიქ. I, 112, 18) — ნავთი (შდრ.
გაზაალი); აეთიმი (თურქ., ჩიქ. II, 141, 32) — ობოლი; თურქ.
ქაოქიშა (ჩიქ. I, 67, 15) — ძირში.

¹ შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო
საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიე-
რება, I.

კან. გატკვატუ, გატკვატუ (← გატკვატუ) (ყიფ. I, 55, 25) — დაახტა, დაახტა.

კან. პატი ოხორძა (ჩიქ. II, 116, 25) — ცუდი ქალი; პატი კოჩი (ჩიქ. II, 112, 3) — ცუდი კაცი. კანურის კილოყავებში უფრო გავრცელებულია: პატი.

კან. კაფუ || მ-კაფუ 'ტურა'; გარი 'საქმელი', უგაელი 'უქმელი'; ძალი 'სარკე'.

კან. კეტი (ჩიქ. I, 93, 30) — პატარა ჯოხი, პარალელურად იხმარება: კეტი. გელინი (ჩიქ. I, 132, 30) — რძალი, პარალელურად იხმარება: გელინი. კვინჩი დეფუთხუ (ჩიქ. I, 30, 12) — ჩიტი აფრინდა, პარალელურად იხმარება: ეფუთხუ; სი აააჯას დეხთი (ჩიქ. I, 9, 2) — შენ ამ ხეზე ადი.

კან. დოფშა (ჩიქ. I, 21, 21) — სავსე (შდრ. მეგრ. ეფშა); დეზდუ (ჩიქ. I, 18, 19) — აილო; ქაორი (ჩიქ. II, 17, 35) — ბრმა; კან. გაუსთუ 'დაუსხლტა' (გე-უსთუ → გიუსთუ → გაუსთუ); ძულურ (← ეულურ) 'ადიხარ'; ძულუნ (← ეულუნ 'ადის'.

კან. ძულუნ-გაძულუნ, ცას ახვამენ (გამოცანაა) — ადის-ჩამოდის, ცას ევედრება (წყლის ჩამური).

კან. ქაურქა (ჩიქ. I, 154, 3) — ქინქალა, პარალელურად იხმარება: ქურქა.

§ 19. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ აღმავალი დიფთონგიზაციის პროცესში გარდა ხმოვნებისა მონაწილეობენ სონორი თანხმოვნები რ (კანურში) და ლ (მეგრულში).

კან. (სართ.) დენ (← რენ) 'არის': ქვაში დენ, ნჯაში დენ. მიღეთი ოძლაფს, მუქ ვა იძლენ! (გამოცანაა) — ქვის არის, ხის არის, ხალხს აძლობს, თვითონ ვერ ძღება (წისქვილი).

კან. ხოლო კიძუ, კიძუ, კიძუ... (ყიფ. I, 76, 20) — კვლავ შეკრა, შეკრა, შეკრა.

კან. ქაურქი ჩქიმი დენ (ჩიქ. I, 4, 21) — ქურქი ჩემი არის.

§ 20. მეგრულში, კერძოდ ბანძურ-მარტვილურში, იოტიანე ხმოვნები წარმოშობილია ზოგჯერ ლ-ს ხმოვნებთან შეგუებით¹. აქაც სონორი თანხმოვნისა და ხმოვნის აღმავალი დიფ

¹ არნ. ჩიქობავა, კანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 19.


ხოონგიზაციის პროცესთან გვაქვს საქმე. ამ პროცესს ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ლ მეგრულში თავისებური ბუნების რბილი თანხმოვანია.

ამ მხრივ მეგრული ლ უფრო მეტ თვისობრივ მახლობლობას ააშკარავებს ფრანგულ *l mouillé*-სთან, რომელიც სტანდარტულს წარმოთქმაში საბოლოოდ გადავიდა *j*-ში¹.


აღსანიშნავია, რომ მეგრულის ბანძურ-მარტილურ თქმაშიც ლ საბოლოოდ გადავიდა *ჟ*-ში ასეთი საფეხურის გავლით: ლ → ლჟ → ჟ. მაგ.: ძალამი → ძალჟამი → ძაჟამი 'ძალიან'; ნალალური → მალჟალური → მაჟალური; მალაზონი → მალჟაზონი → მაჟაზონი; მელე-მოლე → მელჟე-მოლჟე → მეჟე-მოჟე 'გაღნა-გაპოღმა'; დღალღეფი → დღალჟეფი → დღაჟეფი 'დღეები'; ჯიმალღეფი → ჯიმალჟეფი → ჯიმაჟეფი 'ძმები'; ლომი → ლჟომი → ჟომი; ლული → ლჟული → ჟული 'ლეღვი' და სხვ.

აღ. ცაგარელს სწორად აქვს შენიშნული მეგრულში იოტიან ხმოვანთა წარმოთქმის თავისებურება. მისი აზრით, *ჟა*, *ჟუ* წარმოთქმის დაახლოებით ისე, როგორც რუსული *я*, *ю*. ოღონდ *ჟა*, *ჟუ*-ს წარმოთქმას გაცილებით ნაკლები ხანგრძლიობა ახასიათებს, ვიდრე რუსული *я*, *ю*-სას².

§ 21. ქანური და მეგრული *ჟა*-ს პალატოგრამებით (ფიგ. 16, 17) ირკვევა, რომ მისი წარმოთქმისას ენის წინა და შუა ნაწილის



ფიგ. 16.



ფიგ. 17.


ზურგი საგრძნობლად უფრო მაღლაა აწეული, მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ, ვიდრე *ა*-ს წარმოთქმისას იყო, ამიტომ ენის გვერ-

¹ Л. В. Щерба, Фонетика французского языка, 1948. გვ. 73.


² Ал. Цагарели, Мингрельские этюды. II, гл. 22.

დითი კიდეების შეხების ზონა მაგარ სასასთან იწყება პირველი წყვილი მცირე ძირითადი კბილების არეში და ეს ზონა გრძელდება მაგარი სასის ბოლომდის. ასეთია **ა** მეგრულ სიტყვებში: **ააკვი** ← **ლააკვი** 'ლეკვი' (ბანძ.), **აგამი** ← **ლაგამი** და სხვ.

ა-ს პალატოგრამულ სურათს თითქმის იმეორებს კანურ-მეგრული **აე**-ს პალატოგრამები (ფიგ. 18, 19):




ფიგ. 18.




ფიგ. 19.


§ 22. განსაკუთრებით საყურადღებოა კანურ-მეგრული **აო**-სა და **აუ**-ს პალატოგრამების მონაცემები (ფიგ. 20, 21, 22, 23):




ფიგ. 20.



ფიგ. 21.



ფიგ. 22.



ფიგ. 23.

აო-ს წარმოთქმისას, როგორც ეს **ა** და **აე**-ს წარმოთქმის შემთხვევაში იყო, ენის წინა და შუა ზურგი შესამჩნევად აწეულია

მაღლა, მაგარი სასის ცენტრისაკენ, და ენის გვერდითი კიდეების მაგარ სასასთან შეხების ზონა **ჟ** და **ჟე**-ს წარმოთქმისას მიღებულ პალატოგრამული ანაბეჭდის მსგავსია. ამის მიხედვით ირკვევა, რომ ღრმად უკანაენისმიერი **ჟ** წარმოდგენილია საგრძნობლად წინ წამოწეული არტიკულაციით. ანალოგიურ მონაცემებს იძლევა **ჟუ**-ს პალატოგრამაც. საერთოდ, პალატოგრაფების შედარებიდან ირკვევა, რომ როგორც წინა რიგის, ისე უკანა რიგის იოტიან ხმოვანთა არტიკულაცია ერთიმეორის მსგავსია. წინა რიგის ხმოვნებს უკანა რიგის ხმოვნებისაგან ამ შემთხვევაში განასხვავებს მხოლოდ ლაბიალიზაციის მომენტი, რომელიც უკანა რიგის იოტიან ხმოვნებს ახასიათებს. ამდენად, უდავოდ სწორია ს. ერშოვის მიერ პალატოგრამების საფუძველზე მიღებული დასკვნა, რომ რუსულში ყველა იოტიანი ხმოვანი თავისი არტიკულაციით უახლოვდება **ქ**-ს¹. ამდენად შეიძლებოდა ქანურ-მეგრული **ჟ** და **ჟე** სათვის, მსგავსად რუსული იოტიანი ხმოვნებისა, გვეწოდებინა წინასაშუალო წარმოების რთული ხმოვნები, ხოლო **ჟო**-სა და **ჟუ**-სათვის—საშუალო წარმოების რთული ხმოვნები.

§ 23. ნ. მარი „ქანური (ლაზური) ენის გრამატიკაში“ წვნიშნავდა, რომ ქანურში **ჟო** და **ჟუ** გრაფიკულად შესაძლებელია გამოიხატოს **ჟ** და **ჟე**-თიო (გვ. 1—3, ტაბ. I). ამ წვნიშნით იგი განსაკუთრებით გახაზავდა დასახელებულ ხმოვანთა პალატალიზებულ ბუნებას. ნ. მარს თავის ქანურ ტექსტებში და ლექსიკონში უკანა რიგის იოტიანი ხმოვნები რამდენჯერღვე უმლაუტის ნიშნით აქვს გადმოცემული თურქული და ქანური წარმოშობის სიტყვებშიც კი; მაგ.: თჳთჳნი სკანი მომჩი (გვ. 122) — შენი თამბაქო მომეცი; ოქრო ღო გჳმჳში რე (გვ. 112) — ოქრო და ვერცხლი ხარ; ფონწოს გური მოხთუ ღო ბუჟულეფე გოკიდუ (გვ. 102) — ფონწოს (თევზია) გული მოუვიდა და უღვაშები ჩამოვიდა და სხვ.

ი. ყიფშიძესაც თავის „ქანურის დამატებითს ცნობებში“ და „ქანურ ტექსტებში“ ზოგჯერ ეგევე ხმოვნები გრაფიკულად უმლაუტითვე აქვს გადმოცემული; მაგ.:

ფენჯერეშე მეხთი ღო ეგონარე
— ფანჯარასთან მოდი და ამოგიყვან;

¹ С. Ершов, Экспериментальная фонетика, гл. 107.

ალის ხე მოგიდვა დო გოგონარე
 — ყელზე ხელს მოგხვევ და გატარებ;
 ვარ მახენე, იჩგაჟვე მოგონარე
 — არ შემიძლია, სიძედ მოგიყვანო და სხვ.¹

ნსგავსად ნ. მარისა და ი. ყიფშიძისა, გ. დუმეზილიც „ქანურ ზღაპრებში“ თითქმის მასობრივად უკანაენისმიერ და ზოგ წინა-ენისმიერ პალატალიზებულ თანხმოვნებთან იოტიან ხმოვნებს გრაფიკულად გადმოსცემს უმლაუტის ნიშნით, მაგ.: ქოგოქკა-ფეს (28,1) — დაწყებინეს; ქუფის (36, 2) — ქურში; ყურნეჩ-დოჟურ წანა (41, 2 ქვ.) — ორმოცდა ორი წელი და სხვ. მისთ.

§ 24. არანაკლებ საყურადღებოა ქანურ-მეგრულში ე. წ. მაგარშემართვიან ხმოვანთა წარმოშობა, მათი ბუნება და პროფილები. მაგარშემართვიანი ხმოვნებიც ქანურ-მეგრულში სხვადასხვა გზითაა მიღებული. ასეთი ხმოვნები განსაკუთრებით დამახასიათებელია ქანურის ათინური კილოკავისათვის, მაგ.: ყარ (ჩიქ. II, 138, 30) — ერთი². ამასთან დაკავშირებით საინტერესოა არნ. ჩიქობავას შენიშვნა: „ყარ ს. ჯიქიას მიერ ჩაწერილ ათინურ ტექსტებში გვაქვს: თავკიდური ყ — აბზაციის აღმნიშვნელია და ფონემის მნიშვნელობა არა აქვს“³. ამ რიგის მაგალითებია: ყაში (ჩიქ. II, 138, 30) — ექვსი; ყამმა (ჩიქ. I, 2, 3) — მაგრამ; ყანდლა ფადიშაიში ბიქი ყავჯილუღიშა ყიტუში... (ჩიქ. II, 119, 23) — ერთ ღლეს მეუღის შვილი (ბიქი) სანადიროდ რომ მიდიოდა... ყიდუშუნუ, ყიდუშუნუ... (ჩიქ. II, 123, 27) — იფიქრა, იფიქრა... ყარ ოხორზა (ჩიქ. II, 118, 3) — ერთი ქალი; საყათი მუკო ივუ? (ჩიქ. II, 110, 27) — რამდენი საათია? ყეჭ (ჩიქ. I, 80, 9) — იქ; ტოროჯეფე ყეფუთხეს დო ყიმტეს (ჩიქ. II, 135, 20) — მტრედები აფრინდნენ და გაიქცნენ (შდრ. ყეფუთხეს); ყოვრო, ყოშ (ჩიქ. II, 138, 34) — რვა, ასი; ყიბგარუ-

¹ И. Кипшидзе, Дополнительные сведения о чанском языке, გვ. 17.

² გამოქვეყნებულ ქანურ და მეგრულ ტექსტებში ხმოვნის მაგარი შემართვა გადმოცემულია ყ-ნიშნით, ჩვენ ვიყენებთ საერთაშორისო ფონეტიკურ ნიშანს ასოს ზევით.

³ არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 112 (ხაზი ავტორისა).

სი... (ჩიქ. II, 124, 17) — რომ იტირა; ეირიქ (ჩიქ. II, 77, 28) — ყოველმა; ეიდეს, ეიდეს, ეიდეს... (ჩიქ. II, 40, 19) — იარეს, იარეს, იარეს... ეეძსელეს (ჩიქ. II, 125, 13) — ადგნენ; ეელიწუ ლივორი (ჩიქ. II, 127, 13) — იძრო რევოლვერი; დუგუნი ეეს (ჩიქ. II, 99, 32) — ქორწილი ქნეს; ჰამ ბერე მუშენი ეიბგას? (ჩიქ. II, 125, 28) — ეს ბიჭი რატომ ტირის; ეიხი (ჩიქ. II, 132, 20) — ქარი; ეიკითხუ (ჩიქ. II, 123, 10) — იკითხა; ეიგზალუ (ჩიქ. II, 135, 12) — წავიდა; ეარ საეეთი ქოდოხედუ (ჩიქ. II, 135, 22) — ერთი საათი დაჯდა; მეგრ. მიდარაგი ხოჯეფი (ყიფ., მეგრ. ტექს., 8, 33) — გარეკე ხარები; დიაკონქ მიდარაეგ ხოჯეფი ლალეშა (ყიფ., მეგრ. ტექს., 9, 1) — დიაკონმა გარეკა ხარები ლელეზე; ეიდუ, ეოწედუ (ჩიქ. II, 135, 24) — წავიდა, შეხედა; ეობგარუ ქოჯოქუ (ჩიქ. II, 125, 27) — ტირილი დაიწყო; ეობირუ ქოგოქეს (ჩიქ. II, 134, 8) — სიმღერა დაიწყო; მა ეორდო მოვთარე (ჩიქ. II, 126, 32) — მე მალე მოვალ; ეუბა ეიფშუ (ჩიქ. II, 130, 35) — უბე აივსო; დუგუნიშა ეულუნან (ჩიქ. II, 130, 31) — ქორწილში მიდიან და სხვ.

§ 25. გარდა ამისა, კანურ-მეგრულში მაგარშემართვიანი ხმოვნები ბევრ შემთხვევაში შედგება ფარინგალური მკვეთრი ე-ს ხმოვნებთან შეგუებისა და გადაგვარებისა, მაგ., მეგრ. ეა (← ყა) — ტოტი; ეუჯი (← ყუჯი) — ყური; ეუდე (← ყუდე) — სახლი; მეგრ. ქიეანა — ქვეყანა; სქანი სქუა თინა იგი (ყიფ., მეგრ. ტექს., 10, 6) — შენი შვილი ის იქნება; ქან. ეინი რტუ (ყიფ. I, 70, 10) — სიცივე იყო; ეონა უწუმენან (ყიფ. I, 55, 6) — ყანას უწოდებენ; ოხორჯაქ ეურუ (ჩიქ. II, 6, 1) — ქალმა დაიყვირა; ეურზენი (ჩიქ. II, 131, 16) — ყურძენი; მეგრ. მაეარე — მაყარი და სხვ.

§ 26. კანურ-მეგრული მაგარშემართვიანი ხმოვნების გრაფიკული მეთოდით შესწავლამ საშუალება მოგვცა გაგვეთვალისწინებინათ იწარმოებოდა სახმო სიმებისა და ხორხის მოქმედების სურათი.

მეგრული 'ა-ს 'ტოტი, შტო' ყიმოგრაფული მრუდი (ფიგ. 24) ნათლად გვიჩვენებს, რომ დასაწყისიდანვე თვალსაჩინო რხევებს იძლევა როგორც პირის (S), ისე ყელის (L) ჩაწერი კალამი. გარდა ამისა, ეგვე მრუდი ნათლად ადასტურებს, რომ მაგარშემარ-

თვიანი ხმოვანი დახშული სახმო სიბების ძლიერი სკდომის შედეგია. ამაზე მიუთითებს პირის (S) შემართვის მომენტში ჩამწერი კალმის



ფიგ. 24.

ზევით შევარდნა და რხევათა თანდათანობითი გაძლიერება. ლარინგოგრაფი (L) კი გვიჩვენებს მაგარშემართვიანი ხმოვნის წარმოქმნის განმავლობაში გაძლიერებულ რხევებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მაგარშემართვიანი ხმოვნის წარმოქმნის მომენტში სახმო სიბები ინტენსიურად დაჰიმულია და ენერგიულად თრთის.

მსგავსი კიმოგრაფული მრუდი ძვირღვეთ 'უ-ს წარმოქმნისას სიტყვაში: 'უღე 'სახლი' (ფიგ. 25); 'ო-ს წარმოქმნისას სიტყვაში-



ფიგ. 25.

'ონა 'ყანა' (ფიგ. 26). აღსანიშნავია, რომ შესატყვისი ჩვეულ-



ფიგ. 26.

ბრივი ხმოვნების წარმოქმნის კიმოგრაფული მრუდი სრულიად განსხვავებულია. ასე, მაგ.: ა-ს კიმოგრაფული მრუდი (ფიგ. 27)

საგრძნობლად განსხვავებულ სურათს იძლევა, ვიდრე 'ა-ს კიმო-გრამა (ფიგ. 24). ა-ს წარმოთქმისას პირისა (S) და ყელის (L)



ფიგ. 27.

ჩამწერი კალამი გვიჩვენებს, რომ წარმოთქმა იწყება რბილად, რხევები თანდათანობით ძლიერდება და ბოლოს ისევ სუსტდება. ესაა ხმოვნის რბილი შემართვის სურათი.

§ 27. მეგრული 'ა-ს კიმოგრაფული მრუდის შედარება პან-კონჩელი-კალციას მიერ ჩაწერილ მაგარშემართვიანი გერმანული 'ა-ს კიმოგრაფულ მრუდთან (ფიგ. 28) გვარწმუნებს, რომ




ფიგ. 28.

ისინი ადეკვატური ბგერით სინამდვილეს ასახავენ. ამის გამო ეს მრუდები თითქმის ერთმანეთის მსგავსია. ეს ექსპერიმენტული მონაცემები აგრეთვე ადასტურებენ პროფ. გ. ახვლედიანის მიერ „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხებში“ გამოთქმულ მოსაზრებას: „მეგრულ ენაში ხმოვნის ძლიერი შემართვის ნიმუშია 'უ დე, 'უჯი (იწერება: ე უ დე, ე უ ჯი)“¹.

§ 28. უფრო ნათელი რომ გახდეს, თუ როგორი არტიკულაციური სხვაობაა მეგრულის ჩვეულებრივსა და მაგარშემართვიან ხმოვნებს შორის, სანიმუშოდ გავარჩევთ მეგრული რბილი და მაგარშემართვიანი ი-ს პალატოგრამულ ანაბეჭდებს. ჩვეულებრივი ანუ რბილშემართვიანი ი-ს წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარ სასასთან მოიცავს არეს პირველი წყვილი მცი-

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, გვ. 108.

რე ძირითადი კბილებიდან ხელოვნური სასის ბოლომდის (ფიგ. 7), მაგარშემართვიანი 'ი-ს წარმოთქმისას (სიტყვაში 'ინი ← ყინი 'ყინული') ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარ სასასთან იწყება მეორე წყვილი მცირე ძირითადი კბილებიდან და გრძელდება ხელოვნური სასის ბოლომდის (ფიგ. 29).



ფიგ. 29.

ხელოვნურ სასაზე ენის გვერდითი კიდეების შეხების ზონის სიფართოვეც 'ი-ს წარმოთქმისას საგრძნობლად შემცირებულია. პალატოგრამის მიხედვით ნათლად ირკვევა, რომ მაგარშემართვიანი ხმოვნისათვის დამახასიათებელია ღრმად უკან გადაწეული არტიკულაცია (ფარინგალიზაცია). ამ მხრივ მაგარშემართვიანი ხმოვნები უპირისპირდება იოტიან (პალატალიზებულ) ხმოვნებს.

§ 29. ქანურის ვიწურ-არქაბული და ათინური კილოკავეებისათვის დამახასიათებელია ფშვინვიერშემართვიანი ხმოვნები: ჰა, ჰე, ჰი, ჰო, ჰუ, ოღონდ იგი ახასიათებს გარკვეული კატეგორიის სიტყვებს; კერძოდ, ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა დასტურდება ჩვენებით ნაცვალსახელებში, ზმნისხედებში და ზოგიერთ ნასესხებ სიტყვაში. უფრო ხშირია ფშვინვიერშემართვიანი ა და ე ხმოვნების ხმარება, იშვიათია ფშვინვიერშემართვიანი ი და თითო-ორგზა მაგალითი დასტურდება ფშვინვიერშემართვიანი ო და უ-ს ხმარებისა.

ქანურში თურქულიდან ნასესხები ამა („მაგრამ“), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოითქმის მაგარი შემართვით: ამა და ფშვინვიერი შემართვითაც: პამა (ჩიქ. I, 17, 31); ასევე არაბული წარმოშობის სიტყვა საათი ქანურში წარმოითქმის მაგარი შემართვით საეატი და ფშვინვიერი შემართვითაც: საპატი: საპატი არის ქოშობტი (ყიფ. I, 34, 13) — პირველ საათზე

მოდის; საჭატი ოთხოს ქომობტი (ყიფ. I, 34, 15) — ოთხ საათზე მოდის. დაჭუდი (ჩიქ. I, 3, 1) — ებრაელი (შდრ. იქვე: დაუდი 3, 31); მინდიყონით ჰუქუმეთიშა (ჩიქ. I, 16, 32) — მიიყვანეთ მტავრობაში; ჰოთელის ბორტით (ჩიქ. II, 53, 13) — სასტუმროში ვიყავით და სხვ.

ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა ჰანური წარმოშობის შემდეგ სიტყვებში დასტურდება: ჰაჲა, ჰეა, ჰამ, ჰემ (ჩიქ. II, 2, 8) — ეს, ის, ამ, იმ; ჰეა ჰექ რენ (ჩიქ. II, 2, 10) — ის იქ არის. ჰამუში, ჰემუში (ჩიქ. II, 2, 9) — ამისი, იმისი; ჰანთეფე ჰაქ რენან, ჰენთეფე ჰექ რენან... (ჩიქ. II, 2, 11) — ესენი აქ არიან, ისინი იქ არიან (შდრ. ხოფ. ანთეფე აქ რენან, ენთეფე ექ რენან); ჰიმ კოჩი მენდახთუ (ჩიქ. II, 87, 8) — ის კაცი წავიდა; ჰაშო ღო ჰაშო (ჩიქ. II, 62, 15) — ასე და ასე (შდრ. ხოფ. აშო მოხთით, აშო! გზა აქ რენ, ჩიქ. I, 46, 11) — ასე მოდით, ასე! გზა აქ არის; ჰეშო (ჩიქ. II, 86, 8) — ისე; ჰიშო (ყიფ. I, 76, 33) — ისე (ათინ.); ჰამუქ (ყიფ. I, 80, 22) — აძან (შდრ. ხოფ. ამუქ); ჰემუქ (ჩიქ. II, 18, 24) — იძან; ჰემუს (ჩიქ. II, 18, 20) — მას (შდრ. ხოფ. ემუს); ჰექოლე გოიწედუ. ჰაქოლე გოიწედუ (ათინ. ჩიქ. II, 129, 7) — იქით გაიხედა, აქეთ გაიხედა (შდრ. ხოფ. ექოლე-აქოლე, ჩიქ. I, 20, 1); ჰინდოს (ყიფ. I, 80, 9) — მაშინ; ჰინდონერი (მარი, ლექს., 239) — მაშინდელი; ჰაქონი (ყიფ. I, 1, 28) — აქაური; ვიწ.-არქ. ჰაწი (ჩიქ. II, 65, 21) — ახლა (შდრ. ხოფ. აწი, ჩიქ. I, 3, 2); ათინ. ჰუს (ჩიქ. II, 95, 13) — ახლა; ჰუსუნერი (მარი, ლექს., 239) — ახლანდელი. „ჰაკო მექჩარე“ — „ჰეკო მოწი“ (ჩიქ. II, 63, 18) — ამდენს მოვცემ, იმდენი მომეცი და სხვ.

რამდენიმე შემთხვევა დასტურდება, როდესაც ფშვინვიერ-შემართვიანი ო მიღებულია ქო'საგან, მაგ.: ჰოპქკომი (← ქოპ-ქკომი, ჩიქ. I, 159, 20) — ვჰამე („ქე ვჰამე“); ძიგარა ჰოშუ (← ქოშუ, ჩიქ. I, 16, 15) — თუთუნი შესვა; ჰოძი(რ)უ (← ქოძი-რუ, ჩიქ. I, 26, 5) — ნახა; ჰაგუწულდი (← ჰაგუწული, ჩიქ. I, 11, 26) — გამოართვი; ჰოდოდგითუ (← ქოდოდგითუ, სარფ.) — დადგით; ჰეშეხოჯონათენ (← ქეშეხოჯონათენ, ელ., 147, 24) — ამოვიყვანთ და სხვ.

ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა სპორადულად გვხვდება ხოფურ კილოკავში, ხოლო სავსებით მოშლილია იგი მეგრულის კილოკავებში.

მეგრულს, მსგავსად ქართულისა, ხმოვანთა ფშვინეიერი შემართვა ახასიათებს შორისდებულებში, მაგ.: ჰა, ჯიმა-ლურელი, მუჭომი დომირულუაფუ (ყიფ., მეგრ. ტექს., 10, 31)—ჰა, დედასა („ძმამკედარო“), როგორ დამძინებია; ჰაი, ჯიმაია (ხუბ., 4, 3)—ჰაი, ძმარ; ჰატ, ნუ გაშქურინენანია (იქვე, 4, 1)—ჰატ, ნუ გეშინიათო; ჰატ, სი ბუძლამი დი (იქვე, 4, 31)—ჰატ, შე სუნიანო მდეფო და სხვ. მისრ.

ქართველური ენებიდან დღეს ხმოვანთა ფშვინეიერი შემართვის განსაკუთრებით მდიდარ მასალას იძლევა სვანურის ბალსზემოური და ბალსქვემოური კილოები¹.

ზემოთქმულის მიხედვით ცხადია, რომ ქანურსა და მეგრულში იოტიანი და მაგარშემართვიანი ხმოვნები მეორეული წარმოშობისაა. ოაც შეეხება ფშვინეიერშემართვიან ხმოვნებს, იგი ძველი ვითარების ნაშთს უნდა წარმოადგენდეს, როგორც ამას ქართულურ ენათა დიალექტების მონაცემები გვიჩვენებენ.

2. ხმოვანთმონაცვლეობა

§ 30. ხმოვანთმონაცვლეობა ფართოდაა გავრცელებული ქანურისა და მეგრულის კილოკავებში. ამ კილოკავების მონაცემები ამ მხრივ სხვადასხვაგვარ სურათს იძლევიან. პირველ ყოვლისა, უნდა განვასხვავოთ ხმოვანთმონაცვლეობა ისტორიული და პოზიციური² ხმოვანთა ისტორიული მონაცვლეობა სიტყვის მნიშვნელობის დიფერენციაციას იძლევა და იგი ემყარება ხმოვანთა იმ კანონზომიერ შესატყვისობას, რომელსაც ადგილი აქვს, ერთი მხრივ, ქართულსა და ქანურ-მეგრულს შორის და, მეორე მხრივ, თვით ქანურისა და მეგრულის კილოკავებს შორის. პოზიციური ხმოვანთმონაცვლეობა ბგერათა ნეზობლობით ანუ კოარტიკულაციით არის შეპირობებული და იგი სიტყვის მნიშვნელობის დიფერენციაციას ვერ იწვევს. აღსანიშნავია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ხმოვანთა ისტორიული და პოზიციური მონაცვლეობა ერთდროულად მოქმედებენ, ისტორიულ-პოზიციური ხასიათისაა და მეორე პირველის გაგრძელებას წარმოადგენს.

§ 31. ქართულსა და ქანურ-მეგრულს შორის ბგერათა შესატყვისობის საკითხები საერთოდ და, კერძოდ, ხმოვანთა შესატყვი-

¹ ჩენი: სვან. ფონეტ., გვ. 122 — 126.

² ვ. ახელედიანი, ზოგადი ფონეტიკის საუბუძლები, გვ. 293.

სობანი ძირითადად გადაწყვეტილია ალ. ცაგარლის „მეგრული ენის ეტიუდებში“ (II).

ხმოვანთა ისტორიულ შესატყვისობათა მიხედვით ქართ. ა ქანურ-მეგრულში შესატყვისება ო-ს; ქართ. ე — ქანურ-მეგრულ ა-ს; ქართ. ი — ქანურ-მეგრულ ე-ს (არაყოველთვის!), მაგ.:

ქართ. კ ა ც - ი	ქან.-მეგრ. კ ო ჩ - ი
„ ც ხ რ ა	„ ჩ ხ ო რ ო
„ რ ვ ა	ქან. ო ვ რ ო, მეგრ. ბ რ უ ო რ უ ო
„ ა ს ი	ქან.-მეგრ. ო შ ი
„ გა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა	მეგრ. გ ო მ ო რ ძ გ უ ა და ს ხ ვ.

ქართული ღ ა მ - ე ' ს შესატყვისია ქანურში: ღ ო მ - ა ნ || ღ ო მ ა ' გ უ შ ი ნ ' , მეგრულში: ღ უ მ ა ' წ უ ხ ე ლ ' . მეგრ. ღ უ მ ა ' შ ი უ მიღებულა ო-საგან პოზიციური ხმოვანთმონაცვლეობის გზით; როგორც ეს თავის დროზე ნ. მარმა ახსნა ი. ყიფშიძის „მეგრული ენის გრამატიკაზე“ დაწერილ რეცენზიაში, ღ უ მ ა ' შ ი ო შეცვლილია უ-დ მ-ს ასიმილაციური გავლენის შედეგად (შდრ. სამურ.-ზუგდ. თ ხ უ მ უ , ს ე ნ ა კ . თ ხ ო მ უ — თ ხ მ ე ლ ა) ¹.

მსგავსი მონაცემები გვაქვს შემდეგ მაგალითებში: ქართ. ს ა მ - ი , ქან. ს უ მ , მეგრ. ს უ მ - ი ; ქან.-მეგრ. უ ნ და გ ვ ქ ო ნ ო და : ს ო მ , მაგრამ ო-ზე მ-ს გავლენის შედეგად მივიღეთ ო-ს დავიწროება და უ-დ ჩვევა. ქართ. ქ ა მ - ა , ქან. ო - ქ კ ო მ - უ || ო - შ კ ო მ - უ , მეგრ. ქ კ ო მ - უ ა || ქ კ უ მ - უ ა (ყიფ., მეგრ. ლექს., 391); ქ კ უ მ უ ა მიღებულია ქ კ ო მ უ ა ' საგან ო-ზე მ-ს გავლენის შედეგად.

ქართ. ძ მ ა (← ძამ-ან), ქან. ჯ უ მ - ა (შდრ. ქან. ჯ უ მ ა ლ - ა ჩიქ., I, 117, 25); ქართული ძ ა მ - ა ნ ' ის შესატყვისად უნდა გვქონოდეს: ჯ ო მ - ა ლ , მაგრამ ო-ზე მ-ს ასიმილაციური გავლენის შედეგად გვაქვს: ჯ უ მ - ა (ლ). მეგრ. ჯ ი მ - ა (ლ) მიღებულია ჯ უ მ - ა (ლ)-ისაგან ხმოვანთმონაცვლეობით: ო → უ → ი (შდრ. ლექს., 25 - 27) ².

არნ. ჩიქობავას თავის „ქანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონში“ შედარებით - ისტორიული წეთოდის გამოყენებით

¹ Н. Марр. II. Кипшидзе, Грамматика шингрельского (ивверского) языка (რეცენზია), გვ. 206.

² შდრ. „Перебой у, resp. о в и“ (ნ. მარი, ქან. გრამ., გვ. 4).

ხმოვანთმონაცვლეობის მდიდარი მასალა აქვს განხილული ქანურ-მეგრული კილოკავების მიხედვით და დადგენილია ხმოვანთა თავდაპირველი სახე.

ქართ. ქათამ-ი, მეგრ. ქოთომ-ი, ქან. ქოთუმ-ე; ქან. ქოთუმ-ე მიღებულია: ქოთომი-საგან, ო-ზე მ-ს გავლენის შედეგად (შდრ. მეგრ. თომა || თუმა 'თმა' ყიფ., მეგრ. ლექს., 244; მეგრ. ლუმუ ← ქართ. ღომ-ი); ქან. ო-ზუმ-უ || ო-ზიმ-უ, ქართ. ზომ-ვა; ზომ-ძირი ამოსავალია, ქანურის ვიწ.-არქ. და ათინურს კილოკავებში ო მ-ს გავლენით უ-დ ქცეულა, ხოფურში უ-ს ენაცვლება ი: ზიმ-; აღსანიშნავია, რომ მეგრულში, მსგავსად ხოფური კილოკავისა, ამ ზმნის ძირში გვაქვს ი: ზიმ-უა (შდრ. ლექს., 276).

არნ. ჩიქობავა ფიქრობს, რომ მეგრ. გიმ-: გიმ-უნ-ს 'მოკა' ღომისა და ფეტვის თავთავის' მიღებულია ქან. გუმ-: გუმ-უმ-ს ფორმისაგან ხმოვანთმონაცვლეობის გზით (შდრ. ლექს., 266, 267).

§ 32. პოზიციურ ხმოვანთმონაცვლეობას ადგილი აქვს არამარტო მ-ს მეზობლობაში, არამედ ბ და ფ-ს მეზობლობაშიც. მაგ.:

ქან. ტუმუ || ტიბუ, მეგრ. ტიბუ, სენ. ტებ-იდ, ამის მიხედვით ქართულში თავდაპირველი ძირი უნდა ყოფილიყო: ტაბ → ტბ → ტფ; ქან. ტუმ-უ მიღებულია ტობ-უ-საგან ო-ზე ბ-ს გავლენის შედეგად; მეგრ. ტიბ-უ და ხოფ. ტიბ-უ უ-ს ი-სთან მონაცვლეობითაა მიღებული (შდრ. ლექს., 237).

ქან. ო-გუმ-უ || ო-გიბ-უ 'ხარშვა', ქართულში ამ ზმნის შესატყვისია: გობზა; თავდაპირველი ძირი უნდა ყოფილიყო გაბ → გბ; ქანურ-მეგრულში ამის შესატყვისად უნდა გვქონოდა: გობ-ძირი; ბ-ს მეზობლობაში ო → უ: ო-გუმ-უ: უ-სთან ი-ს შენაცვლებით მივიღეთ: ო-გიბ-უ (შდრ. ლექს., 266).

ქან. ტობ-ა || ტიბ-ა, მეგრ. ტობ-ა || ტობ-ო, ამის მიხედვით ქართულში თავდაპირველი ძირი უნდა ყოფილიყო: ტაბ-ა → ტბ-ა (შდრ. ტაბახმელა!), ქანურის ვიწ.-არქ. და ათინურს კილოკავებში და მეგრულში დადასტურებული ტობა ამოსავალია, ხოლო ხოფური ტიბ-ა მეორეულია: ო → უ → ი; ტუმ-ა ფორმად შენახულა (შდრ. ლექს., 184).

ქართ. აბედ - ი მეგრულში დადასტურებულია ობედ - ი ფორ-
მით: საკვეცი ღო ობედი (ყიფ., მეგრ. ტექს., 47, 18) — საკვესი
და აბედი. ობედ - ი მიღებულია პოზიციური ხმოვანთმონაცვლე-
ობის გზით — ა-ზე ბ-ს გავლენის შედეგად (შდრ. მეგრ. მე-ძო-
ბარი ← ქართ. მე-ძებარი - ი, ყიფ., ლექს., 375).

კან. მ-ფულ - : დი-მ-ფულ - უ, მეგრ. ფულ - : დრ-ფულ - უ,
ქართ. ფალ - : დაი-ფლ - ა.

ამასთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა წერს: „ქანურსა და
მეგრულში ფალ - ის შესაბამისად უნდა გვქონოდა ფოლ, რო-
მელმაც ფულ - ის სახე მიიღო (ფ → უ ფ-ს შემდეგ)“ (შდრ.
ლექს., 330). (შდრ. ქართ. ფოცხ - ი, კან.-მეგრ. ბუცხ - ი, ყიფ.,
მეგრ. ლექს., 210).

§ 83. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ ე-ს ქანურ-მეგრ-
ულში შეესატყვისება ა, მაგ.:

ქართ. მე	კან. მა მან, მეგრ. მა	
„ ერთ - ი	„ არ	„ ართ ი
„ მეფე	კან.-მეგრ.	მაფა
„ მეგრელ - ი	„	მარგალ - ი
„ დღე	„	დღა
„ ტყე	„	ტყა
„ ვერცხლ - ი	„	ვარჩხილ - ი და სხვ.

ქართ. ხმ- ძირი მომდინარეობს კემ 'ისაგან: განკემ — გახმი:
კემ → ხმ-(ობ-ა); ქართ. კემ 'ის შესატყვისი ქანურ-მეგრულში
უნდა გვქონოდა: ხამ, ხაგრამ მ-ს მეზობლობაში ა იძლევა ო-ს:
ხამ → ხომ ქანურში ზოგჯერ მ-ს მეზობლობაში ვითარდება ბ:
ხომ → ხომბ (ათინურში, ვიწურში, შდრ. ლექს., 430; მეგო.
ხომაფა || ხუმაფა 'ხმობა'; მეგრ. ხომულა || ხუმულა: დიდი
ხუმულა ჯა — დიდიხმელი ხე (შდრ. ხომა || ხუმა, ყიფ., მეგრ.
ლექს., 407) — ხმა; კან. ბოზომოთა || ბოზუმოთა (ჩიქ. II, 118,
5) — შეილიშვილი.

კან. გენი ნიშნავს 'ხბოს', მეგრ. გინი || გენი; საყურადღე-
ბოა მეგრულში ამ სიტყვიდან ხმოვანთმონაცვლეობით ნაწარმოები

ზმნა: განუა ნიშნავს 'ხბოს მიერ ძუძუს 'მოწოვას' (შდრ. გუ-
რული: მო-გენ-ება—იგივე);

ქართ. ბელურა, მეგრ. ბალირე, ბალირეე (ყიფ., მეგრ. ლექს., 201);

კან. ქეკა || ქაქა (შდრ. ლექს., 134) — ქაქა;

ქართ. ღერლილი, მეგრ. ღარლილი (ყიფ., მეგრ. ლექს., 349);

ქართ. წერ-ა, მეგრ. ქარ-უა, კან. ო-ქარ-უ (შდრ. მეგრ. წენიწყარი || ქანიწყარი, ყიფ., მეგრ. ლექს., 06) — მდ. სახელ-
წოდება; წალენჯიხა || ქალენდიხა || ქელენჯიხა (ყიფ.,
მეგრ. ლექს., 377).

კან.-ათინ. ხაქაქური, ვიწ. ხეკეკური, ხოფ. ხეკეკური
'მსხალია ერთგვარი' (მარი, ლექს., 230);

ქართ. თეს-ლ-ი, კან.-მეგრ. თას-ი (შდრ. ლექს., 145);

ქართ. მესერ-ი, კან. მასარ-ი (იქვე, 146);

ქართ. ბერ-ვა, მეგრ. ბარ-უა, კან. ო-ბარ-უ (იქვე, 252)
(შდრ. მეგრ. ჟეშხა || ჟაშხა, ყიფ., მეგრ. ლექს., 229);

ქართ. კვეთ-ა, მეგრ. კვათ-უა (იქვე, 289) და სხვ.

§ 34. ქართ. ი შეესატყვისება ქანურ-მეგრულ ე-ს შემდეგ მა-
გალითებში:

ქართ. მაყარ-ი, მეგრ. მაყარ-ე;

ქართ. ქათამ-ი, კან. ქოთუმ-ე;

ქართ. ლანდ-ი, კან. ლანდ-ე (ჩიქ. I, 8, 12) (შდრ. კან.
წიპილ-ი || წიპილ-ე, ჩიქ. II, 5, 2); მეგრ. დიხა || დეხა
(ყიფ., მეგრ. ლექს., 224) — მიწა; კან. ონჯირე || ხოფ. ონჯერე
(ჩიქ. I, 58, 35) — საწოლი, ლოგინი.

ქანურში „ცრემლის“ აღმნიშვნელი სიტყვა ხმოვანთმონაცვლე-
ობით წარმოდგენილია შემდეგ ვარიანტებად: ჩილამ-რ-ე, ჩა-
ლამ-ურ-ე, ჩელამ-რ-ე, ჩელამ-ურ-ე, ჩილამ-ბ-რ-ე,
ჩილან-ბ-რ-ი, ჩილამ-ბ-ი (შდრ. ლექს., 73). ამასთან და-
კავშირებით არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ „... სახელობითის და-
ბოლოებაც ხან ი-ა, ხან-ე“ (იქვე):

კან. ხენწკელ-ი; ხენქკელ-ი, ხინქკელ-ი (მარი, ლექს.,
231) — პატარა კალათი;

კან. ქინაიშა (ჩიქ. I, 16, 11) — ნაპირისაკენ, იქვე: ქენაი-
შა (16, 12) (შდრ. ქართ. საწებელი → მეგრ. წაწიბელი);

კან. ნენა, მეგრ. ნინა — ენა.

პოზიციური ხმოვანთმონაცვლეობის გზითაა მიღებული მეგრული ტიანი, რომელიც მომდინარეობს ქართული მ-ტევან-ი 'საგან (ყიფ., მეგრ. ლექს., 328), ვ-ს დაკარგვის შემდგომ: ეა → ია (შდრ. მეგრ. წიარი ← ქართ. წევარი, ყიფ., გრამ., გვ. 08).

ზემოთ განხილული მაგალითების მიხედვით ნათლად ირკვევა, რომ ხმოვანთა იმ სახის მონაცვლეობა, რომელიც დასტურდება ქართულსა და ქანურ-მეგრულს შორის (ა-ო; ე-ა; ე-ი), ამავე დროს დასტურდება ქანურ-მეგრულის კილოკავებს შორისაც.

§ 35. ქანურ-მეგრულის კილოკავებს შორის კიდევ ერთი ხმოვანთმონაცვლეობის სახე დასტურდება: თავდაპირველი უ ხმოვანთმონაცვლეობით ი-დ იქცევა, მაგ.:

ქან., ვიწ.-არქ., ათინ. გუნდ-ე || ხოფ. გინდ-ე, მეგრ. გირძ-ე || გინდ-ე, ქართ. გრძ-ელ-ი; გინდ-ე მიღებულია: გუნდ-ე 'საგან (შდრ. ლექს., 229);

ვიწ.-არქ. ლუმჯის, ხოფ. ლიმჯის (ჩიქ. I, 110, 28) — სალამოს, მაგრამ: დოლუმჯუ (ჩიქ. I, 120, 7) — დალამდა;

ვიწ.-არქ. კუზი, ხოფ. კიზი (ჩიქ. I, 142, 36) — კოვზი;

ვიწ.-არქ. ნუსა, ხოფ. ნისა (ჩიქ. I, 166, 20) — რძალი;

ვიწ.-არქ. ფუქური, ხოფ. ფუქირი (ჩიქ. I, 76, 13) — ყვაილი;

ვიწ.-არქ. ჩქუნ, ჩქუნი, ხოფ. ჩქინ, ჩქინი, ათინ. შქუ, შქუნი 'ჩვენ, ჩვენი'; მეგრული ამ შემთხვევაში, ისე როგორც სხვა ბევრ შემთხვევაში, ხოფურ კილოკავს უქერს მხარს.

ათინ. უშქუნ: მითის ვარ უშქუნ (ყიფ. I, 92, 7) — არავინ იცის; ვიწ.-არქ., ხოფ. უჩქინ.

არა ერთი და ორი შემთხვევაა, როდესაც ხოფურში თავდაპირველი უ დასტურდება, მეგრულში კი ი გვაქვს: ქან. ქური → მეგრ. ქირი; ქან. ეურ → მეგრ. ეირ-ი; ქან. ჯუმა → მეგრ. ჯიმა; ქან. გურუნ-ი → მეგრ. გირინ-ი; ხოფურშიც გირ(რ)ინ-ი დასტურდება (ჩიქ. I, 3, 35) — ვირი' და სხვ.

§ 36. ქანურ-მეგრულის კილოკავებში ი-ს უ-სთან მონაცვლეობის გაგრძელებას წარმოადგენს ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში უ(|| ო)-სა და ი-ს შეცვლა გ-თი. ამის საილუსტრაციო მაგა-

¹ არნ. ჩიქობავა, ქან. გრამ. ანალიზი, გვ. 25.

ლითები ზემოთ დასახელებული იყო; აქვე დავასახელებთ დამატებით კიდევ რამდენიმე მაგალითს, მაგ.:

ბაღუ || ბაღ (ყიფ., მეგრ. ლექს., 201) — ბელელი (უ → გ);

ბაღი || ბაღ (იქვე, 202) — ბალი (ი → გ);

ბაღიდი || ბაღდი (იქვე, 199) — ბერიკაცი (ი → გ);

ოწუმეში || ოშუმეში (იქვე, 295) — ულვაში (უ → გ);

უფურაში || უფგრაში (ყიფ., გრმ., 33) — უფრო ცუდი (უ → გ);

ქან. ჰუ || მ-ჰუ, მეგრ. ჰგ 'ნაწლავი' (უ → გ);

მეგრ. სამუთხე || სამგთხე 'სამოთხე';

მეგრ. პატონი || პატენი || პატენი 'ბატონი';

მეგრ. მუზუმა || მუზგმა 'რამდენი'; კგსერი (ყიფ., მეგრ. ლექს., 59) — კისერი; მუღგ (ყიფ., მეგრ. ტექს., 2, 17) — რაღირს; ჩქი || ჩქგ — ჩვენ და სხვ.

ქანურ-მეგრულის კილოკავებში სხვა სახის ხმოვანთმონაცვლეობიდან აღსანიშნავია შემდეგი მაგალითები: ქან. -ეკულე || -ოკულე || -უკულე — 'შემდეგ'; ო-ს დავიწროება და უ-დ ქცევა სიტყვია აბსოლუტურ ბოლოში დასტურდება, მაგ.: ორძო (ქლ., 76, 1) || ორძუ (იქვე, 75, 29) — სკამი; ნაკო || ნაკუ (მარი, ლექს., 94) — რამდენი; შღრ. ნგროში (ქლ., 93, 33) || გრუში (იქვე, 92, 37) — გროში და სხვ.

§ 37. ზემოთ განხილული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ როგორც ისტორიული, ისე პოზიციური ხმოვანთმონაცვლეობა ემყარება გარკვეულ კანონზომიერ პროცესს, რომელიც ქანურ-მეგრულის განვითარების შინაგანი კანონების გამოვლინებას წარმოადგენს.

ი. სტალინმა გენიალურად დაასაბუთა მეცნიერების კანონებისა და, კერძოდ, ენის განვითარების შინაგანი კანონების ობიექტური ხასიათი. მეცნიერების ყველა დარგის წარმომადგენელთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ი. სტალინის მითითებას იმის შესახებ, რომ „პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ მისი კანონები, ბუნებათმეცნიერების კანონებისაგან განსხვავებით, არახანგრძლივია, რომ ისინი, მათი უმეტესობა მა-

ინც, გარკვეული ისტორიული პერიოდის განმავლობაში მოქმედებენ, რის შემდეგაც ადგილს უთმობენ ახალ კანონებს¹.

ცნობილია, რომ ყოველი ენის ფონეტიკური პროცესების ტენდენციები თავისებურია. რამდენადაც ეს ტენდენციები ობიექტური ხასიათისაა, ისინი გამოიხატებიან და აისახებიან ენის „ფონეტიკურ კანონებში“, რომლებიც ენის განვითარების შინაგანი კანონების კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენენ. ფონეტიკური მეცნიერების მთავარი ამოცანა ამ ობიექტური კანონების შესწავლა და მათი სავსებით შეგნებულად შეცნობაა. ენათა ისტორია საერთოდ და, კერძოდ, ქართველურ ენათა ისტორია ნათლად ადასტურებს, რომ „ფონეტიკური კანონები“ „გარკვეული ისტორიული პერიოდის განმავლობაში მოქმედებენ, რის შემდეგაც ადგილს უთმობენ ახალ კანონებს“.

ქანურ-მეგრულის განვითარების „ფონეტიკური კანონების“ შესწავლას ისახავს მიზნად ამ შრომის შემდეგი თავები: დიფთონგიზაცია, ასიმილაცია, დისიმილაცია, პალატალიზაცია, ნაზალიზაცია, აბრუპტივიზაცია და სხვ.

3. დიფთონგები და დიფთონგიზაცია

§ 38. ქანურ-მეგრული განსაკუთრებით მდიდარია აღმავალი დიფთონგებით. დასტურდება შემთხვევები დამავალი დიფთონგებისაც, მაგრამ აღმავალი დიფთონგიზაციისადმი ტენდენცია იმდენად ძლიერია, რომ მასთან შედარებით დამავალი დიფთონგიზაცია მეტად მკრთალად გამოიყურება. დიფთონგიზაციის პროცესი მოქმედებს ქანურშიც და მეგრულშიც, ოღონდ ქანურში გაცილებით უკრო ინტენსიურია, ვიდრე მეგრულში. ალ. ცაგარელი აღნიშნავდა, რომ მეგრული დიფთონგებით მდიდარი არ არისო და ამის ძიებზად ასახელებდა მეგრულის მიდრეკილებას სრულხმოვნობისაკენ და საერთოდ მეგრული ვოკალიზმის შედარებით უკრო მყარ თვისებებსა და გამძლეობას².

ალ. ცაგარელის ეს მოსაზრება სავსებით შეეფერება საქმის ვითარებას. თუ ამ მხრივ მეგრულს ქართულთან შევადარებთ, ირ-

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 6.

² Ал. Цагарели, Мингрельские этюды, II, гл. 22.

კვლევა, რომ ქართულის დიალექტებში მეტ-ნაკლებად დასტურდება დიფთონგები, ხოლო ახალ ლიტერატურულ ენას იგი არ ახასიათებს და არც საფუძველია დიფთონგების წარმოშობისათვის, ვინაიდან ლიტერატურულ ქართულში ყოველი ხმოვანი წარმოითქმის მკაფიოდ და გამოკვეთილად. როგორც ჩანს, ძველ ქართულს დამავალი დიფთონგები ახასიათებდა.

აღმავალი დიფთონგიზაციის პროცესში ქანურში პირველ კომპონენტად მონაწილეობენ ი, ე ხმოვნები ა, ო და უ ხმოვნებთან შეერთებით. გარდა ამისა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (იხ. ზემოთ §19), აღმავალ დიფთონგიზაციაში ქანურისა და მეგრულის კილოკავებში მონაწილეობენ ნარნარა თანხმოვნები რ (ქანურში), ლ (მეგრულში), წ და ჯ თანხმოვნები (ქანურის ათინურ კილოკავში).

არნ. ჩიქობავამ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ „ქანურ სიტყვებში თითქმის ყველგან ჯ დიფთონგის პირველ ნაწილს წარმოადგენს: **აა-**, **აე-**, **აო-**, **აუ-** ... ქართულს კილოებში შემონახული **ა**, როგორც წესი, დიფთონგის მეორე ნაწილს წარმოადგენს: **აა**, **აე**, **აო**, **აუ**“¹.

ქანურში დიფთონგის პირველი ელემენტია **ა**, რომელიც ხშირ შემთხვევაში მიღებულია **ი**-საგან.

ქანურის კილოკავებში სხვათა სიტყვის ნაწილაკი -**აა** (ქართ. = **ო**) აღმავალ დიფთონგს წარმოადგენს: **აან** - **აა** სი გყვილამინონდეი (ჩიქ., I, 6, 28) — მეო შენ მოკლავ; **აუ** კაი სეოსი მიღუნ - **აა** (ჩიქ., I, 10, 3) — რა კარგი ხმა ნაქვსო (შდრ. მეგრ. -**ია**: **მოკონ** - **ია** (ყიფ., მეგრ. გრამ., 144) — მინდაო; **აა** რენ - **ია** — არ არისო; **აო** - **ნიცადას** - **ია** — მომიცადოსო; (აგრეთვე შდრ. ი. ყიფშიძის მიერ ჩაწერილი ქანური ტექსტები: „ნაკო ფარა უღუნ“ - **ია**, უწუუ. — „ოში ეჩი მანათი უღუნ“ - **ია**, უწუუ. — „ოში ეჩი მანათითე ვარ ივენ“ - **ია** (ყიფ. I, 57, 31—32) — რამდენი ფული აქვსო, უთხრა. — ას ოცი მანეთი აქვსო, უთხრა. — ას ოც მანეთად არ იქნებაო („ას ოცი მანეთით არ იქნებაო“).

ქან. -**აა** ი ხმოვნის შემდეგ იძლევა -**ა**’ს: **ლალიშა** იდი - **ა** (ჩიქ. I, 11, 4) — მდინარეზე წადიო; **აწი** - **ა**, **აქონაში** - **ა** კოჩი

¹ არნ. ჩიქობავა, ქან. გრამ. ანალიზი, გვ. 13.

დოიყვი-ა! ოხომიშქვი-ა (ჩიქ. I, 10, 28) — ახლო, აქაო
კაცი გაეხდომ, გამიშვიო.

აქვე დავასახელებთ აღმავალი დიფთონგიზაციის სხვა შემთხვე-
ვებს, როდესაც ია → ჯა: ნალა (ყიფ. I, 2, 1) — ნალია, სასი-
მინდე; ონჯ ღორჯარი (ყიფ. I, 47, 1) — სირცხვილიანი; ნო-
სჯარი (ჩქვე, 47, 12) — ჭკვიანი; ააა ღურელი კოჩი... (ჩიქ. I,
21, 11) — ეს მკედარი კაცი... ააა მუ ენ?-ა (ჩიქ. I, 1, 29) — ეს
რა არისო?; მეგრ. მჯარე || მიარო (ყიფ., მეგრ. ლექს., 280) —
მრავალი და სხვ. მისთ.

აღმავალი დიფთონგები ხშირია ნასესხებ სიტყვებში¹: ააჰუ-
დი (ჩიქ. I, 4, 6) — ებრაელი; ბერძ. დულა (ყიფ. I, 74, 7) —
საქმე; ბერძ. ფილა (ჩიქ. II, 107, 18) — ათასი; აააშ
(თურქ.) — ნელა; ააზი (თურქ.) — ზაფხული; აალი (თურქ.)
(ჩიქ. II, 86, 8) — ერბო; ააშილი (← რუს. ящик, ჩიქ. II, 105,
31); ლობა: ლობა თურჩა ენ, ჩქინ ხაჯი ბუწუმელთ (ჩიქ.
II, 5, 11) — „ლობა“ (ლობო) თურქულია, ჩვენ „ხაჯის“ ვუწო-
დებთ (შდრ. მეგრ. ლებია, — ყიფ., მეგრ. ლექს., 272) — ლობიო);
ჰეჰააე (ყიფ. I, 16, 12) — ზღაპარი (თურქ.) და სხვ. მისთ.

§ 39. ეა → ია → ჯა: გაატკვაცუ, გაატკვაცუ (← გე-
ატკვაცუ, ყიფ. I, 55, 25) — დაახტა, დაახტა; ია კოჩის
გათხოზუ (← გეათხოზუ, ჩიქ. I, 9, 17) — იმ კაცს დაედევნა;
გაჯინუ (← გეაჯინუ, ჩიქ. I, 55, 1) — დააწვა; გააკიბინუ
(← გეაკიბინუ, ჩიქ. I, 101, 23) — უკბინა; ქოგააკნუ (← ქო-
გეაკნუ, ჩიქ. II, 10, 19) — ხელი სტაცა; ქოგააგერეტუ (← ქო-
გეაგერეტუ, ჩიქ. I, 111, 10) — დაჩვეოდა (შდრ. ვიწ.-არქ. ჰეა,
ხოფ. ია 'ის') ნჯას ვარ ძალეტუ (← ეალეტუ., ელ.
58, 18) — ხეზე ვერ აღიოდა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მეგრულში აღმავალი დიფთონგიზაცია ისეთ
შედევს არ იძლევა, როგორიც ჭანურში დასტურდება: ეა იძლევა
ია-ს, მაგრამ უკანასკნელი საფეხური ჯა არა გვაქვს, მაგ.: მეგრ.
ქიეანა (ყიფ., მეგრ. ტექს., 6, 13) — ქვეყანა; ოტობაიაში ფ-ც და-
კარგულია და წარმოითქმის: ქიანა; ქიეანა'ში გარდა იმისა,
რომ ფ დაკარგულია, ყ → ე-ს: ქიეანა → ქიეანა → ქიანა. ამ
გზით არის მიღებული მეგრულში: წიარი: წევარი → წეარი

¹ არნ. ჩიქობავა, ჭან. გრამ. ანალიზი, გვ. 13.

→ წიარი; ტიანი: ტევანი → ტეანი → ტიანი.

მეგრ. მიართენი (← მეართენი, ყიფ., მეგრ. ტექს., 48, 24) — მიესვლება;

მეგრ. იაფშე (← ეაფშე, იქვე, 32, 32) — აეესო.

§ 40. ეო → ეო: თუნელი ონთხორუს გეოქეუ (← გეოქეუ, ჩიქ. I, 35, 36) — ტუნელის გათხრა დაიწყო; მოლაქ-თი ოაიდეფე გეონქეუ (← გეონქეუ, ჩიქ. I, 10, 16) — მოლამაც წარბები დასწია; კან. გეობუნ (← გეობუნ) — აბია, ჰკილია, მეგრულში გეაქეს: გეობუნ (5) (შდრ. ლექს., 250); ქოგეონჯირუ (← ქოგეონჯირუ, ყიფ. I, 34, 30) — დააწვინა; გეოწკედუ (← გეოწკედუ, ყიფ. I, 35, 9) — დახედა; ეოფშუ (← ეოფშუ, ჩიქ. II, 13, 5) — ააესო; გეოლუ (← გეოლუ, ჩიქ. II, 123, 30) — ჩამოვარდა; ქოგეოხუნუ (← ქოგეოხუნუ, ჩიქ. I, 109, 30) — დააჯინა; მეგრ. კუჩხი მიოგე (← მეოგე, ყიფ., მეგრ. ტექს., 33, 10) — ფეხი ჰკრა; მეგრ. ხეიოლი (← ეოლი, ხუბ. I, 14) — ხელი აიღე, მაგრამ პარალელურად დასტურდება: წყარი ეობეს ეირხორქ (იქვე, 272, 5) — წყალი ამოასხეს ორივემ.

§ 41. ეუ → ეუ: სო ეულურ (← ეულურ) დო სო გეულურ (← გეულურ, ყიფ. I, 24, 9) — სად აღიხარ და სად ჩამოდიხარ (შდრ. მეგრ. ეულა — ამოსვლა); გეუსტუ დო გეანთხუ (ჩიქ. I, 93, 3) — დაუსხლტდა და დაეცა; ქეუქოფუ (← ქეუქოფუ, ჩიქ. I, 109, 9) — უყიდა; ქეუხთუ (← ქეუხთუ, ჩიქ. II, 9, 3) — ამოუვიდა და სხვ.

§ 42. კანურში აღმავალ დიფთონგებში ე ბევრ შემთხვევაში მიღებულია რ-ს ა, ე, ი ხმოვნებთან შეერთებითა და აღმავალი დიფთონგიზაციის გზით, მაგ.: ბინჯიქარე (← ბინჯირარე, ულ., 41, 28) — დავიძინებ; დოხოთოდეფექ (← დოხოთორეფექ, იქვე, 40, 18) — ექიმებმა; სი მუ ულნოსე ბერე მე? (ჩიქ. I, 18, 26) — შენ რა უკეთუ ბიჭი ხარ; (შდრ. მეგრ. მუ მე? (← მუ რე) — რა არის); შედეფე (← შერეფე, ყიფ. I, 1, 4) — ნიეთები და სხვ.

§ 43. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეგრულში აღმავალი დიფთონგების შექმნაში მონაწილეობს ლ, მაგ.: ბანძურ-მარტვილურ თქმაში დასტურდება ასეთი ფორმები: ალაბი (← ალაბი, ყიფ., მეგრ. ლექს., 193); დალაქი (← დალაქი, იქვე 222); მადას

(← მაღას, იქვე, 275) — ჩქარა; მეა (← მელა, იქვე, 279); მაგვანი (← ლაგვანი, იქვე, 269) — ქვეერი; აადირი (← ლადირი, იქვე, 270) — ნელი; ბუდეკი (← ბულეკი, იქვე, 209) — ბოლოკი; მედე-მოდე (← მელე-მოლე) — გაღმა-გამოღმა; დუკა (← ლუკა, იქვე, 274) — ლუკმა; დური (← ლური, იქვე) — ძილი (იხ. ზემოთ § 20) და სხვ.

§ 44. ჰანურის ათინურ კილოკავში არის შემთხვევები, როცა აღმავალი დიფთონგი მიღებულია ყ-ს ხმოვანთან შეგუებისა, გადგვარებისა და იოტად ქცევის გზით¹; მაგ.: ლოა (← ლოყა) — ტბილი; მეაფერი (← მეყვაფერი) — მაწონი; ოაზუ (← ოყაზუ) — გათლა; მევოაუმ (← მევოყუმ) — მიყვები; ვიწეს ნანა მიჰონუნ (← მიყონუნ), ჯუმა მიჰონუნ, და მიჰონუნ (ჩიქ. II, 4, 20) — ვიწეს დედა მყავს, ძმა მყავს, და მყავს; ფუჯი ქომოაონეს (← ქომოყონეს, ყიფ. I, 37, 7) — ძროხა მოიყვანეს; არ ბერე უაონუტუ (← უყონუტუ, იქვე, 27, 2) — ერთი ბიჭი ჰყავდა: სერი დიჰუ (← დიყუ, იქვე, 76, 8) — დაღამდა და სხვ.

§ 45. როგორც აღვნიშნეთ, ზოგ შემთხვევაში აღმავალი დიფთონგის წარმოქმნისათვის ხელი შეუწყვია ჯ-ს პალატალიზაციას, მის ხმოვანთან შეგუებასა და იოტად ქცევას, მაგ.: ჯალეფეში აოხო (← ჯოხო, ყიფ. I, 74, 18) — ხეების სახელები; დღალეფეში აოხოფე (← ჯოხოფე) ვა მიშქუნან (ჩიქ. II, 101, 14) — დღეების სახელები არ ვიცით; დიდაქ ბადის უაოხუ (← უჯოხუ, ყიფ. I, 77, 33) — დეიღამ (ჰამიღამ) მოხუცს დაუძახა.

§ 46. არის შემთხვევები, როდესაც აღმავალ დიფთონგებში პირველ კომპონენტად მონაწილეობს ო და იგი იქცევა ვ-დ, მაგ.: დვაჩოდუ (← დოაჩოდუ, ჩიქ. I, 28, 24) — დამთავრდა; დილო დვაქკინდუ (← დოაქკინდუ, იქვე, 38, 17) — ძალიან დაიღალა; ეშშელინ დვაქუ-ში (← დოაქუ ში, იქვე, 11, 3) — ვირს რომ დაწვა; ოქკომალე დვაჩოდეს (← დოაჩოდეს, ყიფ. I, 5, 14) — საკმელი გაუთავდათ; ბაბა მუში დვოშლეთინუ (← დო-ოშლეთინუ, ჩიქ. II, 138, 17) — მამა მისი დაიხსნა; ბოზომოთა ოქოფუ, დვოშქიდუ (← დო-ოშქიდუ, იქვე, 138, 23) — შვილი-შვილი დაიჭირა და დაახრჩო; თი წარი გვობასი (← გო-ობასი,

¹ არნ. ჩიქობავა, ჰან. გრამ. ანალიზი, გვ. 13.

ჩიქ. II, 124, 14) — თავზე წყალი გადაასხას; გუდა გვოწეს (← გო-ოწეს, იქვე, 137, 14) — ტყავი გახადეს და სხვ.

§ 47. აღმავალი დიფთონგის წარმოქმნას ბევრ შემთხვევაში ხელს უწყობს უ → ჭ, მაგ.: ქუალი (← ქუვალი, ჩიქ. I, 60, 3) — პური; მეგრ. ყუა (ყიფ., მეგრ. ლექს., 421) — შუბლი; ჯუა (იქვე, 416) — ძუა, მეგრ. ჯგუა (← ჯგურა, იქვე, 412) — მსგავსი; მეგრ. ქუაში თუდო (იქვე, 6, 12) — ქვის ქვეშ; დიდა ქუა (იქვე, 6, 30) — დიდი ქვა, პარალელურად ქტა (იქვე, 346); კან. მჟუა (← მეორა, ჩიქ. I, 45, 31) — მზე; კან. ტუათე მოკილდი (ჩიქ. I, 14, 19) — ტომრით მოკიდებული; ტუას ქოდოლოდვეენ (ჩიქ. I, 14, 6) — ტომარაში ჩაუდვია; მეგრ. თქუა: თქუა მუზგმა ჯიმა რეთ? — თქვენ რამდენი ძმა ხართ; შდრ. კან. თქტან ნაკო ნჯუმა რეთ? (მარი, 120) — თქვენ რამდენი ძმა ხართ? კან. თქტანი (მარი, 101) — თქვენი; შდრ. მეგრ. თქუანი; კან. ხტალა (მარი, 97) — მხოლოდ; შდრ. მეგრ. ხუალე; მეგრ. ფ-სუა || სუა (ყიფ., გრამ., 4) — ფრთა; შდრ. კან. სტა — მრ. მ-სვაეფე (ჩიქ. I, 82, 16) — ფრთები; კან. მსქტა (ყიფ. I, 92, 31) — ლამაზი; (შდრ. მეგრ. სკუამი; შდრ. მეგრ. კარტა → კარუა 'წერა'; ყტილუა → ყვილუა 'კვლა')¹; უე || ტე: კან. ოხორჯა უხტენე რენ (ელ., 64, 33) — ქალი ფეხმძიმედ არის; კან. მ-გტერი (მარი, 136) — მგელი; შდრ. ხოფ. მ-გერი, მეგრ. გტერი (ყიფ., მეგრ. ლექს., 216) — გველი; მეგრ. კტერი: უწუუ კტერი კოჩქ' ყიფ., მეგრ. ტექს., 23, 17) — უთხრა კქვიანმა კაცმა; მეგრ. გტერდი (იქვე, 216) — ნახევარი და სხვ.

§ 48. დამავალი დიფთონგების ნიმუშებია:

აჟ: კატლი ვეს (ელ., 48, 11) — სანაძლეო დაღვეს;

ეჟ: ეძსელეს (ყიფ. I, 35, 35) — აღგნენ; შეტანი (იქვე, 29, 28) — ეშმაკი (შდრ. შეითანი, ჩიქ. I, 25, 14);

აჟ: მა კოჩი დრმაღლუ (ყიფ. I, 30, 9) — მე კაცი შემომაკვდა; მეგრ. კაჟმახა (← კალმახა, ყიფ., მეგრ. ლექს., 251) — კალმახი;

ოჟ: დოღლეს (იქვე, 25, 6) — მოკლეს; კადრქ გოჟტუ, იგზალუ (იქვე, 33, 38) — კადი გაბრუნდა, წავიდა.

კანურის ათინურ კილოკავში დასტურდება რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ხ-ს დასუსტებით ვილებთ იოტს და წარმოიქმნება-

¹ И. Кипшидзе, Грамм. мянгр. яз., გვ. 5.

დამავალი დიფთონგი, მაგ.: წარი ოშვე (← ოშვეს, ჩიქ. II, 109, 25) — წყალი დალიეს; წარი შუმტე (იქვე, 109, 25) — წყალს სვამდნენ; ოხორი დოწოფხე (← დოწოფხეს, იქვე, 109, 16) — სახლი მოაწყვეს და სხვ.

ანალოგიური შემთხვევები ს-ს დასუსტებისა და იოტად გადაქცევისა დასტურდება ქართლურსა და ქიზიყურში, მაგ., ქართლური: მიდე (← მისდე); გადმოძახა (← გადმოსძახა), ბოტანი (← ბოსტანი)¹ და სხვ. ქიზიყურში: დაადგა თავი ძმიე გზა (= ძმის გზას); წყლი პირა (= წყლის პირას); მაგის დაკვლა რაა გამაარჩებო (= დაკვლას რას გამასრჩებო)² და სხვ.

ზემოთ განხილული აღმავალი და დამავალი დიფთონგები, ჩვენი აზრით, უფრო ცრუ დიფთონგების სახეებია, ვიდრე ნამდვილი დიფთონგებისა, ვინაიდან ამგვარი დიფთონგების წარმოქმნაში მონაწილეობენ ა და უ³.

4. ხმოვანთა პოზიციური სიგრძე

§ 49. ქანურ-მეგრულს ბუნებრივად ანუ ისტორიულად გრძელი ხმოვნები არა აქვს. სამაგიეროდ ხშირად დასტურდება, განსაკუთრებით მეგრულში, ხმოვანთა გაორმაგების გზით მიღებული პოზიციური სიგრძე. ხმოვანთა პოზიციური სიგრძის წარმოშობის საფუძველია ასიმილაცია; რიგ შემთხვევაში ხმოვანთა პოზიციური სიგრძე წარმოშობილია ორი ერთად შეხვედრილი ხმოვნის გაერთიანებით; მაგ.: მეგრ. ამბეე მიღებულია ამბავი 'საგან ჯერ ვ-ს დაკარგვითა და შემდეგ საურთიერთო ასიმილაციით: ამბავი → ამბაი (შდრ. ქან. ამბაი) → ამბეი → ამბეე → ამბე... ამგზითა მიღებული მეგრულში ნათესეე: ნათესავი → ნათესაი → ნათესეი → ნათესეე; საფულეე 'საფლავი': საფულავი → საფულაი → საფულეი → საფულეე; კარეე: კარავი → კარაი → კარეი → კარეე⁴ და სხვ. მისთ.

¹ ვ. თოფურია, ქართლური: არილი, 1925 წ., გვ. 129—130.

² არნ. ჩიქობავა, ს ბგერის დასუსტება ქიზიყურში: ენიმკი-ს მოამბე, I, 1937 წ., გვ. 67.

³ М. И. Матусевич, Введение в общую фонетику, 1948., გვ. 60—61.

⁴ А. Цагарели, Мингр. этюды, II, გვ. 6—7; ი. ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1919, № 1, გვ. 7.

იანგეე: იაგავი (|| იგავი) → იაგაი → იაგეი → იანგეე (ნგანვითარებულია!) (ყიფ., მეგრ. ლექს., 247); ხვეე: ხვაი → ხვაი → ხვეი → ხვეე → ხვე (იქვე, 403); (შდრ. გურული: ბაბაი → ბაბეი → ბაბე; ნენაი → ნენეი → ნენე).

ზემოთ განხილულ მაგალითებში უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს საურთიერთო ასიმილაციასთან; ჯერ აი რეგრესული ასიმილაციით იძლევა ეი-ს, ხოლო შემდგომ პროგრესული ასიმილაციით მიღებულია ეე, მაგ., მეგრ. მაი სი → მეი სი → მეესი → მესი (ყიფ., მეგრ. ლექს., 279); ნაირი → ნეირი → ნეერი → ნერი (იქვე, 288); აერეგრესული ასიმილაციით იძლევა ეე-ს: ჰაერი → ჰეერი (იქვე, 417); ზავება → ზაება → ზეება (იქვე, 235); გოთეება: გოთავება → გოთაეება → გოთეება (იქვე, 239) — გათავება (შდრ. სენ. (ბზ.) ხმოვნის პოზიციური სიგრძე: პემან ← პემანი)¹.

ეი პროგრესული ასიმილაციით იძლევა ეე-ს: ველი → ვეი → ვეე → ვე: ვეს წიმოხუ ემერი (ყიფ., მეგრ. ტექს., 128, 18) — ველზეა წამომხოზილი იქ (შდრ. სენ. (ბზ.) კესარ ← კეისარ-ი)².

დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ეი რეგრესული ასიმილაციით იძლევა იი-ს, მაგ.: შეიძლება → შიიძლებე → შიილებე: მუთჲ შიილებე ზუგდიდში ულა? (ყიფ., მეგრ. ტექს., 2, 15) — რით შეიძლება ზუგდიდში წასვლა? (შდრ. იქვე: შილებე 1, 7); დემი → დეი → დიი (ყიფ., მეგრ. ლექს., 234) — დევი; ქან. იიწკედუ ← ეიწკედუ: ცას იიწკედუ (ჩიქ. I, 36, 5) — ცაზე აიხედა; ქან. მთვიი (← მთვირი) ქომოხთუ, მთვიი! იისელი, იისელი (← ეისელი), აიშე! (ჩიქ. I, 102, 12) — თოვლი მოვიდა, თოვლი! ადექი, ადექი, აიშე!

ზოგჯერ ორ ერთნაირ ხმოვანს შორის ვინის დაკარგვის საფუძველზე წარმოიშვება ხმოვნის პოზიციური სიგრძე, მაგ., მეგრ. პატიი (← პატივი): ათე ბოშის პატიი ქოფცათია (ყიფ., მეგრ. ტექს., 36, 17) — ამ ბიქს პატივი ვცეთო (შდრ. სენ. (ბზ.) კილ ← კივილ-ი)³; მეგრ. ლეჩავა → ლეჩაა (ყიფ., მეგრ. ლექს., 273) — გვარია; გვილავა → გვილაა (იქვე, 216); პაპავა → პაპაა და სხვ. მისთ. (შდრ. სვანურში წარმოშობილი ხმოვანთა პოზიციური

¹ ჩენი: სვან. ფონეტ., გვ. 75.

² იქვე.

³ იქვე.

სიგრძე სიტყვებში: ბზ. ყ ა რ (← ყ ა ვ ა რ - ი), ბზ. თ ა რ ი ნ გ ზ ე ლ (← მ-თავარანგელოზ-ი)¹. მეგრ. შ ა ა რ დ ე ნ ი (← შ ა ვ ა რ დ ე ნ ი, ყიფ., მეგრ. ლექს., 355).

მეგრულში ბ ქ ა რ უ ნ დ ე ე, ქ ა რ უ ნ დ ე ე -- ვწერდე, წერდე მიღებულია ფორმებისაგან: ბქარუნდერე, ქარუნდერე რ-ს ხმოვნებს შორის ვოკალიზაციის საფუძველზე. ეე მიღებულია ერე-საგან, რომელიც სვანურში ნიშნავს „რომ“-ს, ხოლო ქანურის ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკავეებში აწარმოებს მყოფადს კავშირებითი მეორისაგან².

§ 50. მეგრულში არის ხმოვნის გაორმაგების სხვა შემთხვევებიც, რომლებიც წარმოშობენ ხმოვანთა პოზიციურ სიგრძეს, მაგ., რ ა გ ა დ ა ა ნ ს || რ ა გ ა დ ა ნ ს (ყიფ., გრამ., 011) — ლაპარაკობს.

განსაკუთრებით ხშირია ხმოვანთა პოზიციური სიგრძის შემთხვევები სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში შემდეგ მაგალითებში:

ი ე უ უ — იყო: თი აფხანაკიქ წაგებურქ ი ე უ უ (ყიფ., მეგრ. ტექს., 5, 5) — ის ამხანაგი წაგებული იქნა (შდრ. იეუ თაქ ბრელი რაგადიქ, ხუბ., 30, 31); გელმღ ლეკური, მურქუ ძღაბის (ხუბ., 224, 13) — ამოიღო ხმალი, მოუქნია გოგოს;

ქოდგნიჯირუ ფილუკასგ დო ქოდილურუუ (ყიფ., მეგრ. ტექს., 5, 30) — დაწვა ფელუკაში და დაიძინა;

ადამიანქ უწუ (ხუბ., 1, 4) — ადამიანმა უთხრა;

უწუ ბადიდიქ (ხუბ., 243, 27) — უთხრა მოხუცმა (შდრ. ქან. უწუ);

უწუ ვაქარქ (ხუბ., 230, 10) — უთხრა ვაქარმა;

თქუ ბოშიქ (ხუბ., 2, 29) — თქვა ბიჭმა;

თქუ ლევანქ (ხუბ., 2, 5) — თქვა ლევანმა;

კითხუ (ხუბ., 10, 10) — კითხა;

მიწუ (ხუბ., 43, 20) — მითხრა;

ცირაქ ირფელი ქეჩუ დიდა დო მუმას (ხუბ., 43, 28) — გოგომ ყველაფერი ელაპარაკა დედას და მამას;

დოქუ ძღაბიქ ბალიში (ხუბ., 13, 27) — შეკერა ქალიშვილმა ბალიში;

¹ ჩენი: სვან. ფონეტ., გვ. 76.

² არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952 წ., გვ. 248 — 249.

დაბოლჸ მენცარქ (ხუბ., 16, 27) — დაბოლავა მარჩიელმა;
 რაგადჸ ხანქ (ხუბ., 18, 34) — ილაპარაკა ხანმა;

მაჟია კირხინი გათჸ რაშიქ (ხუბ., 31, 3) — მეორე კიხვინი
 გაათავა რაშმა და სხვ.

(შდრ. ი. ყიფშიძის მიერ ჩაწერილი ვიწური ტექსტები: „მან“-
 ია, — უწუუ, — ოში დო ეჩი მანათი ქომილუნ“-ია, უწუუ. — „ჰეკო
 მციქა ფარაშა ვარ იქუმს“-ია, უწუუ...“ (ყიფ. I, 57, 27—28)—
 მეო, — უთხრა, — ას ოცი მანეთი მაქვსო, უთხრა. — „ასე იაფად
 („ასე მცირე ფულად“) არ იზამსო („იქმსო“).

ი. ყიფშიძეს ჯვარული თქმის მიხედვით ნაჩვენებო აქვს: მი-
 წოუ || მიწუუ — მითხრა; ვუწეი || ვუწიი — ვუთხარი. ამ მონა-
 ცემების მიხედვით მეგრ. მიწუუ და უწიი მიღებულია რეგრე-
 სული ასიმილაციით: მიწოუ და ვუწეი ფორმებისაგან. წვ ძირი
 მომდინარეობს წუ'საგან და მას მესამე პირში ემატება პირის ნი-
 შანი უ, რომელიც მეგრულში ჩვეულებრივ პოზიციურ სიგრძეს
 წარმოშობს, კანურში კი არა¹.

ზემოთ დასახელებული მაგალითების მიხედვით ნათლად ჩანს,
 რომ მეგრული წარმოთქმის ძირითადი ტენდენციაა პოზიციურად
 მიღებული გრძელი ხმოვანი აქციოს არაგრძელ, ჩვეულებრივ ხმოვ-
 ნად (შდრ. მეგრ. მესი: მაისი → მეისი → მეესი → მესი; ხვე:
 ხვაეი → ხვეი → ხვეე → ხვე და სხვ. მისთ.), ასეთი ტენდენცია
 ბუნებრივად გრძელი ხმოვნებისათვის უჩვეულოა.

¹ არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი,
 გვ. 393.

B. ქონსონანტიზმი

§ 51. ქანურ-მეგრულის თანხმოვანთა სისტემა იმეორებს ქართულის თანხმოვანთა სისტემას მცირეოდენი განსხვავებით.

ქანურ-მეგრულს, მსგავსად ქართულისა, ახასიათებს სამეულებრივი სისტემა:

ბ	ფ	პ
დ	თ	ტ
ძ	ც	წ
ჯ	ჩ	ჭ
გ	ქ	კ

რაც შეეხება მეექვსე სამეულს (—ჟჟ), იმის გამო, რომ ქანურ-მეგრულში ქართულთან შედარებით დასტურდება ხახის მოქმედების შესუსტება, ამის საფუძველზე ფარინგალთა არტიკულაციური ცვლა მომხდარა, ზოგჯერ ფარინგალთა სრული მოშლა დასტურდება.

ქართულში მეექვსე სამეული (— ჯ ყ) „დეფექტურია“, აკლია მეღერი ხშული ფარინგალი. ახალ სალიტერატურო ქართულში ჯ-ც დაიკარგა, იგი შემოგვინახა ზოგიერთმა მთისა და ბარის კილომ. სამაგიეროდ სვანურში ფარინგალთა მეექვსე სამეული სრული სახით დასტურდება¹. სვანურში დღეს მეღერი ხშული ფარინგალი 'დ ნაშთის სახით დასტურდება, ხოლო ფშვინიერი ჯ და მკვეთრი ყ მკვიდრი ბგერებია.

ქანურ-მეგრულში 'დ და ჯ უკვალოდ არის დაკარგული. რაც შეეხება ყ-ს, ზოგ კილოკავში იგი დაცულია, ზოგში კიდეც სხვადასხვა სახის რეფლექსებს იძლევა.

1. ყ და მისი რეფლექსები

§ 52. ყ უცვლელად არის დაცული ქანურის ზოფურ კილოკავში, მაგ.: ყა (ჩიქ. 1, 9, 12) — ტოტი, შტო (შდრ. მეგრ. ყა);

¹ ჩვენი: სვან. ფონეტ., გვ. 141 — 150.

ყალბეფე (იქვე, 127, 4) — ტოტები (შდრ. ყაეფე, იქვე, 158, 30); დიდო ყინი იყუ (იქვე, 43, 8) — ძალიან სიცივე იყო; ყვალ (იქვე, 21, 19) — ყველი; ყონა (იქვე, 16, 8) — ყანა; ნანი-ნანიქ მუყუ? (იქვე, 29, 5) — იავ-ნანამ რა ქნა?; ლოყა (იქვე, 72, 6) — ტკბილი; შარაბი ყურძენიში რენ-მა (იქვე, 28, 17) — ლეინო ყურძნის არისო; ყუჯი (იქვე, 109, 18) — ყური; ოყუჯე (ყიფ. I, 8, 33) — საყურე (შდრ. ყუჯის დოლოკიდარე — ყურსაკიდი); დვაყოროფუ-მა (ჩიქ. I, 15, 20) — შეუყვარდო; მინდიყონუ (იქვე, 4, 12) — წაიყვანა; არ მჩხუი უყოუნტეენ (იქვე, 17) — ერთი ცხვარი ჰყოლია; მო ყვილუფ-მა (იქვე, 6, 33) — ნუ კლაო და სხვ.


ყველა დასახელებულსა და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში ვიწურ-არქაბულსა და ათინურში ყ იძლევა **ყ**-ს (მაგ., ცინი, ცუჯი, ყონა და სხვ.) ან **კ**-ს (მაგ., კვალი და სხვ.) ან კიდეც **ჯ**-ს (მაგ., მიჯონუნ, ლოჯა და სხვ.).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სპორადულად ყ გვხვდება ვიწურ-არქაბულსა და ათინურშიც, მაგ.: ათინ. ყურძენი (ჩიქ. II, 109, 18); (შდრ. იმავე ათინურში: ურძენი, — ყიფ. I, 74, 14); ვიწ.-არქ. ყინი (ჩიქ. II, 3, 6) — ცივი; მციქა ყინი (იქვე, 4, 13) — ცოტა ცივი; „ყას“ ტოტი უწუმელან (იქვე, 8, 17) — „ყას“ ტოტს უწოდებენ; ვიწ.-არქ. დოყაზუმან (იქვე, 31, 34) — დათლიან და სხვ.


§ 53. მეგრულში ყ ხმოვნის წინ შეგუებულია რა ხმოვანს, გადაგვარებულა და, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ხელი შეუწყვია მაგარ-შემართვიანი ხმოვნების წარმოშობისათვის (მაგალითები იხ. ზემოთ § 25), თუმცა ყ მეგრულში სპორადულად დასტურდება დღეს ხმოვნისა და სონანტ **გ**-ს წინაც, მაგ.: ყარული || ყარულლი (ყიფ., მეგრ. ლექს., 354) — ყარაული; ყაზახი || ყაზაყი (იქვე, 354); ყვარილი (იქვე, 354) — ყვერული; ყვარანი (იქვე) — ყორანი; ყვინთელი (იქვე, 354) — ყვითელი; სენაქ. ყურძენს (ყიფ., მეგრ. ტექს., 1, 15) — ყურძენს (შდრ. იქვე: სამურზ-ზუგდ. ყურძენს 2, 23); ყარუა (იქვე, 354) — შე-ყრა; ყორყელი (იქვე, 355) — ხორხი, ყორყა; ყაყალი (იქვე, 354) — ყიყინი და სხვ.

მეგრულში ყ არტიკულაციურად თუ რამდენად წინ წამოწეული ბგერაა, ეს ნათლად ჩანს პალატოგრაჰმის მიხედვით (ფიგ. 30).

მეგრული ყ-ს პალატოგრამით სიტყვაში „ყაიონი“ („ყალიონი, ჩიბუხი“) ირკვევა, რომ ყ-ს წარმოთქმისას სიბრძნის კბილების არეში უკანა ენის მცირე შეხების კვალი რჩება; იმ არეში უფრო ფართოა შეხების ზოლი მეგრული კ-ს წარმოთქმისას სიტყვაში კაკაი (ფიგ. 31).



ფიგ. 30.



ფიგ. 31.

ჯერ კიდევ ალ. ცაგარელმა აღნიშნა, რომ მეგრულის ჰარმონიულ კომპლექსებში ყ დაცულია უცვლელად¹, მაგ.: ტყა (ყიფ., მეგრ. ლექს., 33) — ტყე; ტყები (იქვე, 33!) — ტყავი; ტყეება (იქვე, 331) — შეტყობა; ტყობუა (იქვე, 331) — მალვა; ტყურა (იქვე, 332) — ტყუილი; წყარი (იქვე, 384) — წყალი; წყი || წყიი (იქვე, 384) — წყავი; წყუნაფა (იქვე, 385) — ტკივილი; წყურიში (იქვე, 385) — კვირისთავი; ჭყალა (იქვე, 393) — წყევლა; ჭყაფა (იქვე, 394) — დიწყება; ჭყანჭყუა (იქვე, 394) — ჭყლეტა; ჭყეშუა (იქვე, 394) — მწყესვა; ჭყოლოფუა (იქვე, 395) — წყალობა; ჭყონი (იქვე, 395) — მუხა; ჭყორი (იქვე, 395) — მწყერი და სხვ.

მეგრულში თითო-ორი ზემოთხევა მაინც დასტურდება, როდესაც ჰარმონიული კომპლექსის ყ იცვლება კ-დ, მაგ.: ტყუპი || ტკუპი (ყიფ., მეგრ. ლექს., 329) — ტყუპი; ტყვაცი || ტკვაცი (იქვე, 329) — მეხის გავარდნა და სხვ.

§ 54. აღსანიშნავია, რომ მეგრულისაგან განსხვავებით ქანურის კილოკავებში ჰარმონიული კომპლექსები ტყ, წყ და ჭყ ვერ ძლებს. ამ კომპლექსებში ყ იცვლება კ-დ ხოფურსა და ვიწურ-არქიბულში, ათინურში კ-ც ვერ ძლებს და იკარგება².

¹ Ал. Цагарели, Мнгр. этюды, II, გვ. 25.

² არნ. ჩიქობავა, ჰან. გრამ. ანალიზი, გვ. 17.

მეგრული	ხოფ.-ვინ.-არქ.	ათინური	
წყირი	მწყირი	მწირი	რწყილი
წყარი	წყარი	წარი	წყალი
მაწყუნუ(ნ)	მაწყუნენ	მაწუნენ	მტკივა
ორწყედუ	ოწყედუ	ოწედუ	ხედავდა
ტყები	ტყები	ტები	ტყავი
ორტყაფუ	ოტყაფუ	ოტაფუ	სარტყელი
ტყარი	მტკორი	მტორი	ტყიური
ტყობაშა	ტყობაშა	ტობაშა	საიღუმლოდ
გოოქყუ	გოოქკუ	გოოქუ	დაიწყო
ლექჳვა	ლემქკვა	ლემქვა	ნერწყვი
ქყონი	ქკონი	ქონი	მუხა და სხვ.

არნ. ჩიქობავას ჭამდენინე ისეთი შემთხვევაც მოჰყავს, როდესაც **ტყ** და **ქყ** კომპლექსებში, მსგავსად მეგრულისა, **ყ** დაცულია: ტყუბი — ტყუპი; ქყინტი — ქყინტი; კოქყოფი — „ქონქყოფი“; ქინქყვალა — შიგნეულობა; მუნქყვი — მაჩვი¹.

§ 55. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული (იხ. § 25), ქანურ-მეგრულის კილოკაეებში ხშირ შემთხვევაში **ყ** ხმოვნების წინ იძლევა **ც**-ს და წარმოშობს მაგარშემართვიან ხმოვნებს.

აღ. ცაგარელმა პირველმა აღნიშნა მეგრული ბგერითი სისტემისათვის დამახასიათებელი ბგერა **ც**. მანვე შემოიღო მეგრული ტექსტების ჩასაწერად გრაფიკული ნიშანი **ც**, რომელიც წარმოადგენს პირუტყუშეკცეულ ქართულ **ყ**-ს. გარდა ამისა, აღ. ცაგარელი შეეცადა გაერკვია ამ ბგერის არტიკულაციური და აკუსტიკური ბუნებაც. ის წერდა: „ბგერა **ც** ისეთივე წარმოშობისაა როგორც **ყ**, ოღონდ პირველი ამ უკანასკნელზე ნახევრად უფრო სუსტია რაოდნობრივად და თვისობრივად. სახელდობრ, ამ ბგერის წარმოთქმისას არ არის საჭირო ერთმანეთთან ძლიერად მიკერა იმ ორგანოებისა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ამ ბგერის წარმოთქმაში. ენის საფუძველი იწევს რა ზევით, ის ოდნავ ეხება

¹ არნ. ჩიქობავა, ქან. გრამ. ანალიზი, გვ. 18.

რბილი სასის ბოლოს. ჰაერნაკადი გადალახავს რა ამ დაბრკოლებას, გამოსცემს **ც** ბგერას, რომელიც თავისი სიმალლითა და ხანგრძლიობით უფრო ნაკლებ ინტენსიურია, ვიდრე **ყ** ბგერა¹.

აღ. ცაგარელი **ყ**-ს არტიკულაციას იშველიებს იმისათვის, რომ **ც**-ს შესახებ მიახლოებითი წარმოდგენა მაინც მოგვეცეს. ალბათ, ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მეგრულში **ც** ყველა შემთხვევაში წარმოშობილია **ყ**-საგან, იგი მეორეულია. ავტორისავე დაკვირვებით, სიტყვათა იმ ძირებში, რომლებიც მეგრულს ქართულთან აქვს საერთო, უმეტეს შემთხვევაში, ქართული **ყ** მეგრულში გადასულა **ც**-ში. ავტორის აზრით, **ც** მეგრულში იმდენად გავრცელებული ბგერაა, რომ $\frac{2}{3}$ შემთხვევისა მოდის **ც**-ს ხმარებისა და მხოლოდ $\frac{1}{3}$ შემთხვევაში დასტურდება **ყ**. განსაკუთრებით მასობრივია **ყ**-ს **ც**-ში გადასვლა მეგრულ-ქანურში სიტყვის თავში ხმოვნის წინ და სიტყვის შუაში ხმოვანთა შორის. აღ. ცაგარელს **ც** ადგილის წარმოების მიხედვით შეაქვს ხორხისმიერებში, გვარობის მიხედვით — ყრუ ნაპრალოვნებში.

ი. ყიფშიძე „მეგრული ენის გრამატიკაში“ მოცემულ „თანხმოვანთა კლასიფიკაციის ტაბულაში“ (II) **ც**-ს მიიჩნევს ადგილის წარმოების მიხედვით ხორხისმიერად, ხოლო გვარობის მიხედვით კი — მჟღერ ხშულად (გვ. 4), თუმცა ავტორს იმავე გვერდზე **ც** სპირანტებს („ჰ, ყ, ჯ, ჴ“ *спиранты*¹) შორისაც აქვს დასახელებული. ი. ყიფშიძე მეგრულ **ც**-ს ამავე დროს არაბული ალიფისებურ ბგერად მიიჩნევდა და „ტაბულაში“ (I) ასეც უწოდებს მას. ნ. იუშმანოვი არაბული ალიფის წარმოთქმის ფიზიოლოგიას ასე ახასიათებს: „ყელის სკდომა (მსუბუქი ჩახველება)“².

§ 56. მეგრულ-ქანური **ც**-ს გრაფიკული მეთოდით შესწავლამ საშუალება მოგვცა **ც**-ს წარმოთქმისას გაგვეთვალისწინებინა სახმო სიმებისა და ხორხის მოქმედების სურათი (იხ. § 26).

ექსპერიმენტული მონაცემებით ნათლად დასტურდება, რომ **ყ** როგორც რაოდნობრივად, ისე თვისობრივადაც განსხვავდება **ც**-საგან. **ც**-ს ყრუ სპირანტად მიიჩნევა უმართებულოა, ისე როგორც იგი არც სრულფასოვანი მკვეთრი ხშულია. მას მეტი სიახლოვე

¹ А. Цагарели, Мингр. этюды, II, გვ. 26.

² Н. В. Юшманов, Грамматика литературного арабского языка, 23-7.

მაინც მკვეთრთან აქვს ყიის მომენტალურად ჩაქეტვისა და სკდომის გამო.

მაგარშემართვიანი ხმოვნის წარმოქმისათვის დამახასიათებელი ყიის ჩამკეტი კუნთებისა და სახმო სიმების სკდომის სპეციფიკური მოქმედება ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე ზუსტად აქვთ აღწერილი გ. პანკონჩელი-კალციასა და ე. ფროშელსს¹.

§ 57. არის შემთხვევა, როდესაც ც დასტურდება სონანტ $\text{ვ}(\parallel \text{ჲ})$ ს წინ: მეგრ. ცვანა (შდრ. ვიწ.-არქ. ცონა) — ყანა; მეგრ. ცვა (შდრ. ვიწ. კუა) — შუბლი; მეგრ. ცვალი (შდრ. ვიწ.-არქ. კვალი) — ყველი; მეგრ. ცვერე — ბრმა; ცვილუა (შდრ. ხოფ. ოყვილუ) — მოკვლა; მეგრ. ცვინთაფი — თვლემა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ $\text{ც-ს ვ}(\parallel \text{ჲ})$ სონანტისა და ხმოვანთა წინ შენარჩუნებული აქვს ყ-საგან მომდინარე მკვეთრობისთვისება. ეს იქიდან ჩანს, რომ პირველი სუბიექტური პირის ნიშანი $\text{ვ}\parallel\text{ბ}\text{ც-ს}$ წინ კანურ-მეგრულში წარმოდგენილია კონტაქტური ასიმილაციის საფუძველზე პ-დ. მაგ.: მეგრ. მა დოპილი ($\leftarrow$ დო-პ-ყვილი), სი დოყვილი , თიქ დოყვილგ — მე მოყვალი, შენ მოკალი, მან მოკლა; მეგრ. მა პუნს სქუა (ყიფ., მეგრ. ტექს., 10, 4) — მე მყავს შვილი; პუნს მომდინარეობს პყუნს ფორმისაგან. ც პირველ პირში გაუჩინარებულია და პოტენციალურად არსებობს, ისე როგორც ფორმაში: დოპილი ($\leftarrow$ დო-პ-ყვილი). ეს რომ ასეა, ამას კარგად ადასტურებს მეორე პირის ფორმები: სი რყუნს — შენ გყავს, სი დოყვილი — შენ მოკალი. ც-ს პოტენციალური არსებობა კარგად დასტურდება კანურ სიტყვებში: მა დოპი ($\leftarrow$ დო-პ-ყი), სი დოი ($\leftarrow$ დო-ყი), ჰემუქ დიუ ($\leftarrow$ დიყუ) — მე გავაკეთე, შენ გააკეთე, მან გააკეთა (შდრ. ხოფ. მა პყაზუფ , ვიწ.-არქ. პაზუფ — ეთლი და სხვ.).

§ 58. კანურის კილოკავებიდან ვიწურ-არქაბულისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ყ-ს რეფლექსი ც , ათინურში ყიშვიათად იძლევა ც-ს , უმეტეს შემთხვევაში იგი იკარგვის ან ჯ-ს იძლევა². მაგ.:

¹ G. Panconcelli-Calzia, Die experimentelle Phonetik in ihrer Anwendung auf die Sprachwissenschaft, 1924, 83—48; Э. Фрошеле-льс. Запкание (ассоциативная афазия), перевод с немецкого, 1931, 83. 23.

² არნ. ჩიქობავა, კან. გრამ. ანალიზი, გვ. 15—16.

ხოფ.	ვინ.-არქ.	ათინ.	
ოყვილუ	ოყვილუ	ოჟილუ	კვლა
ყვილი	ღილი	ღილი ილი	ძვალი
ყინი	ღინი	ღინი ონი	ცივი
ყომური	ყომური	ყომბრი ომბრი	ტყემალი
ყურძენი	ყურძენი	ყურძენი ჟრძენი	ყურძენი
ყუჯი	ყუჯი	ყუჯი ჟჯი	ყური
ყონა	ყონა	ყონა ჟონა ონა	ყანა
ჟყონუნ	ჟჟონუნ	ჟჟონუნ ჟონუნ	ყავს
ოყაზუ	ოღაზუ	ოჟაზუ	გათლა და სხვ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ათინურში განსაკუთრებით ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ე მიღებულია არა ყ-საგან, არამედ მაგარი შემართვის საფუძველზე (მაგალითები იხ. ზემოთ § 24).

კანურის კილოკავეებში ჟ რომ ხმოვანთა და სონანტ ვ (|| ჟ)-ს წინ დასუსტებისა და მათთან შეგუების გზითაა მიღებული, ეს საესებით გასაგებია. უფრო რთულ პროცესთან გვაქვს საქმე, როდესაც ჟ ათინურში ხმოვნის წინ იძლევა ჟ-ს, უკეთ რომ ეთქვათ, იოტიან ხმოვანს. ამ შემთხვევაში პროცესი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ყ-ს ხმოვნებთან დასუსტება და შეგუება წარმოშობს მაგარ-შემართვიან ხმოვნებს მაგარშემართვიან ხმოვანთა პალატოგრა-ნებით (იხ. ზემოთ § 28) ნათლად გამოირკვა, რომ მათთვის დამახასიათებელია ღრმად ჟკან გადაწეული არტიკულაცია. ამ შემთხვევაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხმოვანთა ფარინგალიზაცია გვაქვს. ამჟამად ათინურში ფარინგალიზაცია მოშლის გზაზეა, რა-საც ხელი შეუწყვიტ პალატალიზებული, ანუ იოტიანი ხმოვნების წარმოშობისათვის. ეს პროცესი ათინურში ხშირად იოტიანი ხმოვნების გამარტივებით მთავრდება. ამაზე მიუთითებს ათინურ-ში და დასტურებული პარალელური ფორმები: ყონა || ჟონა || ონა; ჟილი || ილი; ჟურძენი || ჟრძენი; ჟუჯი || ჟჯი; ჟჟონუნ || ჟონუნ და სხვ.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა არაბულის დიალექტე-ბის მონაცემები. არაბულ დიალექტებში ხმოვნები ფარინგალუბთან,

ერთი მხრით, იქცევიან ველარიზებულ ხმოვნებად, ხოლო, მეორე მხრით, პალატალიზებულ ხმოვნებად¹. სწორედ ასეთივე ვითარება დასტურდება, ერთი მხრით, ვიწურ-არქაბულისა და, მეორე მხრით, ათინურის კილოკავებში.

ამის მიხედვით ქანურის კილოკავებში პროცესი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: $\text{ყ} \rightarrow \text{ც} \rightarrow \text{ჯ} \rightarrow \text{0}$.

§ 59. არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ყ-ს კ ენაცვლება. ხშირად ვიწურ-არქაბულში და იშვიათად ათინურში ც-ს წინ ყ იცვლება კ-დ². მაგ.:

ხოფური	ვინურ-არქაბული	ათინური	
ყვარი	კვარი	კვარი	ყვაფი
ყვალი	კვალი	კვალი	ყველი
ყვა	კჟა კვა	ლჟა ვა	შუბლი
ყვარელი ცხენი	კვარერჟი	ვარერი	დაკოდელი ცხენი და სხვ.

ისეთი ქანური სიტყვა, როგორიცაა: კიკილიკი (ჩიქ. I, 26, 22) მომდინარეობს ყიყლიყო'საგან (შდრ. მეგრ. ყებური || კებური, —ყიფ., მეგრ. ლექს., 354) — კერა; მეგრ. რეყე || რეკა (იქვე, 305) — რიყე; მეგრ. ყულე || კულე: ყული წყარი (ყიფ., მეგრ. ლექს., 355) — მდინარეა ზუგდიდის რაიონში.

2. იოზი

§ 60. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ქანურ-მეგრულში ხშირად იხმარება **ჟ**, რომელიც აღმავალი დიფთონგის პირველ კომპონენტს წარმოადგენს, თუმცა იგი დასტურდება დამავალ დიფთონგებშიც.

როგორც ცნობილია, იოტი ზოგ ენაში სონანტია, მეღერია, ზოგში კი — ყრუ ფშვინვიერია. კერძოდ, ქანურ-მეგრულში **ჟ** ხმოვნის წინ ყოველთვის მეღერია. ეს რომ ასეა, დასტურდება შემდეგი ფაქტით: ქანურში, როდესაც სხვათა სიტყვის ნაწილაკი — **ჟა** მოსდევს ყრუ თანხმოვნით დაბოლოებულ სიტყვას, **ჟ**-ს გავლენით

¹ Н. Юшманов, Семито-хамито-яфетические сжато-гортанные: Язык и мышление, XI, 1948, გვ. 400.

² არნ. ჩიქობავა, კან. გრამ. ანალიზი, გვ. 16.

ყრუ თანხმოვანი მეღერდება, მაგ.: ქორბაზ-და (← ქორბას - და) — მუცელზეო; ნჯაზ - და (← ნჯას-და, ელ., 64, 7) — ხეზეო; ჯოღო-რიზ - და (← ჯოღორის - და, იქვე, 55, 9) — ძალსაო; ოშვეზ - და (← ოშვეს-და, იქვე, 55, 4) — შესვესო და სხვ.¹ კანურში იოტი რომ ხმოვნის წინ მეღერია, ამაზე ისიც მიუთითებს, რომ ზოგჯერ მისგან უ განვითარებულა. შდრ. ძურ → ეურ — ორი; თურქ. ძერინე → კან. ძერინე || ეერინე — მაგიერ და სხვ. მისთ. (იხ. ქვემოთ).

ამის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ კანურში ჯ სონანტია (შდრ. ქომოჯონეს — მოიყვანეს; მიჯონუნ — მყავს, ძულუნ - გძულუნ — ადის - ჩამოდის და სხვ. მისთ.).

ქართულ კილოებში ხმოვნის შემდგომ დადასტურებული ჯ ყრუ ფშვინვიერი ბუნებისა ჩანს. მით უმეტეს ჯ ყრუ ფშვინვიერია ქართლურსა და ქიზიურში, როცა იგი ჰაესა და ხანისა'გან არის მიღებული².

§ 61. კანურ-მეგრულში დასტურდება კბილბაგისმიერი ვ-ს პარალელურად წყვილბაგისმიერი ჟ, მაგ.: თქჟან || თქვან — თქვენ; სჟა || სვა — ფრთა; მსქჟა || მსქვა — ლამაზი; მეგრ. კქჟერი — კკუიანი; მეგრ. გჟერდი — ნახევარი და სხვ. (მაგალითები იხ. ზემოთ § 47).

§ 62. კანურ-მეგრულში დასტურდება ყელისმიერი ყრუ ფშვინვიერი ჰ. მეგრულში ჰაე დასტურდება იშვიათად და ისიც მხოლოდ-დამხოლოდ შორისდებულებსა და ნასესხებ სიტყვებში (შდრ. ჰავა, ჰეერი, ჰალალი, ჰარამი და სხვ., ყიფ., მეგრ. ლექს., 417).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანურის კილოკავებში ჰაე დასტურდება როგორც ნასესხებ სიტყვებში, ისე ვიწურ-არქაბულისა და ათინურის საკუთარი წარმოშობის სიტყვებშიც (მაგალითები იხ. ზემოთ § 29).

§ 63. კანურის კილოკავებში ბერძნულიდან და თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში, ან თურქულის გზით კანურში შემოსულ უცხო

¹ ჩვენი: კანური ტექსტები, გვ. XV; არნ. ჩიქობავას სტატია: პროფ. ი. ყიფშიძე და კანურის მეცნიერული შესწავლა, გვ. XXVI.

² ვ. თოფური, ქართლური: არილი, გვ. 129 — 130; არნ. ჩიქობავა, ს. ბგერის დასუსტება ქიზიურში: ენიმკის მოამბე, I, 1937 წ., გვ. 67.

სიტყვებში დასტურდება კბილბაგისმიერი ყრუ ფშვინვიერი ჭ., მაგ. ღირალეფე (ყიფ. I, 89, 4) — ფირალეზი; მუსაჭირეფექ — აჭერუმ, აჭერუმ — და — უწვეს (ჩიქ. I, 108, 32) — სტუმრებმა — აფერუმ, აფერუმო, უთხრეს; ტუჭელი (ჩიქ. I, 118, 13) — თოფი; ქეჭინი (ჩიქ. I, 130, 27) — სულარა; ჭუკარა — ღარიბი; ეჭენდი — ბატონი; ჭარა — ჯერ; ოჭრიდი (ბერძ.) — წარბი; კარჭი (ბერძ.) — ლურსმანი და სხვ. მისთ.

ღ კანური წარმოშობის არც ერთ სიტყვაში არ წარმოითქმის, ამიტომ კანურში იგი ფონემად ვერ მიიჩნევა. მართალია, არის შემთხვევა, როდესაც კანურში ვ-ს ნაცვლად ისმის ჭ, მაგრამ ეს ის შემთხვევებია, როდესაც ღ პოზიციურად არის მიღებული ასიმილაციის შედეგად, მაგ., მოჭთი (ჩიქ. II, 103, 19) — მოვედი (შდრ. იქვე: მაქომოჭთი 124, 5). (შდრ. ქართული წარმოთქმით: აფიქრობ ← ვფიქრობ და მისთ.).

3. რ ზონაჲ¹

§ 64. ჯერ კიდევ ნ. მარმა და ი. ყიფშიძემ მიაქციეს ყურადღება კანურში რ-ს გაუჩინარებას და ამის გამო მათ რ ზოგჯერ კუთხოვან ნახევარკავებში (რ') აქვთ ჩასმული. ამ ფაქტზე განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება არნ. ჩიქობავამ მის მიერ ჩაწერილ ტექსტებსა და სპეციალურ გამოკვლევაში. ის წერს: „პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია რ-ს დასუსტიბა-დაკარგვა; ეს ხდება ხმოვნებს შორის და ს თანხმოვნის წინ; პროცესი გავრცელებულია ხოფურში და ვიწურ-არქაბულში, ამ უკანასკნელიდან უპირატესად არქაბულში; მოვლენის გავრცელების კერას ხოფური უნდა წარმოადგენდეს. ყველაზე ხშირია ქალებისა და ბავშვების მეტყველებაში“². შემდგომ ის დაწვრილებით აღწერს ამ ფაქტს: „ზოგჯერ აღნიშვნა კირს, ისეთია გარდამავალი მდგომარეობა: არც რ-ა, მაგრამ სულ არაფერიო, მაინც არ ითქმის; „კანური ტექსტების“ I ნაკვეთში ასეთ შემთხვევაში ფრჩხილებში ჩასმული რ-ს ხმარება გვინდოდა, მაგრამ შემთხვევათა სიმრავლის გამო ეს არ მოხერხდა, ამიტომ მეტწილ შემთხვევაში რ დავტოვეთ, თუკი მისი არსებობა ოდნავ მაინც იგრძნობოდა; რ-ს ხმარებაში მამაკა-

¹ ჩვენი: რ ფონემა მეგრულ-კანურში; საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. X, № 2, 1941 წ., 125—132.

² არნ. ჩიქობავა, კან. გრამ. ანალიზი, გვ. 21.

ცების მეტყველებაში ერთგვარ რყევას აქვს ადგილი: ერთი და იგივე პირი ხან ხმარობს მას, ხან—არა; თუ თავის ლაპარაკს თვალყურს ადევნებს, ცდილობს იხმაროს; სარფელ ალი აბდულ-ოლლისაგან ჩემ მიერ ჩაწერილი ტექსტები საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, რომ შეგნებული ცდაც, — ალი აბდულ-ოლლი ცდილობდა რ არ დაეჩრდილა გამოთქმისას, — სათანადო შედეგს არ იძლევა, რ-ს დასუსტების პროცესი ძლიერ არის გამოხატული.

ალი აბდულ-ოლლის თქმით ჩაწერილს პატარა ამბავში „ხოჯა ადანაშა ილუ“ I, 3 თხუთმეტიოდე სიტყვაში გვაქვს რ ხმოვნებს შორის, რ ყველგან არის დაცული, მაგრამ ამბავში „ხოჯაქ ქონაგნუ“ I, 1 ხმოვნებს შორის რ-ს შენახვის 22 შემთხვევაზე მოდის რ-ს დაკარგვის 16 შემთხვევა: რ-ს დაკარგვას მთქმელი შეგნებულად გაუბრუნდა, მაგრამ მოზრდილი ამბის თხრობისას უფრო ძნელი აღმოჩნდა ამ ფონეტიკური მომენტისათვის თვალყურის დევნება და უჩაეო ფორმებიც მოხშირდა“¹.

არნ. ჩიქობავას ეს დაკვირვება და ჩატარებული ენობრივი ექსპერიმენტი საკვებით სწორად ასახავს საქმის ვითარებას და ამიტომ მოვიყვანეთ ის აქ მაღიანად.

პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მოვლენა ცილდება კანურის დიალექტობრივ წრეს: იგი უთუოდ ზოგად ფონეტიკური ხასიათისაა.

კანურში რ-ს ბუნებისა და მასთან დაკავშირებული ფონეტიკური საკითხების გარკვევისათვის საჭიროა პასუხი იქნეს გაცემული შემდეგ კითხვებზე: ა) მართლა აქვს თუ არა ამ შემთხვევაში ადგილი რ-ს დასუსტება-დაკარგვას; ბ) რ-ს გაუჩინარება ხდება მხოლოდ ხმოვნებს შორის და ს თანხმოვნის წინ, თუ სხვა პოზიციებშიც; გ) ყოველთვის იკარგვის თუ არა რ, თუ არ იკარგვის, რა პოზიციაში ინარჩუნებს მას კანურ-მეგრული? ან კიდევ რა პოზიციაში აქვს ადგილი რ-ს განვითარებას?

§ 65. განსაკუთრებით მასობრივია ხმოვნებს შორის რ-ს დაკარგვის შემთხვევები, მაგ., აქ გუი ენ; ჯიგეი ეუი ენ (ჩიქ. I, 159, 35) — აქ გული არის; ფილტვი ორი არის. ამ ექვსსიტყვიან ორ წინადადებაში ხუთ სიტყვაში რ უნდა იყოს, მაგრამ წარმო-

¹ არნ. ჩიქობავა, კან. გრამ. ანალიზი, გვ. 22.

თქმაში გაუჩინარებულია. უნდა ყოფილიყო: აქ გური რენ; ჯიგერი ჟური რენ. გოუ, გოუ ღო ვა აძიუ (ჩიქ. I, 80, 28) — ეძება, ეძება და ვერ იპოვნა. უნდა იყოს: გორუ, გორუ. ღო ვარ აძირუ;

ბლოინეი-ბლოინეი იმტენ (ჩიქ. II, 37, 34) — ბლავილ-ბლავილით გაიქცევა, მაგრამ იქვე: დივი მლორინერი-მლორინერი იმტენ (38, 28);

კაი-კაი იპაამითეს, ისთეეს, იხორონეს, იბიეს (ჩიქ. II, 65, 30) — კარგი-კარგი ილაპარაკეს, ითამაშეს, იცეკვეს, იმღერეს; უნდა ყოფილიყო: კაი-კაი იპარამითეს, ისთერეს, იხორონეს, იბირეს;

მა აწი დიდო ნოსეი კოჩი ვოე (ჩიქ. I, 6, 17) — მე ახლადლიან ჭკვიანი კაცი ვარ; უნდა იყოს: ნოსერი ... ვორე;

არ დიდი ოხოი ქოენ კიშლასთეი (ჩიქ. II, 34, 34) — ერთი დიდი სახლი არის ციხესავით; უნდა ყოფილიყო: ოხოი... ქორენ... კიშლასთერი;

არ კოჩი ღუუტეენ-ში, ბეეფე მუშის უწვეენ-ქი (ჩიქ. I, 13, 29) — ერთი კაცი რომ კვდებოდა („მომკვდარა“), მისი ბიჭებისათვის უთქვამს, რომ... უნდა ყოფილიყო: არ კოჩი ღურუტეენ-ში, ბერეფე მუშის უწვეერენ-ქი... და სხვ. მისთ.

მეგრულის კალოკავებში რ შედარებით უფრო მტკიცეა და წარმოთქმაში რაიმე რყევას ადგილი არა აქვს: შდრ. მეგრ. გური — გული; ჟირი — ორი; რე (← რენ) — არის., წყარი — წყალი და სხვ.

თუმცა მეგრულშიც დასტურდება თითო-ოროლა შემთხვევა, როდესაც ხმოვნებს შორის რ გაუჩინარებულია წარმოთქმაში, მაგ. მაჟია (← მაჟირა) — მეორე; ჯგუა (← ჯგურა): ათეჯგუა (← ათეჯგურა) — ამისთანა; ქიონი (← ქირონი, ყიფ., ლექს., 344) — მოქნარება.

ქანურში ასევე ხშირია რ-ს გაუჩინარების შემთხვევები ს თანხმოვნის წინ, მაგ.: იბგას (← იბგარს, ყიფ. I, 92, 19 — 25) — ტირის; იბის (← იბირს, ყიფ. I, 74, 26) — მღერის; ნოკის (← ნოკირს, ჩიქ. I, 10, 30) — დაბმულია; ჩუმეს (← ჩუმერს, ჩიქ. II, 34, 33) — უყურებს, უცდის; უწუმეს (← უწუმერს) — ეუბნება და სხვ. მისთ.

ქანურში რ-ს სხვადასხვა პოზიციაში სპეციალურმა შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ქანურში რ-ს გაუჩინარება დასტურდება არა მარტო ხმოვნებს შორის და ხ თანხმოვნის წინ, არამედ საერთოდ სპირანტ თანხმოვანთა წინ. გარდა ხ-სა, განსაკუთრებით ხშირი შემთხვევები რ-ს გაუჩინარებისა ღ, ხ, ჭ სპირანტებთან. ერთსა და იმავე დროს დასტურდება ასეთი პარალელური ფორმები: ოღარღალღს ქოგოჰქუ (ჩიქ. I, 66, 13) — ლაპარაკი დაიწყო; იქვე: ოღაღალღს ქოგოჰქუ (66, 1); ბუღუღი (← ბურღული) — მსხვილად დაფქული სიმინდი, ღერღილი; ღაღალიტა (← ღარღალიტა) — ჯირკვლების ავადმყოფობა, უფრო ხშირად ყელში; წიღუ (← წირღუ) — საქონლის მუცელზე გაზრდილი სოკო, ხორცმეტი; ოღიღინუ (← ოღირღინუ) — ძაღლის ღრენა; ოღღანი (← ოორღანი, თურქ.) — საბანი; დოღუ (← თურქ. დოღრუ) — სწორი; ოხიხინუს ქოგოჰქეს — ხირხილი დაიწყეს, ხმამაღალი სიცილი, პარალელურად დასტურდება: ოხირხინუს ქოგოჰქეს (ჩიქ. I, 157, 16); მახვა (← მარხვა, ჩიქ. I, 140, 16) — ნაკვერცხალი; შღრ. მეგრ. ქახალი (← ქართ. ქარხალი, ყიფ., მეგრ. ლექს., 387), ვეხი (← ქართ. ვერხვი, იქვე, 235) და სხვ. მისთ.

ქან. კეჭი (← კერჭი) — კანაფი; ქან. კაჭი (← ბერძ. კარჭი) — ლურსმანი; სუჭა (ჩიქ. II, 65, 32), იქვე პარალელურად დასტურდება: სუჭრა (65, 33) — სუფრა და სხვ.

§ 66. ამასთან ერთად გამოირკვა, რომ უკანაენისმიერთა (გქკ), წინაენისმიერთა (ღტტ, ძცწ, ჯჩქ) და ბაგისმიერ (ბფჰმ) ხშულთა წინ ქანურში რ საკმაოდ მტკიცედ არის დაცული. ამ პოზიციაში რ არ უჩინარდება, მაგ. ბურგილი (ჩიქ. I, 159, 34) — მუხლი; ბერგი (იქვე, 135, 14) — თოხი; დერგულა (იქვე, 129, 22) — ქოთანი; არგუნი (იქვე, 129, 16) — ნაჯახი; სარგანა (იქვე, 150, 1) — მოგრძო თევზია; ქურქი — ქურქი; ქურქუტეფე (იქვე, 136, 10) — ნაგულები; თურქიში (იქვე, 116, 2) — თურქის; ფორკა (იქვე, 151, 2) — ქალის ტანსაცმელია; პარკი (იქვე, 136, 17) — სიმინდის ტარო; კარკალა (იქვე, 135, 15) — მწარე კვახი; კარდალა (იქვე, 141, 13) — კარდალი; კორდი (იქვე, 136, 27) — ბელტი; დერდი — დარდი; გვერდი — ნახევარი; ამ უკანასკნელ სიტყვაში ზოგჯერ დ-ს გაუჩინარება ხდება,

მაგრამ რ წარმოთქმაში შენარჩუნებულია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ორ ხმოვანს შორის რჩება. მაგ. არ წანა დო გვერი (ჩიქ. II, 27, 32) — ერთ წელნახევარი; არ დო გვერი წანა (ყიფ. I, 73, 27) — ერთ-ნახევარი წელი; ქარტალი (ჩიქ. I, 161, 24) — წერილი; ხორცი (იქვე, 141, 7) — ხორცი; ბერწეული (ჩიქ. II, 52, 9) — ბროწეული; მერწი — ყუნწი, ღერწი; ოხორჯა (ჩიქ. I, 160, 2) — ქალი, დიასახლისი; ხარჯი (იქვე, 146, 5) — ხარჯი; ფორჩა (იქვე, 150, 19) — პერანგი; ქაურქა (იქვე, 154, 3) — ქინკრაქა; ბურბალი (ჩიქ., 149, 11) — ბორბალი; ჩარბი (იქვე, 159, 27) — ტუჩი; ქორბა (იქვე, 142, 26) — მუცელი; შერბეთი (იქვე, 143, 25); სარფი — ქანების სოფელია; თერმონი (იქვე, 159, 10) — ბექმეზით გაკეთებული ფელამუში; ხურმა (იქვე, 158, 16) — ხურმა; ღორმა (იქვე, 159, 25) — ხერელი და სხვ.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ასეთი ფაქტებიც: ქანური კიბირი („კბილი“), ფუქირი („ყვავილი“) ხშირად წარმოდგენილია: კიბირი (ჩიქ. I, 159, 27) და ფუქირი სახით, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც გადასმა არის მომხდარი, რ მტკიცედაა დაცული ბ-სა და ქ-ს წინ, მაგ.: კირბი (ჩიქ. II, 106, 32), ფურქი (იქვე, 90, 16; 91, 28; 92, 34; ყიფ. I, 86, 18 და სხვ.).

§ 67. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, უკანაენისმიერ და წინაენისმიერ ხშულთა წინ ქანურში რ დაცულია. ასეა ეს საერთოდ ქართველურ ენებში. კიდევ მეტი შეიძლება ითქვას: ქართველურ ენებში საერთოდ, და კერძოდ ქანურ-მეგრულში, არის შემთხვევები, როდესაც ხშულ თანხმოვანთა წინ რ განვითარებულია, მაგ.: ჰან. მარქვალი (ჩიქ. I, 164, 13) — კვერცხი მომდინარეობს ფორმისაგან: მაქვალი (იქვე, 164, 17). რ ფონეტიკური დანართია (არნ. ჩიქობავა). ჰან. ქარტო (← ქატო, ჩიქ. I, 136, 15; 140, 21); ჰან. დიდო ფარა-თი მორგაპტუ (ჩიქ. I, 111, 10) ბევრ ფულსაც იგებდა; არ წანას სუმენეჩლოვით ღირა მორგაპტუ (იქვე, 61, 6) — წელიწადში სამოცდაათ ღირას იგებდა. მორგაპტუ მომდინარეობს ფორმისაგან: მოგაპტუ; რ აქაც განვითარებულია. ჰან. არკვანდუ (ყიფ. I, 4, 4) — თხოვა (შდრ. ჰან. ოკვანდინუ — თხოვნა).

ქან. კარტა ვახთის (ჩიქ. I, 162, 29) — ყოველ დროს; კარ-
ტა მომდინარეობს ფორმისაგან; კატა ← კათთა (შდრ. კარ-
თა, ელ., 52, 16);

მეგრ. მარწვენი, მარწვინი (ყიფ., მეგრ. ლექს., 278) — მა-
წონი (შდრ. სვან. მარწვენ) (შდრ. ქართ. დიალ. არდგილი ←
ადგილი);

მეგრ. რწვანე (← წვანე, ყიფ., მეგრ. ლექს., 378);

მეგრ. კირქა (← კიქა, იქვე, 390) (შდრ. მეგრ. პლარტუკი ←
რუს. платок; ქართ. დიალ. არტაქა ← რუს. платок);

მეგრ. ცხორცხალი (← ცოცხალი, იქვე, 372);

მეგრ. ციცახორცი || ცახორცი (← ცახოცი, იქვე, 370);

მეგრ. ურცხო (← უცხო, იქვე, 333, შდრ. ქართ. დიალ.
ურცხო);

მეგრ. ორჩანი (← ოჩანი, იქვე, 294) — ზარმაცი;

მეგრ. ვარყა (← ვაყა, იქვე, 234);

მეგრ. არკვანი (← აკვანი, იქვე, 197); (შდრ. სვან. არგითე
(← აგითე — სახლში);

ქან. კრ-ი-ამ-ს, მეგრ. რკ-ი-ან-ს, ქართ. კ-ივ-ი-ს. ძი-
რეული ყველგან კ- უნდა იყოს: „რ ფონეტიკურად განვითარებული
თავკიდური ბგერა ჩანს, ქანურში რ-ს მეტათეზისი გვაქვს“ (შდრ.
ლექს., 298);

ქან. გო-ჩ(ვ)-უ, მეგრ. გო-რ-ჩ-უ, ქართ. გა-ძა-რ-ცვ-ა.
„რ- ქართულსა და მეგრულში ფონეტიკური დანართი ჩანს“
(იქვე, 372);

ქან. ოწკენ, მეგრ. ორწყე(ნ) — ხედავს, უყურებს. „მეგრულ-
ში თავკიდური რ- ფონეტიკური დანაზარდია“ (იქვე, 398) და სხვ.
მისთ.

§ 68. მეგრულში, განსხვავებით ქანურისაგან, განსაკუთრებით
ხშირია რ-ს განვითარების შემთხვევები სპირანტების წინ, მაგ.:

მეგრ. ქორსა (← ქოსა, ყიფ., მეგრ. ლექს., 345);

მეგრ. ფირსა (← ფისი, იქვე, 336);

მეგრ. ლაყურში (← ლაყუჩი) (ყიფ., მეგრ. ტექს., 10, 34);

მეგრ. შხურშხინი (← შუშხუნი, შიშხინი, იქვე, 361);

მეგრ. კირხინი (← კიხვინი, იქვე, 390);

მეგრ. ტერხუა || ტახუა (იქვე, 328) — ტეხვა და სხვ.

რ-ს სპირანტების წინ განვითარების თითო-ორი მაგალითი ქანურშიც დასტურდება, მაგ.: ქან. სესი (← თურქ. ses, ჩიქ. II, 19, 27) — ხმა, მაგრამ პარალელურად დასტურდება: სერსი: მუკაი სერსი მილუნ! (ჩიქ. I, 10, 1) — რა კარგი ხმა მაქვს!; ქან. კორლონი: კორლონი ხცერი წკარის სკიდუნ (ჩიქ. I, 112, 7) — კოლო დამპალ წყალში ცხოვრობს; ქან. იხი'ს პარალელურად დასტურდება: ირხი — ქარი; ირხი ვა ნაქიშინეტუ (ჩიქ. I, 91, 26) — ქარი ვერ ეწეოდა; ცხენი ირხი'ს თეი ნიტუ (იქვე, 91, 28) — ცხენი ქარივით მიიბოდა და სხვ.

§ 69. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ქანურში ხმოვნებს შუა განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები იქმნება რ-ს ვოკალიზაციისათვის, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კითხვითი ი-სა და წინამავალ ი-სა და ე-ს შუა წარმოთქმაში ჩნდება რ, მაგ.: იძლი-რ-ი? (← იძლი-ი? ჩიქ. I, 114, 10) — გაძეხი? ემუშენი ზორი იძიცი-რ-ი? (← იძიცი-ი? იქვე, 5, 12) — იმიტომ ძალზე იცინი? ქარმატეშა სი ვარ ილი-რ-ი? (ელ., 8, 23) — წისქვილზე შენ არ წადი?;

ოგურუ დოჩოდინი-რ-ი? (იქვე, 12, 26) — სწავლა დაამთავრე?;

მა დომკითხი-რ-ი? (იქვე, 24, 9) — მე მკითხე?;

კირალი ქომოღონი-რ-ი? (იქვე, 32, 9) — მეფე მოიყვანე?

არის შემთხვევა, როდესაც ე-საგან რ ვითარდება ზმნისწინისა და ფუძისეულ ხმოვნებს შორის, მაგ.: ღვარი ქოგებთუდორენ დო მავარ მერემაღასენ (← მეფემაღლისენ, ელ., 25, 22) — ღვარი ჩამოსულა და მე ვერ გადაველ; კარაფუნას მერაფხე (← კადაფუნას მეფაფხე, იქვე, 162, 14) — კლდეზე ვარ გადამჯდარი; წკარის ვარ მერეგალუ-ში, მამ ერეგორონი (← მეფეგალუ-ში. მეფეგორონი, იქვე, 25, 34) — წყალზე (მდინარეზე) რომ ვერ გადახვედი, მე გადაგიყვანე.

ერთ-ერთი ჩვენი მთქმელი ნაცვლად იმისა, რომ წარმოეთქვა: რე-ი? — ხარ?, წარმოთქვამდა: ე-რ-ი?:

ქჩინი, სი დელი ე-რ-ი? (ელ., 28, 34) — დედაბერო, შენ სულელი ხარ?; სი კითხერი ე-რ-ი? (იქვე, 12, 15) — შენ ნასწავლი ხარ?;

სი კომსომოლი ე-რ-ი? (იქვე, 13, 8) — შენ კომკავშირელი ხარ? და სხვ.

როგორ შეიძლებოდა რე-ი'საგან მიგველო ე-რ-ი? — ჯერ თავკიდური რ უნდა ქცეულიყო ე-დ (შდრ. რენ → ენ; რე → ეე),

ხოლო შემდგომ ე-სა და კითხვითი ი-ს შორის რ განვითარებულა (შდრ. ილი-რ-ი? — წადი?).

რამდენიმე შემთხვევა დასტურდება ქანურში, როდესაც თურქულიდან შემოსულ სიტყვებში ორ ხმოვანს შუა ჯ რ-დ განვითარებულა, მაგ.: თურქ. *épeyi* → ქან. ეფეე, ეფერი (ქლ., 185) — გვარიანი; თურქ. *eşkiya* → ქან. ეშქირა (იქვე, 185) — ყაჩალი;

თურქ. *güya* → ქან. გგორა, გგურა (იქვე, 182) — ვითომ;

თურქ. *kaya* → ქან. კარაფუნა || კაააფუნა (იქვე, 189) — ქვიანი ადგილი (თურქ. *kaya* — კლდე) და სხვ.

რამდენადაც რ მთრთული ანუ ენის წვერის ვიბრაციით წარმოებული ბგერაა, ამდენად მისი ბუნება სხვადასხვა ენაში იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ ენის წვერის რამდენი ვიბრაცია ანუ დარტყმა წარმოიშვება.

ასე, მაგალითად, აკად. ლ. შჩერბას გამოკვლევით ფრანგულ და რუსულ ენებს არ ახასიათებს ძლიერი ვიბრაციის რ. აკად. ლ. შჩერბას ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით რუსულ *p*-ს ნორმალურად სიტყვის თავში, აგრეთვე თანხმოვნის წინ და შემდეგ აქვს ერთი-ორი ვიბრაცია, ხმოვნებს შორის მხოლოდ ერთი ვიბრაცია აქვს (მაგ. *para*), ხოლო სიტყვის ბოლოს აქვს სამიდან ოთხ ვიბრაციამდე (მაგ. *пар*). აკად. ლ. შჩერბას რუსული *p* მარცვლების შემდეგ მიაჩნია არა მარტო მრავალვიბრაციან ბგერად, არამედ საკმაოდ ჩქამიერ ბგერადაც, ხოლო აბსოლუტურ ბოლოში იგი ყრუ არისო¹.

§ 70. სარფული რ-ს ბუნება რომ ზუსტად გამოგვერკვია, ამისათვის იგი პალატოგრამული მეთოდით შევისწავლეთ. პალატოგრამულმა მონაცემებმა გვიჩვენეს, რომ სარფული რ-ს წარმოთქმისას ენის წვერის ვიბრაცია არაა იმ სახის, როგორიც ნორმალური რ-ს წარმოთქმისას არის. ენის წვერი უფრო დუნე მდგომარეობაშია. იგი არ არის მაღლა ნუნებისაკენ მიმართული, ისე როგორც ამას ადგილი აქვს ჩვეულებრივი რ-ს წარმოთქმისას. ამიტომ სარფული რ-ს პალატოგრამული სურათი მეტად თავისებურია და შეუამჩნევად განსხვავდება იგი სხვა ენათა რ-ს პალატოგრამებისაგან და, პირველ რიგში, მეგრული რ-ს პალატოგრამისაგან.

¹ .I. В. Щ е р б а, Фonetика фр. яз., გვ. 71.

სარფული რ-ს წარმოთქმისას (ფიგ. 32) ენის გვერდითი კიდეები მაგარ სასასთან შეხების ძალზე ვიწრო ზოლს ტოვებს. ენის შეხების ზოლი უფრო ფართოა მაგარი სასის წინა ნაწილში, ეშვებისა და მცირე ძირითადი კბილების არეში. ენის წინა ნაწილის ზურგი იწევს ზევით და ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარ სასასთან იწყება საკრელი ლატერალური კბილების არეში, ოდნავ.




ფიგ. 32.

ფართოვდება მცირე ძირითადი კბილების არეში და შემდგომ შეხების ზოლი ისევ ვიწროვდება მაგარი სასის ბოლომდის. ამის მიხედვით სარფული რ აკად. ლ. შჩერბას მიერ აღწერილ ჩქამიერ, ე. ი. შ-სებურ რ-ს უფრო მიაგავს (იქვე, 71).

განვიჩვენოთ, რომ ამ სახის რ არ ახასიათებს არც მეგრულსა და არც სხვა ქართველურ ენას. ასე, მაგ., სარფული რ-ს პალატოგრამისაგან საგრძნობლად განსხვავდება მეგრულის ბანძური თქმის რ-ს პალატოგრამული სურათი (ფიგ. 33).

მეგრული რ-ს წარმოთქმისას ენის წვერის ვიბრაცია ნათლად ჩანს და ამის გამო მაგარი სასის წინა ნაწილში, ნუნების არეში,



ფიგ. 33.

ენის შეხების კვალი აღბეჭდილია. ამ შემთხვევაში მეგრული რ-ს პალატოგრამული სურათი უფრო მიაგავს ს. ერშოვისა და ვ. ბოგოროდიცკის რუსული р-ს პალატოგრამას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ რუსული р უფრო ალვეოლებთან იწარმოება, ვიდრე

უნებთან. ამიტომ მეგრული რ-ს წარმოთქმისას არტიკულაცია ეფრო წინაა, ვიდრე რუსული რ-ს წარმოთქმისას.

მეგრული რ-ს ეს პალატოგრამა ძალიან უახლოვდება სვანური რაპალატალური რ-ს პალატოგრამას¹.

§ 71. ქანური რ რამდენიმედ ინგლისურ რ-ს მოგვაგონებს. როგორც ცნობილია, ინგლისური რ არავიბრანტი ბგერაა. ენის ქვერის ვიბრაცია არ ხდება. ინგლისური რ-ს წარმოთქმისას ენის ქვერსა და ალვეოლებს შორის და ენის უკანა ნაწილსა და რბილასას შორის საკმაოდ ფართო არე აქვს ჰაერს გასასვლელი. ამიტომ, რომ ინგლისურში ხმოვნის შემდეგ რ მას ერწყმის, რ-ს კოკალიზაცია მოსდის².

სარფული რ-ს პალატოგრამული მონაცემებიც დაახლოვებით ასეთია. ამიტომ, ჩვენი აზრით, ბუნებრივი იქნება ქანურში რ-ს დაუტესტება-დაკარგვის შესახებ კი არ ვილაპარაკოთ, არამედ მის კოკალიზაციაზე. რ-ს გაუჩინარება ქანურში ხმოვნებს შორის, ან ამოვანსა და სპირანტს შორის შედეგია ე. წ. ასიმილაციური ტენდენციისა. რ-ს დუნე არტიკულაცია ქანურში შეერწყმება წინა და პომდევნო ხმოვნის ან კიდევ წინა ხმოვნისა და პომდევნო სპირანტის არტიკულაციას. ამიტომ, რომ იგი წარმოთქმაში დაჩრდილულიც გვეჩვენება. ნამდვილად კი ენობრივ ფსიქოლოგიაში იგი არსებობს პოტენციალურად. ეს რომ ასეა, ამაზე მიუთითებს ის, რომ თუ მთქმელს ჩვენ გავამეორებინებთ, მაშინ იგი მას გააცნობიერებს და უთუოდ წარმოთქვამს. ამას ადასტურებენ დღეს ქანურში არსებული პარალელური ფორმები.

ამ შემთხვევაში რომ გარკვეულ ენობრივ რეფლექსთან გვაქვს აქმე, ეს იქიდანაც ჩანს, რომ რ-ს ხმოვნებს შორის გაუჩინარებისას ხმოვანთა ცვლილება არ ხდება, რაც ასე დამახასიათებელია ქანურისათვის სხვა ანალოგიურ შემთხვევაში³.

ის ფაქტი, რომ ქანურში რ ხშირ შემთხვევაში ხმოვნის წინ და ამოვანებს შორის იქცევა ჟ-დ, იმაზე მიუთითებს, რომ იგი პალა-

¹ ჩვენი: სვან. ფონეტ., გვ. 21.

² O. Jespersen, Lehrbuch der Phonetik, Leipzig, 1932, გვ. 41, 250.

³ სარფში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა ასეთმა ფაქტმა: სარფული ქანლები ქათმებს ისე კი არ უხმობენ, როგორც დასავლეთ საქართველოში იციან, რ-რ-რ-რ-თი, არამედ ბაგეების ფრუტუნით, ისე როგორც ცხენს უხმობენ დაავლეთში.

ტალური ბუნების ბგერაა, რაც პალატოგრამული სურათით ნათლად დასტურდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ კანურში რ-სთან თავისებური ასიმილაციური და დისიმილაციური პროცესებია დაკავშირებული, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

4. ლ ფონემა

§ 72. ა. ცაგარელმა¹ და ი. ყიფშიძემ² განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს მეგრული ლ-ს პალატალურ ბუნებას. ისინი აღნიშნავენ, რომ მეგრული ლ გაცილებით უფრო რბილია, ვიდრე ქართული ლ. არნ. ჩიქობავა კანური ლ-ს შესახებ შენიშნავს, რომ კანურში ლ ისევე რბილია, როგორც მეგრულის სენაკურ კილოკავში, მაგრამ არა ისე, როგორც მარტვილურ-ბანძურში³. ირკვევა, რომ ლ-ს შერბილების ხარისხი მეგრულის სხვადასხვა კილოკავში სხვადასხვაგვარია. ყველაზე უფრო ძლიერია ლ-ს პალატალიზაციის ხარისხი მეგრულის მარტვილურ-ბანძურ თქმაში, რომელშიც ლ პალატალიზაციის საფუძველზე თვისობრივად ახალ ბგერად, ჟ-დ იქცევა. მარტვილურ-ბანძურ თქმაში დღეს ლ როგორც ფონემა წარმოთქმაში არ არსებობს.

ა. ცაგარელი და ი. ყიფშიძე მეგრულ ლ-ს რუსულ პალატალიზებულ ლხ-სთან აიგივებენ, რაც არ არის სავსებით სწორი. ჩვენ



ფიგ. 34.



ფიგ. 35.

მიერ შესრულებული მეგრული ლ-ს პალატოგრამის (ფიგ. 34) შედარებამ აკად. ლ. შჩერბას რუსული პალატალიზებული ლხ-ს პა-

¹ აღ. ცაგარელი, Мингр. этюды, II, გვ. 48.

² ი. ყიფშიძე, Грамм. мингр. яз., გვ. 5.

³ არნ. ჩიქობავა, კან. გრამ. ანალიზი, გვ. 14.

ლატოგრამის პროფილთან (ფიგ 35) გვიჩვენა, რომ მათ შორის მსგავსებასთან ერთად საკმაოდ დიდია განსხვავებაც. კერძოდ, მეგრული ლ-ს წარმოთქმისას ენის შუა ნაწილის შეხება მაგარი სასის წინა ნაწილში უფრო ფართოა, ვიდრე რუსული პალატალიზებული ж-ს წარმოთქმისას.

ამ მხრივ მეგრული ლ უფრო მეტ თვისობრივ მახლობლობას აშუქარავენ ფრანგულ l mouille-სთან, რომელიც სტანდარტულს წარმოთქმაში საბოლოოდ გადავიდა j-ში¹.

მეგრულის მარტვილურ-ბანძურ თქმაში ლ იმდენად პალატალიზურია, რომ ცვლილებათა შედეგებით ემთხვევა სარფული რ-ს ცვლილებათა შედეგებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სარფულში რ ხმულ თანხმოვანთა წინ დაცულია უცვლელად, მაშინ როდესაც მარტვილურ-ბანძურში ლ ყველა პოზიციაში იქცა ჟ-დ ან გაუჩინარდა.

მარტვილურ-ბანძურში ლ, ისე როგორც სარფულში რ, ხმოვანთა წინ და ხმოვანთა შორის ჟ-დ იქცევა ან ვოკალიზაცია მოსდის (იხ. ზემოთ § 20). აქვე დავასახელებთ დამატებით კიდევ რამდენიმე მაგალითს.

ა ხ ზ უ ტ ი (← ლახუტი, ყიფ., მეგრ. ლექს., 292) — დერგი;

ა ა კ უ ჩ ხ ა (← ლაკუჩხა, იქვე, 270) — ქოლოკი, ჯოხი ხილის დასაბერტყი.

ა ე ხ ი (← ლეხი, იქვე, 292) — ავადმყოფი;

ა უ კ ა (← ლუკა, იქვე, 274) — 1. საკ. სახელი, 2. ლუკმა;

მ ა ა ზ ო ნ ი (← მალაზონი, იქვე, 275) — მოლაზონი;

შ ე ა ე ბ ა (← შელება, იქვე, 272) — შეძლება;

ნ ა ა ე ს ო უ (← ნალესოუ, იქვე, 273) — სოფლის სახელწოდებაა ცხაკაიას რაიონში.

ხმოვნებს შორის ლ-ს ვოკალიზაციის მაგალითებია: ბ ა ი შ ი (← ბალიში, იქვე, 199); ბ უ რ კ უ ი (← ბურკული, იქვე, 210) — წალდი;

დ ა ბ ა ი (← დაბალი, იქვე, 221);

დ ა დ უ ი (← დადული, იქვე, 222) — დედალი;

ზ ა კ ა ი (← ზაკალი, იქვე, 235) — ბზაკალი;

ფ უ რ ც ე ი (← ფურცელი, იქვე, 339);

ჩ ი ი (← ჩილი, ყიფ., მეგრ. ტექს., 42, 22) — ცოლი;

¹ Л. В. Щ е р б а, Фонетика фр. яз., гл. 73.

ქია (← ქილა, იქვე, 343):

შეეა (← შეელა, იქვე, 356) — ძლოკვი და სხვ.

ხმოვნებს შორის ლ-ს ფოკალიზაციის რამდენიმე შემთხვევა დასტურდება სართულშიც, მაგ.: ყაეფე (← ყალეფე, ჩიქ. I, 158, 30)¹ — ტოტები; ჯაეფე (← ჯალეფე) — ხეები². (შდრ. დეფინა ← დელფინა, ჩიქ. I, 155, 10).

5. თანხმოვანთმონაცვლეობა და ჭანურ-მეგრულის „შიშინა“ გაბგერება

ჭ შჷ. ჭანურ-მეგრულსა და ქართულს შორის, როგორც მონათესავე ენებს შორის, დასტურდება თანხმოვანთა ისტორიული და პოზიციური მონაცვლეობის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენები.

ჯერ კიდევ ალ. ცაგარელმა ამომწურავად გააშუქა მეგრულისა და ქართულის თანხმოვანთა შესატყვისობის საკითხები თავის „მეგრულ ეტიუდებში“. ამ მხრივ ჭანური და მეგრული ზუსტად იმეორებენ ერთმანეთს.

ქართულსა და ჭანურ-მეგრულს შორის ისტორიული თანხმოვანთმონაცვლეობა ასეთია:

ქართ. ს	ჭან.-მეგრ. შ
ჲ	ჟ
ც	ჩ
ძ	ჯ
წ	ჭ

მაგ.: ს || შ:

ქართ. ს უ ლ - ი	ჭან.-მეგრ. შ უ რ - ი
ს მ - ა	ჭან. ო - შ უ მ - უ, მეგრ. შ უ მ - უ ა
ს ა - ვ ს - ე	ჭან. ო - ფ შ - ა, მეგრ. ე - ფ შ - ა
ქ ს - ო ვ - ს	ჭან. შ - უ ფ - ს, მეგრ. შ - უ ნ - ს
ა ს - ი	ჭან.-მეგრ. ო შ - ი
ს ა დ გ ი ს - ი	მეგრ. ო დ გ ი შ - ი
ს ხ ვ ა, ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა	ჭან. ჩ ქ ვ ა, მეგრ. შ ხ ვ ა დ ო შ ხ ვ ა
ქ ვ ი ს ლ - ი	მეგრ. ქ ვ ი შ ი ლ - ი
ს ვ - ე ლ - ი	ჭან.-მეგრ. შ ო ლ - ე რ - ი შ ო ლ - ი რ - ი

და სხვ.

¹ ი. ყიფშიძე, Дополнительные сведения о чанском языке, გვ. 1.

² არნ. ჩიქობავა, ჭან. გრამ. ანალიზი, გვ. 24.

ზ || უ

ქართ. მზე	კან. მე-ორ-ა, მეგრ. ბეა
„ ზე, ზევით	„ ჟინ, ჟილე, მეგრ. ჟი, ჟილე და სხვ.

ც || ჩ:

ქართ. კაც-ი	კან.-მეგრ. კოჩ-ი
„ მი-ცემ-ა	კან. მე-ჩამ-უ, მეგრ. მე-ჩამ-ა
„ ცოლ-ი	კან.-მეგრ. ჩილ-ი
„ ოც-ი	„ ეჩ-ი
„ გა-ძა-რ-ცე-ა	კან. გო-ჩ(ვ)-უ, მეგრ. გო-რ-ჩ-უ
„ ც-ურ-ვა	კან. ო-ნ-ჩვირ-უ, მეგრ. ჩ-ურ-უა
„ ი-ცნ-ო	კან.-მეგრ. ი-ჩინ-უ
„ მცც-ე	კან. ხჩ-ე ქჩ-ე, მეგრ. ჩე ‘თეთრი’
„ ფიც-ი	კან.-მეგრ. ფუჩ-ი
„ ცე-ცხ-ლ-ი	კან. და-ჩხ-ურ-ი, მეგრ. და-ჩხ-ირ-ი
„ ცხვ-არ-ი	კან.-მეგრ. ჩხუ-რ-ი, შხუ-რ-ი
„ ცხ-ელ-ი	კან.-მეგრ. ჩხ-ე
„ ცოცმ-ლ-ი	კან. ჩილამ-რ-ე, მეგრ. ჩილამ-ურ-ი
„ ცხრ-ა	კან.-მეგრ. ჩხორო
„ ცხვ-ირ-ი	„ ჩხვ-ინდ-ი და სხვ.

ძ || ჯ:

ქართ. ძმ-ა	კან.-მეგრ. ჯუმ-ა, ჯიმ-ა
„ ძარღვ-ი	მეგრ. ჯერღვ-ი
„ ძალ-ლ-ი	„ ჯოლ-ო-რ-ი
„ ძ-ელ-ი	„ ჯა ← ჯალ
„ ძ-ილ-ი	კან. ჯ-ან-ს, მეგრ. ჯანუ(ნ) ‘წვეს, ძინავს’
„ მოძღვარ-ი	მეგრ. ჯღვერ-ი
„ ძველ-ი	კან.-მეგრ. ჯვეშ-ი
„ ვერძ-ი	მეგრ. ერჯ-ი
„ ძ-ოც-ნ-ა	კან. ო-ჯვ-ინ-უ
„ ძახ-ებ-ა	კან. ო-ჯოხ-უ, მეგრ. ჯოხო(ნ)
„ ძმ-არ-ი	კან.-მეგრ. ჯუმ-ო-რ-ი
„ უ-ძღვენ-ა	„ უ-ჯლონ-უ
„ სიძე	„ სიჯა სინჯა და სხვ.

წ || ჰ:

ქართ. წერ - ა	კან.-მეგრ. ო-ქარ - უ, კარ - უ ა
" წებ - ო	" კაბ - უ
- წვ - ა	" ჰვ: ჰუალა .
წაბ - ლ - ი	" ჰუბ - ურ - ი
წვეთ - ი	მეგრ. ჰვათ - ი
ნერწყვ - ი	კან. ლემჰყვა, მეგრ. ლეჰყვა
წვიმ - ა	კან. მ-ჰიმ - ა, მეგრ. ჰვიმა
წვ - ელ - ა	კან. ო-ჰვ - ალ - უ, მეგრ. ჰვ - ალ - უ ა
წით - ელ - ი	კან.-მეგრ. მ-ჰით - ა, კით - ა
წამ - ალ - ი	კან. კამ - ი
მ-წყ - ერ - ი	მეგრ. ჰყ - ორ - ი
და - წყ - ებ - ა	მეგრ. დო - ჰყ - აფ - ა, კან. გჟო - ჰკ - უ 'დაიწყო'
მ-წყემს - ი	მეგრ. ჰყეშ - ი, კან. მ-ჰყეშ - ი
წყვეტ - ა	მეგრ. ჰყვად - უ ა
და - ავიწყდ - ა	მეგრ. გჷ - ჰყორდ - უ, კან. გო - ჰკონდ - უ
ნა - წ - ლ - ევ - ი	მეგრ. ჰ - ი, კან. ჰ - უ
მ-წერ - ი	მეგრ. კანჯ - ი, კან. მ-კაჯ - ი
წყევლა	მეგრ. ჰყუალა ჰყალა
წნება	კან. ო-ჰინახ - უ და სხვ.

დასახელებული მაგალითების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ისტორიული თანხმოდანთმონაცვლეობა ქართულსა და კანურ-მეგრულს შორის შეეხება მხოლოდ წინაენისმიერ თანხმოდებს; ქართულის სისინა სპირანტებისა და აფრიკატების ნაცვლად კანურ-მეგრულში გვაქვს შიშინა სპირანტები და აფრიკატები, რამაც განსაზღვრა კანურ-მეგრულის „შიშინა“ გაბგერება.

დანარჩენი თანხმოდენები, როგორიცაა: წინაენისმიერნი დ, თ, ტ; უკანაენისმიერნი გ, ჰ, კ; ლ, ხ; ცხვირისმიერნი მ, ნ; წყვილბაგის-

მიერნი ბ, ფ, ჰ ქანურ-მეგრულში იმ სახით არის წარმოდგენილი, როგორც ქართულში¹.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყ ქანურ-მეგრულში რიგ ახალ რეფლექსებს იძლევა (გარდა ხოფური კილოკავისა), რაც შეეხება ვ-ს, მსგავსად ქართული კილოკავებისა, ქანურ-მეგრულში უმეტეს შემთხვევაში წყვილბაგისმიერია.

ჯერ კიდევ ა. ცაგარელმა მეგრულ და ქართულ თანხმოვანთა შედარებითი ანალიზის საფუძველზე წამოაყენა დებულება იმის შესახებ, რომ ქართული თანხმოვნები უფრო მეტ სიძველეს გვიჩვენებენ, ვიდრე მეგრულის თანხმოვნები².

რის საფუძველზე უნდა ღომხდარიყო ქართულსა და ქანურ-მეგრულს შორის ეს ისტორიული თანხმოვანთმონაცულობა? არნ. ჩიქობავას თავის „ქანურ-მეგრულ ქართული შედარებითი ლექსიკონის“ შესავალში ამ კითხვაზე ასეთი პასუხი აქვს გაცემული: „წარმოების უკან გადაწევა — ენის მონაწილეობის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ — ესაა საფუძველი, რომელმაც განსაზღვრა ქანურ-მეგრულის „შიშინი“ ქართულის „სისინის“ ნაცვლად“³.

ქანურ-მეგრულში მონხდარ არტიკულაციურ ცვლას ადასტურებს ქანურ-მეგრულ ხმოვანთა ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემებიც (იხ. ზემოთ). ქართულსა და ქანურ-მეგრულს შორის დადასტურებული ხმოვანთა და თანხმოვანთა ისტორიული ზონაცულობის ფაქტები ნათლად ადასტურებენ არტიკულაციურ კანონზომიერ ცვლას. ირკვევა, რომ ქართულთან შედარებით ქანურ-მეგრულ ხმოვნებსა და თანხმოვნებს უფრო უკანა არტიკულაცია ახასიათებთ.

ერთი ცხადია, რომ ხმოვანთა ისეთ არტიკულაციას, როგორიც ქანურ-მეგრულს ახასიათებს, მხოლოდ „შიშინობა“ შეეფერება, ხოლო ქართულ ხმოვანთა წარმოთქმას — „სისინობა“. ამ მხრივ ქანურ-მეგრულის ვოკალიზმსა და კონსონანტიზმს შორის გარკვეული ჰარმონიულობა დასტურდება.

¹ არნ. ჩიქობავა, *Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик*: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, 1948, გვ. 259.

² ალ. ცაგარელი, *Мингрельские этюды*, II, გვ. 92.

³ არნ. ჩიქობავა, *ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი*, გვ. 7.

§ 74. გარდა იმისა, აღსანიშნავია ისიც, რომ იმ სახის ისტორიული თანხმომონაცვლეობა, როგორც ქართულსა და ქანუ-მევრულს შორის არსებობს, დასტურდება თვით ქანურისა და მევრულის კილოკაევშიც. მაგ.:

ხოფ. კიტა (შდრ. მეგრ. კიჭე), არქაბ. კუტა, ვიწ. წუტა — პატარა¹.

ი. ყიფშიძეს დადასტურებული აქვს ასეთი პარალელური ფორმები: ქალენჯიხა || წალენჯიხა (ყიფ., მეგრ. ლექს., 385) — რაიონის სახელწოდებაა. ამეამად მხოლოდ წალენჯიხა იხმარება (შდრ. წენიწყარი || ქანიწყარი მდინარის სახელწოდებაა; ყიფ., მეგრ. გრამ., გვ. 06);

ქაჩხურა || წაჩხურა (იქვე, 387) — პატარა მდინარის სახელწოდებაა გეგეჭკორის რაიონში;

ღვრ. ჰყვენტერე || წყვენთერე || წყვენტერე (ჩხვიინდი) (იქვე, 380) — წვეტიანი ცხვირი;

ღვრ. ჩა-შხა || ცა-შხა (იქვე, 369) — ხუთშაბათი (ცის დღე);

ცაიში || ჩაიში (ვახუშტით) — სოფლის სახელწოდებაა;

ხოფური, ვიწ.-არტაბული ოხორ-ჯა (← ოხორ-ჯალ — ქალი, ცოლი), ათინური: ოხორ-ძა || ოხორ-ზა და სხვ.

ზოგჯერ ისეთი შემთხვევაც დასტურდება, როდესაც ქართულში შიშინა თანხმოვანი გვაქვს, ძეგრულში იგი სისინას სახით არის წარმოდგენილი, მაგ.:

ქართ. გამარჯობა, მეგრ. გომორძგუა (შდრ. ქართ. მარჯვენა, მეგრ. მარძგვან-ი);

ქართ. ძაგარი, ჯაგარი, მეგრ. ძაგვარი (შდრ. ქართ. ძეწკვი — ჯაქვი);

ქართ. შვენის, მეგრ. ოსქვანს (ქ ფონეტიკურადაა განვითარებული) (შდრ. ლექს., 315);

ქართ. დაშთების, მეგრ. დოსქიდუ (ქ აქაც ფონეტიკურადაა განვითარებული, იქვე, 316).

არნ. ჩიქობავა საეცებით მართებულად სვამს კითხვას იმის შესახებ, რომ „რატომ ქართულში არ შეიძლებოდა ამგვარივე გა-

¹ რაც შეეხება ქან. კიტა, კუტა და მეგრ. კიჭე'ს ურთიერთობას მეგრულში ასიმილაციით უნდა იყოს მიღებული კიჭე ← კიტა 'საგან' (შდრ. გურთვალის ჰუტა || ჰუტვა: თვალი ჩა-ჰუტა — დაიძინა).

დახრა ამ თანხმოვნებისა მიგველო? პრინციპში, რა თქმა უნდა, ქართულსაც შეეძლო „სისინი“ შეეცვალა „შიშინით“ (ისევე, როგორც ზანურში შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში შეგვარჩეს სისინი)... ფაქტობრივადაც ამის შემთხვევები ქართულში მოიპოვება, სპორადულად, მაგრამ მაინც მოიპოვება¹.

არნ. ჩიქობავა სანიმუშოდ შენ მეორე პირის ნაცვალსახელის ანალიზს იძლევა და აღნიშნავს, რომ შენ შიშინა წრის ვარიანტად უნდა მივიჩნიოთ და ქანურ-მეგრული სი კიდევ სისინა წრის კუთვნილებად; ავტორს საქმის ვითარება ასე აქვს წარმოდგენილი: „შენ ქართულისავე ნიადაგზეა მიღებული სე-ნ (|| სი-ნ)-ისაგან; სი-ნ || სე-ნ“ში ნ(|| ნა) დეტერმინანტია; ამგვარად, სი-მეორე პირის ნაცვალსახელი გამოდის ქართულისა, მეგრულ-ქანურისა და სევანურისათვის, ე. ი. ქართველური ენებისათვის. სქან-ში შენახულია ეს ს, ოღონდ მის შემდეგ განვითარებულია ქ. ქართულში ეს ს შეცვლილია შ-თი (შენა, შენი)².

ქართულ და ქანურ-მეგრულ ბგერათა შესატყვისობანი ნათლად ადასტურებენ, რომ პირველადია სისინა ვარიანტი, ე. ი. ქართულის ვითარება³; ქანურ-მეგრული შიშინა ვარიანტი არტიკულაციური ცვლის შედეგია. არტიკულაციური ცვლის გამო ქანურ-მეგრულის სათანადო სიტყვათა მარაგში წინაენისმიერი სპირანტები ს, ზ და აფრიკატები ძ ც წ ისტორიულად შეცვლილია ენანუნის-მიერ სპირანტებად შ, ჟ და აფრიკატებად ჯ ჩ ჳ-დ⁴.

ანალოგიური ფაქტები სლავურ ენათა განვითარების ისტორიიდან ა. შახმატოვს ახსნილი აქვს პალატალიზაციის საფუძველზე. ასე, მაგალითად, ის აღნიშნავს, რომ ბგერათშეერთებას sj, zj შეეძლო მოეცა s'j, z'j, ხოლო s'-სა და z'-ს j-სთან ასიმილაციამ მოგვცა š'(ш) და ž'(ж). s's' და z'z' კომპლექსებმა შემდგომი ცვალებადობის საფუძველზე მოგვცეს š' და ž'. ა. შახმატოვის აზრით, piš'et's ასეთი გზითაა მიღებული pišjet's-ისაგან⁵.

¹ არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 7 — 8.

² იქვე, გვ. 8 — 9.

³ Ал. Цагарели, Мингрельские этюды, II, стр. 92.

⁴ Арн. Чикобава, Картвельские языки... გვ. 259.

⁵ А. Шахматов, К истории звуков русского языка: Сбор. Отделения русского языка и словесности АН, LXVII, С.-Петербург, 1901, № 7, гл. 4.

§ 75. პოზიციური თანხმოვანთმონაცვლეობის საფუძველზე ქართული ლ ქანურ-მეგრულში წარმოდგენილია რ-დ. ეს მოვლენა ყველაზე უფრო ხშირად დასტურდება, როდესაც ლ თანხმოვნის წინაა ან დეტერმინანტულ სუფიქსში მონაწილეობს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ პოზიციურ თანხმოვანთმონაცვლეობასთან გვაქვს საქმე შემდეგ სიტყვებში:

ქართ. ფილტ-ვ-ი, ქან. ფურ-ფ-უ, მეგრ. ფირტ-ვ-ი;

ქართ. ქალაღღ-ი, მეგრ. ქალარღი (ყიფ., მეგრ. ტექს., 7, 8-13);

ქართ. შოღტ-ი, მეგრ. შორტ-ი;

ქართ. ბელტ-ი, მეგრ. ბერთ-ი;

ქართ. ჩელტ-ი, მეგრ. ჩერთ-ი და სხვ.

ამ შემთხვევებში ლ-ს რ-სთან მონაცვლეობა რომ კოარტიკულაციის საფუძველზე ხდება, იქიდან ჩანს, რომ თვით მეგრულის სინამდვილეში ლ რ-დ იქცევა, თუ ლ-ს უშუალოდ მოსდევს თანხმოვანი, მაგ.: მეგრ. ჩილ-ი — ცოლი; აქ ლ დაცულია, ვინაიდან მას მოსდევს სახელობითი ბრუნვის დაბოლოება ი, მაგრამ მიცემითსა და მოთხრობითს ბრუნვებში ს-სა და ქ-ს წინ იგი იქცევა რ-დ: ჩირ-ს, ჩირ-ქ¹.

მეგრ. ქობაღღ-ი — ხორბალი, პური; მაგრამ: ქობარ-ს, ქობარ-ქ;

მეგრ. მა მეუღლი — მე მივდივარ; სი მეუღლი — შენ მიხვალ, მაგრამ: თინა მეურ-ს — ის მივალს (შდრ. მა მეურ-ქ);

მეგრ. ჩქიმიჯგურა საწყალიშა (ყიფ., მეგრ. ტექს., 4, 16) — ჩემისთანა საწყალისთვის, მაგრამ იქვეა: ჩქიმიჯგურა საწყარ-ს (4, 20) — ჩემისთანა საწყალს;

მეგრ. თოღი — თვალი, მაგრამ მიცემითშია: თორ-ს, მოთხრობითშია: თორ-ქ; ჩქიმი თორქი ოკო ვა რძირასგ-ნი! (იქვე, 5, 13) — ჩემმა თვალმა არ უნდა გნახოს!

ქართ. სოფელ-ი ასე წარმოითქმის მეგრულშიც, მაგრამ მიცემითშია: სოფერ-ს (იქვე, 1, 3); შდრ. ქან. ახირის ეუ ნცხენი ქონოკოღს (← ქონოკორს, ყიფ. I, 32, 32) — ახორში ორი ცხენი აბია;

¹ ი. ყიფშიძე, Грамм. мингр. яз., გვ. 22.

ქართ. მადლ - ი მეგრულში გადასმის შემდეგ დ-ს წინ ლ რ-დ
ქცეულა: მარდი: დიდი მარდობელი ვორექ (იქვე, 3, 3) —
დიდი მადლობელი ვარ; მეგრ. ხვამარდი ← ქართ. ხომალდი;

ქართ. ნაკლებად — მეგრ. ნარკებო (იქვე, 2, 26), აქაც
გადასმის შემდეგ ლ კ-ს წინ რ-დ იქცა და სხვ.

დეტერმინანტ სუფიქსებში ქართულში ჩვეულებრივ ლ გვაქვს,
ჭანურ-მეგრულში კი — რ, მაგ.:

ქართ. გ-ულ-ი	ჭან.-მეგრ. გ-ურ-ი;
„ მ-გ-ელ-ი	„ გ-ერ-ი;
„ სი-სხ-ლ-ი	ჭან. დი-ცხ-ირ-ი, მეგრ. ზი-სხ-ირ-ი,
„ თოვ-ლ-ი	„ თვ-ირ-ი, მ-თვ-ირ-ი, მეგრ. თ-ირ-ი;
„ თაფ-ლ-ი	ჭან.-მეგრ. თოფ-ურ-ი;
„ თხ-ილ-ი	„ თხ-ირ-ი;
„ ანწ-ლ-ი	„ ინკ-ირ-ი;
„ კბ-ილ-ი	„ კიბ-ირ-ი;
„ გვ-ელ-ი	ჭან. მ-გვ-ერ-ი, მეგრ. გვ-ერ-ი;
„ შვ-ელ-ი	„ მ-სქვ-ერ-ი, მეგრ. სქვ-ერ-ი;
„ ფქ-ვ-ილ-ი	„ მქ-ვ-ერ-ი, მეგრ. ქვ-ირ-ი;
„ წიფ-ელ-ი	ჭან.-მეგრ. წიფ-ურ-ი;
„ ძალ-ლ-ი	„ ჯოლ-ორ-ი;
„ ტ-ყემ-ალ-ი	„ ყომ-ურ-ი, ცომ-ურ-ი;
(შდრ. ქართ. სულ-ი	ჭან.-მეგრ. შურ-ი) და სხვ.

§ 76. თანხმოვანთა პოზიციური მონაცვლეობის საფუძველზე
ქართ. რ ჭანურ-მეგრულში წარმოდგენილია ჯ-დ, მაგ.:

ქართ. პირ-ი	ჭან.-მეგრ. პიჯ-ი
„ მ-ხარ-ი	„ (მ) ხუჯ-ი
„ ფურ-ი	„ ფუჯ-ი
„ ყურ-ი	„ ყუჯ-ი
„ ხარ-ი	„ ხოჯ-ი
„ ქმარ-ი	„ ქომონჯ-ი
„ ცერ-ი	„ ჩანჯ-ი
„ წვერ-ი	„ წვანჯ-ი
„ ძირ-ი	„ ჯინჯ-ი
„ ქურ-ი	„ ქკუჯ-ი

ქართ. ზამთარ-ი კან.-მეგრ. ზოთონჯ-ი და სხვ.
 „ მწერ-ი „ კანჯ-ი

უკანასკნელ რამდენიმე მაგალითში ნ ჯ-ს წინ ფონეტიკურად არის განვითარებული.

ზემოთ დასახელებულ მაგალითებში ქართ. რ. კანურ-მეგრულში იძლევა ჯ-ს არა მარტო ძირეულ მასალაში (პირ-ი — პიჯ-ი; ფურ-ი — ფუჯ-ი და სხვ.), არამედ სუფიქსებშიც (ქმ-არ-ი — კომ-ონჯ-ი; წვ-ერ-ი — წვ-ანჯ-ი; ზამთ-არ-ი — ზოთ-ონჯ-ი და სხვ.)¹.

ჯერჯერობით ძნელი შეიქნა იმ რ-ს ბუნების გარკვევა, რომელმაც მეგრულ-კანურში მოგვცა ჯ. ის რ თავისი პალატალური ბუნებით განსხვავებული უნდა ყოფილიყო მეგრულ-კანურში დღეს დადასტურებული რ-საგან.

§ 17. პოზიციური თანხმომონაცვლეობის ერთ-ერთ კარგ ნიმუშს წარმოადგენს მეგრულში დადასტურებული რ-ს გ || ქ-სთან მონაცვლეობის ფაქტი. რ-ს გ || ქ-სთან მონაცვლეობის შემთხვევები დასტურდება როგორც მეგრულ სიტყვათა ძირებში, ასევე აფიქსებშიც. ასე მაგალითად:

მეგრულში მეორე ობიექტური პირის ნიშანი გ ხმოვნების წინ დაცულია უცვლელად, ხოლო თანხმომონაცვლეობის წინ იცვლება რ-დ: გ - ი ღ უ — გაქეს, მაგრამ რ - ქ უ ნ ს — გწვავს; გ - ი წ უ უ — გითხრა, მაგრამ რ - ე ვ ი ღ უ ნ ს — გკლავს; რ - ქ ა რ უ ნ ს — გწერს; რ - ე უ ნ ს — გაყავს; რ - გ ო რ უ ნ ს — გეძებს; რ - ლ ა ნ ძ ღ უ ნ ს — გლანძღავს; რ - კ ი თ ხ უ — გკითხა; რ - ჯ უ ნ უ ნ ს — გკოცნის; რ - ჩ ა ნ ს — გაკმევს და სხვ.².

ამ რიგის თანხმომონაცვლეობის შემთხვევები დასტურდება მეგრულ სიტყვათა შემდეგ ძირებში:

მეგრ. დაჩხირიშ დორზამა — ცეცხლის დანთება, დაგზება (შდრ. კან. დაჩხურიშ ოგზაფუ);

მეგრ. ორზოლი — საგზალი, კან. ოგზალონი³;

¹ ვ. თოფურიძე, ენჯ სუფიქსი მეგრულში: ენიმკი-ს მოამბე. ტ. I, გვ. 141 — 144.

² არნ. ჩიქობავა, კანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 98.

³ არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. წ. 260.

მეგრ. ქოღოზდიჩთი, ქან. ღოზდიჩთი — დავდექი;

მეგრ. დორთუ, ქან. გოიქთუ — გაბრუნდა¹;

არნ. ჩიქობავას მიერ აგრეთვე დადგენილია რ-ს ქ-სთან მონაცვლეობის ასეთი შემთხვევები:

მეგრ. რჩე || ჩე, ქან. ქჩე || ხჩე — თეთრი;

მეგრ. რჩინუ, ქან. ქჩინი || ხჩინი — დედაბერი²;

გ. როგავამ მეგრულში რ-ს გ || ქ-სთან მონაცვლეობის ფაქტები ახსნა გ. ახვლედიანის მიერ დადგენილი აქცესიურ კომპლექსთა დაძლევის ფონეტიკური კანონის საფუძველზე. მანვე აღნიშნა, რომ ქს აქცესიური რიგის კომპლექსები ნასესხები სიტყვებისა მეგრულში იძლევა რს კომპლექსს, მაგ., მეგრ. ლერსი მომდინარეობს ქართული ლექსი³ საგან; საკუთარი სახელები: აქვსენტი || აქსენტი და ექვთიმე მეგრულში წარმოითქმის: არსენტი, ერთგმე || ერთიმე და სხვ. მისთ.³

6. უკანაენისმიერ ხშულთა განვითარება შ(|| ს), ჩ, ჰ და ჯ(|| ძ)-ს შემდგომ

§ 78. ქანურ-მეგრულში ხშირია შემთხვევა, როდესაც ქართულისა და ქანურ-მეგრულის ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვებში შ(|| ს), ჩ, ჰ და ჯ(|| ძ) ცვლილებას არ განიცდიან, ოღონდ ქანურ-მეგრულში მათ შემდეგ განვითარებულა ქ (ფუჟინ-ვიერებთან), კ (მკვეთრებთან) და გ (მელერებთან). ამის მიხედვით ნათლად იჩვენება ამ თანხმოვანთა ველარიზებული ბუნება. მაგრამ ვიდრე ამ მოვლენის ფონეტიკურ საფუძველს ავხსნიდეთ, დავასახელებთ სათანადო მაგალითებს არნ. ჩიქობავას „ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონიდან“.

ქართ. შ — ქან.-მეგრ. შქ:

ქართ. შვიდ - ი, ქან.-მეგრ. შქვით || შქით - ი (შდრ. ლექს., 216);

¹ არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შდრ. ლექს., გვ. 334.

² იქვე, გვ. 235.

³ გ. როგავა, ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობიდან — მეგრ. რ: ქართ. გ: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოაზრე, ტ. X, № 8, 1949 წ., გვ. 505.

- ქართ. შუა, მეგრ. შქა, ჰან. შქა || შკა — წელი (იქვე, 68);
 ქართ. შე-შა (← სე-შა), ჰან.-მეგრ. დი-შქ-ა (იქვე, 157);
 ქართ. შთ: მო-ა-შთ-ო, ჰან. დო-შქვიდ-უ, მეგრ. დ^ა-შქვიდ-უ — დააღრჩო (იქვე, 367);
 ქართ. შვ: გა-უ-შვ-ა, ჰან. ქა-ნა-შქ-უ, მეგრ. გეია-შქ-უ — აუშვა (იქვე, 366);
 ქართ. ვაშ-ლ-ი, ჰან. უშქ-ურ-ი, მეგრ. უშქ-ურ-ი (იქვე, 121);
 ქართ. შ-ი-ა, ჰან. შქ-ირ-ონ-ს, მეგრ. შქ-ირ-ენ-ს (იქვე, 368);
 ქართ. შ-ინ: შეე-შინდ-ა, ჰან.-მეგრ. შქურ: ა-შქ-ურ-ინ-უ (იქვე, 369);
 ქართ. ლა-შ-ი, ჰან. ლე-შქ-ი, მეგრ. ლე-ჩქე-ი (იქვე, 51) და სხვ.

ქართ. ჩ — ჰან.-მეგრ. ჩქ:

- ქართ. ჩეე-ნ (ჩჲე-ნ), ჰან. ჩქუ-ნ || ჩქუ || ჩქი-ნ, მეგრ. ჩქი, ჩქე (იქვე, 222);
 ქართ. ჩე-მი, ჰან.-მეგრ. ჩქი-მი || ჩქე-მი (იქვე, 223);
 ქართ. ჩეენ-ი (ჩუენ-ი), ჰან. ჩქუნ-ი, მეგრ. ჩქინ-ი || ჩქენ-ი (იქვე, 223);
 ქართ. უ-ჩ-ა(ნ)-ს „მისთვის ჩანს, შესაცნობია“, ჰან. უ-ჩქ-ინ, მეგრ. უ-ჩქ-უ (იქვე, 379);
 ქართ. ჩვილ-ი (ძვ. ქართ. ჩჩუღ-ი), ჰან. ჩუჩქ-უ || ჩიჩქ-უ, მეგრ. ჩქიჩქ-უ (იქვე, 242);
 ქართ. მაჩ-ვ-ი, ჰან. მუნჩქ-ი, მეგრ. მუნჩქ-ვ-ი და სხვ.

ქართ. ჭ — ჰან.-მეგრ. ჭკ:

- ქართ. მ-ჭად-ი, ჰან. მ-ჭკუდ-ი || მ-ჭკიდ-ი, მეგრ. ჭკიდ-ი (იქვე, 173);
 ქართ. ჭამ-ა, ჰან.-მეგრ. ჭკომ-უ (იქვე, 415);
 ქართ. ჭარ || ჭერ: და-ჭრ-ა, ჰან. დო-ჭკირ-უ, მეგრ. დო-ჭკირ-უ (იქვე, 417);
 ქართ. და-ჭედ-ა, ჰან.-მეგრ. დო-ჭკად-უ (იქვე, 412);
 (შდრ. ქართ. მ-ჭედ-ელ-ი, მეგრ. ჭკად-უ);

ქართ. გინ-ჰვ-ელ-ა || კი-ა-ნ-ჰვ-ელ-ა, ქან. დუ-მ-ჰკუ || დი-მ-ჰკუ, მეგრ. კი-ჰკი-ტი-ა || ჯგ-ი-ჯგ-ი-ტი-ა (იქვე, 114) და სხვ.

ქართ. ჯ — ქან.-მეგრ. ჯგ:

ქართ. ჯ-ობ-ნ-ი-ს, მეგრ. უ-ჯგ-უ., ქან. ა-ჯგ-ინ-ენ--
მოგრევა (იქვე, 435);

ქართ. გინ-ჰვ-ელ-ა, მეგრ. ჯგ-ი-ჯგ-ი-ტი-ა (იქვე, 114)
და სხვ.

ამ მოვლენის ახსნისას, პირველ ყოვლისა, უნდა ვივარაუდოთ, რომ პირველადი შიშინა თანხმოვნები შ, ჩ, ჰ და ჯ ქანურ-მეგრულში ველარიზებული იყო და არა პალატალური. ეს თანხმოვნები ქანურ-მეგრულში დღესაც მაგარი თანხმოვნებია. ამ თანხმოვანთა ველარული წარმოება საფუძველი გახდა იმის, რომ მათ შემდგომ განვითარებულიყო უკანაენისმიერი ხშულები.

§ 79. აკად. ლ. შჩერბას ნაპრალოვან თანხმოვანთა ერთფო-
ნუსიანად და ორფოკუსიანად წარმოთქმის თეორიის მიხედვით შ
ორფოკუსიან ნაპრალოვან თანხმოვნებს განეკუთვნება. შ-ს წარ-
მოთქმისას ჰაერნაკადს დაბრკოლება პირის ღრუში ორ ადგილას
ვდება: ერთი დაბრკოლება იქმნება ენის უკანა ნაწილის რბილ
ასასთან მიახლოებით, რის შემდეგაც ენის ზურგი უნაგირისებრ
აღრმავებას ქმნის პირის ღრუს წინა ნაწილში; მეორე დაბრკო-
ლება იქმნება ენის წინა ნაწილის ზურგის ნუნებთან მიახლოვე-
რით; ამგვარად ორი ფოკუსი იქმნება. ლ. შჩერბას ექსპერიმენტუ-
ლად გამოკვლეული აქვს, რომ რუსულ ш ж-სთან შედარებით
ვრანგულ S, ch-ს უფრო პალატალიზებული ელფერი აქვს, ვინაიდან
ვრანგული S-ს წარმოთქმისას ენის უკანა ნაწილის აწეულობა
უფრო წინაა წამოწეული. ლ. შჩერბას დაკვირვებით ვრანგული
S, ch უფრო უახლოვდება რუსული ш-სა და ж-ს რბილ ვარიანტებს¹.

ქართული შ არ ახდენს მაგარი ანუ ველარიზებული თანხმო-
ვის შთაბეჭდილებას, თუმცა ის ისევე ორფოკუსიანია, როგორც
რუსულისა და ქანურ-მეგრულის შ.

¹ I. B. Ш е р б а. Фонетика фр. яз., гл. 63 — 69, ფიგ. 32, 32a, 33.

ჩვენი დაკვირვებით ორფოკუსიანია აგრეთვე ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი შიშინა აფრიკატები: **ჯ ჩ ჰ**. ქანურ-მეგრულში ისინი უფრო ველარიზებულია, ვიდრე ქართულში. ამიტომ ენის უკანა ნაწილის აქტიურად არტიკულაციის საფუძველზე განვითარებულია კომპლექსები: **ჯგ, ჩქ, ჰკ**.

მეგრულში ორფოკუსიან **შ**-სთან **ქ**-ს განვითარების ერთი მაგალითი ნასესხებ სიტყვაში დადასტურებული აქვს გ. როგაძას: მეგრ. კალოშქი ← რუს. *калоши*¹ (ბანძ.-მარტ. კალოშქი) (შდრ. ქართ. პრასა — ქან. პრასქა || პრასქა ← ახ. ბერძ. პრასხა).

ეს მაგალითები იმითაა საყურადღებო, რომ ისინი კარგად ასახვენ ქანურ-მეგრულის შიშინა თანხმოვნებთან უკანანისმიერი თანხმოვნის განვითარების ნორმას. მეგრულში ამ შემთხვევაში **შ**-ს შემდგომ **ქ**-ს განვითარებისათვის არავითარ პოზიციას ხელი არ შეუწყვია, თუ არა თვით **შ**-ს წარმოთქმის თავისებურებას.

ლ. შჩერბას **შ**-ს წარმოთქმის კიდევ ერთი თავისებურება აქვს აღწერილი: მას ახასიათებს ბაგეების შესამჩნევი არტიკულაცია. რაც იმაში გამოიხატება, რომ ბაგეები ოდნავ წინ წამოიწევიან და მომრგვალდებიან, რის გამოც **შ**-ს წარმოთქმას უ-ს ელფერი ეძლევაო².

ბაგეების წინ წამოშვერის ნომენტი მექანიკურად იწვევს ენის უკანა ნაწილის აქტიურ არტიკულაციას და იგი შეიძლება განვითარდეს ლაბიო-ველარიზაციამდე³.

შდრ. ზემოთ დასახელებული მაგალითები:

ქართ. შვიდ - ი, ქან.-მეგრ. შქვით - ი;

ქართ. გა - უ - შვ - ა, ქან. ქა - ნა - შქ - უ;

ქართ. ჩვილ - ი, მეგრ. ჩქიჩქუ (შდრ. ხევს. ჩვიჩვილ - ი);

ქართ. მაჩ - ვ - ი, ქან.-მეგრ. მუნჩქ - ვ - ი და სხვ.

§ 80. ორფოკუსიანობა შეიძლება ახასიათებდეს ნაპრალოვან **ს**-ს წარმოთქმასაც. ასეთი **ს** უფრო ნარევე **ს**-ს წარმოადგენს, რომ-

¹ გ. როგაძე, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები: იბერიულ-კავკასური ენათმეცნიერება, ტ. IV, 1952 წ., გვ. 46.

² Л. В. Щерба, Фонетика франц. яз., გვ. 69.

³ ჩვენი: სვან. ფონეტ., გვ. 138 — 140.

ლის შედგენილობაშიც სპეციფიკური „შიშინა“ ჩქამი მონაწილეობს¹.

ნ. იუშმანოვს ე. წ. შონის ჯგუფის ენებიდან მოჰყავს ისეთი მაგალითები, სადაც სჟ → სხჟ → სქჟ².

ამ რიგის მაგალითები ქანურ-მეგრულშიც დასტურდება, მაგ.:

ქართ. შვ-ილ-ი, ქან. სქ-ირ-ი, მეგრ. სქ-უა;

ქართ. შა-შ-ვ-ი, ქან. მ-ზე-სქ-უ, მეგრ. ზე-სქ-ვ-ი (შდრ. ლექს., 105).

ქართ. შენ-ი, ქან.-მეგრ. სქან-ი;

ქართ. შვ-ელ-ი, ქან. მ-სქვ-ერ-ი, მეგრ. სქვ-ერ-ი (იქვე, 91);

ქართ. შვ-ა, ქან. ქოდო-სქ-უ, მეგრ. ქო-სქ-უ — კვერცხის დადება (იქვე, 315) და სხვ.

ამ მაგალითების მიხედვით შეიძლებოდა ძირითადი თანხმოვნების სხვა ახსნაც მოგვეცა: ვინაიდან ქართულში შვ || შ გვაქვს და მის შესატყვისად ქანურ-მეგრულში სქვ || სქ გვევლინება, შეიძლება ქანურ-მეგრულში ეს უკანასკნელი მეორეული იყოს, ისე როგორც ქართულში მეორეული ჩანს: შენ მეორე პირის ნაცვალსახელი (შდრ. ქან.-მეგრ. სი).

ასევე შეიძლებოდა ეკვი შეგვეტანა მეგრ. ძგვ-ს პირველადობაში, რომლის შესატყვისი ქართულში გვაქვს: ჯვ: მაგ. გამარჯობა — მეგრ. გომორძგუა, ქართ. მარჯვენა — მეგრ. მარძგვან-ი და სხვ. (შდრ. ქართ. ქირისუფალ-ი, მეგრ. წირსუფალი (ყიფ., მეგრ. ლექს., 379) და სხვ. მისთ.

7. 6 (|| მ) გგაკათა განვითარება ხშულმსკლომთა წინ³

§ 81. ა. ცაგარელს აღნიშნული აქვს, რომ მეგრულში დ თ ტ-სა და განსაკუთრებით გ-ს წინ ნ ისმის დაახლოებით ისე, როგორც ფრანგული gn სიტყვებში ligne, vigne, digne. ავტორი შენიშნავს, რომ ნ-ს ეს თვისება განსაკუთრებით შესამჩნევია მდინარე ენგურის ნაპირებსა და სამურზაყანოს მკვიდრთა მეტყველებაში⁴.

¹ М. И. Матусевич, Введение в общую фонетику, გვ. 35.

² Н. В. Юшманов, Фонетические параллели африканских и афлатических языков: „Africa“, I, 1957, გვ. 28.

³ ჩვენი: ნ || მ ბგერათა განვითარების საფუძველი მეგრულ-ქანურში ხშულმსკლომთა წინ: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოაზრ., ტ. I № 7, 1949 წ., გვ. 448—454.

⁴ ა. ცაგარელი, Млигр. отруды, II, გვ. 53 — 56.

ა. ცაგარლის აზრით, ნ-ს ასეთი სილბო და ცხვირისმიერი ელფერი შედეგია მომდევნო ენაკბილისმიერი დ თ ტ და უკანაენის-
მიერ გ თანხმოვანთა გავლენისა. ავტორმა ცხვირისმიერი ელფერის
გამოსახატავად მეგრულ ბგერათა ტაბულაში ფრჩხილებში მოა-
თავსა **ნ** ნიშანი.

ი. ყიფშიძემ მოიყვანა ა. ცაგარლის ეს მოსაზრება; მაგრამ თა-
ვის მხრით ამის თაობაზე მას არც დადებითი რამ უთქვამს და
არც უარყოფითი¹.

ამ საკითხის ექსპერიმენტულმა შესწავლამ საყურადღებო შედე-
გები ჩოგვცა. მაგრამ ვიდრე ექსპერიმენტული მონაცემების გან-
ხილვაზე გადავიდოდეთ, მანამდის საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ
საილუსტრაციო მასალა იმის გამოსარკვევად, თუ რა თანხმოვნებ-
თან ვითარდება ნ და რა სახის მოდიფიკაციას განიცდის ის.

მეგრული და ქანური მასალების შესწავლის საფუძველზე გა-
მოირკვა, რომ ნ-ს განვითარებას ადგილი აქვს არა მარტო
დ თ ტ-სა და გ-ს წინ, როგორც ამას ა. ცაგარელი ფიქრობდა,
არამედ სხვა წინაენისმიერ და უკანაენისმიერ ხშულებთანაც; კერ-
ძოდ, ნ (|| მ)-ს განვითარება დადასტურებულია წინაენისმიერი
ხშულების დ თ ტ-ს წინ და გვაქვს: ნდ ნთ ნტ; იგი ვითარდება
წინაენისმიერ ძ ც წ აფრიკატებთან და ვიღებთ ნძ ნც ნწ-ს; ჩნდება
ენანუნისმიერ ჯ ჩ ჰ აფრიკატებთან და გვაქვს ნჯ ნჩ ნჰ; გ ქ კ
უკანაენისმიერებთან და ვიღებთ ნგ ნქ ნკ-ს, რაც შეეხება ბ პ ფ
წყვილბაგისმიერებს, აქაც ნ ვითარდება და ასიმილაციით წარმო-
იშვება მბ მპ მფ.

ამასთან დაკავშირებით გამოირკვა, რომ ასეთი ტენდენცია
უცხო არაა ქართულ და სვანურ ენათა დიალექტებისთვისაც. მო-
ვიყვანოთ საილუსტრაციო მასალა:

ნ ვითარდება დ-ს წინ:

ქართ. ციდა, მეგრ. ცინდა (ყიფ., მეგრ. ლექს., 370) ზდრ.
სვნ. (ბქვ.) ცინდა;

ქართ. თიხა, ქან. ნდიხა || დიხა;

ქართ. დღე, ქან. ნდლა, ზდრ. მეგრ. ონდღე — შუადღე;
ქან. ნდლაული, ნდლაღეული — დღიური;

¹ ი. ყიფშიძე, Грамм. мингр. яз., გვ. 5.

ქართ. იმედი, მეგრ. იმენდი (ყიფ., მეგრ. ტექს., 39, 18);
 ქართ. დიკა, ქან. ნდიკა (ყიფ. I, 74, 32);
 ქართ. მაკიდო, ქან. მაკინდო (ჩიქ. II, 114, 7), მეგრ.
 მაკინდოლი || მაკინდოი (ყიფ., მეგრ. ლექს., 275);
 ქართ. ზადი (თჳლის), მეგრ. ზანდი (იქვე, 236);
 ქართ. მ-დიდარი, მეგრ. დინდარი || დიდარი (იქვე, 227);
 ქართ. მედალი, ქან.-მეგრ. მინდალი (შდრ. გურ. მენდა-
 ლი, სენ (უზგ.) მინდალ);
 ქართ. ფოლადი, მეგრ. ფულანდი (იქვე, 338);
 ქართ. აზიდვა, მეგრ. ეზინდუ, ქან. ეზდუ; (შდრ. ქან.
 ნდარი || დარი (← თურ. dar — ვიწრო)).

დ-ს წინ ნ-ს განვითარების შემთხვევები ქართულშიც დასტურ-
 დება, მაგ.: ძვ. ქართ. წმიდა, ახალ. ქართ. წმინდა; დიალექ-
 ტებში: კახური ხმიანდი (შდრ. ლიტ. ხმიადი); ქანდარი || ქა-
 დარი; ბრუნდი (შდრ. ლიტ. მრუდი. დიალ. მ-დევი
 (← სპ. dīv). ამ ნასესხებ სიტყვაში ნ-ს ნაცვლად მ არის განვიდა-
 რებული დ-ს წინ (შდრ. მეგრ. ნდიი — დევი) და სხვ.

ნ (|| მ) ვითარდება თ-ს წინ:

ქართ. ათასი, მეგრ. ანთასი (ყიფ., მეგრ. ლექ., 195);
 ქართ. თმა, ქან. ნთომა, მეგრ. თომა;
 ქართ. კუთხე, მეგრ. კუნთხუ (იქვე, 262);
 ქართ. თარო, ქან. ნთარო
 ქართ. უთო, მეგრ. უნთო (ყიფ., მეგრ. ლექს., 332);
 ქართ. ყვითელი, მეგრ. ყვინთელი (იქვე, 354);
 ქართ. წუთი, მეგრ. წუნთი (იქვე, 382);
 ქართ. ზუთხი, მეგრ. ზუნთხი (იქვე, 238);
 ქართ. ჩითი, მეგრ. ჩინთი (იქვე, 365);
 ქართ. თხილი, ქან. ნთხირი (ჩიქ. II, 67, 11);
 ქართ. სამი-ოთხი, ქან. სუმ-ონთხო (ჟლ., 10, 12;
 22, 12);
 ქართ. თხა, ქან. მთხა || ნთხა (ჩიქ. I, 60, 20); (შდრ. ქან.
 მოთა || მონთა, ჩიქ. II, 113, 21 — შვილი, შვილიშვილი; ქან.
 კოკითხუ || კოკინთხუ, ყიფ. I, 72, 7 — კითხა („ქექითხა“);
 ქართ. თაგვი, ქან. მთუგი (ჩიქ. I, 21, 20);

ქართ. თოვლი, ქან. მთვირი, მეგრ. თირი; (შდრ. ქან. დო-მ-თინ-უ, მეგრ. გო-თინ-უ — გამართა, გაასწორა, შდრ. ლექს. 280; ქან. მთინი — სწორი).

ქან. „მთუგ“-სა, „მთვირ“-სა და „მთინ“-ში და მისთანებში თ-ს წინ ნ-ს ნაცვლად მ არის განვითარებული. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ქანურში ხშირია ნ-ს პარალელურად მ-ს განვითარების შემთხვევებიც.

ქართულ ლიტერატურულ ენაში თ-ს წინ ნ-ს განვითარება დასტუოდება ასეთ მაგალითში: ნ-თხევა: „ცრემლები ნ-თხეულა“ (შდრ. თხევა, თხიერი).

ნ (|| მ) ვითარდება ტ-ს წინ:

ქართ. ხატი, მეგრ. ხანტი (ყიფ., ლექს., 399);

ქართ. ხატვა, მეგრ. ხანტუა;

ქართ. ტიტველი, ქან. ტენტელი (ჩიქ. II, 14, 26);

ქართ. ტურა, მეგრ. ნ-ტურა (ყიფ., მეგრ. ლექს., 330);

ქართ. კეტი, მეგრ. კე-ნტი (იქვე, 254);

ქართ. დიალ. ფუტურო, ქან. ფუნტურა;

ქართ. ლიტრა, ქან. ლინტრე;

ქართ. კატარი, ქან. კანტარი || კანტაი;

ქართ. ოტკა (← რუს. водка), მეგრ. ონტკა;

ქართ. მატყლი, მეგრ. მონტყორი, ქან. მონტკორი;

ქართ. ატამი, ქან. ანტამა (ელ., 167, 22);

ქართ. კიტრი, მეგრ. კინტირი || კენტგრი (შდრ. გურ. კინტრი);

ქართ. ბეიტი, მეგრ. ეინტი — ბატის წიწილი;

ქართ. ქვიტკირი, მეგრ. ქვინტკგრი (შდრ. მეგრ. ონ-ტოფა || ოტოფა — სოფლის სახელწოდება);

ქართ. ტილი, ქან. მტი, მეგრ. ტიი, სვან. ტიშ;

ქართ. ტუტა, ქან. მტუტა;

ქართ. ტყიური, ქან. მტკური || მტკუი || მტკორი || მტკოი, მეგრ. ტყარი;

„მტუტა“-სა, „მტკურ“-სა და „მტი“-ში ტ-ს წინ ნ-ს ნაცვლად მ არის განვითარებული (შდრ. ძვ. ქართ. ტრედი, ახ. ქართ. მტრედი) და სხვ.

ნ (|| მ) ვითარდება ძ-ს წინ:

ქართ. მოძღვარი, მეგრ. მონძღვარი;
 კან. ონძირუ || ოძირუ, მეგრ. ძირათა — პონა, ნახვა;
 კან. დანძი || დაძი — ეკალი;
 ხეგრ. ბონძორი || ბოძორი — ცხოველის ბეწვი;
 მეგრ. ნენძი || ნეძი — ნიგოზი;
 კან. ნძელი || ძელი (ელ., 95, 1) — უძვლო, რბილი (ხორცი)
 და სხვ.
 შდრ. ქართ. ლიტ. ნძრევა: „ხელი გაანძრია“. ლიტ. გამო-
 ელვიძა, ღიალ. გამოელვინია. ქართლურსა და კახურში ძ-ს
 წინ ნ-ს ნაცვლად ზოგჯერ მ ვითარდება, იაგ. ქართლ. ძძვირი,
 კახური მძვალღი და სხვ. მისთ.

ნ (|| მ) ვითარდება ც-ს წინ:

ქართ. ცხენი, კან. ნცხენი || ცხენი (ელ., 95, 35);
 ქართ. ცომი, კან. ნცომი || ცომი
 ქართ. ცა, კან. მცა || ნცა, მეგრ. ცა; კან. ნცა დონდიხა
 (ღუმეზ., 95, 7) — ცა და მიწა;
 კან. ოცხოჯი || ონცხოჯი || ოცხეჯი — სავარცხელი;
 კან. ონცხოტუ || ოცხოტუ — მოწყვეტა, მოგლეჯა;
 კან. ონცხოწე || ოცხოწე — სხვენი, ქერი;
 ქართ. ცილა, კან. ნცილა || ცილა;
 კან. მურუნცხი || მურუნცი, მეგრ. მურიცი — ვარსკე-
 ლავი;
 კან. დინცხირი || დიცხირი — სისხლი;
 ქართ. ცუდი, კან. მცუდი — ტყუილი; კან. მაშცუდალე —
 ნატყუარა;
 მსგავსი მაგალითები ქართულ დიალექტებშიც მოიძებნება, მაგ.:
 ქართლური მცხვარი, მემცხვარე, მცისაო, მცაში (ცი-
 საო, ცაში). აპარ.-გურ. სიმცრუე; გამომცხადება და სხვ.
 მისთ.

ნ (|| მ) ვითარდება წ-ს წინ:

ქართ. აწი, მეგრ. ანწი (ყიფ., მეგრ. ლექს., 195), კან.
 აწი || ანწი;
 ქართ. ზეწარი, მეგრ. ზენწარი (იქვე, 236);

კან. ნწაი || წარი — ძუა: „ნცხენიშ ნწაი“ (ჟღ., 198) — ცხენის ძუა;

ქართ. ეწერი, მეგრ. ენწერი (იქვე, 231);

ქართ. წუწკი, მეგრ. წკუნწკი (იქვე, 321);

კან. წორუძს || ნწორუმს (ყიფ. I, 48, 1) — აჩვენებს;

ქართ. წლიანი, კან. ნწანერი || წანერი;

კან. წოლა || ნწოლა || მწოლა, მეგრ. წოლა (შდრ. ლექს., 161) — ქვარტლი.

ქართ. მეწყერი, მეგრ. მენწყერი;

ქართ. წყვდიადი, კან. მწკუფი || მწუფი;

ქართ. რწყილი, კან. მწკირი || მწკიი || მწირი, მეგრ. რწყილი.

შდრ. ქართ. დიალექ. მწვალება, იმწვალა || ინწვალა, სიმწყნარე; გამწყნარდა და სხვ. მისთ.

ნ (|| მ) ვითარდება ჯ-ს წინ:

ქართ. გოჯი, მეგრ. გონჯი;

კან.-მეგრ. ჯა || ნჯა || მჯა (ყიფ. I, 74, 20; ჩიქ. II, 31, 35) — ხე;

მეგრ. ქიმერთეს ართი ნჯაში ჯინჯიშა (ყიფ., მეგრ. ტექს., 14, 1) — მივიდნენ ერთი ხის ძირში;

ქართ. ჯორი, მეგრ. ნჯორი (ყიფ., მეგრ. ტექს., 13, 25);

მეგრ. ართი კოჩი ნჯორსგ ქიგებენდუ (ყიფ., მეგრ. ტექს., 13, 12) — ერთი კაცი ჯორზე იჯდაო;

კან. ჯუმა || ნჯუმა, მეგრ. ჯიმა — ძმა;

კან. ჯუმუ || ნჯუმუ (ჩიქ. II, 90, 27) — მარილი, მეგრ. ჯიმუ;

კან. ნჯამე (← თურქ. cami, ჟღ., 198) — მიზიტი;

კან. მაჟურანი || მანჯურანი (ჩიქ. II, 123, 18), მეგრ. ნაჟირა — მეორე;

ქართ. მაჯა, მეგრ. მანჯა;

მეგრ. გონჯამა || გოჯამა — კარის გაღება;

მეგრ. ლანჯი || ლაჯი — იფნა, კოპიტი;

• კან. ტორონჯი || ტოროჯი — მტრედი;

კან. გენი || ჯენი || ნჯენი (ჩიქ. II, 114, 20), მეგრ. გენი || გინი — ხბო;

მეგრული სუფიქსები: -ონჯ, -ენჯ მომდინარეობს -ოჯ და -ეჯ'ისაგან, მაგ. ქო მონჯი — ქმარი; ორ ცხონჯი — სავარცხელი; ოხვენჯი — საჯდომი და სხვ.

ქან. ჯვეში || ნჯვეში (ჩიქ. II, 47, 31) || მჯვეში, მეგრ. ჯვეში — ძველი;

ქართ. იჯრა, მეგრ. ინჯრა (შდრ. დიალ. ინჯრა);

მეგრ.-ქან. სიჯა || სინჯა (ჩიქ. II, 66, 38) — სიძე;

ქართ. ძილი, ქან.-მეგრ. ჯირი || ნჯირი (ჩიქ. II, 97, 31);

ქართ. მ-ჯილ-ი, ქან. მ-ჯიხი || ნჯიხი (ჩიქ. II, 35, 23);
მეგრ. ჯიხ-ი და სხვ.

შდრ. ჯ-ს წინ ნ-ს განვითარების შემთხვევები გურულში:
მჯავრი, ნჯავრობს, გამჯუარდა და სხვ.

ნ (|| მ) ვითარდება ჩ-ს წინ:

ქართ. სიცხე, მეგრ. სინჩხე;

მეგრ. უნჩაში || უჩაში -- უხუცესი;

მეგრ. დანჩხირი || დანხირი — ცეცხლი;

ქართ. ჩოხა, ქან. მ-ჩოხა (ჩიქ. II, 110, 12);

მეგრ. ჩურუა || ნჩურუა — ცურვა;

მეგრ. კალანჩხა || კალანჩა — კალათი;

ქართ. ჩალა, ქან. ჩალა || ნჩალა (ელ., 198);

ქან. ჩხომი || ნჩხომი, მეგრ. ჩხომი — თევზი;

ქან. ოჩხუ -- რეცხვა, მაგრამ: „გონჩხი წკარი“ — ნარეხი წყალი;

ქან. ვიტო ნჩხორი || ვიტოჩხორი — ცხრამეტი;

ქან. ონჩამურე, მეგრ. ჩამური — საცეხველი, ჩამური;

ქან. ნჩხვარი || ნჩხვაი, მეგრ. ჩხვერი — ღომი;

შდრ. ქართ. დიალ. ტუჩი || ტუჩი; ყუჩი || ყუჩი და სხვ.

ნ (|| მ) ვითარდება კ-ს წინ:

ქართ. ყაჭი, მეგრ. ყანჭი;

ქან. ნჭერი || ნჭეი (ელ., 105, 35) — შეყერილი;

ქართ. ვაჭარი, მეგრ. ვანჭარი (ყიფ., მეგრ. ლექს., 234);

ქან. კალა || ნკალა (ელ., 60, 23) — სანაყი ქვა;

ქართ. კოჭი, მეგრ. კონჭი;

ქართ. (დიალ.) მოჭვა, მეგრ.-ქან. მონჭვა;

ჰან. ქართალი უნქარი (ყიფ. I, 28, 24) — უწერი ქალალდი,
ნაგრამ იქვე: ქართალი უქარი (28, 25);

ჰან. კარუმ || ნქარუმ, კარუმს || ნქარუმს (ჩიქ. II, 107,
24) — წერ, წერს:

ჰან. მქინა, მეგრ. ქვიმა — წვიმა;

ჰან. მქითა || ქითა; მეგრ. ქითა — წითელი;

ჰან. მქიფე, მეგრ. ქიფე — წვრილი და სხვ.

ასევე საყურადღებოა შემთხვევები ბ ფ ვ-ს წინ მ (|| ნ)-ს
განვითარებისა.

მ (|| ნ) ვითარდება ბ-ს წინ:

ქართ. ობოლი, მეგრ. ომბოლი;

ქართ. დაბალი, ჰან. დამბალი (შდრ. სენ. დანბალ);

ჰან. ობახუს ქოგოჰქეჲ || ომბახუს ქოგ'ოჰქეჲ (დუმეზ., 24,
26) — ცემა დაიწყეს;

ქართ. ტბა, მეგრ. ტობა || ტომბა (ყიფ., მეგრ. ლექს., 329);

ქართ. უბელო, მეგრ. უმბელო — შეუჯახავი ცხენი;

ქართ. აბრეშუმი, ჰან. ომბრიშუმი (ჩიქ. II, 62, 24);

ქართ. დაგბანო, ჰან. დეგიმბონა (ყიფ. I, 79, 8),

ქართ. გა-ბერვა, მეგრ. გო-მბარუა (ყიფ., მეგრ. ლექს.,
200);

ქართ. ყავარი, მეგრ. ყამბარი (იქვე, 354);

ქართ. შაბი, მეგრ. შამბი (იქვე, 355).

„ყამბარში“ ჯერ უნდა მომხდარიყო ვ-ს ბ-დ ქცევა და შემ-
დეგ ბ-ს წინ მ-ს განვითარება.

ჰან. ფინბილი || ფიმფილი || ფიმბილი — წვერი;

ჰან. ბობოლა || ბომბოლა — ობობა;

მეგრ. ბობოთი || ბომბოთი — სოფლის სახელწოდებაა;
(შდრ. იქვე: „ბომბუას ხინჯი“ — ბომბუას ხიდი);

ჰან. ობლორინუ || ომბლორინუ — ბლავილი (ჟლ.,
30, 34);

ჰან. კობო || კომბო — მკუხე;

ჰან. ძლაბულერი || ძლამბულერი — ნაყვავილარი სახე;
შდრ. ქართ. ციმბირი ← Сибирь; გურ. გომბაქი, ლიტ. ქო-
ფაკი; ქართლ. მბალი; აჰარ.-გურ. კახამბალი, მბილი და
სხვ.

მ (|| ნ) ვითარდება ფ-ს წინ:

ქართ. ოფოფი, ქან. ოფამფე;
 ქან. ფამფარი || ფამფაი || ფანფარი — ბიბილო მამლისა;
 ქან. ფუფული || ფუმფული — მუწუქი (შდრ. დიალ. ფუმ-
 ფული; შდრ. ქართ. დიალ. იმერ.-გურ. შხუმფლვა (← შხეფი);
 აქარ.-გურ. ყოლამფერი, რამფერი, უმფროსი და სხვ.

მ ვითარდება პ-ს წინ:

მეგრ. კოპული || კომპული — ისარი;
 ქართ. აპეური, მეგრ. ამპოური || ამპური (ყიფ., მეგრ.
 ლექს., 194), ქან. ამპოური;
 ქართ. უპე, ქან. უმპა — კიპი;
 მეგრ. ჯაპი || ჯანპი || ჯამპი — თუთის ხე (იქვე, 411);
 მეგრ. კაპარი || კამპარი — ჯონჯოლი;
 მეგრ. ლუპუა || ლუმპუა — ლუპვა; შდრ. აქარ. დაღუმპვა
 (თავისა), გურ. ჩაყლამპა, სამპყრობილე; მეგუმპყრობი
 და სხვ.

ნ ვითარდება გ-ს წინ:

ქართ. მაგარი, მეგრ. მანგარი (ყიფ., მეგრ. ლექს., 275);
 ქართ. მ-დოგვი, მეგრ. დონგი, დონგვი (იქვე, 228);
 ქართ. მაგიერი, მეგრ. მანგიორი (იქვე, 276);
 ქართ. გზა, ქან. გზა || ნგზა (მარი, 94, 9);
 ქართ. მეგრელი, ქან. მენგრელი (ჩიქ. II, 83, 10);
 ქართ. აგური, მეგრ. ანგურა;
 ქართ. უნაგირი, მეგრ. ანანგერი || ონანგერი;
 ქართ. იგავი, მეგრ. იანგეე;
 ქართ. მ-გელი, მეგრ. ნგერი (ყიფ., მეგრ. ტექს., 13, 28);
 იქვე: ნგერეფი (14, 11) — მგლები;
 ქან. გრესთა || ნგრესთა — კეცი;
 მეგრ. გორა || ნგარა — ტირილი (ყიფ., მეგრ. ტექს., 31, 23);
 ქან. გროში || ნგროში: „ოში ნგროში“ (თლ., 93, 33) —
 ასი გროში; შდრ. ქართ. დიალ. ანგრე, მონანგროე და სხვ.

6 ვითარდება კ-ს წინ:


ქართ. შაქარი, მეგრ. შანქარი (ყიფ., მეგრ. ლექს., 355);
 მეგრ. ქალუა || ნქალუა — ქელვა;
 მეგრ. ქილუა || ნქილუა — ხეტიალი;
 ჰან. ნქორ-, მეგრ. ქილ- || ქირ — მთქნარება;
 ჰან. ქინ- || ნქინ || ქირ- || ნქირ — ქნევა; შდრ. სენ. ჟოქერ —
 ოქრო; ლგნქროვი — მოოქვრილი; და სხვ. მისთ.

6 ვითარდება კ-ს წინ:


ქართ. კაკვი, მეგრ. კანკვი || კვაკვი;
 ჰან. კილერი || ნკილერი (ჩიქ. I, 37, 16) — დაკეტილი;
 მეგრ.-ჰან. მოკა || მონკა — მძიმე;
 ქართ. კერა, ჰან. კერა || ნკერა;
 ჰან. ნუკუ || ნუნკუ — პირი;
 ქართ. დაუკაკუნა, ჰან. დოკანკუ, მეგრ. დუკაკუ (შდრ.
 მეგრ. სამყვარელი (ხუბ., 260, 28) — საყვარელი) და სხვ.

§ 82. პალატოგრაფების მონაცემებით ნათლად ჩანს გარკვეული კანონზომიერება: დამოუკიდებლად წარმოთქმული თითოეული ხშულის არტიკულაცია განსხვავდება ენის მაგარ სასისთან შეხებით იმავე ხშულისაგან, როდესაც მას ცხვირისმიერი ელფერი უჩნდება ნ-ს განვითარების საფუძველზე.

სანიმუშოდ გავარჩევთ რამდენიმე პალატოგრამას. ჯ-ს პალატოგრამით (ფიგ. 36) ირკვევა, რომ ენის წინა ნაწილის ზურგის შეხება მაგარი სასის წინა და უკანა ნაწილზე ოდნავ უფრო ფართოა, ვიდრე შესატყვისი ძ-ს (ფიგ. 37) წარმოთქმისას. სამაგიეროდ.




ფიგ. 36..



ფიგ. 37.


უფრო ფართო კვალს ტოვებს ენის გვერდითი კიდეების არტიკულაცია მაგარი სასის წინა და უკანა ნაწილზე ნჯ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ნჯა 'ხე' (ფიგ. 38).

ამ კანონზომიერებას იმეორებენ და ადასტურებენ ჩ-სა (ფიგ. 39) და ნჩ-ს (ფიგ. 40), ჰ-სა (ფიგ. 41) და ნჰ-ს (ფიგ. 42) პალატოგრაფები.




ფიგ. 38.


კიდევ უფრო გაზრდილია პალატალიზაციის ხარისხი, როდესაც უკანაენისმიერ ხშულებს გ ქ კ-ს წინ უვითარდება ცხვირისმიერი ნ.




ფიგ. 39.



ფიგ. 40.




ფიგ. 41.



ფიგ. 42.

მეგრული გ-ს პალატოგრაფით (ფიგ. 43) ირკვევა, რომ გ-ს წარმოთქმისას ენის უკანა ნაწილის ხშვა რბილ სასასთან იმდენად

უკან წარმოებს, რომ მხოლოდ შეხების მცირე კვალი რჩება სიბრძნის კბილების არეში.



ფიგ. 43.


სანაგიეროდ, ნგ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ნგარა („ტირილი“) (ფიგ. 44) იმდენად ფართოა ენის შეხება მაგარი სასის წინა და.




ფიგ. 44.

უკანა ნაწილზე, რომ მხოლოდ პატარა წრისებრი ადგილი რჩება შეუხებელი მაგარი სასის ცენტრში.

ასეთსავე კანონზომიერებას ასახავენ ქ-სა (ფიგ. 45) და ნქ-ს (ფიგ. 46) პალატოგრაფები.



ფიგ. 45.



ფიგ. 46.

ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემებით ნათლად დასტურდება ა. ცაგარლის მოსაზრება მეგრული ნ-ს პალატალიზებული ბუნების

შესახებ, როდესაც იგი წინ უძღვის ხშულებს. ოლონდ ა. ცაგარელს არაფერი აქვს ნათქვამი ამ პოზიციაში მოქცეულ ხშულთა პუნების შესახებ. გაცხვირისმიერებულ ხშულებში საგრძნობლად შესუსტებულია წარმოთქმის ენერგიულობა. ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით ისინიც პალატალიზებული ბუნებისანი არიან. ამ შემთხვევაში ე. წ. საურთიერთო პალატალიზაცია დასტურდება.

ჯასარკვევია, რა ნიადაგზე ვითარდება ნ (|| მ), რატომ ნ (|| მ) ვითარდება ხშულთა წინ და არა სხვა თანხმოვნები?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რომ გავგიაღვილდეს, მოვიყვანთ ვ. ბოგოროდიცკისა და გ. პანკონჩელი-კალციას მოსაზრებებს.

ვ. ბოგოროდიცკი საკმაოდ დიდი ხნის ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევის შედეგების განზოგადების საფუძველზე ასეთ დასკვნას იძლევა: ყრუ ხშული თანხმოვნები კუნთების უფრო ნეტ დაჭიმულობას საკირობენ, ვიდრე მჟღერი ხშულები, ხოლო ეს უკანასკნელნი უფრო მეტი დაჭიმულობით წარმოითქმიან, ვიდრე ცხვირისმიერები. ვ. ბოგოროდიცკის პროცესი ასე აქვს წარმოდგენილი: $\Pi \rightarrow \Gamma \rightarrow M; T \rightarrow D \rightarrow H$. ავტორის აზრით, ეს პროცესი წარმოთქმის ფიზიოლოგიური პირობებით აიხსნება. კერძოდ, ყრუ ხშულთა წარმოთქმისას არტიკულაციური დაბრკოლება იმდენად ენერგიული უნდა იყოს, რომ მთელი ამოსუნთქული ჰაერნაკადის მოწოლა უნდა შეაკავოს, ხოლო მჟღერთა წარმოთქმისას ჰაერნაკადის მოწოლა გაცილებით ნაკლებია იმის გამო, რომ ჰაერნაკადის გადამუშავება პირველად სახმო სიმებში ხდება, ჰაერნაკადის მოწოლაც შემცირებულია; ცხვირისმიერ თანხმოვანთა წარმოთქმისას კი ჰაერნაკადის მოწოლა კიდევ უფრო შემცირებულია, ვინაიდან ნაწილი ჰაერისა იგზავნება ცხვირის ღრუში¹.

ამის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ ხშულ თანხმოვანთა წარმოთქმისას ხშვის გადაღახვას აიოლებს ჰაერის ნაწილის ცხვირის ღრუში გაგზავნა, რის გამოც ხშულთა წინ ნ (|| მ) ვითარდება.

დაახლოებით მსგავსი მოსაზრება აქვს გამოთქმული გ. პანკონჩელი-კალციას. იგი ხშულთა წარმოთქმაში ფაზებს აღნიშნავს. ავტორის აზრით, ზოგიერთ ენაში ხშულმსკდომ ბგერათა წარმო-

¹ В. А. Богородицкий, Наблюдения посредством мышечного чувства над произношением звуков русского языка. Казань, 1906 г., гл. 8 (ცალკე ავონაბეჭდი).

თქმისას პირველ ფაზაში ნაწილი ჰაერისა ცხვირში გადის და ნაწილი ჰაერნაკადისა კი იმავე დროს დახშულობას გადალახავს. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ფაზებს ისე შევიგრძნობთ, როგორც მთლიანს. ასეთ შემთხვევაში ხშულმსკდომი არ წარმოითქმის ცხვირისმიერი ელფერის გარეშე, რის გამოც წარმოიშვება ბგერათშეყოფიანი: **mb, nd, ng** და ა. შ.¹

როგორც ირკვევა, ამ სახის ტენდენცია უცხო არ არის კავკასიური ენებისთვისაც. ა. დირი აღნიშნავს, რომ **d**-ს ადვილად უჩნდება წინ საყრდენი **n**: **andɣa** 'მზე' (ყაბარდოული **dɔɣa**). უბიხური ამ თვისებას, როგორც ჩანს, იზიარებს ჩერქეზულთან ერთად, რომლის შესახებაც პ. უსლარი ამბობს, რომ ჩერქეზულის პოეზიაში **n** ხშირად წარმოითქმის იქ, სადაც მას პროზაში სრულებით არა აქვს ადგილი, მაგ., **andəye** ნაცვლად **adəye**-სი.²

კ. მაინჰოფი საკმაოდ ვრცლად მსჯელობს ამ მოვლენის შესახებ აფრიკის ენების მონაცემთა მიხედვით. აფრიკის ჯგუფის ენებშიც დასტურდება **n**-ს განვითარება **k t p**-ს წინ. ამ ენებში ხშულთა წინ **n**-ს განვითარებას უფრო შესამჩნევი მოდიფიკაცია გამოუწვევია ხშული თანხმოვნებისა, ვიდრე ეს ქართველურ ენებში გვაქვს. როგორც კ. მაინჰოფი შენიშნავს, აფრიკის ჯგუფის ენებში **k t p**-ს წინ **n**-ს განვითარებას ხშულები სპირანტებად უქცევია.³

ნეგრულ-კანურში ხშულთა წინ **ŋ** (**|| 8**)-ს განვითარების ხშირი შემთხვა გარდამავალი ბგერის დამდგარ ბგერად გარდაქცევის მშვენიერი ილუსტრაციაა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ხშულმსკდომ თანხმოვნებს იმპლოზიის მომენტში ცხვირისმიერი ელფერი ერთვის, რათა ექსპლოზიის მომენტის გადალახვა გაადვილდეს, მაგრამ შემდგომ ეს ცხვირისმიერი ელფერი დამოუკიდებელ დამდგარ ბგერად გვევლინება.

¹ G. Panconcelli-Calzia, Die experimentelle Phonetik in ihrer Anwendung auf die Sprachwissenschaft, 1924, გვ. 70

² A. Dirr, Einführung in das Studium der Kaukasischen Sprachen, 1925, 35.

C. Meinhof, Der Wert der Phonetik für die Allgemeine Sprachwissenschaft: Vox, Heft 1/2, 1918, 51—52.

8. პალატალიზაცია

§ 88. პალატალიზაცია ანუ ბგერათშერბილება ქართველურ ენებს შორის ყველაზე უფრო დამახასიათებელია კანურ-მეგრული-სათვის.

ზემოთ რ და ლ-ს განხილვისა და ნ-ს ხშულ თანხმოვანთა წინ განვითარების საფუძველზე (§§ 64—82) გარკვეულ იქნა, თუ რამდენად პალატალურია ამ თანხმოვანთა ბუნება კანურ-მეგრულის კილოკავებში.

პალატალიზაციის ხარისხი კანურ-მეგრულის კილოკავებში იმდენად დიდია, რომ ამის საფუძველზე ბგერები საგრძნობლად იცვლიან ელფერს და ზოგჯერ ისინი თვისობრივად ახალ ბგერებად იქცევიან. ეს შეეხება არა მარტო რ-სა და ლ-ს, რომლებიც სათანადო კომპლექსებში ჯ-დ იქცევიან, არამედ უკანანისმიერ (გ ქ კ) ხშულებსაც, რომლებიც ათინურს კილოკავში იმავე პალატალიზაციის საფუძველზე ენაიუნისმიერ შიშინა აფრიკატებად (ჯ ჩ კ) ქცეულან.

საუიქრებელია, რომ კანურ-მეგრულის კილოკავებში უ-ს ი-სთან ისტორიული ხმოვანთმონაცვლეობის შემთხვევები პალატალიზაციის საფუძველზეა მომხდარი. ეს საკითხი სპეციალურ შესწავლას საჭიროებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ კანურ-მეგრულის კილოკავებში თანხმოვანთა და ხმოვანთა პალატალიზაციის გარდამავალი საფეხურებიც დასტურდება.

გამოქვეყნებულ კანურ-მეგრულ ტექსტებში ყოველთვის სათანადოდ არ არის ასახული ბგერათა შერბილების შემთხვევები.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ მეგრულში ლ საგრძნობლად პალატალური ბგერაა. კანურშიც დასტურდება შემთხვევები ლ-ს პალატალიზაციისა. ასე, მაგალითად, ლ პალატალურია, როცა მას უშუალოდ მოსდევს იოტი ასეთ გამოთქმებში; მონკვექ კლ ჯ უ ხ უ მს (ჩიქ. II, 5, 2) — კრუხი კრუხუნებს; ნალ ჯ ა (ყიფ. I, 2, 1) — ნალია, სასიმიინდე; დულ ჯ ა (ყიფ. I, 74, 7) — საქმე (ბერძ.); ჯ ში ლ ჯ ა (ჩიქ. II, 107, 18) — ათასი (ბერძ.). აგრეთვე წინამავალი თანხმოვნის იოტაციაზე მიუთითებს ჯ შემდეგ მაგალითებში:

პატი კოჩი (ჩიქ. II, 112, 3) — ცუდი კაცი; პატი ოხორა (ჩიქ. II, 116, 25) — ცუდი ქალი (შდრ. პატი იქვე, 41, 9); ქაურ ქა (ჩიქ. I, 154, 3) — ქინკალა; ანდლა ეშო ნუნგაფს, ოტი

ქუმა უპირებენ (მარი, 121, 19) — დღესისე გავს, რომ წვიმას აპირებს; ჟ-ს წინამავალი თანხმოვნები პალატალურია: დუქანის (დუმეზ., 104, 7) — დუქანში; ამ მაგალითში დ-ც პალატალურია და ქ-ც.

თუთუნი სკანი მომჩი (მარი, 122) — შენი თუთუნი მომეცი (იხ. ზევით § 23).

ყველა ავტორზე უფრო გ. დუმეზილს აქვს გამახვილებული ყუ-რადღება ქანურის პალატალურ თანხმოვნებზე, ოღონდ ავტორი ტექსტებში სათანადო ნიშნებს არათანამიმდევრულად წყენებს. ასე, მაგალითად, პალატალური ჟ მას ზოგჯერ გამოხატული აქვს სათანადო სილბოს ნიშნის (კბილაკის) დასმით (ჟ'), ზოგჯერ კი მომდევნო ხმოვანზე ჟმლაუტის ნიშნის დასმით. მაგ.: ჟ'ურ ოხორჯა (დუმეზ., 114, 17) — ორი ქალი; ჟ'ურ-სუმ (იქვე, 115, 19) — ორი-სამი; არ-ჟ'ურ ჩქვა... (იქვე, 124, 21) — ერთი-ორი კიდე...; მაჟ'ურა დლას (იქვე, 37, 13) — მეორე დღეს; მაგრამ ანის პარალელურად დასტურდება: ჟურნეი-დო-ჟურ წანა (დუმეზ., 41, 25) — ორმოცდა ორი წელი; ჟურიტ მკომანორენ (იქვე, 85, 7) — ორივესაც შეგვკამს და სხვ.

მართლაც, ჟ რომ პალატალური ბგერაა ამ შემთხვევაში. ეს უდავოა, ვინაიდან იგი მიღებულია ჟ-საგან. საყურადღებო ფაქტია, ნ. მარნა ლაზისტანში მოგზაურობისას სოფ. ლალმოში 85 წლის მოხუცისაგან გარკვევით გაიგონა ჟური ჟური-ს ნაცვლად (შდრ. სენ. დორი, ქართ. ორ-ი). ორიოდ შემთხვევა ჩვენი ტექსტებითაც არის დადასტურებული ჟ-ს ნაცვლად ჟ ხმარებისა: წანა ჟური ქოდოდგითუ (ელ. 91, 13) — ორ წელს დარჩა (დადგა); ჟურ კაპიკი (იქვე, 91, 17) — ორი კაპიკი¹.

ი. ყიფშიძეს თავის „ქანეთში მოგზაურობაში“ ხოფის უბანში სოფლებს შორის დასახელებული აქვს: ჟაურპიჯი, რომელიც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: ორ პირს². ჟ-ს გვერდით ჟ ნათლად მიუთითებს, რომ ჟ პალატალურია: იგი გარდამავალია ჟ და ჟ-ს შორის.

ჩვენი ტექსტებით აგრეთვე დასტურდება ორი ისეთი შემთხვევა, სადაც მთქმელმა იოტის მაგიერ ჟ იხმარა. მაგ., სოფ. შუბარაში

¹ არნ. ჩიქობავა, კან. გრამ. ანალიზი, გვ. 28.

² ი. ყიფშიძე, მოგზაურობა ქანეთში: ენიმკი-ს მოამბე, ტ. I, გვ. 154.

მთქმელმა ეერინე-ს (← თურქ. *yerine*) ნაცვლად წარმოთქვა ეერინე: ბოზოში ეერინე ბიჭი ქოდოსქიდუდორენ (ჯღ., 75, 21) — გოგოს მაგიერ ბიჭი დარჩენილა: ჰე ბიჭი ქოდოსქიდუ ნოლამისაშ ეერინე (იქვე, 75, 15) — ეს ბიჭი დარჩა რძლის მაგიერ. იოტის ჟ-დ გადაქცევის შემთხვევები დადასტურებულია არნ. ჩიქობავას ჰანურს ტექსტებშიც: „მე დომჩუ, მე დომჩუ გაისწორაო“, შენიშნავს ავტორი (II, 18, 24): ... დო ჰემუქ მე დომჩუ, მე დომჩუ — და მან დამწყევლა; ოხორჯა იბგარუ დო მე დომჩუ (ჩიქ. II, 17, 8) — ქალმა იტირა და დაწყევლა;

ჰე-თი მე დომჩუ დო ქმორი დივუდორტუნ... (იქვე, 17, 35) — ესეც დაწყევლა და ბრმა განხდარიყო... ამასთან დაკავშირებით ავტორი დაასკვნის: „მთქმელმა ორჯერ იხმარა ჯერ დ-ანი ფორმა და იქვე გაისწორა, ჟ-იანი იხმარა, მაგრამ დ-ანი ფორმა მაინც რამდენჯერმე წაცდა: ცხადია, აქ დ გადადის ჟ-დ“¹.

მეორე მაგალითი, რომელიც არნ. ჩიქობავას ათინური ტექსტებით დასტურდება, ეს არის „ლობჯა“ „ლობა“-ს ნაცვლად: ლობჯა ჰამ ონ. ჰამ მქითა ლობჯა ონ. ჰიმ ქჩე ლობჯა ონ... (ჩიქ. II, 111, 24) — ლობიო ეს არის. ეს წითელი ლობიოა. ის თეთრი ლობიოა. „ლობჯა“ მიღებულია „ლობა“-საგან, ეს უკანასკნელი კი იოტის ჟ-დ გადაქცევის ნიმუშს იძლევა². დ-ს ჟ-დ გადაქცევის შემთხვევებზე თავის დროზე უფრადლება გაამახვილა გ. ახვლედიანმა³. მან საბას მიერ დადასტურებული ფორმები: ვჟარები (← ვიარები), ჟარე (← იარე) ამ გზით ახსნა (შდრ. იაკობია → დაკობია → ჟაკობია → ჯაკობია).

აღსანიშნავია, რომ სვანურში დასტურდება საწინააღმდეგო პროცესი — რიგ შემთხვევაში იოტი მიღებულია ჟ-საგან⁴.

გ. ღუმეზილს უკანაენისმიერი გ-ს პალატალიზაცია რიგ შემთხვევაში გამოხატული აქვს სილბოს ნიშნით (კბილჭკით) და მომდევნო ხმოვანს უმლაუტის ნიშანიც უზის, მაგ.: ქოგ'რქკეს: კოჩეფ თითო-თითო გოლახთიმუს ქოგ'რქკეს (ღუმეზ., 97, 9) — კაცებმა თითო-თითოდ გასვლა დაიწყეს; ნეენა გ'უნკოლუ

¹ არნ. ჩიქობავა, ჰან. გრ-მ. ანალიზი, გვ. 28.

² იქვე.

³ გ. ახვლედიანი, შენიშვნა „ვეარები, ჟარე“-ს შესახებ: ჩვენი ნეკნიერება, 1923 წ., ნოემბერ-დეკემბერი. № 6—7, გვ. 80.

⁴ ჩვენი: სვან. ფონეტი., გვ. 177.

(იქვე, 32, 7) — კარი ჩაუკეტა; ბერე სარაჲს გ'რტკოჩაფუ
(იქვე, 3, 3) — ბავშვი სახლიდან გააგდებინა.

კაპეტ ქოგ'რკორამან... (იქვე, 126, 17) — მაგრად დააკრავენ...

ტოროჯ(ი) ხეს გ'უხედუშქულ... (იქვე, 57, 7) — როცა
მტრედი ხელზე დააჯდა... და სხვ.

გ. ღუმეზილი გ-ს სილბოს ზოგჯერ გამოხატავს მხოლოდ მომ-
ღევნო ხმოვანზე უმლაუტის ნიშნის დასმით, მაგ.: თოკი გ'უღ-
ვეზლო (იქვე, 82, 13) — თოკი მოაბეს და... გ'ულუტუშქულ(ე)
... (იქვე, 46, 1) — გასვლის შემდეგ... ონწელის ქოგ'რჩი-
ოამს (იქვე, 126, 5) — აკვანში ჩააწვენს. ზოგჯერ ამ სახით აქვს
გამოსახული გ-სა და სხვა უკანაენისმიერთა მოდიფიკაცია ი. ყიფ-
შიძეს, მაგ.: ქოგ'რქუ ოპარამითუს (ყიფ. I, 31, 13) — დაიწყო
ლაპარაკი;

თოკი ქოგ'უღუ (იქვე, 63, 2) — თოკი მოაბა;

გ'ურჯი (იქვე, 20, 8) — ქართველი (შდრ. გაურჯი, ჩიქ. I,
118, 18);

ქ'უნიე (ყიფ. I, 9, 22) — ჩურჩხელა (შდრ. ქაუმე, ჩიქ. I, 156, 7);

გ. ღუმეზილს ზოგ შემთხვევაში კიდევ გ-ს პალატალური მო-
დიფიკაცია სათანადო სილბოს ნიშნით აქვს გამოსახული, მაგ.:

ონჯირეს გ'ეჯანტუ (ღუმეზ., 47, 5) — საწოლში იწვა; ნცხე-
ნის გ'ეხთუ (იქვე, 48, 15) — ცხენიდან ჩამოვიდა;

ლეტა ეზდუ დო ხეს გ'ედეზლუ (იქვე, 49, 11) — მიწა აიღო
და ხელზე დაიყარა;

არ დივ(ი) გ'ელადგინ (იქვე, 51, 5) — ერთი დევი დგას
(„ჩამომდგარა“);

ღვას ხე გ'ელუსუ (ღუმეზ., 53, 17) — ლოყაზე ხელი ჩამოუსვა;

ბეოე გ'ეტკოჩეზ დო... (იქვე, 3, 9) — ბიჭი გადააგდეს და...
ნა გ'ეზდგითი გზაშენ, ვარ გობიქთერ... (იქვე, 5, 11) — რო-
ნელ გზასაც დავადექი, არ დავბრუნდები... ქოგ'ეხთეს (იქვე,
9, 5) — ჩამოვიდნენ;

ქოგ'ედგითუ (იქვე, 22, 1) — იდგა;

ოხორჯაქ ნეკნაფ გ'ენკოლუ (იქვე, 23, 21) — ქალმა კარები
ჩაკეტა;

ნგრესთა ქოგ'ედი (იქვე, 35, 25) — კეცი ჩამოუდგი; ქჩე
მჩხურის-ნა გ'ეხედატუ... (იქვე, 90, 13) — თეთრ ცხვარზე რომ
იჯდა...

დიდი ღალი გ'ელულუნ (იქვე, 91, 1) — დიდი ლელე ჩამოდის;

ბიჭი ლეტას კუჩხე მებაძგ'ერ ოკაშქენდო... (იქვე, 94, 25) — ბიჭი მიწაზე ფეხით უკანიდან მიბჯენილი...

თის გ'ატუ (იქვე, 110, 19) — თავზე დაეცა;

ხეს ქოგ'აკნუ (იქვე, 84, 3) — ხელზე მოკიდა; ნა გ'აკნუ... (იქვე, 31, 12) — რომ მოკიდა... ქჩე მჩხურის ნა გ'ეხედატუ, უჩას ქოგ'ახუნუ (იქვე, 90, 13) — თეთრ ცხვარზე რომ უნდა შემჯდარიყო, შავს შეაჯდა.

სხვა ავტორთა გამოქვეყნებულ ტექსტებში უკანანისმიერ გ, ქ, კ-ს სილბო გამოხატულია ძ-ით. ამასთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ „გ-ს ჯ-დ ქცევისას გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს გ' (გაპალატებული გ); ხშირად ისმოდა ის ართაშენელ მუსა გულაბეროღლის მეტყველებაში (ს. თხირნა-ლიდან, აქარ.), არა იშვიათად იყო ტალვათელი ალი კანთაროღლისთანაც; შდრ. ქოგეევოქი II, 105, 3 და: ქოგეევოქი II, 105, 1 — დავიწყე; გეევოქარე II, 104, 30 — დავიწყებ...“¹

გა:

ქოგაონჯირუ (ყიფ. I, 34, 30) — ჩააწვინა;

გაოწკედუ (იქვე, 35, 9) — დახედა;

მოლაქ-თი ოჭიდეფე გაონქუ (ჩიქ. I, 10, 16) — მოლამაც წარბები დასწია;

გაოვდე მუში მთელი თომა ტუ (იქვე, 163, 13) — მისი ტანი სულ ბალნიანი იყო;

გაულაჲ (კიფალი თურქული ენ, ლაზური გაულაჲ ვუნუ-ბერთ) (ჩიქ. I, 155, 7) — კიფალი თურქულია, ლაზურად გაულ-აჲს ვუნოდებთ;

გაობუნ — აბია (შდრ. მეგრ. გიობუნ) შდრ. ლექს., 250);

გაორა (ჩიქ. II, 28, 23) — თითქოს;

ცობირუ ქოგაოქკეს (იქვე, 134, 8) — სიმღერა დაიწყეს;

გა'არიშ გაედვალუშენი (ჩიქ. I, 151, 28) — საკმლის დასადებად. არნ. ჩიქობავა ამასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ: „აქა და მსგავს შემთხვევებში გ პალატალიზებულია“ (ჩიქ. I, 151, 28).

¹ არნ. ჩიქობავა, კან. გრამ. ანალიზი, გვ. 26—27.

ზანული უგაელი ტუ (იქვე, 27, 10) — მამალი მშიერი იყო;
 გაუსტუ დო განთხუ: კუჩხეს ლასტიკი მოძიტუ (იქვე,
 93, 3) — დაუსხლტა და დაეცა: ფეხზე კალოში ეცვა;
 ჯუმაში გემგარინუ (ჩიქ. II, 140, 2) — ძმის დაჭირება;
 გელინი (ნოლამისა) (ჩიქ. I, 132, 30) — რძალი; მაგრამ
 იქვე: გელინიში, 132, 29;

ვიდათ დო გელინი ქომოიყონათ (იქვე, 133, 9) — წავიდეთ
 და რძალი მოვიყვანოთ;

ია კოჩის გაათხოზუ (იქვე, 9, 17) — იმ კაცს გამოუდგა;
 გაატკვაცუ, გაატკვაცუ (ყიფ. I, 55, 25) — დაახტა,
 დაახტა.

ქა:

ხეზმექაი (ჩიქ. II, 9, 32) — ხელზე მოსამსახურე;

ქაორი (იქვე, 17, 35) — ბრმა;

ქაუმე (ჩიქ. I, 156, 7) — ჯანჯუხა (შდრ. ქუმე);

ქაურქი (ჩიქ. I, 4, 21; II, 7, 27) — ქურქი;

პრასქა (ხოფ.) — პრასა;

ჰექააე (ყიფ. I, 16, 12) — ზღაპარი (თურქ.);

ისქაანდერი (ჩიქ. II, 5, 12) — საკ. სახელი; შური ქემი-
 ხთუ-და (ჩიქ. I, 11, 17) — სული ამომივიდაო;

დუქაანიშ შედეფე (ყიფ. I, 1, 5) — ღუქნის ნივთები, სა-
 ქონელი;

ქაექეჯი — წორი-ნა ვარ აღარღალენ (ჩიქ. I, 152, 11) — ქე-
 ქეჯი (ჭქეჯი) სწორად რომ ვერ ლაპარაკობს;

ქაოქიშა (ჩიქ. I, 67, 15) — ძირში, ძირამდე; (შდრ. ქ'უთი —
 ქვეერი, ღუმეზ., 37, 5).

კა:

კაეტი ქამებკვათი (ჩიქ. I, 93, 30) — პატარა ჯოხი მოვ-
 კერი;

კაეტეფე დოხაზირი-ა (იქვე, 90, 28) — პატარა ჯოხები
 დაანზადო;

კაფუ (ყიფ. I, 36, 18) — ტურა (შდრ. მ-კაფუ).

გ, ქ, კ-ს იოტაცია ჭანურის ათინურ კილოკავში იმდენად გან-
 ვითარებულა, რომ ამ თანხმოვანთა მოდიფიკაცია თვისობრივად

ახალ ბგერებს იძლევა; გ, ჯ, კ წინა რიგის ხმოვნების ე-სა და ი-ს წინ ენანუნისმიერ აფრიკატებად ჯ ჩ კ-დ ქცეულან, მაგ.:

გ → ჯ:

გ მ ა რ ი ქომილუნ. შქუნი ჯ ა რ ი შკომარე (მარი, 83, 24) — საქმელი მაქვს. ჩვენს საქმელს შექამ. ათინურის ამ ორ ფრაზაში გ მ ა რ ი ფორმაცაა დადასტურებული და პარალელურად ჯ ა რ ი 'ც (შდრ. სვან. მეორე ობიექტური პირის ნიშანი ჯ ← გ);

ჯ ა რ ი ოშქომუ (ყიფ. I, 76, 13) — საქმელი ქამა;

ლაზუტი ჯ ა რ ი მუქე იენ (იქვე, 75, 14) — სიმინდის საქმელი როგორ არის;

სი ჰიქელე ჯ ო ლ ა რ ე (ჩიქ. II, 87, 7) — შენ იქედან ჩამოვარდები (შდრ. გმოლარე);

სერენდეს ქ ო ჯ ო ბ ლ ა მ ა ნ (ყიფ. I, 75, 23) — სასიმინდეში ჩაყრიან (შდრ. ქოგმოზლამან);

ბ ე რ ჯ ი თ ე (იქვე, 75, 20 — 21) თოხით (შდრ. ბერგითე);

ობგარუს ქ ო ჯ ო ჭ უ (ჩიქ. II, 93, 36) — ტირილი დაიწყო (შდრ. ქოგმოჭუ);

ალის თოქი ქ ო ჯ უ დ უ მ ა ნ (ყიფ. I, 75, 16) — ყელზე თოკს ოაბამენ (შდრ. ქოგჟუდამან);

ქარმატეს ქ ო ჯ უ დ უ მ ა ნ (იქვე, 75, 24) — წისქვილზე დაყრიან; (შდრ. ქოგჟუდამან);

დალი მ ჯ ვ ე რ ი ი ე ნ (ჩიქ. II, 115, 24) — ტყეში მგელი არის; (შდრ. მგერი);

ნანა-ბაბა სკანი დიჟუ ჯ მაური (გააური) (იქვე, 90, 13) — შენი დედ-მამა გახდა ურჯულო (გიაური); (შდრ. გამურჯეფე || ჯურჯეფე ყიფ. I, 73, 33);

ჯ ე ქ უ ც ხ უ (ყიფ. I, 83, 33) — გაიღვიძა (შდრ. გეკუცხუ);

ჯ ე ნ დ ლ ა ნ ი (ჩიქ. II, 1.1, 12) — ზეგ (შდრ. გენდლანი);

ღუჯინი ნ ჯ ე ნ ი ო ნ (იქვე, 108, 12) — ძროხისა ხბოა (შდრ. ჯენი);

ფიცაის ქ ო ჯ ო ჯ ი ნ ე ს (ჩიქ. II, 87, 23) — ფიცარზე დაწვიანეს... (შდრ. ქოგმოჯინეს);

დ ო ბ ჯ ი ბ ა რ (იქვე, 114, 8) — მოვხარშავ (შდრ. დობგიბარ);

ჯ ე რ ი ვ ა გ ო ბ ი ქ თ ი (იქვე, 112, 5) — უკან არ დავბრუნდი (შდრ. გერი) და სხვ. მისთ.

ქ → ჩ:

ქინარი || ჩინარი (ყიფ. I, 73, 24) — ნაპირი;

ხორძაქ დიდას უწუ-ჩი... (იქვე, 72, 1) — ქალმა მულს უთხრა, რომ... (შდრ. უწუ-ქი);

არ თუჩანის ქოდოლუ (ჩიქ. II, 88, 17) — ერთ ღუქანში და-
დვა (შდრ. ღუქანის);

მჩვერი დივუ (ჩიქ. II, 116, 14) — ფქვილი გახდა (შდრ. მქვერი);

თილჩი (იქვე, 95, 30) — მელა (შდრ. თილქი);

ჭეჩაე (ჭეჭაე) (ჩიქ. II, 87, 31) — ზღაპარი;

ჩითაბი (ჩიქ. II, 115, 23) — წიგნი (არაბ.-თურქ. ქ ი თ ა ბ);

ჩოქი (იქვე, 106, 12) — ძირი (← თურქ. ქოქი);

დუჩანე ვარ ონ (იქვე, 108, 10) — ღუქანი არ არის;

ტალვათი ჩოა ონუ, შქუნი ჩოა ონ(უ) (იქვე, 101, 28) — ტალ-
ვათი სოფელია, ჩენი სოფელია (შდრ. ქოა) და სხვ. მისთ.

კ → კ:

მა ბიჭითხი, სი იჭითხი. ჰიმუ იჭითხუ (ჩიქ. II, 110, 27) — მე ვიკითხე, შენ იკითხე, მან იკითხა;

შქას თოქი ჯემიდე (ჩიქ. II, 99, 19) — წელზე თოკი შემაბი (შდრ. თოკი);

ლაქი ქუვალის ქოდოლობუნეს (ყიფ. I, 76, 35) — ლეკვი ტო-
მარაში ჩასვეს (შდრ. ლაკი);

კიბრი (ჩიქ. II, 112, 22) — კბილი (შდრ. კიბირი);

კაფუ (იქვე, 115, 24) — ტურა (შდრ. მკაფუ);

მორდერი მუსტაქი ბადის ულუნ (იქვე, 103, 15) — დიდი
(„მოზრდილი“) უღვაში მოხუცს აქეს (შდრ. მუსტაკი) და სხვ. მისთ.

პალატალიზაციის თვალსაზრისით საყურადღებოა იმავე ათინურ
კილოკავში ჯ-ს დ-დ გადაქცევის შემთხვევა: ჯოხო → დოხო —
სახელი: უჩა მემედი ონ დოხო შქიმი (ყიფ. I, 78, 12) — შავი მე-
ნელია ჩემი სახელი.

ჯალეფეში დოხო (იქვე, 74, 18) — ხეების სახელი;

დოხო შქიმი დონქარი-ი? (ჩიქ., 111, 32) — ჩემი სახელი და-
წერე?

ანალოგიური შემთხვევები დასტურდება სვანურის დიალექტებშიც, როდესაც ძირისეული ან მეორე ობიექტური პირის ნიშანი **ჯ** გარკვეულ შემთხვევებში იქცევა **ჟ**-დ (შდრ. ლნტ. ეჟ ← ეჯი („ის“), ლშხ. ეჟ ზუმ ← ეჯ ზუმ („იმოდენა“), ეცრ. ჰჯკჭიშა || ჰჯკჭიშა — გაგიტეხია; ჰჯდიგა || ჰჯდიგა — გაგიქრია და სხვ. მისთ.)¹.

9. ასიმილაცია

§ 84. ქანურსა და მეგრულში ასიმილაცია ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა, ოღონდ ასიმილაციური ტენდენციები ქანურ-მეგრულის კილოკავებში ერთგვარი არაა. ამ მხრივ საერთო ტენდენციებთან ერთად შეინიშნება განსხვავებული პროცესებიც.

ასიმილაციისა და დისიმილაციის წესის შესწავლას მეგრულში ქართულთან შეპირისპირებით სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ი. ყიფშიძემ². ძირითადი დებულება, რომელიც მას აქვს გამოთქმული, ასეთია: „ძველს ქართულ ენაში, რომელიც მწერლობითი და, მაშასადამე, რამოდენადმე ხელოვნური ენაა, მოჩანს ასიმილატორული ტენდენციების წინააღმდეგი მიდრეკილება, — დაცულ იქნას მწყობრი და ბროლივით წმინდა მორფოლოგიური და ეტიმოლოგიური სტრუქტურა ენისა; მეგრულში კი, რომელიც სალიტერატურო ენა არ არის, პირიქით, უპირატესობა ეძლევა ფონეტიკურ დასაბამს, რომელიც არ არის შემოზღუდული არავითარი პირობითი მწიგნობრული საგრამატიკო კანონით. მაგრამ ძველს ქართულ ენაშიც (ახალ ქართულზე რომ ალარა ვთქვათ რა) ამოსჩქეფს ხოლმე აქა-იქ ეს მძლავრი ასიმილატორული ნაკადული“³.

არნ. ჩიქობავა ქანური ზმნის გრამატიკული ანალიზის შედეგად დაასკვნის, რომ „პრევერბისეულ ხმოვანთა ასიმილაცია იმდენად ცვლის ზმნის გარეგნობას, რომ ერთი შეხედვით ზმნის ამოცნობა პირს“⁴. ამ სახის დამსგავსება მეგრულში მაქსიმალურია.

¹ ვ. თოფურიძე, სვანური ენა, გვ. 32; ჩვენი: სვან. ფონეტ., გვ. 175.

² ი. ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. I, 1919, გვ. 1—8.

³ იქვე, გვ. 2.

⁴ არნ. ჩიქობავა, ქან. გრამ. ანალიზი, გვ. 41.

ქანურ-მეგრულში ასიმილაციური ტენდენცია უნდა განვიხილოთ სამგვარ პოზიციაში: ა) როცა თანხმოვანი ახდენს გავლენას თანხმოვანზე, ბ) როცა ხმოვანი ახდენს გავლენას ხმოვანზე და გ) როცა თანხმოვანი ახდენს გავლენას ხმოვანზე.

ა) თანხმოვანთა ასიმილაცია

§ 56. როგორც ცნობილია, ქანურ-მეგრულს სრულხმოვნობა ახასიათებს და ამის გამო სიტყვის თავში, შუაში ან ბოლოში თანხმოვანთა შეყრა, შეჯგუფება მისთვის უჩვეულოა. ეს კი რამდენადმე თანხმოვნის თანხმოვანზე გავლენისათვის არახელსაყრელ პირობებს ქმნის, მაგრამ თანხმოვანთა კონტაქტურ ასიმილაციას მაინც აქვს ადგილი, როდესაც ფორმანტისეული და ფუძისეული თანხმოვნები ერთად შეხვდებიან. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს შორეულ, ანუ დისტანციურ ასიმილაციასაც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქანურ-მეგრულში ასიმილაცია სცილდება ცალკე სიტყვების საზღვრებს და მეზობელი სიტყვის ბოლოკიდურ ან თავკიდურ ბგერებზედაც ვრცელდება. ორი სიტყვის შესაყარზე ასიმილაცია განსაკუთრებით დამახასიათებელია ქანურის კილოკავებისათვის, კერძოდ, ვიწურ-არქაბულისა და ათინულისათვის, მაგ.: მა ვიტ კოჩი დოპილუმ (ყიფ. I, 68, 10) — მე ათ კაცს მოვკლავ; უნდა იყოს: ვით კოჩი... კ-ს გავლენით ზომდევნო სიტყვის ბოლოკიდური თ გამკვეთრდა; ფრაზაში: ოში დო ვით მანათი... (იქვე, 56, 24) — ას ათი მანეთი... ჩანს, რომ სიტყვაში „ვით“ მ-ს გავლენით თ მელერდება და ვილებთ დ-ს, ვინაიდან რედაქტორს შენიშვნაში ნათქვამი აქვს: „ამ სიტყვის შემდეგ ფრჩხილებში ჩაწერილია (დ); ჩანს, „ვით“ ჩამწერს „ვიდ“-ად მოესმა“-ო. ბუტკუჯიშ ნანა-თი ჰეგ რენ-ი? (ჩიქ. II, 82, 28) — ფუტკრის დედაც იქ არის? უნდა იყოს: ჰეკ რენ-ი? რ-ს გავლენით გამჟღერდა წინამდევალი სიტყვის ბოლოკიდური ყრუ ფშვინვიერი ქ → გ. ამ სახის ასიმილაცია დასტურდება ი. ყიფშიძის, არნ. ჩიქობავასა და ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ ქანურ ტექსტებში, მაგრამ განსაკუთრებით მასობრივად დასტურდება იგი გ. დუმეზილის ქანურს ტექსტებში:

ჰაგ რენ (დუმეზ., 47, 3) — აქ არის, უნდა იყოს: ჰაქ რენ;

ჰაგ მუ გორუმ? (იქვე, 24, 23)—აქ რას ეძებ? უნდა იყოს: ჰაქ მუ...

ბაბაგ დო ნანაქ (იქვე, 121, 19)—მამამ და დედამ; უნდა იყოს: ბაბაქ დო ნანაქ;

ირ(ი) კოჩიგ ნა იქომს (იქვე, 2, 17)—ყოველი კაცი რომ იქმს; უნდა იყოს: კოჩიქ ნა...

ჰეგ ნა ხეტუ (იქვე, 64, 7)—იქ რომ იჯდა; უნდა იყოს: ჰექ ნა...

ბერე ოდაზ გამახთუშქულ... (იქვე, 46, 11)—ბავშვი როცა ოთახიდან გამოვიდა; უნდა იყოს: ოდას გამახთუშქულ...

მენდრაშენ ქემენჩიზ ნუგამტუ... (იქვე, 18, 11)—შორიდან ჰამანჩას გავდა; უნდა იყოს: ქემენჩის ნუგამტუ...

ოკულ თიზ ღნოს ქომომიხთუ (იქვე, 20, 21)—შემდეგ თავში ჰქუა მომივიდა; უნდა იყოს: თის ღნოსი...

მთელ უფიზ დოლონწერ ბორტი (იქვე, 17, 5)—სულ ოფლში გაწურული ვიყავი; უნდა იყოს: უფის დოლონწერი...

ნეკნაზ გამახთეზ დო... (იქვე, 9, 12)—ქარში გამოვიდნენ და... უნდა იყოს: ნეკნას გამახთეს დო...

თიზ მუ გეგიდგინ? (იქვე, 93, 11)—თავზე რა გადგია? უნდა იყოს: თის მუ გეგიდგინ?

ასქერიზა მოდ ვა ულურ? (ჩიქ. II, 27, 8)—ჯარში რატომ არ მიდიხარ; უნდა იყოს: მოთ ვა ულურ?

ჰაქ მოდ გულურ? (მარი, 101, 3)—აქ რატომ დადიხარ; უნდა იყოს: მოთ ულურ?

მოდ მეზჩი (ყიფ. I, 27, 18)—რატომ მივეცი; მოდ მოხთი-ა (იქვე, 28, 29)—რატომ მოდიო; მოდ მოხტუ? (იქვე, 28, 33)—რატომ მოვიდა, მაგრამ იქვეა: მოთ ოკაკიდიო (28, 30)—რატომ წაიჩხუბეთ. ამ უკანასკნელ მაგალითში არ მოხდა თ-ს გამჟღერება, ვინაიდან მას ხმოვანი მოსდევს და, როგორც წესი, იგი არ იწვევს გამჟღერებას.

§ 86. თავკიდური **ჰ** ამჟღერებს წინამავალი სიტყვის ბოლოკიდურ ყრუ ფშვინვიერს, მაგ.:

ნა მოხთეზ დერიშეკელ(ე) დიქთეს (დუმეზ., 11, 9)—როელი მხრიდანაც („ადგილიდან“) მოვიდნენ, იქითკენ გაბრუნდნენ; უნდა იყოს: ნა მოხთეს დერიშეკელ(ე)...

ობორჯალეფექ მჯიხი-მჯიხ ფარა ნოლამისას თიზ დობლა-მან (იქვე, 118, 99) — ქალები მუჟა-მუჟა დედოფალს ფულს თავზე აყრიან; უნდა იყოს: თის დობლამან...

განსაკუთრებით ხშირია შემთხვევა, როდესაც სხვათა სიტყვის ნაწილაკის (-მა) ამჟღერებს წინამდებელ ყრუ ფშვინვიერს, მაგ.:

ქომოხთაზ-მა (ყიფ. I, 57, 33) — მოვიდესო; უნდა იყოს: ქომოხთას-მა...

დოლურეზ-მა (დუმეზ., 53, 13) — მოკვდნენო; უნდა იყოს: დოლურეს-მა;

სუმ ფირალეფე დაღის ქოგამახთეზ-მა დო მა-მა ხე დომიკორეზ-მა. კუჩხეთი-ა კაი დომიკორეზ-მა დო ქელამდვეზ-მა. ობორჯა ჩქიში-ა ოქოფეზ-მა დო „სი ჩქუნი რე“-ა უწვეზ-მა... (ჟლ., 54 — 55) — სამი ფირალი („ფირალეზი“) ტყიდან გამოვიდნენო და მეო ხელი შემიკრესო. ფეხიც მაგრად („კარგად“) შემიკრესო და დამდვესო. ჩემი ცოლიც დაიჭირესო და „შენ ჩვენი ხარო“ უთხრესო...

ქომომჩეზ-მა (დუმეზ., 30, 3) — მომცესო; უნდა იყოს: ქომომჩეს-მა;

ქოძირაზ-მა (იქვე, 98, 5) — ნახოსო; უნდა იყოს: ქოძირას-მა;

მუიქომზ-მა (იქვე, 105, 1) — რას შეებაო („იქმსო“); უნდა იყოს: იქომს-მა;

ობორ ჩქიმიშა ბიდად-მა (იქვე, 34, 11) — ჩვენს სახლში წავილდეთო; უნდა იყოს: ბიდათ-მა;

არნჯაზ-მა (ჟლ., 64, 7) — ერთ ხესო (ან ერთ ხეზეო); უნდა იყოს: ნჯას-მა;

ჯოლორიზ-მა (იქვე, 55, 9) — ძაღლსო; უნდა იყოს: ჯოლორის-მა;

ოშვეზ-მა (იქვე, 55, 4) — შესვესო; უნდა იყოს: ოშვეს-მა;

ჰაგ-მა (იქვე, 81, 25) — აქაო; უნდა იყოს: ჰაქ-მა;

ჰაგ-მა კუი თხორუშმან-მა (იქვე, 57, 26) — აქაო კას თხრია-ნო; უნდა იყოს: ჰაქ-მა;

მოილი ფარა, ოკობირთად-მა (იქვე, 117, 10) — მოიტანე, ფული, გავიყოთო; უნდა იყოს: ოკობირთათ-მა;

ოჩალიშუშე მებულურდ-მა (იქვე, 90, 20) — სამუშაოდ მივ-
დივართო; უნდა იყოს: მებულურთ-მა;

თქვეს: „დობინჯირად“-მა (იქვე) — თქვეს „დავიძინოთ“;
უნდა იყოს: დობინჯირათ-მა;

ბიხორონად-მა (იქვე, 62, 8) — ვიცეკვოთო; უნდა იყოს:
ბიხორონათ-მა;

პად-მა (იქვე, 86, 10) — ექნათო; უნდა იყოს: პათ-მა;

ფორჩა მომილიდ-მა (იქვე, 62, 10) — პერანგი მომიტანეთო;
უნდა იყოს: მომილით-მა.

§ 87. პირის ნიშნის ს-ს ან მიცემითი ბრუნვის ნიშნის ს-ს თუ
უშუალოდ მოსდევს დო (= და) ან -ნა (= რომ), ს მეღერდება
და იძლევა ზ-ს, მაგ.:

ქოგამახთაზ დო... (დუმეზ., 4, 17) — გამოვიდეს და... უნდა
იყოს: ქოგამახთას დო...;

ქოხოწონეზ დო... (იქვე, 9, 15) — გაიგეს და... უნდა იყოს:
ქოხოწონეს დო...;

ჰეშო ვეზ დო... (იქვე, 13, 9) — ისე გააკეთეს და... უნდა
იყოს: ვეს დო...;

სესი ოგნეზ დო... (იქვე, 113, 5) — ხმა გაიგეს და... უნდა
იყოს: ოგნეს დო...;

მენდრა ღალეფეზ დო რაკანეფეზ ნა... (იქვე, 113, 5) —
შორს ღელეებში და მთებში რომ... უნდა იყოს: ღალეფეს დო
რაკანეფეს ნა...

გ'ულუმჯეზ დო... (იქვე, 112, 6) — დაულამდათ და...
თქვეზ დო... (იქვე, 89, 26) — თქვეს და...

ოკოფეზ დო... (იქვე, 82, 5) — დაიჭირეს და... უნდა იყოს:
ოკოფეს დო...;

ჯეზიზ ნა ულუტუ... (იქვე, 64, 25) — ჯიბეში რომ ჰქონდა...
უნდა იყოს: ჯეზის ნა...;

მენდილეზ დო... (იქვე, 62, 5) — წაიღეს და... უნდა იყოს:
ჰენდილეს დო...;

ოდას ქამახთეზ დორტუნ... (იქვე, 9, 13) — ოთახში შე-
ულიყვნენ; უნდა იყოს: ქაგამახთესდორტუნ...;

ქოკიბლეზ დორტუნ (იქვე, 96, 27) — მოგროვილიყვნენ;
უნდა იყოს: ქოკიბლესდორტუნ;

ქოგ'ოდვეზდორტუნ (იქვე, 14, 15) — დაედოთ; უნდა იყოს: ქოგ'ოდვესდორტუნ...;

არ წანაზ ნა... (იქვე, 21, 7) — ერთ წელს რომ... უნდა იყოს: არ წანას ნა;

ნუკუზ ნა... (იქვე, 22, 23) — პირში რომ... უნდა იყოს: ნუკუს ნა...;

ნთაროზ ნა... (იქვე, 24, 21) — თაროზე რომ... უნდა იყოს: ნთაროს ნა...;

ლეტაზ ნა... (იქვე, 3, 21) — მიწას რომ...

გზაზ ნა... (იქვე, 42, 9) — გზას რომ... უნდა იყოს: გზას ნა...;

თოლიზ ნა... (იქვე, 42, 11) — თვალზე რომ... უნდა იყოს: თოლის ნა...

ხეზ ნა... (იქვე, 97, 7) — ხელზე რომ...

მემეტის ნა მეჩეზდორტუნ (იქვე, 37, 1) — მემედის-თვის რომ მიეცათ; უნდა იყოს: მემეტის ნა მეჩესდორტუნ...;

შქაზ ნა... (იქვე, 19, 5) — წელზე რომ... უნდა იყოს: შქას ნა...

ოხოროზ ნა... (იქვე, 15, 15) — სახლში რომ... უნდა იყოს: ოხოროს ნა...

ოფუტეზ ნა... (იქვე, 15, 1) — სოფელს რომ... უნდა იყოს: ოფუტეს ნა... და სხვ. მისთ.

ზემოთ განხილულ მაგალითებში ასიმილაცია იმ ტიპისაა, როგორიც რუსულში დასტურდება. შდრ. *наш дом* ← *наш дом*; *фкуз гринѣф* ← *вкуче гринѣф* და სხვ. მისთ¹. ასიმილაცია ყველა შემთხვევაში რეგრესულია და იგი ზეღერობა-სიყრუის მიხედვით მიმსგავსების ხასიათისაა.

ქართულში, როგორც ცნობილია, სიტყვის შიგნით მეღერი და ყრუს შეხვედრისას შეიძლება წარმოიშვეს ასიმილაცია, თუმცა ლიტერატურულ წარმოთქმაში იგი იშვიათია. მით უფრო ქართული წარმოთქმისათვის უცხოა ორი მეზობელი სიტყვის შეყრის საზღვარზე ასიმილაცია. ამ მხრივ ქანურში გავრცელებული ასიმილაციური ტენდენცია განსხვავდება სხვა ქართველურ ენებში გავრცელებული ასიმილაციური ტენდენციისაგან.

¹ .I. В. Ш е р б а, Фонетика фр. яз., გვ. 92.

სვანურში კი ასიმილატორული ტენდენციები კიდევ უფრო შეზღუდულია, ვიდრე ქართულში¹.

§ 88. ქანურ-მეგრულში რეგრესული ასიმილაციის კარგ ნიმუშს იძლევა სუბიექტური პირველი პირის ნიშნის გ || ზ-ს მიმსგავსება ზმნის ფუძის თავკიდურ ყრუ ფშვინვიერ და მკვეთრ თანხმოვნებთან. აგრეთვე აღსანიშნავია მეგრულში ობიექტური პირველი პირის ნიშნის მ-ს მიმსგავსება ზმნის ფუძის თავკიდურ ყრუ ფშვინვიერ და მკვეთრ თანხმოვნებთან.

ქანურ-მეგრულში სუბიექტური პირველი პირის ნიშანი გ || ზ ხმოვნების წინ დაცულია უცვლელად: ქან. (ხოფ.) ვორე, ვიწ.-არქ. ბორე; მეგრ. ვორეჲ; თანხმოვნების წინ კი ასიმილაციის საფუძველზე გ იცვლება მღერ თანხმოვანთა წინ ბ-დ, ფშვინვიერთა წინ ფ-დ, ხოლო მკვეთრთა წინ პ-დ². მაგ.:

ბ გ ო რ უ ფ (ჩიქ. I, 10, 17) — ვეძებ;

ვ ა ე ბ ზ დ ი ფ - და (იქვე, 3, 13) — არ ავიღებო;

ბ ზ ო პ ო ნ ტ ა თ (იქვე, 2, 32) — ვამბობდეთ;

მეგრ. ვე დ ე ბ გ ვ ი ა ნ უ ა 'ნქ' (ყიფ., მეგრ. ტექს., 3, 5) — არ დავიგვიანებ;

მეგრ. თ ი კ ო ჩ ი თ ი დ ო ბ ლ უ პ ი (იქვე, 6, 9) — ის კაციც დავლუპე;

მეგრ. ჯ გ ი რ ი ო რ დ ა ს, თ ე შ ბ ლ ო ლ ა თ ი ! (იქვე, 4, 9) — კარგი იქნება („იყოს“), ასე გავაკეთოთ!

ყრუ ფშვინვიერთა წინ ზ იქცევა ფ-დ, მაგ.:

ქან. მ ო ფ თ ი (ჩიქ. I, 5, 1) — მოვედი;

ქან. ფ თ ხ ვ ა მ ი ნ ო ნ (იქვე, 5, 5) — დავრთავ;

ქან. ფ შ ვ ა მ ი ნ ო ნ (იქვე, 5, 6) — მოვექსოვ;

ქან. ჯ ა გ ე ფ თ ი რ ა მ ი ნ ო ნ (იქვე, 7, 26) — ხეს ჩამოვათრევო;

ქან. ფ თ ქ ე ვ ი (ელ., 37, 1) — ეთქვი;

ქან. ფ ჩ უ მ ე რ თ (იქვე, 37, 27) — ვდარაჯობთ;

ქან. ფ შ კ ო მ ა რ ე (ყიფ. I, 76, 28) — შევექამ;

ქან. ბ ა ბ ა შ ი ნ ე ნ ა დ ო ფ ც ა დ ა - და (ჩიქ. I, 14, 4) — მამის სიტყვა გამოვცადოვო;

¹ ჩვენი: სვან. ფონეტ., გვ. 158 — 162.

² ი. ყიფშიძე, Грамм. шипр. яз., გვ. 55; არნ. ჩიქობავა, ქან. გრამ. ანალიზი, გვ. 88.

მეგრ. უჯგუში ფქიმინი (ყიფ., მეგრ. ტექს., 6, 11) — უკეთესი ვქენი;

მეგრ. ათე ბოშის პატიი ქოფცათია (იქვე, 36, 17) — ამ ბიქს პატივი ვცეთო; შდრ. კან. (სარფ.) მქიი (ჩიქ. I, 7, 24), ვიწ.-არქაბულში დასტურდება ასიმილაცია ქმნილი ფორმა: ფქვე-რი (ჩიქ. II, 9, 25);

მკვეთრების წინ ბ ასიმილაციის საფუძველზე პ-დ იქცევა, მაგ.:

კან. პქოფი (ჩიქ. II, 1, 15) — დავიქირე;

კან. მა პწილი (ჩიქ. I, 67, 22) — მე მოვწყვიტე;

კან. ქოდოლოპტოჩი (იქვე, 3, 23) — ჩავაგდე („ჩავტყორცნე“);

კან. მენდაპწკერ (იქვე, 36, 32) — ვუყურებ;

კან. პკითხი-ქი. (ყიფ. I, 8, 12) — ვკითხე, რომ...

მეგრ. მა თიშენ მოლავრთი, სიმინდი ოკო იპიდეე (ყიფ., მეგრ. ტექს., 1, 18) — მე იმიტომ წამოვედი, რომ სიმინდი უნდა ვიყილო; იპიდეე-ში პ ყ → ე-ს წინ გამკვეთრებითაა მიღებული.

§ 89. კანურ-მეგრულში ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სუბიექტური პირველი პირის ნიშანი დაცულია უცვლელად, მიუხედავად იმისა, რომ მას უშუალოდ მოსდევს ზმნის ფუძის თავკიდური ფშვინვიერი ან მკვეთრი თანხმოვანი, მაგ.:

კან. ჩქინ უგჟარე ქოდოპსქიდი თ (ყიფ. I, 3, 2) — ჩვენ უქმელი დავრჩით („ქე დავრჩით“);

კან. მა ქომოვთი (ჩიქ. II, 124, 5) — მე მოვედი; (შდრ. ზე-ვით: ქომოფთი);

კან. მა გოდო მოვთარე (იქვე, 126, 31) — მე მალე მოვალ;

კან. ქომეპჩი (ელ., 15, 34) — მიზეცი;

კან. ჩქუნ-თი ბხაჩქათენ (იქვე, 6, 22) — ჩვენც დავთესავთ (შდრ. იქვე: ფხაჩქუმ (18, 31) — ვთესავ;

კან. კაი ბქარუმ (იქვე, 13, 17) — კარგად ვწერ (შდრ. იქვე: პქარუმ 38, 38);

კან. ბკითხი (ყიფ. I, 8, 9) — ვკითხე (შდრ. იქვე: პკითხი 8, 12);

კან. ებქოფი (ელ., 70, 9) — ავიღე, ვიყიდე (შდრ. მეგრ. ოფქოფი (ყიფ., მეგრ. ტექს., 11, 9) — დავიქირე);

მეგრ. მა ვარია ბთქეიი (ყიფ., მეგრ. ტექს., 44, 3) — მე ვარი ვთქვი;

მეგრ. ბკკომათია (იქვე, 41, 11) — ეკამოთო (შდრ. კან. ობკკომი (ჟლ., 40, 2) — შევკამე).

ამასთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავას საყურადღებო შენიშვნა აქვს: „ამ უკანასკნელ ჯგუფში ძნელია თქმა, რომ S_1 წმინდა წყლის 3 იყოს: დაყრუებული ბ-ა, მაგრამ ბ-ს სიმკვეთრე მაინც არ ჩანს. განსაკუთრებით ეს ითქმის ვიწურ-არქაბულის შესახებ, სადაც საასიმილაციო ტენდენციები ხოფურთან შედარებით უფრო სუსტია. ტექსტებში მოიპოვება შემთხვევები, სადაც ბ-ს აქვს მიცემული უპირატესობა: ო-ბ-კკომა II, 13, 8 — შევკამო; შდრ. ზემოთ: პ-კკომი, აე-ბ-კოფათე, II, 29, 18 — ავილებთ, ვიყიდი და აე-პ-კოფათე, იქვე, ბ-კკიდარე, II, 39, 30 და სხვ.“¹.

ამ შემთხვევაში სუბიექტური პირველი პირის ნიშნის ვარიანტების წარმოქმნის მიზეზი უთუოდ სწორად არის მიკვლეული. ჩვენი დაკვირვებითაც ამ შემთხვევაში უფრო ყრუ მდია გვაქვს, ვიდრე ბ-ს სრული გაფშვინვიერება ან გამკვეთრება ასიმილაციის საფუძველზე. ამის გამო პარალელური ფორმებიც მოხშირებულია.

§ 90. აღსანიშნავია, რომ მეგრულში ასიმილაციის საფუძველზე ობიექტური პირველი პირის ნიშანს მ-ს მოუცია იგივე ვარიანტები. რომლებსაც კანურში და მეგრულში სუბიექტური პირველი პირის ნიშანი ვ იძლევა, მაგ.:

მეგრ. ბ - გ ო რ უ ნ - ს — მეძებს; ბ - ლ ა ნ ძ ლ უ ნ - ს — მლანძღავს;

მეგრ. მა ფ - თ ხ ო რ უ ნ - ს — მასაფლავენს („მთხრის“); მა ქ ო ფ - თ ხ უ უ — მთხოვა;

მეგრ. მა პ - კ ი თ ხ - უ — მკითხა; კიბირი მე - პ - კ ვ ა თ - უ — კბილი მომკვეთა;

მაჟია მინუთის დუდი მე პ კ ვ ა თ ი ა, თქუ ბოშიქ (ხუბ., 1, 23) — მეორე წუთში თავი მომკვეთეო, თქვა ბიჭმა; თე სქანი ქირი მა ქ უ - მ ო პ ი დ ი ა — უწუ ლევანქ (იქვე, 7, 16) — ეს შენი ქორი მე მომყიდეო — უთხრა ლევანმა; ოკკომალი ქოფჩია! (იქვე, 178, 10) — საქძელი მაქამეო და სხვ. მისთ.

¹ არნ. ჩიქობავა, კან. გრამ. ანალიზი, გვ. 88.

§ 91. როგორც ეს ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია, კანუ-
რის კილოკავეებს შორის ასიმილაცია ყველაზე უფრო ძლიერია
ხოფურში, მაგ.:

სი კყოროპტი (ყიფ. I, 16, 31) — შენ მიყვარდი; უნდა იყოს:
გყოროფტი;

ჩქინ კყოროფთ (იქვე, 19, 14) — ჩვენ გვიყვარხართ;

მა სი-ნა ეკქოფა-ში? (იქვე, 20, 33) — მე შენ რომ წა-
გიყვანო?

მან სი კკკომამინონ (ჩიქ. I, 71, 3) — მე შენ შეგკამ, მაგ-
რამ იქვე: გკკომამინონ (იქვე, 72, 25);

სინ კყვილამინონ-და (იქვე, 40, 36) — შენ მოგკლაო;

ემ ვახთის დრკყვილუფ (იქვე, 41, 15) — იმ დროს მოგკლავ;

ქჩუმელან (იქვე, 133, 19) — გელოდებიან; უნდა იყოს:
გჩუმელან და სხვ.

ხოფურში ხშირია შემთხვევა, როდესაც ნამყო უწყვეტელის
ფორმანტი -ტ- აქვეთრებს მის წინამდებელ (თემის) ფ-ს, მაგ.:

ოსთერაპტუ (ჩიქ. I, 32, 3) — ათამაშებდა; უნდა იყოს:
ოსთერაფტუ;

ყოროპტუ (← ყოროფტუ, იქვე, 32, 33) — უყვარდა;

გეჩაპტუ (← გეჩაფტუ, იქვე, 32, 6) — ურტყამდა;

კრუხ! კრუხ! იჯოხოპტუ (იქვე, 37, 15) — კრუხ! კრუხ!
იძახდა;

კაი იჩალიშეპტუ (იქვე, 103, 13) — კარგად მუშაობდა;

ფარა კოროცხუპტა-ში (იქვე, 18, 34) — ფულს რომ ითვ-
ლიდა;

თოკი დოგოხმარაფაპტი... (იქვე, 7, 27) — თოკს დაგახმა-
რებდი...

იქიპტეს (ყიფ. I, 12, 20) — შევბოდნენ, მაგრამ იქვე: იქი-
ფან (12, 21);

ამ მხრივ საინტერესოა კანურში დადასტურებული ოპტო-
მობილი: ოპტომობილის ბილეთეფე ძეპქოფით (ჩიქ. II,
29, 11) — ავტომობილის ბილეთები ვიყიდეთ... ოპტომობილი
მიღებულა ავტომობილი'საგან: ჯერ ფ-ს გავლენით აქცე-
ვულია ო-დ: ოვტომობილი → ოპტომობილი (შდრ. ოვთუმა-
ფილი (ელ., 145, 12); ვიწ.-არქ. ხაჯ-კეტი (ჩიქ. II, 5, 11) ნიშ-

ნავს ლობიოს ასაკრავ სარს; სარფულში ეს სიტყვა ასიმილაციით წარმოდგენილია ხაქკეტი ფორმით. შდრ. მეგრ. პიშქოსალი ← პიჯ-ქოსალი (ყიფ., მეგრ. გრამ., გვ. 06) — პირსახოცი.

ხოფ. პიქკოპა, რომელიც ნიშნავს პირჩაღმა წოლას, მიღებულია ასიმილაციით: პიჯ-კოპა'საგან.

მეგრულში კონტაქტური რეგრესული ასიმილაციის შემთხვევები ხშირია, როდესაც სახელის ფუძის ბოლოკიდურ მეღერ თანხმოვანს მოსდევს მოთხრობითი ბრუნვის ქ, მაგ., დუთ-ქ ← დუდ-ქ — თავმა; ხოჩ-ქ ← ხოჯ-ქ — ხარმა¹.

მეგრულში აგრეთვე ხშირია მ-ს წინაენისმიერ ხშულებისადნო მიმსგავსების შემთხვევები, მაგ.:

სინდიდრე ← სიმდიდრე: სინდიდრეშა (ყიფ., მეგრ. ტექს., 3, 10) — სიმდიდრეში; მეგრ. ნდოლო (ყიფ., მეგრ. ლექს., 228) ← ქართ. მდელი; მეგრ. ნანდული ← ნამდვილი: ნანდული რე (ყიფ., მეგრ. ტექს., 2, 25) — ნამდვილი არის, მაგრამ იქვეა: ნამდვილი რე (1, 17);

მეგრ. განწარებული ← გამწარებული (ყიფ., მეგრ. ტექს., 37, 25); მეგრ. ნტერი ← მტერი (ყიფ., მეგრ. ტექს., 24, 21): შდრ. კან. მხუჯი — მხარი; ხოფურში დასტურდება: ფხუჯი (ჩიქ. I, 159, 29); შდრ. მეგრ. ფშვენიერი ← ქართ. მშვენიერი (ყიფ., ლექს., 356).

კანურ-მეგრულში ხშირია შემთხვევა, როდესაც ასიმილაციის საფუძველზე ნ ენაცვლება რ-ს წინაენისმიერ ხშულთა წინ. ნ. მარმა ფორმებში: ანდლა (← არდლა), ეუნდლა (← ჟურდლა), ვინდლა (← ვით დლა) და მისთანებში ნ მიიჩნია განვითარებულად უდაო ხმოვნების შემდეგ მომდევნო დ-ს წინ².

ი. ყიფშიძემ თავის ნაშრომში „დამატებითი ცნობები კანური ენის შესახებ“ გამოთქვა მოსაზრება: ხომ არ აჯობებდა ეს მოვლენა აგვეხსნა ნ. მარისავე მოწოდებული აზრით, რომ ამ შემთხვევაში ნ-ს ჩართვას კი არა აქვს ადგილი, არამედ იგი ენაცვლება, ბგერათა მონაცვლეობის კანონის თანახმად, ძირითად რ-ს. ასეთი მონაცვლეობა გამოწვეულია მხოლოდდამხოლოდ მომდევნო დ-თი, რომელმაც ხელი შეუწყო რეგრესული ასიმილაციის კანონით რომ

¹ ი. ყიფშიძე, Грамм. мингр. яз., გვ. 22.

² ნ. მარი, Грамм. чан. яз., გვ. 20.

შეეცვალა წინამდებელი რ ცხვირისმიერ ნ-დ (იქვე, გვ. 2). ჩვენი აზრით, ამ მოვლენის ეს მეორეგვარი ახსნა უფრო სწორია. სწორედ რეგრესული ასიმილაციის კანონით რ წინაენისმიერ ხშულთა დ, ტ, ძ-ს წინ გვაძლევს ნ-ს (შდრ. ანდლა ← არდლა; ეუნდლა ← ეურდლა და ა. შ.).

ჟან. ბუნდლა მიღებულია რეგრესული ასიმილაციით: ბურ-დლა'საგან, მეგრ. ბურდლა, ქართ. (დიალ.) ბურდლა; ჟან. ფენწე || ფენწო, მეგრ. დასტურდება: ფერწო — ლოკოკინა; ჟან. გუნძე, მეგრ. გინძე || გირძე, ქართ. გრძელი; ამ შემთხვევაშიც ნ მომდინარეობს რ-საგან ძ-სთან ასიმილაციით; მეგრ. რტინა → ნტინა, ქართ. გა-ქცევა.

§ 92. ჟანურ-მეგრულში ასევე დასტურდება დისტანციური ანუ შორეული რეგრესული ასიმილაციის შემთხვევები, მაგ.:

ჟან. საპატონი (ბერძ., ჩიქ. II, 75, 35) — შაბათი, მაგრამ იქვეა: საპატონი (77, 4);

ჟან. ბუტკუჯი — ფუტკარი, პარალელურად დასტურდება რეგრესული ასიმილაციით მიღებული ფორმა: პუტკუჯი (მარი, 132);

ჟან. ტიკანი (ჩიქ. II, 113, 20) — თიკანი; ამასთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა შენიშნავს: „უფრო ტ ისმის, ვინემ თ“-ო;

ჟან. დეკიკე (არაბ.-თურქ.) — მინუთი, ათინურში პარალელურად დასტურდება ტეკიკე (მარი, 188);

ჟან. იბინან (ჩიქ. I, 125, 8) — მღერინ, მიღებულია ფორმისაგან: იბირან;

ჟან. უწუმენან (ყიფ. I, 55, 6) — უწოდებენ, მიღებულია ფორმისაგან: უწუმელან;

ჟან. ნუკუმხა (ყიფ. I, 74, 20) მიღებულია ფორმისაგან: ლუკუმხა — ხეა ერთგვარი;

ჟან. ყაზუფს — თლის, პარალელურად დასტურდება ასიმილაციამნილი ფორმა: ლაზუფს (ჩიქ. I, 81, 32);

ჟან. შუმენეჩი, შუმენეჩლოვით (ჩიქ. II, 108, 31) მიღებულია ასიმილაციით ფორმისაგან: სუმენეჩი, სუმენეჩლოვით — სამოცი, სამოცდაათი;

ჟან. გროში, პარალელურად ათინურში დასტურდება ქრუში (მარი, 84, 13);

ჟან. პაქა (ჩიქ. II, 75, 6) მიღებულია რეგრესული ასინი-
ლაციით ფორმისაგან: ფაქა;

მეგრ. წაწიბელი მიღებულია ქართ. საწებელი¹ საგან;

მეგრ. ხათეცი — პატარძალი, რეგრესული ასიმილაციით გი-
ლებთ: ხაცეცი¹.

ამგვარად, ი. ყიფშიძის დასკვნა იმის შესახებ, რომ მეგრული-
სათვის უპირატესად დამახასიათებელია რეგრესული ასიმილაცია,
სავესებით სწორია და ეს დებულება ჟანურის მიმართაც შეგვი-
ძლია გავიმეოროთ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჟანურ-
მეგრულში იშვიათად პროგრესული ასიმილაციის შემთხვევებიც არ
დასტურდებოდეს. მაგ.:

ჟან. დოქაფუ → დოქაპუ (ჩიქ. I, 17, 30) — შეაკერინა;

ჟან. ლამბა (ჩიქ. II, 4, 1) ← ლამფა || ლამპა (ყიფ. I,
92, 20);

მეგრ. ღორონდგიე (← ღორონთქია, ხუბ., 25, 32) — ღმერთმაო;

მეგრ. ნანია (ყიფ., მეგრ. ლექს., 286) ← ნალია.

ჟანურ-მეგრულში არის შემთხვევები, როდესაც სტ კომპლექსი
პროგრესული ასიმილაციით იძლევა სთ კომპლექსს, მაგ.:

ჟან. ქოდოდგუ სთოლის (ჩიქ. II, 14, 2) — დადგა მაგიდაზე
(„სტოლზე“); შდრ. მეგრ. სტოლი || სთოლი (ყიფ., მეგრ.
ლექს., 318);

ჟან. უსთაქ (|| უსთა) ოხორი კოდუმს (ჩიქ. II, 2, 1) —
უსტა („უსტამ“) სახლს აშენებს;

მეგრ. სუსთი ← სუსტი (ყიფ., მეგრ. ლექს., 321);

მეგრ. როსთო || როსთომ || როსტო (იქვე, 308) — როსტომი
(საკ. სახ.);

ჟან. ფოსტი — ტყავი (ელ., 77, 32), მაგრამ იქვე დასტურდება
ასიმილაციაქმნილი ფორმა: ფოსთი (77, 17);

პროგრესული ასიმილაციის გამო ჟანურსა და მეგრულში დღის
სახელები სახეცვლილია: ჟან. ბეაჩხა, მეგრ. ეაშხა — კვირა,
(„მზის დღე“), მომდინარეობს ფორმისაგან: ბეა-შ-დლა; ჯერ
უნდა მომხდარიყო ღ-ს რედუქცია და დაკარგვა: ბეა-შ-ლა,
შემდეგ კი შ-ს გავლენით ღ დაყრუვდა და ზ-დ იქცა: ბეა-შ-ლა →
ბეა-შხა; ჟანურში შ-ს აფრიკატიზაციაც მომხდარა: ბეა-ჩხა.

¹ ი. ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და
მეგრულში, გვ. 4.

ამ გზითაა მიღებული: *ქან. თუთაჩხა, მეგრ. თუთაშხა* — ორ-
შაბათი („მთვარის დღე“); *ქან. ერკინაჩხა, მეგრ. თახაშხა* —
სამშაბათი; *ქან. ჯუმაჩხა, მეგრ. ჯუმაშხა* — ოთხშაბათი
ქან. ცაჩხა (ჩიქ. II, 77, 3) || *ჩაჩხა, მეგრ. ცაშხა* — ხუთ-
შაბათი („ცის დღე“); *ქან. „ჩაჩხა“* მიღებულია რეგრესული ასიმილა-
ციით: *ცაჩხა* - *საგან*; *მეგრ. ობიშხა* — პარასკევი და სხვ. მისთ.

პროგრესული ასიმილაციის შედეგად შ-ს უშუალო მეზობლო-
ბაში - *კულე* („შემდეგ“) წარმოითქმის: - *ქულე* 'დ, მაგ.: *საა-*
თიშ-ქულე (ყიფ., დამატ. ცნ., 15, 61) — საათის შემდეგ; *სუმ*
დლაშ-ქულე (იქვე, 13, 16) — სამი დღის შემდეგ; *ირდუშ-*
ქულე (იქვე, 10, 4) — როცა გაიზარდა; *ჰაწიშ-ქულე* (იქ-
ვე, I, 12, 76) — ამის შემდეგ, მაგრამ დასტურდება უასიმილაციო
ფორმებიც, მაგ.: *აწი-შ-კულე* (ყიფ. I, 12, 25); *ქოგოქ-*
ჟე-შ-კულე (იქვე, 12, 18) — როცა დაიწყეს მას შემდეგ; *ოქო-*
ფუ-შ-კულე (იქვე, 13, 27) — როცა დაიჭირა მას შემდეგ; *შდრ.*
უწუ-ში-კულე (იქვე, 12, 35) — როცა უთხრა და სხვ. მისთ.

ბ) ხმოვანთა ასიმილაცია

§ 93. ხმოვანთა ასიმილაცია განსაკუთრებით ფართოდაა გავრ-
ცელებული *ქანურ-მეგრულის* ზმნისწინებში, ნაწილაკებში და
გვხვდება აგრეთვე უძძისეულ ხმოვნებს შორისაც. ხმოვანთა ასი-
მილაცია უპირატესად მეგრულს ახასიათებს და ქანურის კილოკა-
ვებიდან ხოფურს. ხმოვანთა ასიმილაცია სუსტია ათინურსა და
ვიწურ-არქაბულში¹.

მეგრულში ხმოვანთა საურთიერთო ასიმილაციის მრავალი შემ-
თხვევა ჩვენ განვიხილეთ ზემოთ ხმოვანთა პოზიციური სიგრძის
საკითხთან დაკავშირებით (§ 49). აქ დამატებით კიდევ რამდენიმე
მაგალითს დავასახელებთ, მაგ.:

მეგრ. მო ორე? (← *მუ ორე?* ცგრ., M3, 11) — რა არის?

მეგრ. ვე გიოხე (← *ვა გიოხე*; ყიფ., მეგრ. გრამ., 110) —
არ ხის;

მეგრ. ვე დევგვიანენქ (← *ვა დევგვიანენქ*, ყიფ., მეგრ.
ტექს., 2, 6) — არ დაევიანებ;

მეგრ. ვე ენგარა (← *ვა ინგარა*, იქვე, 110) — არ იტირო;

¹ არნ. ჩიქობავა, *ქან. გრამ. ანალიზი*, გვ. 41.

მეგრ. ვე ედა (← ვა იდა, იქვე) — ნუ წახვალ;

მეგრ. გეე ბხარი (← გა+ბხარი, იქვე) — გავიხარე;

მეგრ. ქიმი-ივილი (← ქემე+ივილი, იქვე) — მოვიტანე;

მეგრ. მიდეელი (← მილა+ილი, იქვე) — წაილე;

ქან. მინდილი (← მენდა-ილი, ჩიქ. I, 16, 22) — წაილე;

მეგრ. მიდეელი'სა და ხოფ. მინდილი'ს შედარება გვიყენებს, რომ ასიმილაციური პროცესი ორივე სიტყვაშია, ოღონდ ამნის ფუძისეული და ზმნისწინის ხმოვნის შეხვედრა სხვადასხვაა: ანთონი ფონეტიკურ პროცესებს იძლევიან: მეგრ. მიდეელი საურთიერთო ასიმილაციით მიღებულია; მიდაილი'საგან, ქან. მინდილი'ში (← მენდა+ილი) ა+ი-ს შერწყმით ვიღებთ ი-ს.

მეგრულში სხვათა სიტყვის გადმოძღვრები ნაწილაკი —ა პროგნოსული ასიმილაციით იძლევა — იე'ს, მაგ.: ფუჩი გოტახასიე (← გოტახასია, ხუბ., 6, 21) — ფიცი გატეხოსო; სი ვა დამიჯერიე (← ვადამიჯერია, იქვე., 5, 21) — შენ არ დაბიჯერეო; გაბვენრიე (← გაშვენია, იქვე., 4, 21) — შეგიძლია დალიოო; ათაშიე (← ათაშია) ჩქიმი საქმე დო ათაშია (იქვე, 24, 21) — ასეა ჩემი საქმე და ასეო; მუ მანგარი კოჩი რენიე (← რენია, იქვე., 8, 22) — რა მაგარი კაცი არისო და სხვ. მისთ.

მეგრ. მუჩუ (← მომჩუ, ყიფ., მეგრ. ტექს., 46, 23) — მომცა;

მეგრ. მუულას (← მოულას, იქვე, 132, 22) — მოსვლას;

ქან. (ხოფ.) იიწკედუ (← ეიწკედუ) — აიხედა;

ქან. (ხოფ.) იისელი (← ეისელი) — აღეჩი;

ქან. (ათინ.) ჰიმუს არ მუმული (← მამული) უფონურტუ ყიფ. I, 76, 5) — მას ერთი მამალი ჰყავდა;

მეგრ. ქიგიობუ (← ქოგეობუ, ყიფ., მეგრ. ტექს., 102, 27) — დაასხა.

ქან. მიეუმწკეს კარავი (ჩიქ I, 119, 6) — მოხსნეს გემი; მიეუმწკეს → მეეუმწკეს → მიეუმწკეს → მეეუმწკეს → მიეუმწკეს; არ ზორი მუეუცხონტუ-ქი... (ჩიქ. I, 31, 33) — ერთი ისე ძლიერად შეახტა, რომ...

მუეუცხონტუ: მოეაუცხონტუ → მოეოუცხონტუ → მოეუუცხონტუ → მოეუცხონტუ → მუეუცხონტუ.

მეგრულში ხმოვანთა საურთიერთო ასიმილაციის შემთხვევაში ზერ რეგრესული ასიმილაცია წარმოიშობა და შემდეგ პროგრესული, მაგ.:

მეგრ. მეესი (ყიფ., მეგრ. ლექს., 279) — მაისი, მიღებულია ამ გზით: მაისი რეგრესული ასიმილაციით მეისი, ხოლო ამის შემდგომ პროგრესული სრული ასიმილაციით ვილებთ: მეესი; ამ გზითაა მიღებული მეგრულ სიტყვათა შემდეგი ფორმები: ველი → ვეი → ვეე (იქვე, 234); ნაირი → ნეირი (შდრ. იმერ.-გურ. „რა ნეირი კაცია!“) → ნეერი (იქვე, 288); ხვაი → ხვაი → ხვეი → ხვეე (იქვე, 403);

იაგავი → იაგაი → იაგეი → იანგეე (იქვე, 247), ნ ფონეტიკურადაა განვითარებული.

მეგრ. ქომეჩუ ჟირი ცალიორი სენი (ხუბ., 11, 28) — მისცა ორი ცარიელი საინი; საინი → სეინი → სეენი → სენი (შდრ. მაისი → მეისი → მეესი → მესი); ეეცარგ ძლაბიქე (ყიფ., მეგრ. ტექს., 92, 22) — აიყარა გოგო; ეეჩემე (იქვე, 6, 7) — აიჩემა.

გ) ბაგისმიერ თანხმოვანთა გავლენა ხმოვნებზე

§ 94. ზემოთ პოზიციურ ხმოვანთმონაცვლეობასთან დაკავშირებით აღნიშნული იყო, რომ ქანურ-მეგრულში ხშირია შემთხვევა, როდესაც ბაგისმიერი თანხმოვნები მ, ზ გავლენას ახდენენ წინამავალ ხმოვნებზე (იხ. § 31), მაგ.:

ქართ. ღომი, ქან. ღუმი, მეგრ. ღუმუ; მომღვენო მ-ს გავლენით ო კიდევე უფრო დავიწროვდა და უ-დ იქცა;

სენაკურ კილოკავში თომა დასტურდება, ზუგდ.-სამურზაყანულში კი — ასიმილირებული ფორმა: თუმა („თმა“)¹;

სენაკ. თხომაუ → ზუგდ.-სამურზ. თხუმუ — თხმელა²;

მეგრ. ქკომუა → ქკუმუა (ყიფ., მეგრ. ლექს., 391) — ჭამა;

მეგრ. ქოთომ-ი, ქანურში ასიმილაციით მიღებულია: ქოთუმ-ე — ქათამი;

მეგრ. ხომაფა → ხუმაფა — ხმობა;

მეგრ. ხომულა → ხუმულა — ხმელი (შდრ. ათინ. მუმული ← მამული, მეგრ. მუმული — მამალი);

მეგრ. ხომა → ხუმა — ხმა (შდრ. ბანძ. ხიმა — ხმა: ო → უ → ი);

ქან. ბოზომოთა → ბოზუმოთა (ჩიქ. II, 118, 5) — შვილიშვილი; ქან. ქომოჯი → ქუმოჯი (ყიფ. I, 17, 3) — ქმარი;

¹ ნ. მარი, რეცენზია ი. ყიფშიძის „Грам. мингр. яз.“, 206.

² იქვე.

კან. მაქვალი ეზღუ დო გომაჩამუ შენიმტუ (ელ., 39, 24) — კვერცხი აიღო და გასაყიდად მიჰქონდა. გომაჩამუ შენიმტულია ფორმისაგან გამაჩამუ შენი; ა-ზე მ-ს ასიმილაციური გავლენის შედეგად მივიღეთ ო.

მეგ. ლორონთქ მუჩუ მა... (ყიფ., მეგრ. ტექს., 46, 23) — ღმერთმა მომცა მე...: მუჩუ ← მუმიჩუ ← მომიჩუ;

მეგრ. მე-ძობარ-ი მიღებულია ასიმილაციით ქართ. მე-ძე-ბარ-ი-საგან; ე-ზე ბ-ს გავლენით ე-დ ქცეულა;

მოკობიწკი ტუყელი (ჩიქ. II, 79, 14) — მოვიხსენი თოფი; მოკობიწკი ← მოკაბიწკი; ცხენი მოკობოშქვარე (ყიფ. I, 64, 30) — ცხენს გამოუშვებ; მოკობოშქვარე ← მოკა-ბოშქვარე;

კან. ტუბ-უ („თბილი“) მიღებულია ასიმილაციით ტობ-უ-საგან; ბ-ს გავლენით ო იმდენად დავიწროვდა, რომ უ-დ იქცა და სხვ. მისთ. (მაგალითები იხ. ზევით § 32).

აღსანიშნავია, რომ ხმოვანთა შეგუება თანხმოვნებთან და, კერძოდ, ბაგისმიერი თანხმოვნების გავლენა წინამავალ ხმოვნებზე უფრო მეტი ხარისხით დასტურდება სვანურში. შდრ. ბზ. სუმ-ნიშ — სიმონობა (დღესასწ.), ოფნი (← იფნი); ეიბავ → ეი-ბოვ — ზევით; უმევანჯი ← იმევანჯი — როგორც, უმევანჯი → იმევანჯი და სხვ. მისთ.¹

ზემოთ განხილული თანხმოვანთა, ხმოვანთა, თანხმოვანთა და ხმოვანთა ასიმილაციის შემთხვევები ნათლად ადასტურებენ, რომ ასიმილაცია მეგრულ-ქანურში უპირატესად რეგრესულია და ნაწილობრივი.

10. დისიმილაცია

§ 95. ქანურ-მეგრულში დისიმილაციის რამდენიმე სახე დასტურდება. ამ მხრივ მეგრულთან შედარებით ქანური კიდევ უფრო მდიდარია.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მეგრულში დისიმილაციის წესს შეეხო ი. ყიფშიძე, ოღონდ ავტორი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნარნარა და ცხვირისმიერ თანხმოვნებში დისიმილაციის წესის განხილვით.

¹ ჩვენი: სვან. ფონეტ., გვ. 116.

ი. ყიფშიძემ დაადგინა, რომ მეგრულში სიტყვის ფუძეში ორი რ ვერ ძლებს და დისიმილაციის საფუძველზე ერთი მათგანი, კერძოდ, ნომდევნო ლ-დ იქცევა, დისიმილაცია პროგრესულია, მაგ.:

მეგრ. ი რ ი ფ ე ლ ი ← ი რ ი ფ ე რ ი — ყველაფერი (შდრ. ქართ. დიალექ. არაფელი ← არაფერი);

მეგრ. უ ი რ ე ი ლ ი ← უ ი რ ე ი რ ი — ორ-ორი (შდრ. დიალექ. ოროლი);

მეგრ. ჯ გ ი რ ი ლ ე ← ჯ გ ი რ ი რ ე (ნ) — კარგია¹ („კარგი არის“).

ასეთ შემთხვევებში მეშველი ზმნის რ-ს დისიმილაცია მეგრულში ჩვეულებრივია. შდრ. ჯ გ ი რ ი ს ა ქ მ ე რ ე — კარგი საქმეა („კარგი საქმე არის“);

მეგრ. ჩ ი მ ო ო ნ ჯ ლ ო რ ე ლ ე (ყიფ., მეგრ. ტექს., 7, 12) — ჩემთვის სირცხვილია („სირცხვილი არის“); უნდა იყოს: ო ნ ჯ ლ ო რ ე რ ე (ნ) და სხვ. მისთ.

ი. ყიფშიძემ აგრეთვე აღნიშნა, რომ თუ სიტყვის ფუძეში რ არის, მაშინ -ურ სუფიქსი იქცევა იმავე პროგრესული დისიმილაციის საფუძველზე -ულ სუფიქსად¹.

ჩვენი „ქანური ტექსტების“ შესავალში აღნიშნულია, რომ ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკავებში სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსები: -არ- და -ურ- (ქართ. -ელ-, -ულ-) ისეთ სიტყვებში, რომლებსაც ფუძეში რ აქვთ, დისიმილაციას არ განიცდიან². ამ საკითხის სპეციალურმა შესწავლამ ნათლად გვიჩვენა, რომ ნარნარა თანხმობებში დისიმილაციის მხრივ ქანურ-მეგრულის კილოკავები სხვადასხვა ტენდენციას გვიჩვენებენ. თითქმის ერთნაირ მონაცემებს იძლევიან მეგრულის კილოკავები და ქანურის ხოფური კილოკავი. ამ კილოკავებს დისიმილირებული ფორმები ახასიათებს. ძალზე სუსტია დისიმილაცია და ამის გამო დისიმილაციით მიღებული ფორმებიც იშვიათია ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკავებში.

აღსანიშნავია, რომ ვიწურ-არქაბულისა და ათინურის მიმართება ამ შემთხვევაში ისეთივეა ხოფურისადმი, როგორიც სვანური ენის ბალსჭემოური და ბალსქვემოური დიალექტებისა ლაშხური და ლენტეხური დიალექტებისადმი³.

¹ ი. ყიფშიძე, დისიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში, გვ. 8.

² ჩვენი: ქანური ტექსტები, გვ. XIV.

³ ჩვენი: სვან. ფონეტიკ., გვ. 164 — 165.

მაგ., ვიწურ-არქაბულსა და ათინურში გვაქვს: ორქარი დო არქაბური (ჟღ., 7, 7) — ორქელი და არქაბელი;

სურური (ყიფ. I, 55, 14) — სურელი; მანასტერური (იქვე, 61, 9) — მონასტრელი; ღავრორი (იქვე, 68, 26) — ღავრელი; ოხრასურე (ჩიქ. II, 110, 33) — ცოლისდა, მული (შდრ. იქვე: ოხრასულე, 102, 6); ოხრასკირი (იქვე, 110, 33) — ცოლისძმა, მახლი; უონჯლორიიარი (დუმეზ., 31, 8) — უსირცხვილო; ეინ ფავრი ფსევარარე (ჩიქ. II, 3, 15) — ზევიდან ფურცელს დავაწყობთ; ღურერი (ჩიქ. II, 87, 22) — მკვდარი (შდრ. იქვე: ღურელი, 9, 2); ბღურარე (იქვე, 8, 24) — მოკვდები; თოლის მო მაძირერი (ჩიქ. II, 9, 22; დუმეზ., 32, 1) — თვალზე არ დამენახო; კორერი (ჩიქ. II, 44, 7) — შეკრული, შეხვეული; მორდერი (იქვე, 90, 14) — მოზრდილი; ფარა მევიხირარე (იქვე, 96, 2) — ფულს მოვიპარავ; ბრიწერი (იქვე, 100, 20) — დახეული; მცორარე (იქვე, 26, 25) — გავცრი; სი ჰექ ქოგეგონჯირარე (ყიფ. I, 34, 29) — შენ იქ დაგაძინებ; დინცხირარი (იქვე, 76, 23) — სისხლიანი; ჩჳინ აშო მგარინერი გოვულურთ (იქვე, 19, 35) — ჩვენ ასე მტირალი დავდივართ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დისიმილირებული ფორმები იშვიათად ვიწურ-არქაბულსა და ათინურშიაც გვხვდება, მაგ.:

ვიწ.-არქ. ღურელი (← ღურერი, ჩიქ. II, 9, 2) — მკვდარი;

ვიწ.-არქ. არქაბული (← არქაბური, იქვე, 20, 7) — არქაბული;

ვიწ.-არქ. მგარინელი (← მგარინერი, იქვე, 10, 5) — მტირალი (შდრ. იქვე: მგარინელი 10, 11);

ვიწ.-არქ. კუდელი მონდრიკელი (იქვე, 12, 10) — კუდმოხრილი, მოდრეკილი;

ათინ. ოხრასულე (იქვე, 102, 6) — ცოლისდა, მული (შდრ. ოხრასურე);

განსხვავებით ვიწურ-არქაბულისა და ათინურისაგან, ხოფურისათვის დისიმილირებული ფორმებია დამახასიათებელი, ამ კილოკავში უდისიმილაციო ფორმები ძალიან იშვიათია, მაგ.:

ხოფ. აღნე ღურელი (ჩიქ. I, 39, 9) — ახალი მკვდარი;

ხოფ. მეხირელი (← მეხირერი, იქვე, 50, 17) — მოპარული;

ხოფ. მექკირელი (← მექკირერი, იქვე, 127, 15) — მოკრილი;

ხოფ. ჩხვარელი (← ჩხვარერი, ყიფ. I, 3, 11) — გაცეხვილი, დამსხვრეული;

ხოფ. წიორელი (ჩიქ. I, 14, 17) — წივილით;

ხოფ. მორდელი (იქვე, 109, 16) — მოზრდილი (შდრ. მორდერი).

ხოფურისათვის და, კერძოდ, სარფული თქმისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ასეთი ფორმები:

მექკიელი („დაკლული, გაკრილი“), რომელიც მომდინარეობს ფორმისაგან: მექკირერი. ჯერ პროგრესული დისიმილაციით უნდა მიგვედო: მექკირელი და შემდგომ ხმოვნებს შორის რ-ს ვოკალიზაციით: მექკიელი. ამის მიხედვით ნათლად ირკვევა, რომ ხოფურში დისიმილაცია წინ უსწრებს ხმოვნებს შორის რ-ს ვოკალიზაციის პროცესს. დისიმილაცია უფრო ძველია, რ-ს ვოკალიზაცია უფრო ახალი მოვლენაა. ასეთი ფონეტიკური ცვალებადობის გზითაა მიღებული სარფულ სიტყვათა შემდეგი ფორმები:

ოხასულე: ოხრასურე → ოხრასულე → ოხასულე;
შქუინელი: შქურინერი → შქურინელი → შქუინელი;
(შდრ. შქურინერი, ჩიქ. I, 45, 1, მაგრამ იქვე: შქუინელი 43, 24); უგაელი (ჩიქ. I, 27, 10) — უქმელი, მიღებულია ამ გზით: უგარერი → უგარელი → უგაელი; გოკიელი („შეხვეული“): გოკირერი → გოკირელი → გოკიელი; უფაელი („უფულო“): უფარერი → უფარელი → უფაელი; თხიამული („თხილამური“): თხირამური (შდრ. თხირი) → თხირამული → თხიამული; მგაინელი („ატირებული“): მგარინერი → მგარინელი → მგაინელი.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მორდელი ფორმა (ჩიქ. I, 109, 16), რომელიც მიღებულია პროგრესული დისიმილაციით მორდერი'საგან. მაგრამ სარფულში დისიმილაციის შემდგომ რ-ს ვოკალიზაცია არ წარმოშობილა, რადგან იგი (დ-ს) ხშულის წინ არის მოქცეული (იხ. ზევით). ამიტომ წარმოითქმის არა მორდელი, არამედ მორდელი.

§ 96. ხოფურში დისიმილაციასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საყურადღებო მოვლენა უნდა გავითვალისწინოთ. საკითხი შეეხება თურმეობითი პირველის მაწარმოებელი სუფიქსის -ერ-ის წინ მთელი წარცვლის -ელ'ის ჩართვას, თუ სიტყვის ფუძეში რ არის, მაგ.:

ქოდინჯირელერენ (ჩიქ. I, 15, 24) — დაწოლილა, დაუძინია; ქანოკკირელერენ (იქვე, 15, 27) — დაუკლავს; ალაქ ვაიჯერელერენ (იქვე, 15, 27) — აღას („აღამ“) არ დაუჯერებია; იმგარელერენ (იქვე, 15, 14) — უტირია; უბირელერენ (იქვე, 10, 2) — უმღერია; დოგურელერენ (იქვე, 22, 4) — უსწავლებია; ქოძირელერენ (იქვე, 36, 22) — უპოვნია, უნახავს; მუთუ ვა ნიხიელეეტუ (← ნიხირელერეტუ, იქვე, 50, 17) — არაფერი არ მოეპარა და სხვ. მისთ.

ამასთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა წერს: „თუ აორისტის ფუძე რ-ს შეიცავს, ხოფური თურმეობითს აწარმოებს ელ + ერ + ე'ს დართვით: მა კ - ქარ - ელ - ერ - ე (მე მიწერია), მა ბ - გორ - ელ - ერ - ე (მე მიძებნია), მა ბ - ძირ - ელ - ერ - ე (მე მინახავს).

თუ -ერ მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსია, რაღაა ეს-ელ? -ერ-ის ვარიანტი? მაგრამ რით აიხსნება მათი ერთად ხმარება? ამაზე დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა მოითხოვს მეტს ფაქტიურ მასალას (ტექსტებს!), ვინემ ამჟამად ჩვენს განკარგულებაშია. ამიტომ კითხვა ღიად რჩება“¹.

აქ რომ დავუშვათ, თითქოს ეს -ელ მიმღეობის აფიქსი ან იმავე -ერ'ის ვარიანტია და მისი განმეორება, არ გამოდგება, ვინაიდან მაშინ იგი უნდა გვექონდეს ჩვენ ისეთ ზმნებთანაც, რომელთაც ფუძეში არა აქვთ, ეს კი ასე არ არის. მაგ.: იგზალერენ (ჩიქ. I, 20, 26) — წასულა; ქამახთერენ (იქვე, 19, 31) — შესულა; ტერენ (იქვე, 19, 32) — ყოფილა; კითხეენ - ქი... (იქვე, 14, 7) — უკითხავს, რომ...; იდეენ (იქვე, 14, 5) — წასულა; დიყვილერენან (იქვე, 15, 34) — მოკლულ იქნენ და სხვ. მისთანებში -ელ თურმეობითის მაწარმოებელ -ერ სუფიქსის წინ არ ჩანს, ვინაიდან ფუძეში არა გვაქვს რ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხოფურისათვის დამახასიათებელი დისიმილაციური ტენდენციის საფუძველზე ამ ფაქტის ახსნა შესაძლებელია: თურმეობითის წარმოება ამ სახის რომ ყოფილიყო ვიწურ-არქაბულში ან ათინურში (ამ კილოკავებში თურმეობით I-ს -დორენ და თურმეობით II-ს -დორტუნ აწარმოებს!), მაშინ იქაური წარმოთქმით გვექნებოდა კ - ქარ - ერ - ე, ბ - ძირ - ერ - ე (შდრ. ვიწ.-არქ. მყოფადის წარმოება: კ - ქარარე — დავწერ; ბ - ძირარე — ვნახავ). ვინაიდან ხოფურისათვის დამახასიათებელია პრო-

¹ არნ. ჩიქობავა, კან. გრამ. ანალიზი, გვ. 145.

გრესული დისიმილაცია, ამიტომ -ერ სუფიქსი ასეთ შემთხვევაში უნდა ქცეულიყო -ელ სუფიქსად და გვექნებოდა: პ-ქარ-ელ-ე, ბ-ძირ-ელ-ე. როგორც ჩანს, ხოფურმა სხვა გზა აირჩია, როცა ფუძეში რ ჰქონდა, მორფოლოგიური ელემენტის რ-ს დისიმილაცია არ მოახდინა, -ელ მარცვალს ჩაუბრუნა და ამით ერთ ფუძეში ორი რ გაანეიტრალა და დისიმილაციაც თავიდან აიცილია (შდრ. ქართ. გორულ-ი, მაგრამ გვაქვს: ქართლური). ხოფურს ამ შემთხვევაში არ შეეძლო მხოლოდ ლ ჩაერთო, ვინაიდან ჰანურ-მეგრული-სათვის სრულხმოვნობაა დამახასიათებელი (იხ. ქვევით), ამიტომ მარცვალს ისეთი ხმოვნით ჩართო, როგორიც მომდევნო -ერ სუფიქსშია. ამგვარად, ირკვევა, რომ -ელ ფონეტიკური ჩანართია და არა მორფოლოგიური ელემენტი. ეს მოვლენა წარმოთქმისა და ენობრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით საყურადღებოა.

ჰანურ-მეგრულში პროგრესული დისიმილაცია დასტურდება ცხვირისმიერებში, მაგ.:

ათინ. ნეკნა („კარი“) პროგრესული დისიმილაციით ზოგჯერ იძლევა ნეკლა'ს (ჩიქ. II, 118, 30), ზოგჯერ კი — ნეკრა'ს (ჩიქ. II, 136, 1). არის შემთხვევა, როდესაც ამავე სიტყვაში რეგრესულ დისიმილაციურ დაკარგვას აქვს ადგილი: ეკნა (← ნეკნა, ყიფ. I, 81, 33); ლიშანი ← ნიშანი (ყიფ. I, 22, 31);

ათინ. ულუნან („აქვთ“) რეგრესული დისიმილაციით ზოგჯერ იძლევა: ულურან: ოფშა ფარა-ნა ულუნ კოჩეფეს, ქვაში ოხორი ულურან (← ულუნან), ფარა-ნა ვარ ულურან (← ულუნან) — ფეს, ფიცარიში ოხორი ულურან (← ულუნან) (ყიფ. I, 74, 8-9) — ვისაც ბევრი („სავსე“) ფული აქვს, ქვის სახლი აქვს („აქვთ“), ვისაც ფული არა აქვს („აქვთ“), ფიცრის სახლი აქვს („აქვთ“). ათინ. ჰიქ დულჟა მილურან (← მილუნან, მარი, 82, 2) — იქ საქმე მაქვს („გვაქვს“).

დასტურდება ბაგისმიერობის მიხედვით რეგრესული დისიმილაციის შემთხვევებიც, მაგ.:

მეგრ. ომბალე ← ქართ. ომბალო; მეგრულში პარალელურად დასტურდება: ონბალე (ყიფ., მეგრ. ლექს., 293); მეგრ. ამბე ← ქართ. ამბავი, მაგრამ მეგრულშივე პარალელურად დასტურდება დისიმილირებული ფორმა: ანბე (იქვე, 06); ასევე ამ სიტყვის პარალელური ფორმები დასტურდება ჰანურშიაც: ამბა-ეფე მიწუმერს (ყიფ. I, 14, 29) — ამბეს მეუბნება; მაგრამ იქვეა: ფა-

დიშაიქ ანბაი ქომეჩუ-ქი... (ელ., 19, 14-15) — მეფემ შეატყობინა („ამბავი მისცა“), რომ...

ზემოგანხილული დისიმილაციის შემთხვევები წარმოადგენენ საარტიკულაციო ადგილის მიხედვით დისიმილაციის ნიმუშებს. ქანურში ფართოდ არის გავრცელებული აგრეთვე რავგვარობის მიხედვით დისიმილაციის შემთხვევებიც.

§ 97. ბ. კიტერმანმა თავის სტატიაში „Явления диссимилации согласных звуков в русском языке“¹ აღნიშნა რუსულში რავგვარობის მიხედვით დისიმილაციის ერთი საყურადღებო შემთხვევა: ორი ხშულის ერთად შეხვედრისას წარმოიშობა რეგრესული დისიმილაცია და ამ ნიადაგზე პირველი ხშული იქცევა სპირანტად, მაგ.: кто → хто; никто → нихто; доктор → дохт(y)ор; трактор → трахтор² და სხვ. (შდრ. ногти → нохти; трактор → трахтор და სხვ. მისთ.).

ამ სახის დისიმილაცია ქანურში საერთოდ და, განსაკუთრებით, ათინურს კილოკავში ფართოდაა გავრცელებული:

ქც → ხც:

ვიწურ-არქაბულში ჩვეულებრივ წარმოითქმის: ქცაფერი (მარი, 112, 84) — დამპალი, ამის პარალელურად დასტურდება დისიმილირებული ფორმაც: ხცაფერი (ჩიქ. II, 57, 11); ხოფურში კი მხოლოდ ხცაფერი წარმოითქმის: ხცაფერი უშქიო (ჩიქ. I, 52, 1) — დამპალი ვაშლი; (შდრ. მეგრ. ცქუმუტუ-რი || ცხუმუტური (ყიფ., მეგრ. ლექს., 372) — ზღმარული (დისიმილაცია პროგრესული!).

ქჩ → ხჩ:

ვიწურ-არქაბულში ჩვეულებრივ წარმოითქმის ქჩე („თეთრი“): ქჩე გურ-პიჯის (ყიფ. I, 39, 34) — თეთრ გულ-მკერდზე („გულის პირზე“); ვიწურ-არქაბულშივე პარალელურად დასტურდება ხჩე ფორმაც (ჩიქ. II, 4, 1). ქანური ქჩე'ს შესატყვისია ახალ ქართულში: მ-ხცე (მ-ხცოვანი — ქალარაი, ძვ. ქართ. მ-გცე. ხოფურში ჩვეულებრივ იხმარება დისიმილირებული ფორმა: ხჩე: მარქვალი ხჩე რენ (ჩიქ. I, 164, 4) — კვერცხი თეთრია; ხჩე ქუეალი (იქვე, 21, 4) — თეთრი პური.

¹ Известия Отделения русского языка и словесности Имп. Академии Наук, т. ХІІ, 1908, книга I, გვ. 329 — 351.

² იქვე, გვ. 10.

აღსანიშნავია, რომ ქჩე დისიმილაციური დაკარგვის საფუძველზე ზოგჯერ წარმოდგენილია ჩე ფორმით (მარი, 209). მეგრულში კი თეთრის აღსანიშნავად მხოლოდ ჩე იხმარება: ჩე ზღუა და უჩა ზღუაში შქას ართი ირემი რენია (ყიფ., მეგრ. ტექს., 45, 27) — თეთრ ზღვასა და შავ ზღვას შუა ერთი ირემი არისო; შღრ. მეგრ. თოთმაცობა (ყიფ., 243) ← ქართ. თვალთმაქცობა (ქც → ც).

ვიწურ-არქაბულში წარმოითქმის ქჩინი („დედაბერი“): ქჩინი დიქჩინუ (ელ., 3, 4) — დედაბერი დაბერდა; ქჩინი-ქჩვანი (ყიფ., დამატ. ცნ., 22, 34) — ბებერ-ბებერი; ხოფურში მხოლოდ-დამხოლოდ ხჩინი დასტურდება (ჩიქ. I, 26, 16).

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ნასესხებ სიტყვებში დისიმილაციის საფუძველზე ქთ კომპლექსი იძლევა ხთ კომპლექსს:

დოხოთორი (ჩიქ. II, 3, 23) — ექიმი; დოხოთორიშა ვა იუონეს (ჩიქ. I, 112, 25) — ექიმთან არ წაიყვანეს.

თურქ. *vakit* („დრო“) ქანურში შემოვიდა ვაკიტი ფორმით (მარი, 84, 17), მაგრამ იგივე სიტყვა თურქულში *vakti* სახითაც წარმოითქმის, ქანურში ჩვეულებრივ წარმოითქმის: ვახთი.

§ 98. ათინურ კილოკავში განსაკუთრებით აღსანიშნავია რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე ჩქ და ჰქ კომპლექსების შქ და შკ კომპლექსებად შეცვლა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ათინური ვიწურ-არქაბული და ხოფური კილოკავებისაგან.

ჩქ → შქ:

ნანა შქიმი (← ჩქიმი, ჩიქ. II, 100, 24) — დედა ჩემი; მალი შქიმი, კონალეფე შქიმი, ფარა შქიმი (ყიფ. I, 72, 18) — ჯოჯი ჩემი, სახლი ჩემი, ფული ჩემი; სი შქიმი ორე, შქიმი! (მარი, 112, 6) — შენ ჩემი ხარ, ჩემი!; შქიმი'სტეი (ჩიქ. II, 100, 25) — ჩემისთანა; ოხოი შქიმი იქვენ-დეი (ჩიქ. II, 88, 10) — ჩემი სახლი იწვისო; შქუნი (← ჩქუნი, ყიფ. I, 73, 25) — ჩვენი; შკუნი (← ჩქუნი, ჩიქ. II, 126, 23) — ჩვენი. „შკუნი“ და მის მსგავს მაგალითებში დასტურდება ჯერ რეგრესული და შემდგომ პროგრესული დისიმილაცია: ჩქუნი → შქუნი → შკუნი; შღრ. ვაქთი → ვახთი → ვახტი (ყიფ. I, 8, 25).

მიშქუნ (← მიჩქუნ, ჩიქ. II, 95, 11) — ვიცი, მაგრამ: მა ვა მიშკუ (მარი, 137, 32) — მე არ ვიცი; ქოგიშქუნ სი! (ჩიქ. II, 87, 11) — იცი („ქე იცი“) შენ! შქიმი ქუშქუნა (მარი, 137, 32) — ჩემი იციან; მა ღირალეფე მიშქურტუ (← მიჩქუტუ, ყიფ.

I, 89, 4) — მე ფირალები მეგონა; ქოგიშქუტუ (ჩიქ. II, 87, 10) — იცოდი; ლაზუტი ხაშქუმან (← ხაჩქუმან), ბრინძი-თი ხაშქუმან (← ხაჩქუმან), ლობჯა-თი ხაშქუმან (← ხაჩქუმან, ყიფ. I, 74, 10) — სიმიზდს თესენ, ბრინჯსაც თესენ, ლობიოსაც თესენ; მენდოშქუ (← მენდოჩქუ, ყიფ. I, 73, 22) — გაგზავნა.

არნ. ჩიქობავა ადასტურებს, რომ ქანური ლეშქი და მეგრული ლეჩქვი („ბაგე“, შდრ. ლექს., 52) ერთი და იგივე ფუძეა, ოღონდ ქანურში ჩქ კომპლექსი დისიმილაციით იძლევა შქ კომპლექსს.

ქკ → შკ:

ოშკომაღე (← ოქკომაღე, ყიფ. I, 73, 32) — საკმელი; ოშკომაღე ოშკომეს (ჩიქ. II, 90, 23, 98, 18) — საკმელი ქამეს; ფშკომაღე (ყიფ. I, 76, 28) — შეეკამ და სხვ.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ქანური ლემქკვა'ს („ფურთხი, ნერწყვი“) ფონეტიკური სახეცვლა: ლემქკვა'ს შესატყვისია ნეგრულში: ლეკყვა; იმის გამო, რომ ათინურში ქკ კომპლექსი იძლევა შკ კომპლექსს, ამიტომ წარმოითქმის: ლემშკვა. ამასთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ „კ დარჩა, რაკი წინა ჭ-ს ადგილი შ-მ დაიკავა“¹, მაგრამ ამ ფორმის პარალელურად დასტურდება ლემქკვა-ც. „ლემქკა“-ში პროგრესული დისიმილაციური დაკარგვა მომხდარა ქკ → ჭ; აქიდან ნათლად ჩანს, რომ ათინური ორ გზას მიმართავს იმისათვის, რომ ორი ერთად შეხვედრილი ხშულის წარმოთქმა გაიადვილოს: ან რეგრესული დისიმილაციით პირველი კომპონენტის გასპირანტება მოხდება (ქკ → შკ), ან პროგრესულ-დისიმილაციური დაკარგვით ქკ კომპლექსი მარტივდება და იქცევა ჭ-დ. ამის გამო ათინურში ქკ კომპლექსი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ზოგჯერ შკ-ს იძლევა და ზოგჯერ ჭ-ს; წკ და ტკ კომპლექსები, როგორც წესი, დისიმილაციური დაკარგვის საფუძველზე იძლევიან წ-სა და ტ-ს, მაგ.:

ქკ → ჭ:

ქონი (← კონი, ყიფ. I, 74, 19) — მუხა (შდრ. მეგრ. კყონი); მქეში (← მ-ქეში, ჩიქ. II, 124, 36) — მწყემსი (შდრ.

¹ არნ. ჩიქობავა, ქან. გრამ. ანალიზი, გვ. 17.

მეგრ. ქყეში); გო მოკონდუ (→ გომოკონდუ, ჩიქ. II, 91, 27) — დამავიწყდა (შდრ. მეგრ. გამაჰყორდუ); გოგოკონდუ (← გოგოკონდუ, იქვე, 100, 21) — დაგავიწყდა; ქოგდეგოქი (← ქოგდეგოქი, იქვე, 105, 1) — დავიწყე;

წკ → წ:

წარი (← წკარი, იქვე, 90, 34) — წყალი (შდრ. მეგრ. წყარი); მაწინდი (← მაწკინდი, იქვე, 98, 20) — ბეჭედი; ოწელი (← ოწკელი, იქვე, 117, 25) — შეხედე; თოლი გონწუ (← გონწკუ, იქვე, 124, 3) — თვალი გაახილა („გააღო“); სენდული გონწუ (← გონწკუ, იქვე, 125, 32) — ზანდუკი გააღო; ტუცა. წარითე (← წკარითე, ყიფ. I, 75, 26) — ცხელი წყლით; ჰეჰოლე გოიწედუ, ჰაჰოლე გოიწედუ (← გოიწკედუ, ჩიქ. II, 129, 7) — იქით გაიხედა, აქეთ გამოიხედა;

ტკ → ტ:

ტები (← ტკები, ჩიქ. II, 112, 30) — ტყავი; ოტოჩი (← ოტკოჩი, იქვე, 100, 8) — ვადააგდე;

მტური კატუ (← მტკური კატუ, იქვე, 115, 26) — ტყიური კატა; ათინას ქოდოლოვოტოჩი (← ქოდოლოვოტკოჩი, ყიფ. I, 80, 2) — ათინას დავჩი.

§ 99. ჰანურისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი სპეციფიკური ფონეტიკური მოვლენაა რეგრესული და პროგრესული დისიმილაციური გამკვეთრება ანუ აბრუპტივიზაცია.

ცნობილია, რომ დისიმილაციური გამჟღერება დამახასიათებელი იყო ძველი ქართულისათვის და ახასიათებს იგი ქართული ენის მთის კილოებს¹ (შდრ. გურტი — კვირტი (საბა), მთ. კილ.: ბატარა — პატარა; შირაგი — შირაქი და მისთ.). ეს მოვლენა კიდევ უფრო ფართოდ არის გავრცელებული სვანური ენის დიალექტებში, გარდა ლენტეხურისა² (შდრ. ბაპ ← პაპა — წღვდელი; გაკ ← კაკ-ალ-ი და სხვ. მისთ.). ამ მხრივ ჰანურის კილოკავების მონაცემები სრულიად საწინააღმდეგო ტენდენციას ამჟღავნებენ: მათ ახასიათებთ არა დისიმილაციური გამჟღერება, არამედ დისიმილაციური გამკვეთრება. ნაწილობრივ ეს მოვლენა ემთხვევა სვა-

¹ გ. ახვლედიანი, ხშულთა დისიმილაციური გამჟღერება ოსურში: თბ. უნ-ტის შრომები. XVIII, 1941, გვ. 43—44.

² ჩვენ: სვან. ფონეტ., გვ. 167 — 168.

ნური ენის ლენტეხურ დიალექტში დადასტურებულ ტენდენციას, მაგრამ ქანურის კილოკაეებში იგი გაცილებით უფრო ფართოდ განვითარებულია.

განვიხილოთ ცალკ-ცალკე რეგრესული და პროგრესული დისიმილაციური გამკვეთრების შემთხვევები.

§ 100. რეგრესული დისიმილაციური გამკვეთრება: იგბალი (არაბ.-თურქ.): ვა რენ იგბალი ჩქიმი (ყიფ. I, 24, 12) — არ არის ჩემი იღბალი; ეს სიტყვა ათინურში რეგრესულ-დისიმილაციური გამკვეთრებით წარმოდგენილია იკბალი ფორმით;

ბოზომოთა შქიმის იკბალი ქულუნ (ჩიქ. II, 99, 4) — ჩემს შვილიშვილს იღბალი აქვს („ქე აქეს“); იკბალი ქულუტუ (იქვე, 99, 28) — იღბალი ჰქონდა; იგზალუ → იკზალუ: იკზალუ ყარ ქაოშა (ჩიქ. II, 123, 10) — წავიდა ერთ სოფელში; ბაზარი → პაზარი: ნანა მუში პაზარიშა ულუტუ (ელ., 131, 1) — დედა მისი ბაზარში („ბაზარისკენ“) მიდიოდა; (შდრ. ბაზარიშა ვილამინონ. ჩიქ. I, 5, 6 — ბაზარში წავიღებ; შდრ. ქართ. დიალ. დაბნევა → დაპნევა). ბულუთი (თურქ.) → პულა (მარი, 132, 180) — ღრუბელი; ბრინძი → პრინძი: პრინძი სთერი კიბირი (ყიფ. I, 91, 24) — ბრინჯივით (თეთრი) კბილი, მაგრამ იქვე დასტურდება: პრინძი 90, 32; შდრ. ჰან. საბრი (ყიფ. I, 61, 25) → სპარი (ყიფ. დამატ. ცნ., 15, 71) — მოთმინება; შდრ. ქართ. ძაბრი → ინგ. წაპრ (ჯანაშვი., 270). აღსანიშნავია, რომ დასტურდება ფრინჯი ფორმატ: ფრინჯიშ ფილავი (ჩიქ. II, 65, 33) — ბრინჯის ფლავი; გაზეთა → კაზეთა: ფადიშაიქ კაზეთას დოქარუ (ელ., 138, 11) — მეფემ გაზეთში დაწერა; კაზეთას ქარეს (იქვე, 40, 20) — გაზეთში დაწერეს; gaz (ფრანგ.) → კაზი (ელ., 188) — მაღალი ხარისხის ერთგვარი ქსოვილის სახელია; გაზაღი → კაზაღი (ჩიქ. I, 125, 11) — ნავთი: კაზაღითი კქვარე (ელ., 188) — ნავთით დაგწვავ; გალე'ს („გარე“) პარალელურად ნ. მარს გ. როზენის მიხედვით დადასტურებული აქვს: კალე (მარი, 134); გალაში → კალაში (მარი, 134, 151) — ჩრდილოეთის ძლიერი ქარია; შდრ. რუს. галоши → калоши¹. გუნდი →

¹ Б. П. Кятерман, Явления дисимиляции согласных звуков в русском языке, გვ. 2.

კუნდი (მარი, 137, 159) — განავილი; გოვიტი → კოვიდი (მარი, 135, 156) — ღორჯო; მეგრ. დურინი → ტურინი (ყიფ., მეგრ. ლექს., 229) — ხმაურით ფრენა; მეგრ. დულუ → ტულუ — ურქო (შდრ. ქართ. დოლა); ქან. ფილავი → პილავი (ჩიქ. I, 162, 10) — ფლავი; ქან. მახუზალე ბოლოქანქალა ჩიტის სახელია, ნ. მარი შენიშნავს, რომ გავიგონე: მაპუზალე 'ცო (მარი, 132); თურქ. ბიათ → ქან. პატი (მარი, 179) — ცუდი; გრუში || გურუში: ოში გურუში (ყლ., 183) — ასი გროში; პარალელურად დასტურდება დისიმილირებული ფორმა: კროშე (მარი, 156) და ქრუში 'ც (იქვე, 84); ქანურში ძირ || ზირ || წირ ფუძე ნიშნავს: ნახვას, პოვნას; ამ სიტყვასთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ „ქანურ ვარიანტებში ყურადღებას იქცევს ზირუ: ძირუ → ზირუ — ეს გვაქვს ათინურში. უფრო მოულოდნელია ძ-ს შენაცვლება წ-თი: მელერის შენაცვლება მკვეთრით!“ (შდრ. ლექს, გვ. 390). ცხადია, ამ შემთხვევაში ძირ → წირ რეგრესულ-დისიმილაციური გამკვეთრების შედეგია.

აღსანიშნავია, რომ რეგრესულ-დისიმილაციურ გამკვეთრებას ადგილი აქვს არა მარტო მელერ თანხმობენებში, არამედ მელერებსა და ყრუ ფშვინვიერებსა და ფშვინვიერებს შორისაც, მაგ.:

ქან. ძიქვა („ქვედა საცვალი“) რეგრესულ-დისიმილაციური გამკვეთრებით იძლევა წიქვას, შემდგომ პროგრესული ასიმილაციით: წიქვას (მარი, 145, 219); დეცი → მ-ტეცი (მარი, 189) — რძის ფაფა; დოქსერი → ტოქსერი (მარი, 183, ყიფ. I, 70, 1) — გუშინ წინ; როგორც ჩანს, ტოქსარი პროგრესული ასიმილაციით იძლევა: ტოქსარის, ვინაიდან ი. ყიფშიძის ქანური ტექსტების რედაქტორი არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ „ქ-ს ზევით წერია კ (ტოქსარი)“ (ყიფ. I, 70, 17).

დოქაჩუ → დოკაჩუ (ჩიქ. II, 132, 19) — დაიპირა; ჩერქეზი → ქერქეზი: ბათუმური ბორე (ბაბა ჩქიმი ქერქეზი ე) (ჩიქ. II, 22, 30) — ბათუმელი ვარ (მამა ჩემი ჩერქეზია);

ათინ. ჩუვალი → ქუვალი („ტომარა“): მაჯურ ჩუვალი თარა მეგჩარე (ჩიქ. II, 128, 15) — მე ორ ტომარა ფულს მოგცემ, ნავრამ იქვე გვაქვს: ჯურ ქუვალი ალთუნი მეგჩარე (ჩიქ. II, 128, 28) — ორ ტომარა ოქროს მოგცემ;

ჩეშით (თურქ.) → ქან. ქეშითი (ჩიქ. I, 140, 1) — ნაირი;

ჩაქუჩი → ქაკუჭი: ქაკუჭი გეჩამტუ ორსის (ჩიქ. II, 13, 15) — ჩაქუჩს ცემდა გრდემლს;

ქაკუჭი ორსის გეჩამტუ (ჩიქ. I, 52, 27) — ჩაქუჩს გრდემლს ცემდა;

ქაკუჭი მიღებულია ჩაქუჩი 'საგან ჯერ რეგრესულ-დისიმილაციური გამკვეთრებით: ქაქუჩი, შემდეგ პროგრესული ასინილაციით: ქაკუჭი.

ამ გზითაა მიღებული მეგრ. კიჭილაკი ჩიჩილაკი 'საგან ჩიჩილაკი → კიჩილაკი → კიჭილაკი (ყიფ., მეგრ. ლექს., 365) — ჩიჩილაკი; (შდრ. ჯიჯილაყა (საბა) — ერთგვარი ბალახია, მხალად აკეთებენ → გურ. კიჭილაყა; გურ. გადაჩიჩინება ტირილისაგან ან სიცილისაგან გულის წასვლა → გურულშივე გადაკიჭინება).

ქართ. ნაცარქექია → მეგრ. ნაცაკეკია, ნაცაკიკია, (ყიფ., მეგრ. ლექს., 287);

ქან. ქარციმალღი → კარწიმაღღი (მარი, 153; 196) ნისლი;

ქან. ელამცქვერი → ელამწკვერი (იქვე, 215) — ამაყი, ყოყოჩა;

მეგრ. ცქიცქონუა → წკიწკონუა — ციცქნა, პატარ-პატარა ქამა;

მეგრ. გვიგვილი → კვიკვილი (ყიფ., მეგრ. ლექს., 216) ხის ხვიხვილი;

მეგრ. დგურდგინი → ტკურტკინი — ბევრის გაფრენა ერთად (ხმაბაძვითი სიტყვა);

მეგრ. დგვარდგვალღი → ტკვარტკვალღი — წვის დროს ცეცხლის ხმაური, ტკაცი-ტკუცი (ხმაბაძვითი სიტყვა);

თურქ. ფაბუჩ (fabuc) → ქან. პაპუწი (ელ., 134, 12) — ქალის ქუსლიანი ფეხსაცმელი;

თურქ. გულუმ (დიალ. გუგუმ) → კუკუმა (ჩიქ. I, 151, 18) — სურა: აღთუნიშ კუკუმა დოქაჩერი ბოზო მულუნ (ელ., 128, 14) — ოქროს სურით გოგო მოდის (შდრ. ქართ. გუგული → ინგ. კუპკუჟ (ჯანაშვილ., 226);

ქან. ფაფახი → პაპახი: პაპახი ვანა შაჭკა (ჩიქ. I, 150, 33) — ფაფახი ანუ ქელი; სქანი 'სთერი პაპახონეფე ბძირაში...

(ჩიქ. II, 140, 13) – შენისთანა ფაფახიანები რომ ენახო...; (შდრ. ქართ. ო ფ ო ფ ი → ინგ. ჰოპოპი (ჯანაშვი., 173).

რეგრესულ-დისიმილაციური გამკვეთრების საფუძველზე იხსნება გემინირებულ თანხმოვანთა გამკვეთრება შემდეგ სიტყვებში: კათთა: კათთა ნდლას (ჩიქ. II, 21, 11) – ყოველ დღე; კათთა გჳაიშ ვახთის (ჩიქ. I, 1, 7) – ყოველი ჭამის დროს; ამის პარალელურად გვაქვს: კატა, რომელიც მიღებულია ამ გზით: კათთა რეგოგესულ-დისიმილაციური გამკვეთრებით იძლევა კატთას, პროგრესული ასიმილაციით მივიღეთ კატტა → კატა; კატა სერის (ყიფ. I, 71, 12) – ყოველ ღამით; კატა ნდლა (ჩიქ. II, 91, 35) – ყოველ დღე; კატა ნდლას (ჩიქ. II, 41, 35) – ყოველ დღეს.

ქანურში ათის აღმნიშვნელი სიტყვაა ვით; ათიდან ოცამდე ნაწარმოებ რიცხვით სახელებში თ ყოველთვის გამკვეთრებული სახითაა წარმოდგენილი: ვიტვარ, ვიტოჟურ, ვიტოსუმ, ვიტოთხო, ვიტოხუთ, ვიტვაში, ვიტოშქით, ვიტოვრო, ვიტონჩხორო (ჩიქ. II, 1, 6) – თერთმეტი, თორმეტი, ცანეტი, თოთხმეტი, თხუთმეტი, თექვსმეტი, ჩვიდმეტი, თვრამეტი, ცხრაბეტი; ნ. მარის აზრით, ტ ამ შემთხვევაში მიღებულია ყრუ ფშვინვიერი თ-სა და მჟღერი დ-ს შერწყმის ნიადაგზე: ვით დო აო → ვიტო არ → ვიტვარ¹.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროცესი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ჯერ ასიმილაციას აქვს ადგილი: ვით დო არ → ვით თო არ, შემდგომ კი რეგრესულ-დისიმილაციური გამკვეთრებით: ვიტოთ-არ → ვიტო არ (შდრ. კათთა → კატთა → კატა).

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ათინურში დადასტურებული ფორმა ტკუ ნაცვლად თქუ'სა. თქ კომპლექსი რეგრესულ-დისიმილაციური გამკვეთრებით იძლევა ტქ კომპლექსს, ხოლო შემდგომ პროგრესული ასიმილაციით ვიღებთ ტკ-ს: ტკუ-ჩი (ყიფ. I, 71, 3) – თქვა რომ...

ბერე(ქ) ტკუ-ქი... (ჩიქ. II, 135, 30) – ბიჭმა თქვა რომ... „ოფჳოფათ დო ოფჳომათ“, ტკვეს... (ყიფ. I, 83, 26) – დავიჭიროთ და შევჭამოთ, თქვეს... არ კოჩიქ ტკუ-ჩი (ყიფ. I, 71, 8) – ერთმა კაცმა თქვა, რომ...

¹ 5. მარი, Грам. чанск. яз., გვ. 21.

ამავე წესით ათინურში მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი თქვა იძლევა ტკვა'ს: დელი ტკვა ორეთ! (ყიფ. I, 81, 4) — სულელი თქვენა ხართ? ჰამუქ ემიშინახუ დო ტკვა მუდაშენი ვარ ემიშინახით? (ყიფ. I, 80, 22) — ამან შემინახა და თქვენ რატომ არ შემინახეთ? და სხვ. მისთ.

§ 101. პროგრესულ-დისიმილაციური გამკვეთრება ანუ აბრუპტივიზაცია:

სქ → სკ:

ქან. სიჯა სკანი (ჩიქ., II, 97, 25) — შენი სიძე; სკან ონუ (იქვე, 88, 35) — შენი არის; სკანი ბოზო (იქვე, 63, 22) — შენი ქალიშვილი;

მეგრ. სკანი → სკანი (ყიფ., გრამ., 06) — შენი; შდრ. ჰან. მა სკანი'სტერი კოჩი ვარ მიძირუნ (ჩიქ. I, 19, 15) — მე შენისთანა კაცი არ მინახავს;

ჰან. სკირი (← სქირი, ჩიქ. II, 70, 34) — შვილი, ბიჭი; ჰო, სკირი ჩქიმი! (ყიფ. I, 26, 3) — ჰო, ჩემო ბიჭო! (შდრ. ჰან. სქირი (ჩიქ. II, 122, 6);

მეგრ. სქნ ← სქირი; სქუა ← სქუალ: მრ. სქუალ-ეფ-ი (შდრ. ლექს., 21).

მეგრულში სქნ'ს პარალელურად გვარებში დასტურდება სკირი ფორმაც: პაპა-სკირ-ი, წულეი-სკირ-ი, გაბე-სკირ-ი-ა და სხვ. (შდრ. ლექს., 21), ხოლო სქუა'ს პარალელურად დასტურდება სკუა (ყიფ., მეგრ. ლექს., 323) — შვილი;

ჰან. მსკიბუ (← მსქიბუ, ყიფ. I, 2, 2) — წისქვილი; (შდრ. მსქიბუ დოყვეს სირთის კუჯუცის (ჩიქ. I, 119, 8) — წისქვილი გააკეთეს გორაკის (სერის) წვერზე. სქუდ || სქიდ ფუძე ჰან. მეგრულში ნიშნავს: დარჩენას, რჩენას, ცხოვრებას. ნ. მარს მხოლოდ სკუდ || სკიდ ფუძე აქვს დადასტურებული. ამასთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა შენიშნავს: „ქანურში' ხან ქ გვაქვს, ხან კ (სქუდ || სკუდ); პირველადია ქ, მას ენაცვლება კ“ (შდრ. ლექს., 317). კ-ს ქ-სთან მონაცვლეობა, ჩვენი აზრით, პროგრესული დისიმილაციით აიხსნება.

შქ → შკ:

კან.-მეგრ. შქა („წელი“) ზოგჯერ ეს სიტყვა პროგრესული დისიმილაციით კანურში წარმოდგენილია შკა ფორმით: შკას ქელიბამან (ყიფ. I, 75, 17) — წელზე მოიბამენ; ასქერი ნაშკუ (← ნაშქუ, იქვე, 72, 25) — ჯარი გაუშვა, გაგზავნა.

კან. ლეშქი („ბაგე“) ნ. მარი შენიშნავს, რომ გავიგონე ლეშქი'ცო (მარი, 163).

კან. აშქურიინუ (← აშქურიინუ, ყიფ. I, 78, 25; ჩიქ. II, 36, 14) — შეეშინდა;

კან. მ-შქერი (← მ-შქერი, ყიფ. I, 74, 20) — შქერი;

კან. შკუ ← შქუ ← ჩქუ: შკუ სუმ ჯუმა ბორთითუ (ჩიქ. II, 130, 20) — ჩვენ სამი ძმა ვიყავით და სხვ. მისთ.

სთ → სტ:

კან. ტუჭელი სტოლერ-სტოლერი (ყიფ. I, 10, 27) — თოფის სროლა-სროლით; უნდა ყოფილიყო: სთოლერ-სთოლერი; შდრ. ლალუმი ისთოლეს (ჩიქ. I, 91, 21) — ლალუმი ისროლეს; გიინიქ კუჩხე ისთოლუ (ჩიქ. I, 4, 3) — ვირმა წიხლი ისროლა; ახმედიქ ტოჭელი დისტოლუ (ჩიქ. I, 96, 22) — ახმედმა თოფი გაისროლა; ვისტოლით (ყიფ. I, 3, 18) — ვისროლეთ; ასტოლერენ (ჩიქ. I, 118, 14) — უსვრიათ; ბერეფექ ვისტერტიოთ (ყიფ. I, 6, 21) — ბავშვები ვთამაშობდით; უნდა იყოს: ვისტერტიოთ; შდრ. ოსთერუს ქოგმოქკეს (ჩიქ. II, 32, 9) — თამაში („თამაშს“) დაიწყეს; ბარაბერ გოფთათ, ვისთირათ... (ჩიქ. I, 73, 33) — ერთად წავიდეთ, ვითამაშოთ..., მაგრამ იქვეა: ვისტერტიოთ (ჩიქ. I, 57, 33) — ვთამაშობდით; ნოსტონეი-ნოსტონეი პკკომა (ჩიქ. II, 47, 32) — გემრიელ-გემრიელი ვკამო; უნდა იყოს: ნოსტონეი-ნოსტონეი.

აღსანიშნავია, რომ კანური -სთერი („ვით, მსგავსად“) ხშირად პროგრესული დისიმილაციით იძლევა სტერი'ს: ქოგმოქკეს ქოთუმექ'სტერი ოკაკანუს (ჩიქ. II, 14, 29) — დაიწყეს ქათამივით კაკანი; ბოზო ჩქიმი-თი ნა-ტუ-სტეი ივას დო გდაი-თი დო წკაი-თი ნა-ტუ-სტერი დივას (ჩიქ. II, 47, 31) — ჩემი ქალიშვილიც რომ იყო, ისეთი („იმის მსგავსი“) გახდეს და საჭმელიც და სასმელიც („წყალიც“) რომ იყო, ისეთი გახდეს (შდრ. აქარ. ასტე ← ასთე, მ. ხუბუა, აქარ., 8, 38). შდრ. თალიბეფექ

ქოთუმე'სთეი გოხთიმუს ქოგოჟკეს, ჰემ ქოთუმე'სთეი კარკალაფან. აწი ხოჯა ნუსრედინიქ მუყვას? მაქვალი ვა ულუნ-ქი, ენთეფე'სთეი დოსქვას (ჩიქ. I, 2, 26-28) — მოწაფეებმა ქათამივით სიარული დაიწყეს, თან ქათამივით კაკანებენ. ახლა ხოჯა ნასრედინმა რა ქნას? კვერცხი არა აქვს, რომ მათსავით დადვას და სხვ. მისთ.

ხო → ხტ:

არ ქჩინი ქომოხტუ (ყიფ. I, 28, 17) — ერთი დედაბერი მოვიდა; უნდა იყოს: ქომოხთუ; მთუთი მოხტუ (ყიფ. I, 37, 32) — დათვი მოვიდა; კოჩი ქომოხტუ (იქვე, I, 30, 33) — კაცი მოვიდა; ქაგამახტი (← ქაგამახთი, იქვე, 22, 6) — გამოდი; ვახტის (იქვე, 8, 25) — დროს; უნდა იყოს: ვახთის. ეს სიტყვა მომდინარეობს თურქულიდან: vakit, vakti.

ასევე თურქულიდან ნასესხები სიტყვა ბექჩი („მცველი“) ქანურის ათინურ კილოკავში პროგრესულ-დისიმილაციური გამკვეთრებით წარმოდგენილია ბექქი ფორმით: ბექქი (ჩიქ. II, 138, 3) — მცველი; ბაბა მუში(შ) ბექქეფე (იქვე, 136, 16) — მამა მისის მცველები.

ამ სახის დისიმილაციური გამკვეთრება, როგორც ირკვევა, მასობრივად არის დამახასიათებელი ვიწურ-არქაბული და ათინური კილოკაუებისათვის, იშვიათია ხოფურში.

ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკაუებში ასევე ფართოდ დასტურდება შორეული პროგრესულ-დისიმილაციური გამკვეთრება, მაგ.: რუსული სიტყვა рабѣиჟ ამ წესით წარმოითქმის: რაბოქი (ჩიქ. II, 104, 12); არ-ჟურ თანე რაბოქი (იქვე, 104, 12) — ერთი-ორი ცალი მუშა; რაბოქი შქიმი (იქვე, 104, 26) — ჩემი მუშა; ცონაშე ვიგზალი რაბოქეფეშ-კალა (იქვე, 104, 14) — ყანაში წავედი მუშებთან ერთად.

ქან. მციქა („ცოტა“) → ათინ. მციკა: მციკა-მციკა (ჩიქ. II, 99, 21) — ცოტ-ცოტა;

ქან. არარანძი → არარანცი → არარანწი (მარი, 127; ყიფ. I, 74, 16) — ლიმონის ერთ-ერთი ჯიშია;

ქან. ოხორჯა → ათინ. ოხორძა → ოხორწა (ჩიქ. II, 125, 10) — ქალი, დიასახლისი; შდრ. მეგრ. ხობი → ხოფი → ხოპი (ყიფ., მეგრ. ლექს., 406) — ნიჩაბი;

ქართულიდან ქანურში შესული ხორცი კილოკავებში ჩვეულებრივ ასევე წარმოითქმის, მაგრამ ათინურში პარალელურად დასტურდება: ხოწი (ჩიქ. II, 97, 35); ხოწი ქონობით, იჯიბას! (იქვე, 97, 35) — ხორცი ჩამოკიდეთ, იხარშოს! ხოწი დიჯიბუ (იქვე, 98, 16) — ხორცი მოიხარშა.

ვიწურ-არქაბულსა და ათინურში არაბი'ს პარალელურად დასტურდება არაპი (ჩიქ. II, 15, 34; 17, 34), მაგრამ იქვეა: არაბი (15, 34):

ჰამ ოხორჯას არაპიქ თოლი ქოგედუ (იქვე, 15, 34) — ამ ქალს არაბმა თვალი დაადგა; არაპის უწუ (დუმეზ., 105, 13) — არაბს უთხრა; არაპი ცხენის გეხუნეი (ელ., 93, 7) — არაბულ ცხენზე შემჯდარი; ქან. შარაბი: „შარაბი ყურძენიში რენ“ — და (ჩიქ. I, 28, 17) — შარაბი ყურძენისა; ამის პარალელურად დასტურდება: შარაპი (ყიფ. I, 58, 11), იქვეა: შარაბი (58, 18); ჟურნეი ფუთი შერაპი (ელ., 110, 38-39) — ორმოცი ფუთი შარაბი; არაბულიდან მომდინარე საათი ქანურში შემდეგ ვარიანტებად წარმოითქმის: საათი || საატი (ყიფ. I, 12, 2); ჰემ საატის (იქვე) — იმ საათში; სუმ საატიში გზა (ჩიქ. I, 45, 32) — სამი საათის გზა; არ საატი ქკულე (იქვე, 8, 29) — ერთი საათის შემდეგ, ქან. რახათი (თურქ.) → რახატი: რახატი-ოახატი სქიდეს (ჩიქ. I, 36, 13) — ნელ-ნელა ცხოვრობდნენ; საკუთარი სახელები: მემედი, ახჰედი და მისთ. წარმოითქმის: მემეტი, ახმეტი; მემეტიქ ლომან ... არ დიდი დაჩხირი ქოდოგუ... (ჩიქ. I 63, 31) — მემედმა გუშინ... ერთი დიდი ცეცხლი დაანთო; მემეტიშ ბერეს... (ყიფ. I, 18, 15) — მემედის ბიქს... ახნეტ-ალა (იქვე, 30, 34) და სხვ.

ქან. ლაქო (ჩიქ. I, 154, 1'; II, 59, 17) მომდინარეობს სიტყვისაგან: ლაჯო || ლაჟო — პატარა ჩიტია, რომლითაც მიმინოს იჭერენ (შდრ. გურ. ლაჟო)

ქან. გელიტი (მარი, 160) მომდინარეობს ფორმისაგან გელიდი — წადი.

რუსული სიტყვა завод → ქან. ზავოტი (ყიფ., დამატ. ცნ., 9, 14), მაგრამ იქვე პარალელურად დასტურდება: ზავოდის (9, 14) — ქარხანაში.

ამ რიგის თითო-ოროლა შემთხვევა მეგრულშიაც დასტურდება, მაგ.:

მეგრ. ლერლეტი (ყიფ., ლექს., 350) მომდინარეობს ფორმისაგან: ლერლელი — ბატი (შდრ. საბა: ლერლელი). სენ. (ბქვ.) ღარღად; მეგრ. ალავერდი → ალერტი (ყიფ., მეგრ. ლექს., 193) — ალავერდი (თურქ.) და სხვ.

§ 102. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სქ კომპლექსი რომ იძლევა სკ-ს, შქ → შკ-ს და სთ → სტ-ს ვიწურ-არქაბულსა და ათინურში, ეს მოვლენა თავისი შედეგებით ემთხვევა სვანური ენის ლენტეხურ კილოკავში დადასტურებულ სკ, შკ და სტ კომპლექსებს, ოღონდ ლენტეხურში ეს კომპლექსები მიღებულია უფრო რთული ფონეტიკური პროცესის შედეგად. მაგ.:

ლენტ. ლემესკ („ცეცხლი“) მიღებულია პროგრესულ-დისიმილაციური გამკვეთრებით ბალსზემოური ფორმისაგან: ლემესკ საშუალო საფეხურად უნდა ვიგულისხმოთ *ლემესქ: ლემესგ → ასიმილაციით ლემესქ → დისიმილაციით ლემესკ.

ამ გზითაა მიღებული ლენტეხური ვისკე („ვაშლი“): ბზ. ვისგვ → *ვისქვ → ვისკვ. ბზ. ნესგა → *ნესქა → ლენტ. ნესკა („შუა“); ბზ. იშგენ → *იშქენ → ლენტ. იშკენ („სხვა“); ბზ. ლუსდგვარ → *ლუსთქვარ → ლენტ. → ლუსტკვარ („წაწევი“) და სხვ. მისთ.¹

სვანური ენის ლენტეხურში მოცემული კომპლექსების ასახსნელად ამ შემთხვევაში ვიწურ-არქაბულისა და ათინურის მონაცემები ახალ, საყურადღებო მასალას იძლევიან.

ამ მოვლენის ასახსნელად საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული ე. ზივერსს. მისი აზრით, ასეთ კომპლექსებში წინამავალ სპირანტს სჭირდება ჰაერისა და წარმოთქმის ენერგიის იმდენად დიდი რაოდენობა, რომ მომდევნო ხშული მხოლოდ ჰაერის ნახევარი რაოდენობითა და სიძლიერით წარმოითქმის². ვიწურ-არქაბულსა, ათინურსა და ლენტეხურს კილოკავებში წინამავალი სპირანტები ართმევენ რა მომდევნო ხშულებს ჰაერნაკადს დიდი რაოდენობით, ბუნებრივია, თუ ხშულები უსუნთქველ ბგერებად ანუ მკვეთრებად იქცევიან.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ზოგიერთი სპონტანური ხა-

¹ ზენი: სვან. ფონეტ., გვ. 171 — 172.

² Ed. Sievers. Grundzüge der Phonetik. გვ. 298; შდრ. В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, I, 1949, გვ. 514 — 515.

სიათის გამკვეთრების შემთხვევა, მაგ., ქართულსა და მეგრულში ნამყო უწყვეტელის მაწარმოებელი დ არის, ქანურის კილოკავებში ეს დ მკვეთრი სახითაა წარმოდგენილი: -ტ-, მაგ., ქართ. წერ-დ-ა, მეგრ. ქარუნ-დ-უ, ქან. ქარუმ-ტ-უ; ქართ. ზომავ-დ-ა, მეგრ. ზიმუნ-დ-უ, ქან. ზუმუმ-ტ-უ და სხვ. მისთ.

§ 103. აქვე უნდა განვიხილოთ დისიმილაციის კიდევ ერთი სახე, რომელსაც ადგილი აქვს მეგრულის კილოკავებში. გ. როგავამ დისიმილაციის ამ სახეს დისიმილაციური დეზაფრიკატიზაცია უწოდა¹.

დისიმილაციური დეზაფრიკატიზაცია იმაში მდგომარეობს, რომ ჯ ხშირ შემთხვევაში გადადის დ-ში, თუ სიტყვის ძირი შეიცავს ყრუ აფრიკატებს ჩ, ჭ, ც, წ-ს ან ყრუ სპირანტებს ხ-სა და შ-ს, მაგ.:

მეგრ. ჩხვ-ინდ-ი || ჩხ-ინდ-ი ← ჩხვ-ინჯ-ი — ცხვირი;

„ ქანდ-ი ← ქანჯი — ბუზი (შდრ. ქართ. მ-წერ-ი);

„ ქკუდ-ი ← ქკ-უჯ-ი — ქურქელი.

ეს მოვლენა განსაკუთრებით კარგად ჩანს მიმდევრობებშიც:

მეგრ. მა-ჩამ-ინდ-ა ← მა-ჩამ-ინჯ-ა — მკბენარა;

„ უ-რჩქ-ენდ-ი ← უ-რჩქ-ენჯ-ი — უცოდინარი;

„ კყორ-ინდ-ა ← კყორ-ინჯ-ა — მწყრალი;

„ ც-უნდ-ი ← ც-უნჯ-ი — ცვარი;

„ წვ-ანდ-ი ← წვ-ანჯ-ი — წვერი;

„ ორცხონ-დ-ი ← ორცხონ-ჯ-ი — სავარცხელი;

„ ცხენ-ენდ-ი ← ცხენ-ენჯ-ი — ცხენოსანი;

„ მო-შვ-ანდ-ა ← მო-შვ-ანჯ-ა — მოსვენება.

მეგრულშივე პარალელურად დასტურდება: მო-სვ-ანდ-ა || მო-სვ-ანჯ-ა;

მეგრ. ის-ინდ-ი ← ის-ინჯ-ი — ისარი;

„ სინდა ← სინჯა — სიძე;

„ წენ-დიხა ← წენ-ჯიხა — წალენჯიხა² და სხვ.

¹ გ. როგავა, დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის ერთი სახეობა ზანურში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXX B, \XXI B, 1947 წ., 351 — 355.

² იქვე, გვ. 352 — 355.

ავტორი ამავე დროს აღნიშნავს, რომ **ჯ-ს დ-ში** გადასვლას არა აქვს ადგილი იმ შემთხვევაში, თუ წინამდებელი აფრიკატი ან სპირანტი მეღერია, მაგ.: მეგრ. **ჯინჯ-ი** — ძირი; მეგრ. **ზოჯუა** — ბრძანება; მეგრ. **ჯგუნჯგი** — სარი და სხვ. მისთ¹.

II. აფრიკატიზაცია და დეზაფრიკატიზაცია

§ 104. კანურსა² და მეგრულში აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის მრავალრიცხოვანი შემთხვევები დასტურდება. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალკ-ცალკე.

ა) აფრიკატიზაციის შემთხვევები

ჟ → ჯ:

კან. **ეურ** (შდრ. მეგრ. **ეირი** — ორი) ათინურს კილოკავში ზოგჯერ წარმოდგენილია **ჯურ** ფორმით: **ჯურ-სუმ** (ჩიქ. II, 107, 2) — ორი-სამი;

კან. **ეურნეჩ**, **ეურნეჩღოვით** → ათინ. **ჯურნეჩ**, **ჯურნეჩღოვით** (ჩიქ. II, 111, 19) — ორმოცი, ორმოცდაათი; იქვე: **ჯურცეჩი** (ჩიქ. II, 135, 8) — ორმოცი; **ჯურ ჰაქოლე**, **ჯურ ჰიქოლე** (ჩიქ. II, 110, 12) — ორი აქედან, ორი იქიდან; **მაჯურანი** ნღლა (იქვე, 122, 23) — მეორე დღე; **მანჯურა** (იქვე, 126, 5) — მეორე;

კან. **ეინ** (სენ. ეი, ქართ.-ზე) → ათინ. **ჯინ**: **ჯინ** — ქორბა ონ (ჩიქ. II, 112, 13) — ზევით მუტეღია; **ქეხთი ჯინ** (ელ., 92, 19) — ადი ზევით; **ჯინ ქოჟონეს** (იქვე, 93, 23) — ზევით აიყვანეს; **ჯინ ონ** (იქვე, 107, 15) — ზევით არის;

კან. **ბ-ეოლ-ი** || **მ-ეოლ-ი** → ათინ. **ჯოლი** (შდრ. ლექს., 126) — თუთა, ბეოლა;

მეგრ. **ეინოსქუა** → **ჯინოსქუა** (ყიფ., მეგრ. გრამ., 06) — აზნაური;

კან. **ბ-ეა** || **მ-ეა**, მეგრ. **ბ-ეა** → ათინ. **მ-ჯა**: ფუჯიში **მჯაში** კვალი დიქუმან (ჩიქ. II, 109, 23) — ძროხის რძისაგან ყველს აკეთებენ; **მჯა** (იქვე, 113, 26) — რძე; **ბჯა** (იქვე, 113, 28) — რძე;

¹ გ. როგავა, დასახელებული წერილი, გვ. 352 — 355.

კან. მჟორა. მეგრ. ბჟა, ქართ. მზე → ათინ. მჯორა : ჯინ... მჯორა მცა(ს) ორენ (ონ) (ჩიქ. II, 109, 27) — ზევით... მზე ცაზე არის;

კან.-მეგრ. მევაბუ, ევაბუ → ათინ. მჯვაბუ (ჩიქ. II, 109, 28) — ბაყაყი.

ქართულიდან ქანურში შესული სიტყვა ყიჟინა წარმოითქმის კიჯინა: კიჯინა დოლოქაჩეს — ყიჟინა დაყარეს და სხვ.

ზ → ძ:

კან. ზაბუნი (ჩიქ. II, 49, 8) — ავადმყოფი; მუთუ ვარ მაქ-კომენ-მა, ზაბუნი ვორე-მა (ჩიქ. II, 49, 8) — არაფერი მექმე-ვა, ავად ვარო; ამ ფორმის პარალელურად იხმარება ძაბუნი: დუჯოხუდორენ ჰე ძაბუნიში ნუსას (49, 11) — დაუძახებია ამ ავადმყოფი რძლისთვის;

კან. მ-ზახ-ალ-ი, ქართ. მ-ზახ-ალ-ი || მ-ძახ-ალ-ი „მძახალი — სიძე-რძალი მამა-დედანი“ (საბა); მეგრულში ეს სიტყვა წარმოდგენილია ძახ-ალ-ი ფორმით (შდრ. ლექს., 39).

მეგრ. ვეზირი → ვეძირი (ყიფ., მეგრ. ლექს., 235);

ქართ. მეზობელი → მეგრ. მეძობელი (ყიფ., მეგრ. ლექს., 375); ბაზარ-ი → მარტ.-ბანძ. ბაძარ-ი;

ქართ. ზეწარი → მეგრ. ძენწარი, ძენწარე (ყიფ., მეგრ. ლექს., 374);

კან. ზლუა || ზოლა || მ-ზოლა || ზულა, მეგრ. ზლვა.

გ. დუმეხილის ტექსტებში დადასტურებულია ძულა (შდრ. სვან. ძულვა): ძულას ქინარის (დუმეზ., 69, 1) — ზღვის ნაპირას; ჰა ბოზო ძულაშენ გამაბჟონით (იქვე, 69, 21) — ეს გოგო ზღვიდან გამოვიყვანეთ; რუსული სიტყვა развеза მეგრულში წარმოითქმის: რაზიაძი (ყიფ., მეგრ. ლექს., 303).

ღ → ჯ:

ა. ცაგარელმა მეგრულ ენაზე მუშაობისას მეგრულის ჯვარულ თქმაში დაადასტურა ღ-ს ჯ-ში გადასვლა, თუმცა, როგორც ამას ავტორი შენიშნავდა, ეს მოვლენა არასისტემატური იყო. ა. ცაგარელს მის მიერ ჩაწერილ ტექსტებში დადასტურებული აქვს: ჯო, ჯუჯი, რაგაჯი, უბეჯური (Mფ, 70; 78) ნაცვლად დო, დუდი, რაგადი, უბედური'სა.

ი. ყიფშიძე აღნიშნავდა, რომ ამ მოვლენის ადგილზე შემოწმებისას მას ზემოხსენებულ სიტყვებში ესმოდა და არა ჯ. ჯვარელეები მეუბნებოდნენო, — წერს ი. ყიფშიძე, — რომ „ძველი თაობა ხმარობდა ჯ-ს დ-ს ნაცვლადო“ (მეგრ. გრამ., გვ. XVIII).

ი. ყიფშიძე საერთოდ ადასტურებს მეგრულში დ-ს ჯ-ში გადასვლის ფაქტს, მაგრამ ეს მოვლენა მას ჯვარული თქმის სპეციფიკურ მოვლენად არ მიაჩნია, როგორც ამას ა. ცაგარელი ფიქრობდა.

აქვე დავასახელებთ დ-ს ჯ-ში გადასვლის რამდენიმე მაგალითს: ცერა თეს რაგაჯანცე: — „ვოჰ, ვოჰ, სი საანგე, საფანგებას რაგაჯანქო? — ქალიშვილი ამას ამბობს — ვოჰ, ვოჰ, შე საბრალოვ („საანგოვ“) „სასაფანგოს“ ლაპარაკობო?

ინგური გოუძათუნა ჯო ქობოგენა მოროყაც,
არამ-ხუტუ გემეელჲ ჯო გუბანც ქოროშანც.

— ენგური „გაუძათამთ“ და ხიდს აკეთებენ მოროყაზე, არამ-ხუტუ ჩამოვიდა და გუბანში როხროხობს.

უბეჯური არამ-ხუტუ ცირას ნემგ მიჯამიდანა
— უბედურ არამ ხუტუს ქალიშვილს ნუ წაგვართმევენ.
უბეჯური არამ-ხუტუ, ჯვარს ჯუჯი ვა წეეუნა!
— უბედურო არამ-ხუტუ, ჯვარში თავი არ წაიხდინო!

ენა ვა ჯეეჯერჲ ჯო ინგირი განაქკაჯას გოსხაპუ.
— ეს არ დაიჯერა და ენგურზე გაქედითან გადახტა.

ჯო დიხაშა ჯუჯი ქოუსანგუ — და შიწაში თავი ჩაურგავს („ქე ურგია“) (МЭ, I, 70, 78, И. Кипшидзе, Грамм. мингр. яз., 159 — 160).

ი. ყიფშიძეს მოჰყავს მეგრულში გავრცელებული:

„ჯუჯელია, ჯუჯელია! ჩქიმი მამული ხარგელია, შხვაში მამული ფურცელია! — დუდელია, დუდელია (თავთავი!), ჩემი მამული დატვირთულია (დახუნძნულია), სხვის მამულში ფურცელია!“ და წერს: „შესაძლებელია დავეშვათ, რომ „ჯუჯელიაში“ ჩვენ გვაქვს შემონახული უძველესი ფორმა (სანამ ჯ-ს დისიმილაცია მოხდებოდა დ-ში) დუდელი („თავთავი“) სიტყვის“ (ყიფ., მეგრ. ლექს., 416).

ეს რომ ასე არ არის, ამაში ნათლად დაგვარწმუნებს ქვემო-მოყვანილი დამატებითი მაგალითები, რომლებიც ადასტურებენ დ-ს პირველადობასა და ჯ-ს მეორეულობას, მაგ.:

მეგრ. გუდუ → გუჯუ — საკუთარი სახელია (შდრ. გვარი: გუდავა); მეგრ. ხუდონი → ხუჯონი — სოფლის სახელწოდება; მეგრ. დახე → ჯახე (ყიფ., გრამ., 07) — კინალამ; მეგრ. მონდა → მონკა (იქვე, 7) — მწიფე. ამ მაგალითში ფონეტიკური პროცესი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: დ → ჯ → ჰ;

ქართ. ხიდ-ი → მეგრ.-ქან. ხინჯ-ი; ქართ. ღ პირველადია, მეგრ.-ქან. ჯ მეორეულია;

ქართ. ღერღ-ედ-ი, ქან. ღორღ-ოჯ-ი, მეგრ. ღორღ-ონჯ-ი — ბატი; ქანურ-მეგრულში დ ჯ-დ არის ქცეული (შდრ. ლექს., 103).

ა. ცაგარელს შესაძლებლად მიაჩნდა, რომ მეგრულში მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსი -ჯი დაეკავშირებინა ქართულ -დი სთან: ქებადი, ქმნადი, დაბადებადი და სხვ. მისთ.

მეგრულიდან: ნარენჯი — ნამყოფი, მახენჯი — ქურდი; მარენჯი — მდგომი, მყოფი; ლურენჯი — მძინარე¹ და სხვ.

როგორც ჩანს, დ-ს ჯ-ში გადასვლის წესი მეგრულში ისტორიულად მოქმედებდა, მაგრამ მას ფართო გავრცელება ვერ მოუპოვებია, და რაც მთავარია, შემდგომში ამ წესს ძალა დაუკარგავს და დღეს მეგრულში თითო-ოროლა მაგალითიღა თუა ნაშთის სახით შემორჩენილი. ეს მოვლენა ენის განვითარების შინაგანი კანონებისა და, კერძოდ, ფონეტიკური კანონების მოქმედების თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ დ-ს ჯ-ში გადასვლა მეგრულში უნდა მომხდარიყო იმავე პალატალიზაციის საფუძველზე, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო ისტორიულად მეგრულისათვის. დ-ს ჯ-ში გადასვლა იმავე არტიკულაციური ცვლის საფუძველზე უნდა მომხდარიყო, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისტორიულად ქანურ-მეგრულში (შდრ. ქართ. დევს || ძევს).

შ → ჩ:

ქართ. შხამ-ი → ხოფ. ჩხამი (მარი, 212);

მეგრ. შხუ → ქან. მჩხუ — მსხვილი (შდრ. ლექს., 207);

ქართ. სხე-ა → მეგრ. შხე-ა → ქან. ჩქე-ა (იქვე, 246);

¹ А. Цагарели, Мингрельские этюды, II, 65.

ქან. ბეაჩხა, ჯუმაჩხა, იკინაჩხა, თუთაჩხა (ჩიქ. I, 160, 22) — ბეაჩხა — კვირა („მზის დღე“), ჯუმაჩხა — ოთხშაბათი, იკინაჩხა — სამშაბათი, თუთაჩხა — ორშაბათი („მთვარის დღე“).

ბეაჩხა და მისი მსგავსი მაგალითები მიღებულია, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბეაშ + დლა'საგან: ბეაშ + დლა → ბეაშლა → ბეაშხა → ბეაჩხა. ამ შემთხვევაში შ-ს აფრიკატიზაცია უდავო ფაქტია. აღსანიშნავია, რომ მეგრულში დღის აღმნიშვნელ სახელებში შ-ს აფრიკატიზაცია არ ხდება, მაგ. ეაშხა, თუთაშხა, ჯუმაშხა, ცაშხა და ობიშხა და მისთ.

შკ → ჰკ:

ხოფურ კილოკავში ხშირია შემთხვევა, როდესაც -შ(ი) ფორმანტი დაერთვის -უკუღე || კუღე'ს („შემდეგ“) და შკუღე'ს ნაცვლად ვიღებთ: ჰკუღე'ს¹, მაგ.:

უწუ'ჰკუღე (ჩიქ. I, 1, 29) — რომ უთხრა... („მას შემდეგ, რომ უთხრა...“);

დოჩოდინეს'ჰკუღე (იქვე, 2, 25) — რომ დაამთავრეს („მას შემდეგ, როცა დაამთავრეს...“);

სუმ წანა'ჰკუღე (იქვე, 51, 1) — სამი წლის შემდეგ;

სუმ დლა'ჰკუღე (იქვე, 51, 27) — სამი დღის შემდეგ;

არ ვით დლა'ჰკუღე (იქვე, 12, 22) — ერთი ათი დღის შემდეგ;

დიძლეს'ჰკუღე... (იქვე, 22, 22) — მას შემდეგ, რაც გაძლენ...

არ საატო'ჰკუღე (იქვე, 8, 29) — ერთი საათის შემდეგ;

ემ ვახთი'ჰკუღე (იქვე, 25, 1) — მას შემდეგ („იმ დროის შემდეგ“);

მციქა ჩქვა'ჰკუღე... (იქვე, 53, 21) — ცოტა ხნის შემდეგ („ცოტა სხვას შემდეგ“);

ონდლენეი გჟაიშ'ჰკუღე (იქვე, 110, 24) — შუადღის საკმლის შემდეგ (ე. ი. სადილობის შემდეგ);

აეხთა'ჰკუღე (იქვე, 135, 22) — რომ ამოვა (მას შემდეგ, როცა ამოვა) და სხვ. მისთ.

¹ არნ. ჩიქობავა, ქან. გრამ. ანალიზი, გვ. 185.

ამ სახის მოვლენა იშვიათად დასტურდება ვიწურ-არქაბულ კილოკავშიც, მაგ.: ქარმატეშე ლაზუტი ბილით-ქკულე... (ჩიქ. II, 61, 18) — სიმინდი წისქვილზე რომ წავილეთ („მას შემდეგ, როცა სიმინდი წისქვილზე წავილეთ“...);

დიშქა თამამი დობკვათათ'ქკულე (იქვე, 26, 3) — შეშას წვრილად რომ დავჭრით („მას შემდეგ, როცა შეშას წვრილად დავჭრით“...);

მამულის ბიგა გოქკიდეს'ქკულე (იქვე, 40, 29) — მამალს ჯოხი როცა დაჰკრეს (დაარტყეს)...

ლაზუტი დოფცხუნუმთ. დოფცხუნათ'ქკულე... (იქვე, 25, 34) — სიმინდს ვარჩევთ, როდესაც დავარჩევთ... („მას შემდეგ, როცა დავარჩევთ“).

ხოფურ კილოკავში, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება ქკულე'ს პარალელურად შკულე, მაგ.:

არ საათიშკულე (ჩიქ. I, 17, 6) — ერთი საათის შემდეგ;

ბიგა ქოგეჩე(ს)შკულე (იქვე, 17, 5) — ჯოხი როცა დაარტყეს („მას შემდეგ, როცა ჯოხი დაარტყეს“;

არ თუთაშ'კულე (იქვე, 11, 32) — ერთი თვის შემდეგ;

ქონისუშკულე (იქვე, 11, 19) — როდესაც წაისვა („მას შემდეგ, როცა წაისვა“...) და სხვ.

ამ მოვლენის ახსნისას გასათვალისწინებელია ერთი მომენტი: ეს ის, რომ შკულე'საგან ქკულე'ს მიღება უნდა მომხდარიყო საშუალო საფეხურის გავლის გზით: ჩკულე. ასეთი ფაქტიც დასტურდება, მაგ.: ჰექოლე ბიმტით'ჩკულე... (ჩიქ. II, 27, 18) — იქიდან რომ გავიქეცით („მას შემდეგ, როცა იქიდან გავიქეცით“).

ამ ფონეტიკური მოვლენის ახსნა მოცემული აქვს ვ. თოფურიას წერილში: „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში (IV)“¹. ავტორის აზრით, მეგრულის წკალა || წკელა || წკუშა თანდებულებში წ და ქანურ ქკულე'ში მიღებულია ნათესაობითი ბრუნვის -შ-სა და მომდევნო მკვეთრ კ-ს შეხვედრის გზით². ავტორი მიუთითებს ქვემოიბერულში -კენ თანდებულისა და -ყე ნაწილაკის წინ ნათესაობითი ბრუნვისა და მესამე პირის ნიშნის ს-ს აფრიკატად გადაქცევაზე: სკ → წყ; სყ → წყ; ტყიწყენ (← ტყისკენ),

¹ ენბეკი-ს მოამბე, ტ. 1, 1937 წ., გვ. 119 — 121.

² იქვე.

ცეხლი წყენ (← ცეხლისკენ); ამეიყვანო წყენ (← ამეიყვანოსკენ) და სხვ. მისთ.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ათინურში დადასტურებული ოხორ-კკაჟრა, რომელიც იხმარება ოხორძა'ს პარალელურად. ოხორ-კკაჟრა მიღებულია ფორმისაგან: ოხორიშ-კაჟრა. ამ კომპოზიტის მეორე ნახევარი მომდინარეობს ბერძნული ჯაჰა-საგან, რომელიც ნიშნავს 'ქალბატონს'¹. ოხორიშ-კაჟრა 'საგან' მივიღეთ ოხორკკაჟრა — სახლის ქალბატონი (შდრ. დლაშკულე → დლა'კკულე).

სარფულში ჩვენ მიერ დადასტურებულია სიტყვა დიკკაფი, რომელიც ნიშნავს 'ჭიშკარს'. ეს სიტყვა თურქული წარმომობისაა: დიშკაფ. სარფულში შკ კომპლექსი კკ კომპლექსად ქცეულა (შდრ. შკულე → კკულე) და სხვ.

ს → ც:

ჩვენი ერთ-ერთი არქაბელი მთქმელი სქანი'ს („შენი“) ნაცვლად წარმოთქვამდა ცქანი'ს: მაგ.:

ნენა ცქანი (ელ., 46, 31) -- შენი სიტყვა;

მა ცქანდე მაშქურიენ (იქვე, 48, 36) — მე შენი მეშინია;

მა ცქანდე მოფთი! (იქვე, 51, 6) — მე შენთან მოვედი;

მა ცქანი ბორე (იქვე, 50, 16) — მე შენი ვარ;

ბოზო ცქანი მა ებკოფარე (იქვე, 50, 2) — შენს ქალიშვილს მე წავიყვან;

მა დერიენ ცქანი ჰაქ ნოლამისა ბორტარე (იქვე, 75, 14) — მე შენს მაგიერ აქ პატარძალი ვიქნები;

ქართ. მ-სხალ-ი, კან. ცხული (ჩიქ. II, 5, 11) || მ-ცხული (იქვე, 20, 18), მეგრ. სხულ-ი (შდრ. სენ. იცხ) (შდრ. ლექს., 120);

ქართ. სხვენ-ი, კან. ო-ცხონ-ი (ყიფ. I, 88, 19);

ქართ. სი-სხ-ლ-ი, კან. დი-ცხ-ირ-ი, მეგრ. ზი-სხ-ირ-ი (შდრ. ლექს. 72);

კან. თერციშე (ელ., 186) მარცხნიდან, მომდინარეობს თურქ. სიტყვიდან *ters*.

¹ არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 33.

აღსანიშნავია, რომ სამურზაყანულსა და ზუგდიდურ კილოკავში მიცემითი ბრუნვის ს წარმოითქმის როგორც ც, მაგ.: ღიდი მინდორც (ყიფ., მეგრ. ტექს., 52, 27) — ღიდ მინდორს; კოც (← კოს ყიფ., მეგრ. გრამ., 024) — კაცს; ჯგჯგჯტიენცგ (ყიფ., მეგრ. ტექს., 16, 2) — ჭიანჭველებს; გლახა დლას გიგორინუანც (იქვე, 80, 20) — ცულ დლეს დაგაყენებს; მელეჯექ ჭახანც გეორჩანჯ (იქვე, 90, 2) — მელორე ცოტა ხანს შეყოყმანდა; ყურდგელეფცგ (იქვე, 16, 8) — კურდღლებს; ჟანც (← ჟამს, იქვე, 52, 22) — ჟამს; ჯიმალობა ქორწანცია (იქვე, 14, 3) — ძმობა თუ გწამსო.

ქართ. ანკესი → მეგრ. ანკეცი (ყიფ., ლექს., 195) (შდრ. ბანძ. ანტკეცი) — ანკესი;

მეგრ. საკვეცი დო ობედი (ყიფ., მეგრ. ტექს., 47, 18) — საკვესი და აბედი;

ქართ. სურო → მეგრ. ცურუ (იქვე, 371);

ქართ. სა-ხს-არ-ი, მეგრ. სა-რ-სხ-ალ-ი, კან. მე-მ-ცხვ-ერ-ი || მე-ცხ-ულ-ი || მე-ნ-ცხ-ურ-ი (შდრ. ლექს., 59) და სხვ.

ბ) დეზაფრიკატიზაციის შემთხვევები

§ 105. დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის შემთხვევები ზემოთ იყო განხილული (ჯ → დ) (მაგალითები იხ. § 103).

აქვე დავასახელებთ სხვა შემთხვევებს:

ძ → ზ:

ძ-ს დეზაფრიკატიზაცია განსაკუთრებით დამახასიათებელია ათინური კილოკავისათვის, მაგ.: მაქარ უშქური ქოჯირი (← ქოჯირი, ჩიქ. II, 119, 13) — მე ერთი ვაშლი ვიპოვნე; ბზირარე (← ბძირარე, იქვე, 137, 5) — ვიპოვნი; ჩხომი ქოჯირუ (← ქოძირუ, იქვე, 116, 31) — თევზი იპოვნა; ბერე ქოჯირუ (← ქოძირუ, იქვე, 117, 27) — ბიჭი იპოვნა.

ათინურში ჩვეულებრივ იხმარება ოხორძა (ჩიქ. II, 89, 34), მაგრამ ანის პარალელურად დასტურდება:

ოხორზა: ოხორზა მუში (ჩიქ. II, 118, 3) — მისი ცოლი;

ყარ ჯაზი ოხორზა მენდოშქუ (იქვე, 118, 8) — ერთი ჯადო ქალი გაუშვა;

ფუჯი ბუზი ულუნ, ბუზი მჯა მქვალუმთ (იქვე, 113, 26) — ძროხას ძუძუ აქვს, ძუძუს რძეს ვწველით; უნდა იყოს: ბუძი;

კოჩი თოლი-ნა ეარ აზინ, ჩორი იენ (იქვე, 113, 7) — კაცს თვალი რომ არ აქვს („უძევს“), ბრმა არის.

ჰან. ორძო → ორზო (მარი, 177) — სკამი;

ქართ. ყურძენი → ათინ. ყურზენი (ჩიქ. II, 131, 16);

მეგრ. ყურზენი (ყიფ., მეგრ. ლექს., 355) ← ყურძენი;

მეგრ. ნუძუ → ნუზუ (იქვე, 291) — ნაძვი;

ჰან. ნეძი → ათინ. ნეზი (ყიფ. I, 74, 15) — ნიგოზი;

მეგრ. ნეძი → ნეზი (ყიფ., მეგრ. ლექს., 288);

მეგრ. ბოძალი → ბორზალი (ყიფ., მეგრ. ლექს., 206) — ისარი;

მეგრ. რძია → რზია — ძლევა, ვიძლევი;

მეგრ. გარზე (ხუბ., 1, 12) — გამძლე;

ქართ. ღვეძელი → მეგრ. ღვეზილი || ღვეზელი (ყიფ., მეგრ. ლექს., 350);

ქართ. ღერძი → მეგრ. ღერზი || ღერზე (იქვე, 350).

ამ სახის მოვლენები განსაკუთრებით დამახასიათებელია სვანურისათვის¹.

გარდა ამისა, ჩქ და ჰკ კომპლექსები დისიმილაციის საფუძველზე ათინურში დეზაფრიკატიზაციას რომ განიცდიან და ჩქ → შქ-ს, ჰკ → შკ-ს იძლევა, ამის სათანადო მაგალითები განხილული იყო ზემოთ (§ 98)

12. მეტათუზისი

§ 106. მეტათუზისი ანუ სიტყვაში ბგერის გადაადგილება ჰანურ-მეგრულისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი მოვლენაა. ამ მხრივ მეგრული გამოირჩევა სხვა ქართველურ ენათა დიალექტებისაგან. მეგრული სიტყვების დიდ რიცხვს წარმოგვიდგენს გადასმული ბგერებით. მეგრულში ეს მოვლენა ვრცელდება როგორც საკუთარ, ისე სხვა ენებიდან შემოსულ სიტყვებზედაც.

¹ ჩვენი: სვან. ფონეტ., გვ. 180 — 181.

ეს მოვლენა ყველაზე კარგად ჩანს ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში, მაგ.:

ქართ. ზარბაზანი → მეგრ. ზაბარზანი (ყიფ., მეგრ. ლექს., 235);

ქართ. წარბი → მეგრ. წაბრი (იქვე, 377);

„ ორბი → მეგრ. ობრი (იქვე, 292);

პეტრე → მეგრ. პერტე (იქვე, 298);

პირველი → მეგრ. პრიველი, პრიელი (იქვე, 298);

დრო → მეგრ. რდო (იქვე, 305);

ერიალი → მეგრ. რჟიალი (იქვე, 309);

შრიალი → მეგრ. რშიალი (იქვე, 311);

ცრუ → მეგრ. რცუ (იქვე, 313);

კრელი → მეგრ. რკელი (იქვე, 314);

ხრიალი → მეგრ. რხიალი (იქვე, 314);

ხშირი → მეგრ. შხირი (იქვე, 360) (შდრ. ქართ. დიალ. შხირი);

წიგნი → მეგრ. წინგი (იქვე, 379);

საწვრიმალო → მეგრ. სარწუშალო (იქვე, 3, 11);

ბევრი → მეგრ. ბრელი (იქვე, 3, 17);

მათრახი → მეგრ. მართახი (იქვე, 13, 23);

აზრი → მეგრ. არზი (იქვე, 196);

თურმე → მეგრ. რთუმე, თრუმე (იქვე, 245);

ოქრო → მეგრ. ორქო (იქვე, 52, 21);

აპრილი → მეგრ. არპილი (იქვე, 197);

აქლემი → მეგრ. არქემი (იქვე, 197);

ბოქლომი → მეგრ. ბოლქომი (იქვე, 206);

ბოსლობა → მეგრ. ბორსობა (იქვე, 206);

ერბო → მეგრ. ებრო (იქვე, 230);

ვედრება → მეგრ. ვერდება (იქვე, 235);

ფიქრი → მეგრ. ფირქი (იქვე, 8, 22); იფირქე (8, 9) -- იფიქრა;

„ გრილი → მეგრ. რგილი || რგირი (იქვე, 304);

„ მადლობა → მეგრ. მარდობა (იქვე, 10, 8);

იქვე: დიდი მარდობელი ვორექ (3, 3) — დიდი მადლობელი ვარ;

მაგრამ იქვეა: დიდი მადლობელი ვორექ (2, 4).

რუსული წარმოშობის სიტყვები солдат, торг მეგრულში წარმოითქმის: სადღათი (ყიფ., 315); ტროგა (ყიფ., მეგრ. გრამ., 09) და სხვ.

მეგრ. ურკიუ (ყიფ., მეგრ. ტექს., 12, 22) — უკივლა (შდრ. კან. უკირუ).

ქანურში მეტათეზისის შემთხვევები უფრო იშვიათად დასტურდება, მაგ.:

კან. კირბი (ჩიქ. II, 106, 32) ← კიბირი - კბილი;

„ კირბეფე (ყიფ. I, 79, 10) ← კიბირეფე - კბილები);

„ ცხენიქ ქრუსი გეჩენ.. (ჩიქ. I, 73, 4) — ცხენს („ცხენ-მა“) ქუსლი ერტყა...;

კან. ჰაა ჩქე (← ჩქე) რენ (ჩიქ. II, 3, 19) — ეს თეთრია;

„ ლაზუტი → ლაუზტი: ექ ლაუზტი ოცხონუში ნოდერი ენ (ჩიქ. I, 125, 3) — ექ სიმინდის დამრჩევი ნადია; ფცხუნათ ლაუზტი (იქვე, 125, 5) — ვარჩიოთ სიმინდი.

ქართ. კიშქარი (← ბკის კარი) → კან. კიქშა(რ)ი (ელ., 116, 7);

ქართ. რქა → მეგრ.-კან. ქრა (ელ., 90, 38);

ქართ. სუფრა → კან. სურფა (ელ., 20, 7);

ქართ. ბროწეული → კან. ბერწეული (ჩიქ. II, 52, 9);

კან. სარლა || სალრა, მეგრ. სარლა (შდრ. ლექს. 170) — გობი;

კან. ჩხვიკი ← ჩხიკვი (ჩიქ. I, 154, 5);

ჩვენ მიერ სარფულში დადასტურებულია კაპკინი ნაცვლად პაქანიკი'სა;

კან. ფუქირი → ფურქი (ჩიქ. II, 90, 16; ყიფ. I, 86, 18) — ყვავილი და სხვ.

მეგრულში ხშირია შემთხვევა, როდესაც S₁ პირის ნიშანი გადასმის შედეგად გაინფიქსებულია, მაგ.: იფცხოვრათ ჩქი ჯგირი (ხუბ., 21, 7) — ვიცხოვროთ ჩვენ კარგად; ოკო იბდე (იქვე, 10, 5) — უნდა წავიდე; აწი იბდათია (იქვე, 5, 9) — ახლა წავიდეთო; იფჩხუბათია (იქვე, 4, 36) — ვიჩხუბოთო და სხვ. მისთ. (შდრ. იმერ. ნავხე ← ვნახე).

13. სუბსტიტუცია

§ 107. ბგერათსუბსტიტუცია ანუ ბგერათჩანაცვლება ქართველურ ენებში ფართოდ გავრცელებული ერთ-ერთი ფონეტიკური მოვლენაა. ქანურ-მეგრული ამ მხრივ ყველაზე დამახასიათებელ მაგალითებს იძლევა.

კანურ-მეგრულში დასტურდება როგორც არტიკულაციურად მონათესავე, ასევე არტიკულაციურად სრულიად განსხვავებულ ბგერათა სუბსტიტუცია. ამ მოვლენას ადგილი აქვს როგორც ნა-სესხებ, ისე საკუთარი წარმოშობის სიტყვებშიც¹. განვიხილოთ ცალკე-ცალკე:

ა) არტიკულაციურად მონათესავე ბგერათა
სუბსტიტუცია

მ — ნ:

ათინ. ჯუმა ნიში (← მიში, ჩიქ. II, 130, 32; ყიფ. I, 84, 26) — მისი ძმა;

ათინ. ოხოი ნიში ოქვეს (იქვე, 89, 7) — მისი სახლი დაწვეს;

ათინ. ნანა ნიშის უწვეს-ჩი... (ყიფ. I, 83, 20) — დედა მისს უთხრეს, რომ...;

ათინ. ალა ნიშიქ უფოხუ-ჩი (ყიფ. I, 80, 34) — მისმა ბატონმა („ალამ“) დაუძახა, რომ...;

ათინ. იგზალეს ოხოეთე ნიშიშე (ჩიქ. II, 87, 30) — წავიდნენ თავიანთ სახლებში;

კან. ანკათა (← ამკათა, ყიფ. I, 12, 35) — ასეთი; ძემური (მარი, 217) — ციყვი, ხოფ. ძენუ 'რ'ი; მეგრულში ჩვეულებრივია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მ ჩაენაცვლება ნ-ს, მაგ.:

მეგრ. თუთუმი გებშვათია (ყიფ., მეგრ. ტექს., 13, 19) — თუთუნი დავლიოთო;

მ — ბ:

კან. მჟა (ჟლ., 40, 18) || ბჟა (იქვე, 46, 29) — რძე (შდრ. მეგრ. ბჟა);

კან. ომგარინუ || ობგარინუ — ტირილი;

კან. ჯამაყაყი (მარი, 202) — ხის ბაყაყი (შდრ. ქართ. ბაყაყი).

არის შემთხვევები, როდესაც მ-ს ჩაენაცვლება ბ, მაგ.: ნაბეტანი (ყიფ., მეგრ. ტექს., 20, 28) ← ნაპეტანი; ბზითი (ყიფ., მეგრ. ლექს., 203) ← მზითვი.

¹ შდრ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 22:—229.

მ — ვ:

უქვი: უქვი ღლაში ნაკეთებუ (ყიფ., მეგრ. ტექს., 13, 31) — უქმე ღლეს ნაკეთები... ღლაში (ყიფ., მეგრ. ლექს., 351) ← ღლა-ვი; ნალმელი (იქვე, 287) ← ნალველი.

ბ — ვ:

ჯაბრი ← ჯავრი (იქვე, 411); კელებერი (იქვე, 253) ← კელავერი;

მეგრ. ტკვილი (იქვე, 278) ← ტკბილი. ამ შემთხვევაში ვ ჩაენაცვლა ბ-ს.

ბ) არტიკულაციურად განსხვავებულ ბგერათა სუბსტიტუცია

ტ — კ:

ჟან. კიბიი ნოტანკაფს (← ნოკანკაფს) დო მარქვალი ჟაგა-მახუფს (ჩიქ. I, 164, 13) — ნისკარტს („კბილს“) მიაკაკუნებს და კვერცხს გახვრეტს; თუდენი ნეკნას ნოტანკუ (← ნოკანკუ, ჩიქ. I, 113, 29) — ქვედა კარს მიაკაკუნა; მგეიქ ნეკნას ნოტანკუ (← ნოკანკუ, იქვე, 72, 13) — მგელმა კარს მიაკაკუნა; ნეკნას კითითენ ნოტანკუ (← ნოკანკუ, იქვე, 19, 21) — კარზე თითით დააკაკუნა; ოხოიშა მეხთუ დო ნოტანკუ (იქვე, 47, 20) — სახლში მივიდა და დააკაკუნა;

მეგრ. ღვინტაფი || ღვინკაფი (ყიფ., მეგრ. ლექს., 351) — ჭყვირილი;

ჟან. ბეტმეზი || ბეკმეზი (მარი, 130) — ბადაგი. ეს სიტყვა თურქული წარმოშობისაა (pekmez). იგი ჟანურში პეტმეზი ფორმითაც გვხვდება, მაგ.: პეტმეზის მთუგი დოლაშქიდუ (ელ., 56, 4) — ბადაგში თავვი დაიღრჩვა; პეტმეზი ბგიბამინონ-მა (ჩიქ. I, 12, 13) — ბადაგს მოვხარშავო;

ჟან. ოტპუსტი (← რუს. отпуск, ელ., 201) — შვებულება.

რ — გ:

არდება ← აგდება (ყიფ., ლექს., 305); არდებული ← აგდებული (ცაგრ., Mჟ, II, 2); ორზოლი (ხუბ., 19, 5) — საგზალი; მიქმერჩუ სი... (იქვე, 4, 31) — ვინ მოგცა შენ... (მღრ. ქართ. გწვავს, მეგრ. რკუნს; ქართ. გკითხა, მეგრ. რკითხუ და სხვ. მისთ.).

ნ — ბ

მეგრ. ანჯარი ← აბჯარი (ყიფ., ლექს., 195).

ქ — ლ:

მეგრ. ქურქული || ლურქული (ყიფ., მეგრ. გრამ., 06) —
ტიკტიკი, ტიკტიკი.

ღ — ყ:

ქან. ლუა (ათინ.), ყუა (ხოფ.), კუა (ვიწ.-არქ.) (მარი, 204) —
შუბლი;

ქან. ნისალა || ნისაყა (მარი, 174) — ორი ძმის ცოლები
ერთმანეთის მიმართ.

ღ — კ:

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქანურში ნასესხებ სიტყვათა აბ-
სოლუტურ ბოლოში კ-ს ღ-თი ჩანაცვლება, მაგ.:

ააშილი (← რუს. ящик): ააშილი ქოგა|ჯებდგი (ჩიქ. II, 105, 31) — ყუთი („იაშიკი“) დავდგი; ააშილის დოლოვობლამ (იქვე, 105, 37) — ყუთში ვყრი; ტაპილი (← ტაბიკი, ჩიქ. II, 110, 13) — ტაბიკი; კაპილი (← რუს. копеечка): ნაკო კაპილის გამაჩამ? (ჩიქ. II, 89, 10) — რამდენ კაპიკად ყიდი? ვიტოხუთ კა-
პილი მექჩამთ! (იქვე, 89, 15) — თხუთმეტ კაპიკს მოგცემთ!

ქან. ეშშელი (← თურ. esek, შდრ. რუს. ешак);

ეშშელიშ ნენა იჯჳრ-ი? (ჩიქ. I, 8, 1) — ვირის ენა დაიჯჳ-
რე? ხოჯაში ეშშელიქ დიყუუ (იქვე, 8, 5) — ხოჯას ვირმა დაი-
ყროყინა; ფამბული (← ფამბუკ): ფამბული მოკიდერი (ჩიქ. I, 5, 3) — ბამბა მოკიდებული; დორუქ-თუთუნი (თურქ., ჩიქ. II, 105, 13) — წვერის თუთუნი, პარალელურად გვხვდება: დორულ-
თუთუნი და სხვ. მისთ.

14. ბგერათა დაკარგვა

108. ქანური და მეგრული, განსაკუთრებით კი მეგრული, ხში-
რად მიმართავს სიტყვაში ბგერის დაკარგვას, ზოგჯერ მთელი
მარცვლის დაკარგვასაც.

კანურ-მეგრულში ხშირია გ-ს დაკარგვის შემთხვევები, ისე როგორც ამას ადგილი აქვს ქართული ენის ზოგიერთ კილოში, მაგ.: მეგრ. საჩიარი ← საჩივარი (ყიფ., მეგრ. ტექს., 44, 24); მეგრ. გირგინი ← გვირგვინი (იქვე, 49, 32); კან. რაგი (მარი, 181) ← რაგვი; კან. ჩხინდი ← ჩხინდი (ჩიქ. II, 112, 20) — ცხირი; (შდრ. მეგრ. ჩხინდი);

მეგრ. ფატი (ყიფ., მეგრ. ლექს., 334) ← ფეტვი; კან. ლაკი, მეგრ. ლაკვი, ქართ. ლეკვი (შდრ. ლექს., 85); კან. მუნჩქი || მუნჩხი || მუნჟყი, მეგრ. მუნჩქვი, ქართ. მაჩვი (იქვე, 90); კან. მ-კიმა, მეგრ. ჰვიმა, ქართ. წვიმა (იქვე, 189); კან. კვინჩი || კინჩი, მეგრ. კვინჩ-ა, ქართ. ს-კვინჩ-ა (იქვე, 10^ა); კან. აში || ანში, მეგრ. ამშვი, ქართ. ექვსი (იქვე, 216); კან. შქით-ი || შქვით-ი, მეგრ. შქვით-ი, ქართ. შვიდი (იქვე, 216);

ქართ. ტანჯვა → მეგრ. ტანჯა (ყიფ., მეგრ. ლექს., 327); „იანვარ-ი → მეგრ. იანარი (იქვე, 244); „ცოდვა → მეგრ. ცოდა (იქვე, 371); „ჯავრ-ი → მეგრ. ჯარ-ი (ცგარ. MΘ, II, 3); „ტიტველი → კან. ტეტელი (ელ., 43, 29-30) და სხვ. ი. ყიფშიძეს აღნიშნული აქვს, რომ ტ, დ, თ, ჯ, ნჯ და ჩ-ზე დაბოლოებულ სახელთა ფუძეებს მიცემითი ბრუნვის ნიშნის ს-ს დართვისას ეკარგებათ ფუძისეული თანხმოვანი¹, მაგ.:

მეგრ. დუდ-ი („თავი“), მიცემითშია: დუ-ს (← დუდ-ს); ცხენიში დუს (ყიფ., მეგრ. ტექს., 22, 24) — ცხენის თავს; მეგრ. ჰკიდ-ი („მკალი“), მიცემითშია: ჰკის (← ჰკიდ-ს); ზუგდიდ-ი, მიცემითშია: ზუგიცგ (← ზუგდიდ-ს); ზუგიცგ თქვა ქიმერთითგ უჩარდიაშა (იქვე, 2, 30) — ზუგდიდს თქვენ მით უჩარდიასთან.

მეგრული ასევე ეპყრობა ქართულიდან ნასესხებ სიტყვებს:

ქუდ-ი, მიცემითშია: ქუ-ს (← ქუდ-ს); ბედ-ი, მიცემითშია: ბეს (← ბედ-ს); აინიტე თიში ბეს... (ხუბ., 331, 14) — აინეტავი მის ბედს... მარდ-ი, მიცემითშია: მარ-ს (← მარდ-ს); მეტ-ი, მიცემითშია: მე-ს (← მეტ-ს);

¹ И. Кипшидзе, Грамм. мвнгр. яз., გვ. 23.

მეგრ. ლორონთ-ი („ლმერთი“), მიცემითშია: ლორონ-ს (← ლორონთ-ს);

მეგრ. ხოჯი („ხარი“), მიცემითშია: ხო-ს (← ხოჯ-ს): ნახირა ხოს (იქვე, 12, 8) — მოპარულ ხარს;

მეგრ. პიჯ-ი („პირი“), მიცემითშია: პი-ს (← პიჯ-ს): ზღვა პის (← ზღვაპიჯ-ს, იქვე, 5, 25) — ზღვისპირს; წყარიპიცე (← წყარიპიჯ-ს, იქვე, 15, 10) — წყლისპირს;

მეგრ. ჯინჯ-ი („ძირი“), მიცემითშია: ჯინ-ც (← ჯინჯ-ს): ჯაში ჯინცე ართი კოჩი ქიგითორე თუღო ღო ჟი ცასე ქუუჯინე (იქვე, 14, 25) — ხის ძირში (ქვეშ) ერთი კაცი ღვას და ზევით ცას უყურებს;

მეგრ. ღეჯ-ი („ლორი“), მიცემითშია: ღე-ს (← ღეჯ-ს); ქომონჯ-ი („ქმარი“), მიცემითშია: ქომონ-ს (← ქომონჯ-ს); ტორონჯ-ი („მტრელი“), მიცემითშია: ტორონს/ც (← ტორონჯ-ს): გამათხოზ ტორონს (← ტორონჯს, ხუბ., 130, 12) — გამოედევნა მტრედს; ეუს (← ეაუჯ-ს, იქვე, 9, 15) — ყურს;

მეგრ. კოჩ-ი („კაცი“), მიცემითშია: კო-ს (← კოჩ-ს): რჩინ კოს (იქვე, 9, 17) — მოხუც კაცს; შხვა კოსე (იქვე, 26, 3) — სხვა კაცს და სხვ. მისთ.

§ 109. ბგერათა დაკარგვის სხვა შემთხვევებიდან აღსანიშნავია ასეთი ფაქტები:

ქან. იგზალუ ნიშნავს წასვლას, გამგზავრებას: იგზალეს ოხოროშა (ყიფ. I, 79, 21) — წავიდნენ სახლში, ათინურ კილოკავში დასტურდება შემთხვევები, როდესაც ამ სიტყვაში გ დაკარგულია, მაგ.:

უკაჩხე არ ოხოროშა იზალუ (ყიფ. I, 76, 2) — შემდეგ ერთ სახლში წავიდა (შდრ. მეგრ. ზა ← გზა, ყიფ., მეგრ. ლექს., 235); დილენჯი იზალუ (იქვე, 75, 3) — მათხოვარი წავიდა; აში აკარდაში იზალეს, იზალეს ღო... (იქვე, 77, 28) — ასმა ამხანაგმა იარა („იარეს“), იარა („იარეს“) და...

მეგრულში ხშირია შემთხვევა, როდესაც ობიექტური მეორე პირის ნიშანი გ იკარგვის ხმოვნებს შორის: ათე ჟირი სენს დოიტენქ (← დოგიტენქ, ხუბ., 11, 29) — ამ ორ საინს დაგიტოვებ; მუჟანს ხეს გეიწოილანსგნ (← გეიწოგილანს, იქვე, 35, 23) — როცა ხელს ჩამოგართმევს; სი მინდოროშა გეგეშაიყუნა (← გეგიშაიყუნა, ყიფ., მეგრ. ტექს., 88, 3) — შენ მინდორში გამოგიყვან და სხვ.

დ იკარგვის შემდეგ მაგალითებში:

ღ ნ ო ს ი → ნ ო ს ი („ჭკუა, გონება“): ჰა კოჩეფეს დიდო ნ ო ს ი ულუნან (ელ., 48, 12) — ამ კაცებს ბევრი ჭკუა აქვთ; ნ ო ს ი ა ი (← ღნოსიარი) რენან (იქვე, 46, 23) — ჭკვიანი არიან (შდრ. ღ ნ ო - ს ა ი, ელ., 88, 21); უ ნ ო ს ე (← უღნოსე, ყიფ. I, 76, 1) — უჭკუო; ო მ ა ნ (← ღომან, მარი, 118) — გუშინ.

ბ იკარგვის შემდეგ სიტყვებში:

მეგრ. ს ა რ ა ლ ო ← ს ა ბ რ ა ლ ო (ყიფ., ლექს., 3, 15); ს ა რ ა - ლ ო კოჩქ (ყიფ., მეგრ. ტექს., 13, 18) — საბრალო კაცმა;

მეგრ. ღ უ ← ჭ ა ნ. ბ ღ უ, ქართ. ბ უ; ჭ ა ნ. ბ ღ უ ' შ ი ღ განვი- თარებული ჩანს უ-ს წინ¹, მეგრულში კი ბ დაკარგულა და ღ უ წარმოითქმის.

მეგრ. ბ ზ ა კ ა ლ ი → ზ ა კ ა ლ ი; ბ ჟ ა შ ხ ა → ჟ ა შ ხ ა (ყიფ., მეგრ. გრამ., გვ. 08) — კვირა („ზღის დღე“);

მეგრ. ა რ ე შ უ მ ი ← ა ბ რ ე შ უ მ ი (ყიფ., მეგრ. ლექს., 196);

მეგრ. ლ ი კ ვ ი ← ბ ლ ი კ ვ ი (იქვე, 273); შდრ. ლ ო უ ← ბ ლ უ;

მეგრ. ქ ა ← ქ რ ა ← რ ქ ა: ქ ა ლ ე ფ ი — რ ქ ე ბ ი (იქვე, 341);

მეგრ. ი ა ხ ← დ ი ა ხ; დ ი ა ← დ ი დ ა — დ ე დ ა; მ ჟ ა ← მ ჟ მ ა — მ ა მ ა; თ ი ნ ა → ი ნ ა — ის (ყიფ., მეგრ. გრამ., 08); ჭ ა ნ. ა რ ღ ო გ ვ ე - რ ი (← გვერდი) წ ა ნ ა (ყიფ. I, 73, 27) — ერთ ნახევარი წელი- წადი;

მეგრ. ს ტ → ს: ს ტ უ მ ა რ - ი → ს უ მ ა რ - ი: ს ქ ა ნ ი ს უ მ ა რ ს, ყიფ., მეგრ. ტექს., 41, 31) — შენ სტუმარს; დ ა ს უ რ ო (← დას- ტურ. ხუბ., 25, 1) — მართლაც;

მეგრ. შ ტ → შ: შ ტ ე რ ი → შ ე რ ი (ყიფ., მეგრ. ლექს., 356);

ჭ ა ნ. ს წ → წ: ს წ ო რ ი → წ ო რ ი: ჰ ა წ ი წ ო რ ი ვ არ ა პ ა რ ა მ ი თ ე ნ (ელ., 5, 9) — ახლა სწორად ვერ ლაპარაკობს; წ ო რ ი თ ქ ე ი, წ ო რ ი, მიშ ბერე რე? (ჩიქ. I, 46, 21) — სწორი თქვი, სწორი, ვისი ბიჭი ხარ?

მეგრ. ღ უ ლ ა ← ღ უ ლ ა რ ე (ყიფ., მეგრ. ლექს., 228); მეგრ. ქ ი ს ე თ უ თ ა ← ქ ი რ ს ე თ უ თ ა (იქვე, 244) — ქრისტესშობის თვე;

მეგრ. ს ი ნ თ ე (ხუბ., 5, 35) — სინათლე;

მეგრ. ჭ ა (← ჭ ი ჭ ე): ჭ ა ხ ა ნ ს (ყიფ., მეგრ. ტექს., 37, 11) — ცოტა ხანს;

მეგრ. ჭ ე (← ჭ ი ჭ ე) მოლართგ ნი... (იქვე, 10, 19) — შდრ. ჭ ი ჭ ე ხ ა ნ ქ მ უ კ ი ღ ნ ი... (იქვე, 8, 31) — ცოტა ხანი რომ გავიდა...

¹ ჩვენი: სვან. ფონეტ., გვ. 137 — 138.

15. სიგჳვის აბსოლუტური ბოლო

§ 110. კანურ-მეგრულში სიტყვებს აბსოლუტურ ბოლოში ზოგიერთი სპეციფიკური თავისებურება ახასიათებს.

ნ. უსოვმა თავის „ექსპერიმენტულ ფონეტიკაში“¹ მეტად საყურადღებო ზოგადფონეტიკური მნიშვნელობის კანონზომიერი მოვლენა დაადგინა. მან სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ცხვირისმიერ და ნარნარა თანხმოვანთა სრულ დაყრუება-გაუჩინარებაზე მიუთითა. ავტორის აზრით, ამავე წესს ემორჩილება აბსოლუტურ ბოლო ხმოვნებში ვოკალიზაციის ნაწილობრივი შემცირება, ზოგჯერ სრული დაყრუება-გაუჩინარებაც².

აბსოლუტურ ბოლოში ხმოვანთა ე. წ. „უტყვ“ ხმოვნებად გადაქცევა ენათა ისტორიით დადასტურებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა³.

აბსოლუტურ ბოლოში ცხვირისმიერ, ნარნარა თანხმოვანთა და აგრეთვე ვოკალიზაციის დაყრუება გაუჩინარების უხვ მასალას იძლევა ქართველურ ენათა დიალექტები და, კერძოდ, კანურ-მეგრულიც⁴.

ასე, მაგალითად, დადგენილია, რომ ნ მეგრულ წარმოთქმაში აბსოლუტურ ბოლოში საერთოდ ვერ ძლებს, ყრუვდება და გაუჩინარდება. მეგრული წარმოთქმით უნდა იყოს: რენ („არის“, შდრ. კან. რენ), მაგრამ წარმოითქმის: რე; უნდა იყოს: ხენ („ზის“, შდრ. კან. ხენ), წარმოითქმის ხე. ამავე ზმნებს ნ მრავლობითშიც ეკვეცებათ. უნდა იყოს: რენან (შდრ. კან. რენან — არიან), წარმოითქმის: რენა; უნდა იყოს: ხენან (შდრ. კან. ხენან — სხედან), წარმოითქმის: ხენა.

აღსანიშნავია, რომ თუ აბსოლუტურ ბოლოში მოქცეული ნ მეგრულში ვოკალ ელემენტს გაიჩენს, მაშინ წარმოთქმაში იგი შენარჩუნებულია, მაგ., რენო? („არის?“), რენანო? („არიან?“), ხენო? („ზის?“), ხენანო? („სხედან?“)⁵. მეგრ. ნანდული რე

¹ Известия II отд. ИАН, т. II, 1897, кн. 4.

² იქვე.

³ А. Мейе, Основные особенности германской группы языков, 1952, 68 — 72.

⁴ ჩვენი: ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის ზოგიერთი საკითხი ი. სტალინის საენათმეცნიერო შრომების შუქზე; სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 49, 1953 წ., გვ. 136—142.

⁵ არნ. ჩიქობავა, კან. გრამ. ანალიზი, გვ. 72.

(← რენ, ყიფ., მეგრ. ტექს., 2, 25) — ნამდვილი არის; მეგრ. ფიცარი იკანწუ (← იკანწუნ) — ფიცარი ქანაობს.

მეგრულ წარმოთქმაში საკუთარ სახელებს, როგორც წესი, აბსოლუტურ ბოლოში ეკვეცება ნ, მაგ.: დარჯა (← დარეჯან), იულო (← იულონ), ლევა (← ლევან), გუქა (← გულქან). ანტო (← ანტონ), სამსო (← სამსონ), შავა (← შარვან), მელიტო (← მელიტონ) და სხვ.¹

როგორც ირკვევა, მეგრულში ეს პროცესი სახელებში უფრო ფართოდაა გავრცელებული, ვიდრე ზმნებში, მაგრამ ზმნებშიაც იმდენად გავრცელებულა, რომ იგი მორფოლოგიურ ელემენტებზედაც ვრცელდება (შდრ. რე ← რენ).

ს. ჯანაშიამ ისტორიულ-ლიტერატურული ნონაცემებისა და მეგრულ-ქართულ და მეგრულ-სვანურ შესატყვისობათა საფუძველზე განიხილა მეგრულ გვარისახელთა დაბოლოებანი და აღნიშნა, რომ მეგრულ გვარებში -ია დაბოლოება მიღებულია -იან ფორმისაგან. მაგალითად, მეგრ. დადია, ლიპარტია, რატია და მისთ. მომდინარეობენ: დადიან, ლიპარტიან, რატიან და ა. შ. ფორმებისაგან აბსოლუტურ ბოლოში ნ-ს მოკვეცით.

ს. ჯანაშია ასევე ფიქრობდა, რომ მეგრულ გვარებში -ვა დაბოლოება უნდა მომდინარეობდეს -ვან დაბოლოებისაგან: ფალავა (← ფალავან), გალდავა (← გალდავან) და ა. შ.

ს. ჯანაშია ნ-ს დაკარგვას აბსოლუტურ ბოლოში მეგრულისათვის ნიშანდობლივ მოვლენად მიიჩნევდა და დაასკვნოდა: „ცხადია მხოლოდ, რომ ეს მოვლენა მეორადი ხასიათისაა“².

§ 111. ქანურისათვის ნ-ს აბსოლუტურ ბოლოში მოკვეცა ისე ნიშანდობლივი არ ჩანს, როგორც მეგრულისათვის, მაგრამ ქანურშიც საკმაოდ ფართოდაა ეს მოვლენა გავრცელებული. ქანურის კილოკავების მონაცემები ამ მხრივ სხვადასხვანაირია.

ქანურის ხოფურ კილოკავს უფრო ახასიათებს აბსოლუტურ ბოლოში ნ-ს შენარჩუნება, ხოლო ვიწურ-არქაბულსა და ათინურს — ნარ მოკვეცილი ფორმები, მაგ., ხოფურის კილოკავში პირთა ნაცვალსახელებს აბსოლუტურ ბოლოში ნ შენარჩუნებული აქვთ, ვიწურ-არქაბულსა და ათინურს კი — მოკვეცილი:

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 104.

² ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი: ენიმკი-ს მოამბე, ტ. I, 1937 წ., გვ. 215.

ხოფური	ვინურ-არქაბული	ათინური
მ ა ნ (მე)	მ ა	მ ა
ს ი ნ (შენ)	ს ი	ს ი
ჩ ქ ი ნ (ჩვენ)	ჩ ქ უ ნ ჩ ქ უ	შ ქ უ
თ ქ ვ ა ნ (თქვენ)	თ ქ ვ ა ნ თ ქ ვ ა	თ ქ ვ ა

ნეგრულში ეს ნაცვალსახელები მხოლოდ ნარ მოკვეცილი წარმოითქმიან: მ ა , ს ი , ჩ ქ ი || ჩ ქ გ , თ ქ ვ ა (შდრ. ქართ. შე კაცო!).

ასევე ხოფურ კილოკავში დაშორებითი ბრუნვის დაბოლოება — შე ნ და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოება - თ ე ნ სრული სახით წარმოითქმის, მაშინ როდესაც ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკავებში იგი ნარ მოკვეცილად წარმოითქმის: -შე, -თე, მაგ.:

ხოფ. ფენჯერე შე ნ თ ი გამილუ (ჩიქ. I, 5, 10) — ფანჯრიდან თავი გამოჰყო;

ხოფ. არ ხ ი ნ ჯ ი შე ნ ... (ჩიქ. I, 8, 11) — ერთი ხიდიდან;

„ ა მ ა ბ ა ჯ ა შე ნ (ჩიქ. I, 3, 3) — ამ ბუხრიდან;

„ ხოჯას დუგუნი შე ნ ათხოზეს (იქვე, 7, 5) — ხოჯას ქორწილიდან დაედევნენ;

ხოფ. ჯ ა მ ე შე ნ გამუჯოხუ (იქვე, 10, 7) — ჯამიდან გამო-სძახა;

ხოფ. ეჩ კაპიკიში ს ა პ ო ნ ი თ ე ნ (იქვე, 6, 21) — ოცი კაპიკის საპნით;

ხოფ. ბ უ რ კ უ ლ ი თ ე ნ მეკვათუბტენ (იქვე, 9, 13) — წალდით თურმე კრიდა;

„ ბ ი გ ა თ ე ნ დოზაპეს (იქვე, 7, 8) — ჯოხით გალახეს და სხვ.

ვიწ.-არქ. მ უ რ ლ უ ლ ი შე აკარაშა ბიგზალით (ყიფ. I, 67, 13) — მურლულიდან აკარაში წავედით.

ვიწ.-არქაბულში მიმართულებით ბრუნვაში -შ ა ფორმანტის ნაცვლად იხმარება -შე ← შე ნ, მაგ.: ო დ ა შე მენდახოთუ (ელ., 137, 33) — ოთახში შევიდა; ო რ ქ ა რ ი ნ ო ლ ა შე ქოგებთუ (იქვე, 6, 20) — ორქელი ქალაქში ჩავიდა; ქ ჩ ი ნ ი შე ქომოხთუ (იქვე, 4, 10) — დედაბერთან მოვიდა;

ათინ. თოლეფეშე (← თოლეფეშენ, ჩიქ. II, 90, 15) — თვალე-ბიდან;

ათინ. დაჩხუთე (← დაჩხუთენ) ოხოი ნიში ოქვეს (ჩიქ. II, 89, 7) — ცეცხლით მისი სახლი დაწვეს;

ვიწ.-არქ. ხოჯეფეთე (ჩიქ. II, 5, 18) — ხარებით;

„ ლესა ჩხოშითე (← ჩხოშითენ) ოფეშუ (ელ., 4, 25) — ფაცერი თევზით აივსო;

ვიწ.-არქ. სტოლი გაარითე ოფშა რენ (იქვე, 137, 27) — მაგიდა საკმლით სავსე არის და სხვ. მისთ.

ვიწურ არქაბულ კილოკავში ნანამყოუსრულარი თურმეობითი და ნააორისტალი თურმეობითი იწარმოება - დორენ მეშველი ზმნის მიმატებით. ვიწურ-არქაბულში პარალელურად დასტურდება ნარ მოკვეცილი ფორმები, მაგ.:

ტესდორე (ყიფ. I, 60, 32) — ყოფილან; უნდა იყოს: ტეს-დორენ;

უწუდორე (← უწუდორენ, იქვე, 57, 18) — უთქვამს;

თქუდორე (← თქუდორენ, იქვე, 57, 18) — უთქვამს;

იგზალუდორე (← იგზალუდორენ, იქვე, 57, 7) — წასულა;

კოჩეფე-ნა ოკიბლესდორტუ (← დორტუნ, იქვე, 65, 19) — კაცები რომ შეკრებილიყვნენ;

ლობერი ტუდორე (← ტუდორენ, იქვე, 57, 15) — ლობე ყოფილა;

არ დიდი კალე ქაძირუდორე (იქვე, 57, 14) — ერთი დიდი ციხე უპოვნია;

ოხორიშა ქამახტუდორე (← ქამახტუდორენ, იქვე, 57, 9) — სახლში შესულა;

ცხენი ქაეჟოფუდორე (იქვე, 57, 8) — ცხენი დაუქერია;

ჰეას დუჯოხუდორე (იქვე, 57, 7) — მისთვის დაუძახია;

შდრ. მეგრ. ჰუმე (← ჰუმენ, ყიფ., მეგრ. ტექს., 12, 6) — ხვალ;

ქან. ჰუმენ ბაზაი ენ (ჩიქ. II, 11, 9) — ხვალ ბაზრობა (ბაზარი) არის და სხვ.

ასევე ქანურში და მეგრულში პირობითი პირველი და პირობითი მეორე იწარმოება - კონ'ის დართვით, რომელიც მომდინარეობს ოკონ („უნდა“) ზმნისაგან. ქანურის კილოკავებში დასტურდება პარალელური ფორმები ნარიანი და ნარ მოკვეცილი; მეგრულ წარმოთქმაში ნ ყოველთვის გაუჩინარებულია. მაგ.:

ეჰ! არ ჰემაშის ვორტიკონ... (ჩიქ. I, 10, 8) — ეჰ, ერთი აბანოში რომ ვიყო..., მაგრამ პარალელურად გვაქვს:

ჰემ ბოზო ჰაწი სი ქოძირიკო, იჩინატი-ა (ყიფ. I, 66, 32) — ეს გოგო ახლა შენ რომ გენახა, იცნობდიო;

ოფშატუკო (დუმეზ., 37, 3) — სავსე რომ ყოფილიყო;

ქომიჩქიტუკო-და (იქვე, 44, 25) — რომ მცოდნოდაო;

სი მა ქეკჟოფიკო... (იქვე, 65, 14) — მე შენ რომ მეყიდე და სხვ. მისთ. (შდრ. ხევს. ფშ. - კენ თანდებულის წარმოთქმა -კე სახით: სახლებისკე, შინისკე, ცისაკე და სხვ. მისთ.).

ქანურში წარმოითქმის ჟინ (-ზე), მეგრულში ჟი (შდრ. სენ. ჟი):

ფიცარის ჟინ დოხედი (ჩიქ. II, 3, 2) — ფიცარზე დაჯექი;

ჯაეფეში ჟინ (ჩიქ. I, 106, 11) — ხეებზე („ხეების ზევით“);

გზა ჟინ (იქვე, 5, 30) — გზაზე („გზას ზევით“);

არაბა ჟინ (იქვე, 6, 4) — ურემზე და სხვ. მისთ., მაგრამ მეგრულში გვაქვს, ჟი: ჟი ცაშა (ყიფ., მეგრ. ტექს., 17, 9) — ზევით ცამდე.

ქანურში ასეთი პარალელური ფორმების არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ პროცესი ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის, მაშინ როდესაც მეგრულში იგი უკვე დასრულებულია. გარდა ამისა, ქანურის მონაცემები იმაზეც მიუთითებს, რომ ეს პროცესი არც მეგრულშია დიდი ხნოვანებისა.

ნ-ს აბსოლუტურ ბოლოში მოკვეცის შემთხვევები ისტორიულად დადასტურებულია ქართული ენის გარკვეულ ლექსიკურ მარაგში, მაგ., ძმა, და, დაბა, ძე, დღე და მისთ.¹ ამ სიტყვებში ნ აღდგება მრავლობითში -ებ სუფიქსის წინ (შდრ. დაბ-ნ-ები, გურ. და-ნ-ები, ძმა-ნ-ები, სიძა-ნ-ები, ნინიძ-ნ-ები და სხვ. მისთ.).

არნ. ჩიქობავა დასახელებულ მაგალითებში ნ-ს მოკვეცის ფაქტს ასე ხსნის; „ამიტომ იბადება ექვი: მრავლობითში ნ-ს ქონამ ხომ არ შეუწყო ხელი ფუძის ბოლოკიდურ ნ-ს დაკარგვას: ძმან → ძმა მეტაანალიზის გამო?“².

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 105.

² იქვე.

ავტორი მეორე ახსნასაც იძლევა: „დასასრულ, ასეთი განმარტებაც შეიძლებოდა მოგვეცა: ფუძის ბოლოკიდური ნ დაიკარგა ფონეტიკურ ნიადაგზე გარკვეულ ლექსიკურ მასალაში, პირველ ყოვლისა, სახელებში. შემდგომში ან პროცესი არ განვითარებულა, ან პროცესი განვითარდა, მაგრამ სათანადო კილომ კავშირი გაწყვიტა სალიტერატურო ენასთან, რომელშიაც ამის გამო პროცესის შემდგომი საფეხურები არ ასახულა.

ასეთი რამ შეუძლებელი არ არის, მაგრამ ერთგვარად ხელოვნური ახსნის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ამგვარად, სავსებით დამაკმაყოფილებელი ახსნა ბოლოკიდური თანხმონისა ამჟამად არ მოგვეპოვება“¹.

ნარის მოკვეცის შემთხვევები რომ უფრო გასაგები იქნეს, დავასახელებთ აბსოლუტურ ბოლოში ლ-ს მოკვეცის რამდენიმე შემთხვევას, რომელიც უკვე ცნობილია ლიტერატურაში.

§ 112. კანურ-მეგრულში არის აბსოლუტურ ბოლოში ლ-ს მოკვეცის შემთხვევები, მაგრამ ფუძეს დაერთვის თუ არა ახალი, ხმოვნით დაწყებული მორფოლოგიური ელემენტი მრავლობითში. ლ ისევ აღდგება, მაგალითად:

კან. და	— მრ. დალ-ეფ-ე	მეგრ. და	— მრ. დალ-ეფ-ი	— დები;
„ ჯუმა	— მრ. ჯუმალ-ეფ-ე	„ ჯიმა	— მრ. ჯიმალ-ეფ-ი	— ძმები;
„ ქრა	— მრ. ქრალ-ეფ-ე	„ ქ(რ)ა	— მრ. ქ(რ)ალ-ეფ-ი	— რქები;
„ თხა	— მრ. თხალ-ეფ-ე	„ თხა	— მრ. თხალ-ეფ-ი	— თხები;
„ სიჯა	— მრ. სიჯალ-ეფ-ე	„ სინჯა	— მრ. სინჯალ-ეფ-ი	— სიძეები;
„ ჯა	— მრ. ჯალ-ეფ-ე	„ ჯა	— მრ. ჯალ-ეფ-ი	— ხეები;
„ ქვა	— მრ. ქვალ-ეფ-ე	ქუა	— მრ. ქვალ-ეფ-ი	— ქვები;
„ დლა	— მრ. დლალ-ეფ-ე	დლა	— მრ. დლალ-ეფ-ი	— ძვლები;

კან. ოხორჯა (|| ოხორძა) — მრ. ოხორჯალ-ეფ-ე — ქალები;

„ ნუსა — მრ. ნუსალ-ეფ-ე (ყიფ. I, 90, 28);

მეგრ. ნოსალ-ეფ-ი — რძლები;

„ შკა — მრ. შკალ-ეფ-ე — წილები;

„ ეა — მრ. ეალ-ეფ-ე — ტოტები;

„ მოთა — მრ. მოთალ-ეფ-ე — შვილიშვილები;

¹ არნ. ჩიქობავა, იქვე, 106.

მეგრ. ტყა	— მრ. ტყალ-ეფ-ი	— ტყეები;
„ დიდა	— მრ. დიდალ-ეფ-ი	— დედები;
„ ვე	— მრ. ველ-ეფ-ი	— ველები;
„ მუმა	— მრ. მუმალ-ეფ-ი	— მამები;
„ დიდა	— მრ. დიდალ-ეფ-ი	— დედები;
ღვა	— მრ. ღვალ-ეფ-ი	— ღოვები;
სქუა	— მრ. სქუალ-ეფ-ი	— შვილები;
ძგა	— მრ. ძგალ-ეფ-ი	— ნაპირები;
ზა	— მრ. ზალ-ეფ-ი (ყიფ., მეგრ. ლექს., 235)—	ზხები;
თუ	— მრ. თულ-ეფ-ი	— გოჭები;
ჩხოუ	— მრ. ჩხოულ-ეფ-ი	— ძროხები;
ცა	— მრ. ცალ-ეფ-ი	— ტოტები ¹ და სხვ.

ქან.-მეგრ. ხე ← ხელ, ქართ. ხელ-ი; მეგრ. მრ. ხელ-ეფ-ი, ქან. ხელ-ეფ-ე || ხე-ეფ-ე (შდრ. ლექს., 58).

ქან. პაპ-ულ-ი || პაპუ („ბაბუა“), მეგრ. პაპ-უ ← პაპ-ულ, ქართ. პაპ-ალ, შდრ. გვარი: პაპალაშვილი (შდრ. ლექს., 14). (შდრ. ქართ. მამა ← მამალ, დედა ← დედალ, რომელ → რომე → რომ და მისთ; ქართ. გუ-ლ-ი → სვნ. გუ; ქართ. მო-ახლე → სვან. მუახ; ქართ. ბოთლ-ი → სვან. ბოთ; სვან. (ლნტ.) მიხა, ჯიხა, ხოხა ← მიხალ, ჯიხალ, ხოხალ — ვიცი, იცი, იცის და სხვ. მისთ.).

§ 113. ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო საყურადღებოა ქართველურ ენათა კილოებსა და კილოკავებში აბსოლუტურ ბოლო-ხმოვანთა ე. წ. „უტყვ“ ხმოვნებად გადაქცევა და გაუჩინარება.

ეს მოვლენა ყველაზე უფრო რელიეფურად ჩანს სვანურის დიალექტებში. ამ ფაქტს ა. შანიძემ პირველმა მიაქცია ყურადღება სვანურში. მან თავის გამოკვლევაში „უმლაუტი სვანურში“ აღნიშნა, რომ „სვანურში დღეს არ არის გარჩეული და განსხვავებული ერთიმეორისაგან წრფელობითისა და სახელობითის ფორმები, როგორც ეს არის ძველს ქართულში: ორთავე ბრუნვათათვის სვანურს ერთი და იგივე ფორმები აქვს“². ა. შანიძემ ისიც აღნიშნა,

¹ И. Ипшидзе, Грамм. мянгр. яз., გვ. 26 — 27.

² ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: არილი, 1925 წ., გვ. 218.

რომ ქართული ენის ინგილოურსა და ხევსურულ კილოებს ძირითადი ტენდენცია აქვს წრფელობითის ფორმები იყოს ყველგან, ხმოვნიან თემებშიაც და თანხმოვნიანებშიც. რაც შეეხება ახალ ქართულსა და მეგრულს „თანხმოვნიან თემებში სახელობითის ფორმებს მოუპოვებია უპირატესობა, ხმოვნიანებში კი წრფელობითისას, ასე რომ გაბატონებული არც ერთის ფორმებია სავსებით, არც მეორისა“¹.

ა. შანიძე სვანურში სახელობითის ბრუნვის ხმოვნად ე-ს მიიჩნევს და ასეთ კვალიფიკაციას აძლევს მას: „დავარქვათ ამ ე-ნს პირობით „უტყვი ე“, რადგანაც იგი დღევანდელ ჩვეულებრივ საუბარში არ გამოითქმის და მხოლოდ ლექსში იჩენს ხოლმე თავს“².

აღსანიშნავია, რომ სვანურში ე-ნს გარდა „უტყვი“ ხმოვნებია ა-ნიცა და ო-ნიც.

ამ მხრივ საყურადღებოა ის მონაცემები, რომლებსაც კანურის კილოკავები იძლევიან. ამ მონაცემების მეგრულის მონაცემებთან შედარება ნათლად გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ტენდენციებთან გვაქვს საქმე. მეგრულთან შედარებით კანურში უფრო ახალი ვითარება დასტურდება. ირკვევა, რომ კანურს ამჟამად აქვს ტენდენცია ბოლოთანხმოვნიან ფუძეებს მოკვეცოს სახელობითი ბრუნვის ი ხმოვანი, ფუძისეული ხმოვნები სახელებს და ბოლო ხმოვნები უფორმო სიტყვებს.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კანურის რიცხვით სახელებში სახელობითი ბრუნვის ო-ს მოკვეცას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია უნდა ჰქონდეს. კანურში წარმოითქმის: არ, ეურ, სუმ, ოთხო, ხუთ, ანშ, შქით, ოვრო, ჩხორო, ვით, ვითლო არ → ვიტვარ და ა. შ.

მეგრულში ამ შემთხვევაში სახელობითი ბრუნვის ი დაცულია: ართი, ეირი, სუმი, ოთხი, ხუთი, ამშვი, შქვითი, რუო, ჩხორო, ვითი და ა. შ.

კანურში დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც „ეურ“-ს ეკვეცება: ეურ ნლა (← ეურ ნლა, მარი, 82, 7) — ორი დღე; „ხუთ“-ს ეკვეცება თ:

ხუ ნლა, ხუ სერის იხორონეს, იბირეს, ღუგუნი ეეს (ჩიქ. II, 99, 32) — ხუთ დღეს, ხუთ ღამეს იცეკვებს, იმღერეს, ქორწილი.

¹ ა. შანიძე, იქვე, გვ. 218.

² იქვე, 219.

ჰქონდათ („ქნეს“); ხუ საათი (მარი, 86) — ხუთი საათი;

„შქით“-ს ეკვეცება თ:

შქი ნდლა, შქი სერი... (ჩიქ. II, 132, 21) — შვიდ დღეს, შვიდ ღამეს...

მეგრულიზაგან განსხვავებით, კანურში დასტურდება ასეთი ფაქტები:

ეურ საათ ოხაპარუთე მუ ეენ? (მარი, 81, 8) — ორ საათს (ორი საათი) ლაპარაკი (ლაპარაკით) რა არის?

მთელ ხოლო გომინდუნუ (ყიფ. I, 67, 20) — ყველაფერი სულ დამეკარგა;

ქომოფთი ხოლ ვიწეშა (იქვე, 67, 4) — მოვედი კვლავ ვიწეში; სი მუფერ კოჩი რე? (იქვე, 57, 11) — შენ როგორი კაცი ხარ?..

მუში ბოზომოთა ფადიშაიში ბერეს მეჩამუ გურ ულუნ (ჩიქ. II, 91, 19) — მისი ქალიშვილის ხელმწიფის შვილისათვის მიცემა გულში აქვს;

წარ ამბინუ (იქვე, 90, 33) — წყალი მოუნდა, მაგრამ იქვეა: წარი კომომჩი (90, 34) — წყალი მომეცი;

სალ ონუ (იქვე, 87, 29) — სალი არის;

არ წანა დო გვერ (იქვე, 28, 26) — წელიწად ნახევარი;

მთელ გექთერი რენ (ყიფ. I, 2, 2) — ყველა წაქცეული არის;

ხოლ იდუ (იქვე, 64, 10) — კვლავ წავიდა; დოფცონი ლემში-თ(ე) (ჩიქ. II, 106, 13) — ავაცი ნემსით.

ამასთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა იქვე შენიშნავს, რომ „ე თითქმის სულ არ ისმის“-ო.

მრავალი ასეთი შემთხვევა დასტურდება ჩვენ მიერ გამოცემული „ქანური ტექსტებითაც“, მაგ.:

გდარ კკომუ (ჟლ., 45, 14) — საქმელი ქამა;

შარვალ დო ბლუზაფე (იქვე, 87, 11) — შარვალი და ბლუზები;

დიცხირ ჰექ გონდუნუ (იქვე, 107, 31) — სისხლი (კვალი) იქ დაიკარგა;

ხოლ ნიხირუ დო დიცხირ წაპინერ-წაპინერი... (იქვე, 107, 26) — კვლავ მოიპარა და სისხლი წვეთ-წვეთად...

ონჯლორ ავუ (იქვე, 111, 17) — შერცხვა;

მთელ უნკილაში (იქვე, 122, 36) — სულ უმცროსი;

მენდოჲონუ ოხორ მუშიშა... (იქვე, 134, 23) — წაიყვანა მის სახლში;

ოკულ კითხუ-ქი... (108, 33) — შემდეგ კითხა, რომ...

ქინდოლ (იქვე, 108, 32) — ზევიდან; თუ დელ (იქვე, 108, 33) — ქვევიდან; შდრ. იქვე: ქინდოლე, თუ დელე;

წკარ ალთუნი დივუ (იქვე, 128, 28) — წყალი ოქროდ იქცა;

ჰაწ გჲარ მიქ კკომასენ (იქვე, 133, 18) — ახლა საკმელს ვინ ჰამს;

ბადის გჲარ ამშქორინუ დო გურ მუხთუ (იქვე, 142, 4) — ბერიკაცს საკმელი ჰოშივდა და გული მოუვიდა;

ხარხალერ ტუ (იქვე, 142, 7) — ადუღებული იყო;

ბიქიქ სუმ კოჩ დოჲლუ (იქვე, 144, 2) — ბიჭმა სამი კაცი მოკლა;

ოკულ ქომოხთეს ხოლ ოხორ მუშიშა (იქვე, 145, 2) — შემდეგ მოვიდნენ კვლავ თავის სახლში;

ასლან ვით წანერ დივუ (იქვე, 151, 30) — ლომი ათი წლის გახდა და სხვ. მისთ.

ეს მოვლენა კიდევ უფრო მასობრივადაა დადასტურებული გ. დუმეზილის მიერ 1937 წ. გამოქვეყნებულ „ქანურ ზღაპრებში“. ამ მხრივ ეს ტექსტები გამოირჩევა ყველა დღემდე გამოქვეყნებული ტექსტებიდან. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

მა დიდო კითხერ დო ჩქინერ კოჩ ბორე (დუმეზ., 56, 2) — მე ძალიან (ბევრი) ნასწავლი და მცოდნე კაცი ვარ;

ჩილ დო ქომოჯ დივუზდორტუნ (იქვე, 106, 21) — ცოლი და ქმარი გამხდარიყვნენ;

არ წუკალ ხარხალერ წკარ... (იქვე, 36, 8) — ერთი ქვაბი ადუღებული წყალი...

ქუტა უფ (იქვე, 36, 15) — ცოტა ოფლი;

არ მჯიხ ლეტა (იქვე, 12, 3) — ერთი მჯილი მიწა;

თხირ დო ნეძ ქომულუ (იქვე, 104, 23) — თხილი და ნიგოზი მოუტანა;

გურ მუხთუ (იქვე, 3, 1) — გული მოუვიდა;

კაპინერ ოცხოჯ მეტკოჩი (იქვე, 10, 5) — სწრაფად სავარცხელი გადააგდე.

„ქანურ ზღაპრებში“ ხშირია შემთხვევა, როდესაც მრავლობით რიცხვში სახელებს მოკვეცილი აქვს ე ხმოვანი, მაგალითად:

ჰ ე ნ თ ე ფ დიდო ფუკარა ტეს (იქვე, 58, 3) — ისინი ძალიან ღარიბი იყვნენ;

კ ო ჩ ე ფ თითო-თითო გოლახთიმუს ქოგრჭკეს (იქვე, 97, 9) — კაცებმა თითო-თითოდ გამოსვლა იწყეს;

ს ა ა თ ე ფ გოლილუ (იქვე, 20, 7) — საათები გავიდა;

დივიქ კ ი ბ ი რ ე ფ დილასირუდორტუნ (იქვე, 85, 23) — დევს კბილები დაელესა;

ნ ე კ ნ ა ფ (იქვე, 23, 21) — კარები;

ს ე ს ე ფ (იქვე, 20, 9) — ხმები;

შდრ. ხაჯარი ქჩე ულუნ, თ ო ლ ე ფ ალა (ყიფ., ჰანეთში მოგზაურობა, ენიმკი-ს მოამბე, ტ. I, გვ. 164) — ლოყა თეთრი აქვს, თვალები ჰრელი; დიდო კ ო ჩ ე ფ ქომოხთეს (ჟლ., 150, 20) — ბევრი კაცები მოვიდნენ და სხვ.

თანდებულები - კ ა ლ ა (=ქართ. -თან), - კ ე ლ ე (=ქართ. -კენ) და - ქ უ ლ ე (=ქართ. შემდეგ) ამ ტექსტებში წარმოდგენილია ბოლოკიდურ ა და ე მოკვეცილად, მაგალითად: ჩ ქ ი მ კ ა ლ (იქვე, 56, 3) — ჩემთან; ბ ა დ ი კ ა ლ (იქვე, 56, 5) — ბერიკაცთან; ნ ე კ ნ ა ფ ე კ ა ლ (იქვე, 12, 5) — კარებთან; ო ფ უ ტ ე შ ე - კ ე ლ (იქვე, 7, 7) — სოფლისაკენ; არ კ ე ლ (იქვე, 74, 25) — ერთ მხარეზე;

ბ ა დ ი შ ე კ ე ლ ქვა დივუ, ბოზო დო ბ ი კ ი შ კ ე ლ დუზი ტუ (ჟლ., 142, 12) — ბერიკაცის მხარეზე ქვა გაჩნდა („იქნა“), გოგოსა და ბიჭის მხარეზე მინდორი („იყო“); მა დ ო ბ ლ უ რ ა - შ ქ უ ლ სი... (დუმეზ, 1, 6) — ჩემი სიკვდილის შემდეგ შენ... (მას შემდეგ, როცა მე მოვკვდები შენ...); ხუთ წ ა ნ ა - შ - კ უ ლ ქომოხთე ხ ო ლ ოხორიშე (ჟლ., 151, 36) — ხუთი წლის შემდეგ მოვიდა კვლავ სახლში.

ნაწილაკი -თი (=ქართ. -ც) ჰანურში ზოგჯერ ი მოკვეცილი წარმოითქმის:

უ კ უ ლ დიცხირის ჰონათხოზეს ს უ მ ი - თ ხოლო (ჟლ., 107, 30) — შემდეგ სისხლს გამოედევნენ სამივემ კვლავ;

ოხორჯა დო ვ ე ზ ი რ ი - თ ე უ რ ი - თ ქებონჰათ (დუმეზ., 2, 9) — ქალი და ვეზირიც ორივეც ჩამოვკიდოთ (ჩამოვახრჩოთ) და სხვ. მისთ.

როგორც ჩანს, არც ჰანურისათვის არის უჩვეულო ე. წ. „უტყვი“ ხმოვნები აბსოლუტურ ბოლოში, ოღონდ ეს პროცესი

ქანურში ახალია და იგი ამჟამად ინტენსიურად ვითარდება, მაშინ როდესაც სვანურში იგი უფრო დასრულებული სახისაა.

§ 114. სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ვოკალიზაციის მხრივ მეგრულში სულ სხვა ვითარება გვაქვს, ვიდრე ქანურში. მეგრულს მიდრეკილება აქვს სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში თანხმოვნის შემდეგ გააჩინოს ე. წ. „პარაზიტული“ ხმოვანი ი, ე ან ო || უ¹, მაგ.:

უწუ ქო მონ ც გ ჩ ი ლ ქ გ (ყიფ., მეგრ. ტექს., 13, 4) — უთხრა ქმარს ცოლმა;

კიკეთ ყურძენი დომიქვეს დიოდე ჩ ხ უ რ უ ქ უ დო უკული ს ი ნ ჩ ხ ე ქ 'ი' (იქვე, 1, 14) — ცოტა ყურძენი დაგვიწვა ჯერ სიცივემ და შემდეგ სიცხემ¹ (შდრ. იქვე: დიო ჩ ხ უ რ უ ქ უ დო უკუ-ლი ს ი ნ ჩ ხ ე ქ ე (2, 22); ზ უ გ ი ც ე თქვა ქ ი მ ე რ თ ი თ გ ... (იქვე, 2, 30) — ზუგდიდში თქვენ მიდით...

ჩქინი ს ქ ე ა ლ ე ფ ქ ე (იქვე, 3, 9) — ჩვენმა შვილებმა;

კამპანია გა ა კ ე თ ე ს გ (იქვე, 3, 17) — წვეულება გააკეთეს;

თელი ს ო ფ ე ლ ს ი ნოჩქვე (იქვე, 12, 3) — მთელ სოფელს ცოდნია;

ჩ ი ლ ქ გ დუდიში ყვილუა მიინდომუ (იქვე, 13, 2) — ქალმა თავის მოკვლა მოინდომა;

მაჟირა დ ღ ა ს გ ე კ ო ჩ ქ ე ... (იქვე, 13, 9) — მეორე დღეს ამ კაცმა...;

ონ ჯ უ ა ს გ ტ ყ ა ს გ გ ი შ ე ე ლ ე ს გ დო ართი ძალამი მახორო კ ო ც ე ქ ი მ ი ო დ ი რ თ ე ს გ კ ა რ ც ე (იქვე, 13, 23 - 24) — სალამოს ტყე გაიარეს და ერთ კარგ მოსახლე კაცს მიადგნენ კარს;

დ უ უ ძ ა ხ ე ს გ ბ ო შ ი ს გ (იქვე, 14, 14) — დაუძახეს ბიჭს; ი დ ე ს გ , ი დ ე ს გ დო შ ა რ ა პ ი - ც ე ქ ო ძ ი რ ე ს გ ... (იქვე, 15, 33) — იარეს, იარეს და გზისპირას ნახეს;

ართი დ ღ ა ს გ ჩ ი რ ქ ე კითხვ ქ ო მ ო ნ ს გ ... (იქვე, 24, 6) — ერთ დღეს ცოლმა კითხა ქმარს...

ბრელი ი ნ გ ა რ ე ს გ (იქვე, 30, 21) — ბევრი იტირეს და სხვ.

¹ И. Кипшпадзе, Грамм. мингр. яз., გვ. 22, 24 მშშ.

ანალოგიური ფაქტები იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება ქანურის ათინურს კილოკავში. ოლონდ ი. ყიფშიძისა და ს. ჯიქიას მიერ სტამბულში ჩაწერილ ათინურ ტექსტებში მეგრული ჯ-ს ნაცვლად სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში **ო || უ** იხმარება. არნ. ჩიქობავა მეგრულისა და ქანურის ამ ფაქტებს სავსებით სამართლიანად ერთი რიგის მოვლენებად მიიჩნევს და მას მორფოლოგიურად უფუნქციო **ო || უ-ს** უწოდებს¹. მაგ.:

მო მ ს ე ლ ე ს ო (ყიფ. I, 76, 11) - ადგნენ; უნდა იყოს: **მო მ ს ე ლ ე ს**; ოფშა ნეძი უ ღ უ ნ ო (იქვე, 77, 16) — ბევრი ნიგოზი აქვს; უნდა იყოს: უ ღ უ ნ; ს ე რ ი ს (ო) დიდაქ (ო) ... (იქვე, 78, 24) — ღამე დედაბერმა ... უნდა იყოს: ს ე რ ი ს დ ი - დ ა ქ; ჰიმდოს ჰიმ დ ი დ ა ქ ო ჰამუს უკიფუ (იქვე, 83, 13) — ნაშინ დედაბერმა ანას უკივლა; ცირი ი გ ზ ა ლ ე ს უ (ჩიქ. II, 119, 18) — ყველა წავიდა; უნდა იყოს: ი რ ი ი გ ზ ა ლ ე ს (შდრ. მეგრ. ჩ ხ უ რ უ ქ უ — სიცხემ, ყიფ., მეგრ. ტექს., 1, 14); ოშქური ქ ო მ ე ჩ ე ს უ (ჩიქ. II, 130, 21) — ვაშლი მისცეს; უნდა იყოს: ქ ო მ ე ჩ ე ს; თ ქ ე ე ს (უ) (იქვე, 118, 4) — თქვეს; ე უ ქ ო - ფ ა მ ს უ (იქვე, 118, 7, — იღებს; მ ე ნ დ ა ხ თ ე ს უ (იქვე, 118, 6) — წავიდნენ; ი ქ უ მ ს უ (იქვე, 118, 22) — იქნს; ი ბ გ ა ს უ (იქვე, 119, 8) — ტირის; უნდა იყოს: ი ბ გ ა რ ს; სუმ ჯუმა ქ ო რ ტ ე ს უ (იქვე, 120, 15) — სამი ძმა იყო („იყვნენ“); ვა მ ო მ - ჩ ა მ ს უ (იქვე, 121, 8) — არ მაძლევს; მუ გ ა ღ ო დ ე ს უ (იქვე, 121, 12) — რა მოგივიდათ.

ი. ყიფშიძის ქანურს ტექსტებში ორიოდ შემთხვევაა, როდესაც სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში თანხმოვნის შემდეგ მეგრულისებურად „პარაზიტული“ **ჯ** დასტურდება, მაგ.:

დ ე ლ ი ქ გ მორდერი კუკუმათე წარი ქონობუ (ყიფ. I, 79, 6) — სულელმა მოზრდილი საწყლეთი წყალი მიასხა;

დ ე ლ ი ქ გ ქეჭოფუ (იქვე, 79, 2²) — სულელმა აიღო.

მეგრულისაგან სრულიად განსხვავებული ტენდენცია ახასიათებს ამ შემთხვევაში სვანურს. სვანურს ტენდენცია აქვს სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში თანხმოვნის შემდეგ ხმოვანი „უტყვ“ ხმოვნად აქციოს, ამიტომ სვანური წარმოთქმისათვის ჩვეულებრივია სი-

¹ არნ. ჩიქობავა, პროფ. ი. ყიფშიძე და ქანურის მეცნიერული შესწავლა გვ. XXVI.

ტყვის აბსოლუტურ ბოლოში რამდენიმე თანხმოვნის ერთად თავმოყრა, რაც ქანურ-მეგრულისა და ქართულისთვისაც უჩვეულოა¹.

სპორადულად აბსოლუტური ბოლო ზმოვნის „უტყვ“ ხმოვნად გადაქცევის შემთხვევები მეგრულშიც დასტურდება. როგორც ჩანს, ეს პროცესი მეგრულში ახალი დაწყებულია, მაგ.: ჟირ გვალეფ ($\leftarrow$ ჟირი გვალეფი) ეკანთხენ თეჟნეშევა (ხუბ., 240, 36) — ორი მთა ერთიმეორეს რომ დაემთხვა იქო; ღალ მენილგ (იქვე, 103, 1) — ღელე გადავიდა; მელან ღოგისქირუაფუ (იქვე, 314, 16) — მელანი დაგიშვრიაო; სქან ღუთქ ვა ღომღურასია (იქვე, 336, 2) — შენი თავი არ მომიკედესო; გოგიმორძგ (იქვე, 19, 9) — გაგიმარჯოს; მეჩ პასუხი (იქვე, 23, 13) — მისცა პასუხი და სხვ. მისთ.

14. სრულხმოვნობა

§ 115. ე. წ. სრულხმოვნობის მიხედვით ქანურ-მეგრული განსაკუთრებით გამოირჩევა ქართულისა და სეანურისაგან. ქანურ-მეგრულის სრულხმოვნობა, რომელიც ფუძის უკუმშველობას გამოხატავს, უფრო ძველი ვითარების მაჩვენებელია. ეს დებულება ქართველურ ენათა შესწავლის დღევანდელ ეტაპზე ყველას მიერ გაზიარებულია². არნ. ჩიქობავამ ქართველურ ენათა სახელის ფუძის უძველესი აგებულების ანალიზის საფუძველზე დაასკვნა, რომ ქანურისა და მეგრულის ე. წ. სრულხმოვნობა უფრო ძველი ვითარების გამომსახველია, ხოლო ქართულის შეკუმშული ფუძეები მეორეულია³.

ქანურ-მეგრულში მარცვალთა აგებულება ჩვეულებრივ ასეთია: თანხმოვანი + ხმოვანი, გარდა ჰარმონიული კომპლექსებისა. არის შემთხვევები, როდესაც ქანურ-მეგრულში სიტყვა თანხმოვნით იწყება, მაშინ როდესაც ქართულში იგივე სიტყვები ხმოვნით იწყებიან, მაგ.: ქან.-მეგრ. ნინა — ქართ. ენა (ზღრ. სენ. ნინ), მეგრ. ლუბე — ქართ. უბე და სხვ⁴.

ქანურ-მეგრულის სრულხმოვნობაზე მიუთითებენ შემდეგი ფაქტები:

¹ ჩენი: სეან. ფონეტ., გვ. 194.

² ზღრ. აღ. Цагарели, Мингрельские этюды, II, стр. 91—92.

³ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 111.

⁴ ა. ცაგარელი, იქვე, გვ. 91.

ჟან.-მეგრ. კიბირ-ი — ქართ. კბილ-ი; ჟან.-მეგრ. თომა — ქართ. თმა; ჟან. ჯუმა, ჯუმალა, მეგრ. ჯიმა — ქართ. ძმა (← ძამა); მეგრ. ხომა || ხუმა — ქართ. ხმა; ჟან.-მეგრ. ხომულა — ქართ. ხმელ-ი; მეგრ. კორობუა — ქართ. კრება; მეგრ. ფურინუა — ქართ. ფრინვა; ჟან.-მეგრ. ქომონჯ-ი — ქართ. ქმარ-ი; ჟან.-მეგრ. ტობა — ქართ. ტბა; ჟან.-მეგრ. თოფურ-ი — ქართ. თაფლ-ი; ჟან. ღორმოთ-ი, მეგრ. ღორონთ-ი — ქართ. ღმერთ-ი; ჟან.-მეგრ. თუთა — ქართ. თევ, ძვ. ქართ. თთჳე; ჟან. თუთხ-უ, მეგრ. თხითხ-უ — ქართ. თხელ-ი; ჟან.-მეგრ. თხომ-უ — ქართ. თხმ-ელ-ა; ჟან.-მეგრ. ჩხორო — ქართ. ცხრა; ჟან. ტუბ-უ, მეგრ. ტიბ-უ — ქართ. თბილ-ი, ძვ. ქართ. ტფ-ილ-ი, სვან. ტებდი; ჟან. ჩელამურ-ე, მეგრ. ჩილამურ-ი — ქართ. ცრემლ-ი; ჟან. ჩუ; ჩქ-უ || ჩიჩქ-უ, მეგრ. ჩქიჩქ-უ — ძვ. ქართ. ჩჩჳლ-ი; ჟან. ჯუმორ-ი — ქართ. ძმარ-ი; ჟან. ჭუნძ-ე || გინძ-ე, მეგრ. გირძ-ე || გინძ-ე — ქართ. გრძელ-ი; ჟან. ხეკეპა — („კვერცხის, თხილის ნაჭუჭი“) — ქართ. ხეკბ-ი („წაბლისა და წიფლის ქერქი“ შდრ. ლექს. 110) და სხვ. მისთ.

ბუნებრივია, თუ ჟანურ-მეგრული ნასესხებ სიტყვებში მარცვალთა აგებულებას ამ წესს უმოორიილებს და ვიღებთ:

ჟან. ჭერელ-ი: უჩა-ჭერელი (ჩიქ. II, 3, 19) — შავ-ჭრელი (შდრ. მეგრ. ჭრელი); მუ მსქვა ჭერელი კუჩხე ულუნ (ჩიქ. I, 74, 17) — რა ლამაზი ჭრელი ფეხი აქვს;

მეგრ. ძიმბარი (ყიფ., მეგრ. ლექს., 374) ← ქართ. ძმარი; (შდრ. ჟან. ჯუმორი);

მეგრ. ჭყილიტუა (იქვე, 395) — ქართ. ჭყლეტა;

მეგრ. პილანი (იქვე, 298) ← რუს. пилан;

ჟან. ფილავეი (ჩიქ. II, 42, 6) — ფლავი;

მეგრ. ხურუჯუნი || ხურუჯონი (ყიფ., მეგრ. ლექს., 409) — ხურჯინი;

ჟან. გურუში: ოში გურუში (ელ., 183) — ასი გროში და სხვ.

ჟანურ-მეგრული ხმოვანთა გადასმის ხერხსაც იყენებს იმისათვის, რომ სიტყვის თავში და ზოგჯერ შიგნით ორი ერთად მიჯრილი თანხმოვანი გაჰყოს წარმოთქმაში, მაგ.:

